საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.net

25 ივლისი - 1 აგვისტო, 2012

№28 (166)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

info@geworld.net

## ჯარში გადაყრილი მილიარდები და უუნარო არმია

10



4

## რას ერჩის ხელისუფლება ივანიშვილის დაცვის ფრანგ კონსულტანტებს?



შალვა ნათელაშვილი:

8

## რის გამოც მე ვერ დავამხე სააკაშვილი, იყო ის, რომ ფული აღარ გვქონდა! ეს ძალიან კარგად იცოდა ბიძინამ...

## «მე უფრო ამირჩევენ შრილანკის პრეზიდენტად, ვიდრე ხიდაშელს — საგარეჯოს მაჟორიტარად»



## «მეუფე იობს უნდა დაუბრუნდეს ქორეპისკოპოსის ტიტული»

## რუის-ურბნისის ახალი კრებაა მოსაწვევი

17





## ბურჯანაძის ექსაგარაკის თავზე ვერა ქობალიას დროშა ფრიალებს

14

პაატა ზაქარეიშვილი:



## გამსახურდიასთვის ძეგლის დადგმის საკითხი თვითმმართველობის საქმეა... ძეგლები სულ არ არის ჩემი სფერო და ის საკითხი, რაც მე მაღელვებს...

13

რესპუბლიკელი ზაქარეიშვილი ზვიად გამსახურდიას არადემოკრატ პრეზიდენტად მიიჩნევს და 90-იან წლებში მომხდარზე პასუხისმგებლობას გამსახურდიას ხელისუფლებას აკისრებს

## ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ალბომის დამკვეთებსაც და შემქმნელებსაც დიდი მადლობა ეკუთვნის; ასე ერთად თავმოყრილი ყველა „მიღწევა“ თვალსაჩინოს ხდის, რატომ აღარ შეიძლება თანამედროვე მინისმთლელების ხელისუფლებაში დატოვება. „ახალი საქართველოს“ ფასადს უკან გაგლეჯილი, დაძაბუნებული, გაღატაკებული ისტორიული ქვეყანაა მისი მიწა-წყლითა და ხალხით, რომლის გასაჭირს ისინი გამჭვირვალე შენობებიდანაც კი ვერ ხედავენ.**

# შუშისმთლელები და მათი «ახალი საქართველო»

**წინასაარჩევნოდ მმართველმა პარტიამ სხვა პიარ-პროდუქტებთან ერთად ქართველ ამომრჩეველს უხვად ილუსტრირებული გამოცემა „ახალი საქართველო“ შესთავაზა. მისი დამკვეთები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საქართველოს ბანკი, თიბისი ბანკი, ლიბერთი ბანკი, სოკარი, ვისოლი, გალფი და აუთდორი ყოფილან. იგი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, 2004-2012 წლების ქართულ არქიტექტურას ეძღვნება.**

ეს 2004 წელი მხოლოდ იმისთვის არის ნახსენები, რომ ხაზი გაესვას — საქართველოს ისტორია „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ იწყება, თორემ კრებულში 2004 წელს აშენებულ ვერც ერთ ობიექტს ვერ ნახავთ იმ მარტივი მიზეზით, რომ არც არაფერი აშენებულა. 2005 წელს თიბისი ბანკი განახლდა. 2006 წელს გაიხსნა თბილისი-ლესელიძე-სენაკის საავტომობილო გზა ნატახტართან. ვინც არ იცის, იფიქრებს, რომ მთელი ეს ტრასა ასეთია, ილუსტრაციაზე კი მხოლოდ ნატახტარის მონაკვეთია ნაჩვენები. **2007 წელს ხალხში „კაბრიოლეტად“ ცნობილი თბილისის საერთაშორისო აეროპორტია მითითებული, თან ისე მოხერხებულად, რომ, სხვა ობიექტებისგან განსხვავებით, მას არც „აშენებული“ აწერია, არც „განახლებული“. როგორც გინდა, ისე იფიქრე! ცხადია, არც იმაზეა რამე ნათქვამი, რომ ყოველ წვიმასა და ქარში შენობა ფორსმაჟორულ ვითარებაში გადადის.** სამად-სამი ტერმინალი, როგორც ჩანს, არქიტექტურული აზრის მწვერვალს წარმოადგენს. 2008 წლით სავაჭრო ცენტრი პიქსელია დათარიღებული, რომელიც ყოფილ თანაგუნდელ ავთო დავითაძის ნათესავს ჩამოართვეს. თავად იგი კორუფციის ბრალდებით ციხეში გაამწესეს, თუმცა 2003 წელს არავის უკითხავს მისთვის, რა სახსრებით ინახავდა „ნაციონალების“ ვაკე-საბურთალოს ოფისს.

**2009 წელს სასტუმრო „შერატონ ბათუმი“ და თბილისის „რადისონ ბლუ ივერია“ გაიხსნა. ამავე წელს განახლდა „ბანკი რესპუბლიკაც“, მაგრამ ნამდვილი სამშენებლო „ბუმი“ 2010-12 წლებში გვქონია: მხოლოდ 2010 წელს აშენებულა და განახლებულა — მშვიდობის ხიდი (მიკელე დე ლუკი), „ლიბერთი ბანკი“, სასტუმრო Holiday Inn თბილისში, ბათუმის პიაცა, ევროპის მოედანი, სასტუმრო ანაკლია, ახალი გზა ვერეს ხეობაში, გმირთა მოედანი, მესტიის აეროპორტი, ერთი სიტყვით, შთამბეჭდავი ჩამონათვალია.**



**ენას რომ მოკლავ, მერე ანბანს მემორიალიც უნდა დაუდგა!**



**მინის ნაკვეთი სააკაშვილმა დედამისს სიმბოლურ ფასად — ერთ ლარად გადასცა, მაგრამ მიკელე დე ლუკი შავი ზღვის უნივერსიტეტის პროექტს უფასოდ ნამდვილად არ შექმნიდა**

გმირთა მოედნის ერთობ საეჭვო არქიტექტურულ ღირსებაზე ნუ შევჩერდებით, ნურც „ჯერაც შეუვსებელ ადგილებზე“ ვისაუბრებთ იმ კენოტაფზე, რომელიც არც ახლოდან, არც შორიდან არავის მიაგებს პატივს. ზოგადად, ამ ალბომში მოტანილი ნაგებობების არქიტექტურულ ღირსებაზე, უმჯობესია, თავად ხუროთმოძღვრებმა ილაპარაკონ, ჩვენ კი მათ სოციალურ დანიშნულებაზე ვიმსჯელოთ. ბანკებსა და კერძო სტრუქტურებზე ნუ შევჩერდებით, ალბომის დამკვეთების — ვისოლისა და სოკარის ახალი მულტიფუნქციური ცენტრების არქიტექტურულ აზროვნებასთან სიახლოვის ანალიზზე ნუ მოვცდებით, უმჯობესია, იმ ჩამონათვალს მივყვეთ, რომელიც ბიუჯეტის ფულით და დიდმოხელეების გემოვნებით არის შექმნილი.

**ბოლო ორ წელიწადში სწორედ ბიუჯეტის ხარჯზე აგებული ისეთი შედევრები შევიძინეთ, როგორიც არის რიყის პარკი თავის რეიგანიანად, ქუთაისის პარლამენტის შენობა, იუსტიციის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, თბილისის პროკურატურა, იუსტიციისა და პოლიციის რეგიონული შენობები, რამდენიმე სკოლა, გზა და გვირაბი.**

**ყველაზე შთამბეჭდავად ამ ალბომში ქართული არქიტექტუ-** ▶




**ახალ სანარმოებს ალბომში ორი გვერდი ეთმობა და მის ნახევარს გუბერნატორ ცეზარ ჩოჩელის «ბარამბო», «ზედაზენი» და «ბერტა» იკავებენ**



**პრეზიდენტი სააკაშვილი 2009 წელს მიკელე დე ლუკის პროექტით აგებულ მინისგუმბათიან რეზიდენციაში გადავიდა, რომლის ღირებულება დღემდე ვერავინ დაადგინა**

## ამერიკამ ავღანეთიდან 12 ათასი სამხედრო გაიყვანა

**ავღანეთიდან 2012 წლისთვის დაგეგმილი 23 ათასი ამერიკელი სამხედროს გაყვანის გეგმა სანახევროდ უკვე შესრულებულია. Associated Press-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ამის შესახებ ავღანეთში ნატოს ძალების სარდალმა გენერალმა ჯონ ალენმა განაცხადა.**

კონტინგენტის სრული გაყვანა, ობამას დაპირების თანახმად, 30 სექტემბერს უნდა დასრულდეს. ამის შემდეგ ავღანეთში 68 ათასი ამერიკელი სამხედრო დარჩება. 1 ოქტომბრისთვის, მათ გარდა, ქვეყანაში საერთაშორისო კოალიციის კიდევ 40 ათასი სამხედრო იქნება. 2011 წელს ავღანეთიდან 10 ათასი ამერიკელი სამხედრო გაიყვანეს. დღეისათვის სამხედრო ოპერაციათა 90 პროცენტი ავღანეთის სამთავრობო ძალებთან ერთად ხორციელდება. თუმცა არც თუ იშვიათია შემთხვევები, როცა ქვეყნის უშიშროების სამსახურის ფორმებში გადაცმული ავღანელები თავს ესხმიან ამერიკელ სამხედროებს.



**ჩვენი აწეწილ-დაწეწილი ცხოვრების ნიმუშად ეს ნაგებობები უთუოდ გამოდგება, ხოლო მესტიის მუზეუმის ყუთებში ჩაყრილ და ღია ცის ქვეშ დატოვებულ საგანძურს პატრონი რომ არ ჰყავს, ცხადია. ამის ფონზე კულტურის ნიმუშად ილუმინაციით მორთული ბათუმის აეროპორტის ნავიგაციის კოშკურა დაცინვას ჰგავს, ხოლო „ქართული ანბანი არის საქართველოს გენეტიკური კოდი" — სპირალურ ზედაპირზე დატანილი ქართული ასოების მემორიალს ემსგავსება. ენას რომ მოკლავ, მერე ანბანს მემორიალიც უნდა დაუდგა!**

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀რის ნიმუშად გასაღებული დევნილთა დასახლება გამოიყურება, რომელიც ორ გვერდზე გაუშლიათ და, როგორც ჩანს, ეამაყებათ. ეს ტიპიური გეტოა, მაგრამ ალბომის დამკვეთებს ეს აინუნშიც არ მოსდით. სტანდარტული, უსულო ერთსართულიანი სახლები დამთრგუნველია და იმას კი არ გახსენებს, რომ დევნილებს სასწრაფოდ აუშენეს თავშესაფარი, არამედ იმას, თუ რამ გახადა ბაღნარში მცხოვრები ადამიანები იძულებული, აქ დასახლებულიყვნენ.**



**სტანდარტული, უსულო ერთსართულიანი სახლები დამთრგუნველია და იმას კი არ გახსენებს, რომ დევნილებს სასწრაფოდ აუშენეს თავშესაფარი, არამედ იმას, თუ რამ გახადა ბაღნარში მცხოვრები ადამიანები იძულებული, აქ დასახლებულიყვნენ**

ყველაფერთან ერთად, დევნილთა დასახლებას ზემოდან პოლიციის მინის კოშკი გადმოჰყურებს, რომელიც ფოტოზე არ ჩანს. დევნილები მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ გრძნობენ თავს და ამ შემთხვევაში სულ ერთია, გამჭვირვალე კოშკიდან გადევნებენ თვალს თუ ბუჩქიდან. **თანამედროვე არქიტექტურის აპოლოგეტები მინას იმდენად ხშირად იყენებენ, რომ „გონივრული ეჭვი" გაგიჩნდება, მინის წარმოებაში ხომ არ აქვთ პირადი ინტერესი. განახლებული შენობების უმეტესობა, უბრალოდ, მინით არის შემოსილი, ხოლო ახალი ნაგებობანი გეომეტრიას ომს უცხადებენ.**

არქიტექტურის ნიმუშებს ხშირად კულტურულ და პოლიტიკურ სიმბოლოებად აღიქვამენ. ასეც არის; ნაციონალური პოლიტიკის კულტურული და პოლიტიკური სიმბოლო სიონის საკათედრო ტაძრის გვერდით წამოჭიმული გიგანტური კაზინო „შანგრილაა", რომლის ფოტოც ალბომში ვერ მოხვდა. ალბომში მოხვედრილი „თბილისი მოლი" კი მინის ნაცვლად ყრუ, ოღონდ გაფერადებული კედლებით გამოირჩევა და სანახევროდ დამთავრებული, მაგრამ უკვე საზეიმოდ გახსნილი, ნაგვის გროვებთან ამაყად მეზობლობს. ფოტოზე ნაგავი არ ჩანს, მაგრამ თბილისიდან გამსვლელი, კიდევაც რომ ეცადოს, ნაგვის მთების დანახვის გარეშე ქალაქს ვერ დატოვებს.

**არქიტექტურაში მინის უხვად გამოყენება ნახევარი საუკუნის წინ ჩრდილოეთის ქვეყნებში დაიწყეს, სადაც მზის დეფიციტია, დღე მოკლეა და შენობა მზის ყოველი სხივის დაჭერაზეა ორიენტირებული. მზიურ საქართველოში, სადაც ჩრდილი საძებარია, ამგვარი აკვარიუმების აშენება ოდენ კაპრიზია, უცხოეთში ნანახის გადმოღება და იმით აღტაცება, რაც მსოფლიომ კარგა ხნის წინ მოილია.**

თუმცა — არა! ეს სწორედაც პოლიტიკური სიმბოლოა, გამჭვირვალე სახელმწიფოს სიმბოლო. პირველად სააკაშვილმა მინის კუბი იუსტიციის სამინისტროს მისაღებში დადგა. როდესაც ჰკითხეს, რა დანიშნულება ჰქონდა მას, ახსნა, რომ მინის კედლებში თანამშრომლები ქრთამს ვერ აიღებდნენ! მეორე პოლიტიკური სიმბოლო — თეთრხელთათმანიანი საპატიო ყარაული მან იუსტიციის სამინისტროს წინ დააყენა. ახლა ისინი გმირთა მოედანზე, მემორიალურ კედელთან დგანან, ხოლო იუსტიციის ყოფილი მინისტრი 2009 წელს მიკელე დე ლუკის პროექტით აგებულ მინისგუმბათიან რეზიდენციაში გადავიდა, რომლის ღირებულება დღემდე ვერავინ დაადგინა.

**ოდესღაც „თავისუფალ ქვისმთლელთა საძმო" არსებობდა, დღევანდელ საქართველოში მინისმთლელთა საძმო ბატონობს, თლის და თლის, ოღონდ სულ თავისკენ — ხელეჩოსავით!** არავინ იცის, რა ანაზღაურება მიიღეს იმ უცხოელმა არქიტექტორებმა, რომლებმაც უკანასკნელ წლებში ჩაწოლილი პროექტებით აავსეს საქართველო. **ჰიტლერს შპეერი ჰყავდა, სააკაშვილს მეიერი ჰყავს, რომელსაც მესტია და სარფი ჩააბარეს, და მანაც პოლიციის, იუსტიციის, აეროპორტის, ხიდის და საბაჟო ტერმინალის დაპროექტებისას არც ერთი სწორი კედელი არ დაუშვა.**

ჩვენი აწეწილ-დაწეწილი ცხოვრების ნიმუშად ეს ნაგებობები უთუოდ გამოდგება, ხოლო მესტიის მუზეუმის ყუთებში ჩაყრილ და ღია ცის ქვეშ დატოვებულ საგანძურს პატრონი რომ არ ჰყავს, ცხადია. ამის ფონზე კულტურის ნიმუშად ილუმინაციით მორთული ბათუმის აეროპორტის ნავიგაციის კოშკურა დაცინვას ჰგავს, ხოლო **„ქართული ანბანი არის საქართველოს გენეტიკური კოდი" — სპირალურ ზედაპირზე დატანილი ქართული ასოების მემორიალს ემსგავსება. ენას რომ მოკლავ, მერე ანბანს მემორიალიც უნდა დაუდგა!**

ამ ალბომის გადაფურცვლისას უნებურად ვფიქრობ, ივანიშვილს რომ მის მიერ აგებული და აღდგენილი შენობების ამსახველი ალბომი გამოეცა, რამდენ ტომს დაიკავებდა? ნაციონალური ხელისუფლების კადნიერება იქამდე მივიდა, რომ ივანიშვილის გაკეთებული თავიდანაა აღსადგენიო, აცხადებს. ახლა ჩვენს ყველა დარდს ისიც ემატება, რომ ოპერისა და რუსთაველის თეატრების ისტორიული ფასადებიც არ შემინონ თანამედროვე მინისმთლელებმა.

**„ახალი საქართველო" — რაღაცას უნებურად მახსენებს ამ „მიღწევათა" ამსახველი ალბომის დასათაურება. 2003 წელს სახელისუფლო ბლოკს, რომელსაც მინისმთლელები დაუპირისპირდნენ, სწორედ „ახალი საქართველოსთვის" ერქვა. ესეც ერთგვარი კულტურული და პოლიტიკური სიმბოლოა. რისთვისაც მაშინდელი ხელისუფლება საარჩევნო ბლოკს ქმნიდა, ის ამოცანა მისმა „გადამგდებმა" ნაციონალებმა „შეასრულეს".**

საქართველოდან გაყვანილი რუსული ჯარი უკან შემოაბრუნეს, დაკარგულ ტერიტორიებს ახალიც დაუმატეს, მოსახლეობა ბოლომდე გაალატაკეს, ამ არჩევნების წინ კი „ახალი საქართველოს" მშენებლებად ასაღებენ თავს. **„დავით აღმაშენებლის დროიდან დღემდე საქართველოში არასოდეს აშენებულა ამდენი",** — აცხადებს სააკაშვილი, პარლამენტის შენობას ყიდის, მორჩილი უმრავლესობა კი ქუთაისის კაბოს პროექტით აგებულ „ლოკოკინაში" გადაჰყავს.

**ეს არ არის „ახალი საქართველო" იმ მარტივი მიზეზით, რომ ეს საქართველო არ არის. ასეთი არქიტექტურა ნებისმიერ ქვეყანაში შეიძლება იყოს, ისეთშიც, რომელსაც მანამდე ქვის შენობა არ უნახავს.** ნაცმოძრაობა" კი 10 წლის ბიჭუნას ჭკუაზეა, რომელიც წერს: **„ძალიან გამიხარდა პარლამენტის გადმოტანა ჩემს ქალაქში. ყველას იმედი გაუჩნდა, რომ ქუთაისი უფრო მაგარი ქალაქი გახდება. მე მჯერა, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია".** ნაწერს „სმაილიკი" ახლავს.

ქუთაისი უპარლამენტოდაც „მაგარი" ქალაქია, მაგრამ თბილისიდან მისი გატანა „სიმაგრის" გატანასაც ხომ არ ნიშნავს? თუმცა პარლამენტის ქუთაისში გადატანამ პარკეტდაგებულ თეთრ ხიდს ვერ უშველა და პირველივე წვიმაზე დაკარგა არქიტექტურული სახე.

ახალ საწარმოებს ალბომში ორი გვერდი ეთმობა და მის ნახევარს გუბერნატორ ცეზარ ჩოჩელის „ბარამბო", „ზედაზენი" და „ბერტა" იკავებენ. რუსთავის „ჯეოსტილის" ქარხნის მილიდან კი ფოტოზეც ისეთი ბინძური კვამლი ამოდის, რომ მისი გამოყენება თავისუფლად შეიძლება გარემოს დაბინძურებისადმი მიძღვნილი სტატიის ილუსტრაციად.

**მიკელე დე ლუკიმ, თბილისის გულში სრულიად უადგილო „მშვიდობის ხიდის" შემდეგ, შავი ზღვის უნივერსიტეტი დააპროექტა. პრეზიდენტის დედისთვის ის ისეთივე გულმოდგინებით იღვწის, როგორც მისი შვილისთვის. უცნობია, ამ მშენებლობასაც ბიუჯეტი აფინანსებს თუ არა, მაგრამ ერთი ცხადია: მიწის ნაკვეთი სააკაშვილმა დედამისს სიმბოლურ ფასად — ერთ ლარად გადასცა, მაგრამ მიკელე დე ლუკი პროექტს უფასოდ ნამდვილად არ შექმნიდა.**

რა უჯდება საქართველოს ეს „აღმშენებლობა"? — ფულს რომ თავი დავანებოთ, იმ საჯარო გარემოს დაკარგვად, რომელიც ორგანული იყო საქართველს მოსახლეობისთვის. „გლობალური სოფლის" ბინადართათვის სულერთია, მინა იქნება მათ გარშემო თუ ქვა, ცათამბჯენი თუ სვანური კოშკი. ისინი ტურისტები არიან, ცხოვრება მათი მოგზაურობის მარშრუტია, მათ აბორიგენები არ აინტერესებთ. ადგილობრივები ოდენ ანტურაჟის ნაწილს წარმოადგენენ, ისინი იმ გარემოში უნდა არსებობდნენ, რომელსაც მსოფლიოში მოგზაურები არიან მიჩვეულნი.

**ასეა თუ ისე, ალბომის დამკვეთებსაც და შემქმნელებსაც დიდი მადლობა ეკუთვნით; ასე ერთად თავმოყრილი ყველა „მიღწევა" თვალსაჩინოს ხდის, რატომ აღარ შეიძლება თანამედროვე მინისმთლელების ხელისუფლებაში დატოვება. „ახალი საქართველოს" ფასადს უკან გაგლეჯილი, დაძაბუნებული, გაღატაკებული ისტორიული ქვეყანაა მისი მიწა-წყლით და ხალხით, რომლის გასაჭირს ისინი გამჭვირვალე შენობებიდანაც კი ვერ ხედავენ.**

**მზიურ საქართველოში, სადაც ჩრდილი საძებარია, ამგვარი აკვარიუმების აშენება ოდენ კაპრიზია, უცხოეთში ნანახის გადმოღება და იმით აღტაცება, რაც მსოფლიომ კარგა ხნის წინ მოილია**






**ახალი ნაგებობანი გეომეტრიას ომს უცხადებენ**

მსოფლიო

# ეკონომისტები ამერიკას რეკორდულ სიღატაკეს უწინასწარმეტყველებენ

**Associated Press-მა კონსერვატიული და ლიბერალური შეხედულებების ათზე მეტი წამყვანი ეკონომისტი გამოკითხა და გაარკვია, რომ სიღარიბის დონე აშშ-ში გასული საუკუნის შუა წლებიდან სარეკორდო დონეს მიაღწევს**. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ უმუშევრობის ოფიციალური დონე ქვეყანაში 15,7 პროცენტს მიაღწევს. ეს მაქსიმალური მაჩვენებელია მეოცე საუკუნის 60-იან წლებში სიღატაკის წინააღმდეგ გამართული კამპანიის პერიოდიდან. გამოკითხულ ეკონომისტთა უმეტესობა დარწმუნებულია, რომ რეალურად უმუშევრობის დონე კიდევ უფრო გაიზრდება. მათი პროგნოზით, სიღატაკე არასრულ ოჯახებს და პროვინციის მაცხოვრებლებს მოიცავს. 2010 წელს ამერიკაში 46 მილიონი ღატაკი იყო. ოჯახური მეურნეობის საშუალო შემოსავალი 2009 წელთან შედარებით ათასი დოლარით შემცირდა და 49,4 ათასი დოლარი შეადგინა.



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**საინტერესოა, რას მოიმოქმედებენ ამერიკელები, თუ სააკაშვილის ხელისუფლების მესიჯს შემდეგნაირად გაშიფრავენ: „ყველაფერზე წამსვლელები ვართ, ივანიშვილის ლიკვიდაციის ჩათვლით“? ისინი, ძალიან დიდი ალბათობით, მივლენ დასკვნამდე, რომ ასეთი თავდასხმა საქართველოში 12-ბალიანი მიწისძვრის მსგავს ეფექტს გამოიწვევს. თუ ის წარუმატებელი გამოდგა, ხელისუფლების რეიტინგი „პლინტუსზე დაბლა“ დაეცემა**

# რას ერჩის ხელისუფლება ივანიშვილის დაცვის ფრანგ კონსულტანტებს?

**ბიძინა ივანიშვილის უსაფრთხოების ფრანგი კონსულტანტი საქართველოში არ შემოუშვეს. ამის შესახებ 19 ივლისს „ქართული ოცნების“ პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ განაცხადა. მისი თქმით, ორი წელია, ივანიშვილი სარგებლობს ფრანგული უსაფრთხოების კომპანიის მომსახურებით, რომლის კონსულტანტები თბილისში ხშირად ჩამოდიან, მაგრამ 18 ივლისს მისი ორი წარმომადგენლიდან ერთ-ერთი — კომპანიის ტექნიკური დირექტორი საქართველოში არ შემოუშვეს.**
**ფანჯიკიძის თქმით, ეს უკვე მეორე შემთხვევაა, პირველი ორი კვირის წინ მოხდა, როცა საზღვრიდან კომპანიის მფლობელი გააბრუნეს.**



სამწუხაროდ, ფანჯიკიძემ არ დაასახელა პირველი ინციდენტის ზუსტი თარიღი და თქვა „დაახლოებით ორი კვირის წინ“. არადა, სიზუსტე ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია. საქმე ისაა, რომ 3 ივლისს საბოლოოდ გაირკვა, რომ შინაგან საქმეთა ახალი მინისტრი ბაჩო ახალაია გახდება, 4 ივლისს მიხეილ სააკაშვილმა ის სამინისტროს თანამშრომლებს წარუდგინა, ამავე დღეს პარლამენტმა მთავრობის ახალი შემადგენლობა დაამტკიცა. ცვლილება დამოკიდებულებაში ივანიშვილის კონსულტანტების მიმართ უცნაურად ემთხვევა შსს-ში ახალაიას დანიშვნას; ადრე მათ მსგავსი პრობლემები არ შექმნიათ.

ალბათ, გაცილებით იოლია ბნელ ოთახში შავი კატის მოძებნა, ვიდრე ხელისუფლების ამ ნაბიჯის მიღმა რაიმე ლოგიკის აღმოჩენა. **აშკარაა, რომ შეზღუდვებს ფრანგი კონსულტანტებისთვის არ შეიძლება მიეცეს სხვა ინტერპრეტაცია, ივანიშვილის უსაფრთხოებისთვის პრობლემების შექმნის გარდა.** ასეთი მიდგომა გაუგებარია იმ ვითარებაში, როდესაც კოალიციის წარმომადგენლები გამუდმებით საუბრობენ იმაზე, რომ ივანიშვილზე შეიძლება თავდასხმა მოხდეს (განსაკუთრებით ამ მხრივ სოზარ სუბარი და ლაშა ნაცვლიშვილი აქტიურობენ). თუ, ღმერთმა დაგვიფაროს, მსგავსი რამ მართლაც მოხდება, არა მხოლოდ ქართული, არამედ უცხოური საინფორმაციო საშუალებები ამ ისტორიას მომენტალურად გაიხსენებენ და ის დამატებით დამაჯერებლობას შესძენს ვერსიას იმის თაობაზე, რომ თავდასხმა ხელისუფლებამ მოაწყო. **პარადოქსულია, მაგრამ ხელისუფლება, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, ივანიშვილის უსაფრთხოების დასუსტებით დაინტერესებული მხარის როლს ირგებს.**

**არსებითად, საქართველოში ფრანგი კონსულტანტების არშეშვება აფერხებს მათ კომუნიკაციას თბილისში მყოფ კოლეგებთან, მაგრამ ეს ბარიერი სიმბოლურ, უმნიშვნელო ხასიათს ატარებს. ამქვეყნად ინფორმაციის გაცვლის უამრავი საშუალება არსებობს, როგორც ძველი, ისე ულტრათანამედროვე. უზარმაზარი ბიუჯეტის მქონე ამერიკული დაზვერვა ხელს ვერ უშლის ინფორმაციის მიმოქცევას თალიბებს შორის და, როგორც წესი, ამის გაკეთებას არც ცდილობს,** რადგან კომუნიკაციის არხების ფარული კონტროლი და საინფორმაციო ნაკადების მართვა გაცილებით მომგებიანია, ვიდრე მათი დაბლოკვის ამაო მცდელობა; ამ შემთხვევაში მოწინააღმდეგე დაუყოვნებლივ დაიწყებს ზრუნვას ახალი, დაცული არხების გაჭრაზე. გავითვალისწინოთ ისიც, რომ **განხილულ შემთხვევაში, თამაშში, ერთის მხრივ, მონაწილეობენ ფრანგი პროფესიონალები, ხოლო მეორე მხრივ, ისინი, ვისაც, მხოლოდ და მხოლოდ ზრდილობის გულისთვის შეიძლება „ენთუზიასტი მოყვარულები“ ვუწოდოთ.**

საქმე ძალიან უცნაურ დემონსტრაციასთან გვაქვს; ხელისუფლება თითქოს ავანსცენაზე გამოვიდა და მთელი ქვეყნის გასაგონად დაიყვირა: დიახ, მე ვუქმნი პრობლემებს ივანიშვილის უსაფრთხოებას! ეს აბსურდული სიტუაციაა. ვერ გამოვრიცხავთ, რომ მისი ანალიზისთვის აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს ფსიქიატრების კონსულტაცია დასჭირდა.

შეიძლება გაჩნდეს ეჭვი, რომ **ხელისუფლება ცდილობს, ზეწოლა მოახდინოს ფრანგებზე, რათა ივანიშვილთან ურთიერთობა გაწყვიტონ,** აგრეთვე, ირიბად მიანიშნოს „ქართული ოცნების“ ლიდერს და უცხოელ პარტნიორებს, რომ სკამების შენარჩუნებისთვის ყველაფერზე წამსვლელია. თუ მთავარი მოტივი მართლაც ესაა, ამ სცენარის ავტორებმა, ალბათ, არ იციან, რომ არ შეიძლება „შესაშინებლად“ ჯიბიდან დანის ამოღება და მისი ჰაერში ქნევა (ამ შემთხვევაში პირობითი „დანა“ სახელმწიფო მანქანის ძალისმიერი პოტენციალია); ამის გამკეთებელს (როგორც ქუჩაში, ისე პოლიტიკაში) ძალიან მძიმე ხვედრი ელის.

მართალია, მაია ფანჯიკიძემ თავი შეიკავა ფრანგული კომპანიის დასახელებისგან, მაგრამ ზოგადად, ასეთი კომპანიების არაერთი თანამშრომელი ნამყოფია ადგილებში, სადაც გამოთქმას „კაციჭამია დიქტატორი“ არა გადატანითი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით იყენებენ, და საქმე ჰქონია ძალოვანებთან, რომლებიც მოჭრილი ყურების კოლექციებით ამაყობენ. ნაკლებად სავარაუდოა, რომ სააკაშვილის ხელისუფლების მცდელობებმა — გამძინვარებული მარტორქა განასახიეროს, მათზე წარუშლელ შთაბეჭდილებას მოახდენს, მითუმეტეს, რომ ივანიშვილი (სავარაუდოდ) ისეთ ჰონორარებს უხდის, რომ შეუძლიათ თავი ლუი XIV-დ თუ არა, ჟან-ბატისტ კოლბერად მაინც იგრძნონ. ცხადია, ვინმემ შეიძლება ივარაუდოს, რომ ხელისუფლება, რომელსაც დასავლელი ელჩების მკაცრი გამოხედვაც კი პანიკაში აგდებს, აეროპორტიდან საფრანგეთის მოქალაქეების „დადეპორტების“ შემდეგ (სხვათა შორის ამ საკითხით სერიოზულად დაინტერესდა საფრანგეთის საგარეო უწყება) მთლად გაგიჟდება და ფრანგული კომპანიის თბილისში მყოფ თანამშრომლებზე თავდასხმას დაიწყებს, თუმცა საუკეთესო კომენტარი ასეთ ვარაუდზე, ალბათ, იქნება ირონიული „მას შეუძლია სცადოს...“. ზოგადად კი, ეს **ფრანგები, სავარაუდოდ, მშვენივრად აცნობიერებენ, რომ რისკი მათი კონტრაქტის შემადგენელი ნაწილია და ასე იოლად არ შეშინდებიან.**

**საინტერესოა, რას მოიმოქმედებენ ამერიკელები, თუ სააკაშვილის ხელისუფლების მესიჯს შემდეგნაირად გაშიფრავენ: „ყველაფერზე წამსვლელები ვართ, ივანიშვილის ლიკვიდაციის ჩათვლით“? ისინი, ძალიან დიდი ალბათობით, მივლენ დასკვნამდე, რომ ასეთი თავდასხმა საქართველოში 12-ბალიანი მიწისძვრის მსგავს ეფექტს გამოიწვევს. თუ ის წარუმატებელი გამოდგა, ხელისუფლების რეიტინგი „პლინტუსზე დაბლა“ დაეცემა, რადგან ქართული საზოგადოება თავდასხმას ნებისმიერ შემთხვევაში (დღეს ასეთი ფსიქოლოგიური ფონია) მას დაუკავშირებს და მმართველი პარტია არჩევნებში წარმატების მიღწევის თეორიულ შანსსაც დაკარგავს.** ხოლო ივანიშვილის ლიკვიდაციის შემთხვევაში, იმ პირობით, რომ მისი მეუღლე ოპოზიციური კოალიციის კონსოლიდაციას და წარმოუდგენლად დიდი საპროტესტო განწყობის გამოყენებას ვერ მოახერხებს, ხოლო „ნაცმოძრაობა“ გარკვეული დროით ხელისუფლებაში დარჩება, **სააკაშვილის საქართველო სომოსას ნიკარაგუას გაემსგავსება.** ეს იქნება ქვეყანა გადაულახავი უფსკრულით ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის, ტოტალური რეპრესიებით, შეიარაღებული წინააღმდეგობის აქტებით, „კეთროვანის“ როლით საერთაშორისო არენაზე, ყოვლისმომცველი დესტაბილიზაციით და საბოლოოდ საშინელი კრახით დიქტატურისთვის; **დღეს შტატებს ასეთი პარტნიორი არ სჭირდება.** ვაშინგტონი ცდილობს (ბჟეზინსკის ფორმულას თუ მოვიშველიებთ) „გლობალური პოლიტიკური გაღვიძების“ ფლაგმანის როლი მოირგოს, ისე, როგორც არასდროს, თავი ჩაგრულების მეგობრად წარმოაჩინოს და „ახალი სომოსა“, რომელიც ამ მიდგომასთან წინააღმდეგობაში შევა, მას უამრავ პრობლემას მოუტანს. აქედან გამომდინარე, თავდასხმა ივანიშვილზე ამერიკელებისთვის მეტად არასასურველი ჩანს; **სიგნალმა იმის თაობაზე, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ ივანიშვილის უსაფრთხოების სისტემას შეუტია** (თუნდაც საქართველოში კონსულტანტების არშეშვების ფორმით), **შესაძლოა, უკვე დააფიქრა ძია სემი პრევენციული ზომების გატარებაზე, რადგან მოვლენათა საბედისწერო განვითარება მისთვის მხოლოდ ნეგატიურ სცენარებს დაუკავშირდება.** საერთოდ, **დღეს ივანიშვილის ლიკვიდაცია შეიძლება მხოლოდ ძალიან სულელმა ადამიანმა დაგეგმოს, რომელსაც თუნდაც 2-3 შემდგომი სვლის გათვლის უნარი არ აქვს ან საკუთარ ფსიქიკას ვეღარ აკონტროლებს.**

ერთადერთი შესაძლებელი, ნორმალური რეაქცია საუბრებზე მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ, ხელისუფლების მხრიდან შეიძლებოდა გამხდარიყო განცხადება იმის თაობაზე, რომ უსაფრთხოება მისთვის პირველ ადგილზე დგას და ის მზადაა, განსაკუთრებით იზრუნოს ივანიშვილის დაცვაზე და დახმარება აღმოუჩინოს, მაგრამ ის სრულიად საპირისპირო მიმართულებით წავიდა და ივანიშვილის უსაფრთხოების კონსულტანტებს დაუპირისპირდა.

ალბათ, არავის არ უნდა დაიჯეროს, რომ ხელისუფლების პირველი პირები დეგრადაციის ბოლო სტადიამდე მივიდნენ და პოლიტიკური პრობლემის მოგვარებას ოპონენტის ლიკვიდაციით აპირებენ, თუმცა, თუ ჩვენ თეორიულად დავუშვებთ, რომ ზოგიერთი მათგანი მსგავს რამეს მართლაც გეგმავს, შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ ამის გაკეთება მათთვის არც ისე იოლი იქნება. **პოლიტიკური მკვლელობა ლობიოს ჭამისგან იმით განსხვავდება, რომ მას დიდი მოსამზადებელი სამუშაო სჭირდება, ხოლო მისი საიდუმლოდ შენახვა დღევანდელ პირობებში არც ისე მარტივია. ვითარება შეცვლილია, ინფორმაცია ხელისუფლების წიაღიდან არა მხოლოდ ჟონავს, არამედ ალაგ-ალაგ ღვარადაც მოედინება.** სავარაუდოდ, ძალოვანი უწყებების არაერთი თანამშრომელი სერიოზულად ფიქრობს საკუთარ მომავალზე და სააკაშვილის შემდგომი მხადაჭერის პერსპექტივაზე; ამასთანავე, **მზადებამ ჰიპოთეტური აქციისთვის შეიძლება დასავლური სპეცსამსახურების ყურადღება მიიპყროს, რომელთა პოზიციები ხელისუფლების შიგნით, სავარაუდოდ, ძალზე დამაჯერებელია. იმის ალბათობა, რომ ინფორმაცია გაჟონავს, არც ისე მცირეა.**

კვალის ნაწილობრივი დაფარვა შესაძლებელი გახდება იმ შემთხვევაში, თუ „შეთქმულები“ (პირობითად ასე ვუწოდოთ) უცხოელ შემსრულებლებს მიმართავენ. თუმცა სუპერ-პროფესიონალებზე გასვლა მათ, სავარაუდოდ, არ შეეძლებათ. მეტიც, ასეთი მცდელობის შესახებ, ძალიან დიდი ალბათობით, წამყვანი სახელმწიფოების სპეცსამსახურები შეიტყობენ. „შეთქმულების“ შესაძლებლობების მაქსიმუმი, სავარაუდოდ, ზოგიერთ ჩეჩენ საველე მეთაურზე ან ბალტიისპირელზე გასვლაა, თუმცა არ არსებობს არანაირი გარანტია, რომ ისინი შეკვეთის შესრულებას დათანხმდებიან ან ინფორმაციას მის შესახებ საიდუმლოდ შეინახავენ; რისკი ამ შემთხვევაშიც დიდია. გავითვალისწინოთ ისიც, რომ „შეთქმულებს“ შეიძლება აქტიურად დაუპირისპირდნენ ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები, რომელთაც ესმით, რომ მსგავს აქციაზე წასვლა სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი თავისთვის განაჩენის გამოტანა.

ლოგიკურად თუ მივუდგებით, **წარმატებული თავდასხმის ორგანიზების შანსი არც ისე დიდია, მითუმეტეს, რომ ივანიშვილი კარგადაა დაცული, მაგრამ ვინაიდან სააკაშვილის ხელისუფლების წარსულსა და აწმყოში საკმარისზე მეტია ლოგიკის წინააღმდეგ წასვლის, მეტიც, აშკარა სიგიჟის მაგალითი, სტრუქტურებმა, რომლებიც „ქართული ოცნების“ ლიდერის უსაფრთხოებაზე ზრუნავენ, ალბათ, მაინც განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოავლინონ. მითუმეტეს, რომ ძალიან ძნელია, წინასწარ განჭვრიტო ის, რასაც ნორმალური ადამიანი უბრალოდ არ გააკეთებს. 100%-იანი დაზღვევა შემთხვევითობისგან და შეცდომისგან ბუნებაში, უბრალოდ, არ არსებობს.**

**რაც შეეხება ხელისუფლებას, ალბათ, ურჩევნია ოპონენტის ლიკვიდაცია აზრადაც არ გაივლოს და არჩევნებს მიხედოს, რომელსაც ჯერჯერობით უიმედოდ აგებს.**

**სააკაშვილი დღესაც დარწმუნებულია, რომ არჩევნების შემდეგ „ქართული ოცნება“ მასთან მივა. თუმცა იგი არჩევნებს გულხელდაკრეფილი როდი ელის; ვიდრე ისინი „მოვლენ“, მათთან ესენი მიდიან. „ქართული ოცნების“ რეგიონული ოფისები გაივსო კუდისა და სოდის თანამშრომლების ახლო ნათესავებით, ხოლო „ოცნების“ რეგიონული კოორდინატორი, როგორც ამბობენ, „ნაციონალური“ ელიტის ერთ-ერთი წარმომადგენლის ნათელმირონია და ამ პროცესს ხელს უწყობს.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ეს კინო უკვე ნანახი გვაქვს!

**როდესაც ბიძინა ივანიშვილმა თავისი ოქტომბრის თეზისი „შუა უნდა გაიკრიფოს“ წამოაყენა, საპროტესტოდ განწყობილ ამომრჩეველში ისეთი ეიფორია იყო, რომ მისი ანალიზით თავი მაინცდამაინც არავის შეუწუხებია.**
**მერე და მერე ივანიშვილმა წუნია პატარძალივით ხან ერთ პარტიას ჰკრა ხელი, ხან მეორეს და „შუის გაკრეფას“ სოციალისტური შრომის გმირ მეჩაიესავით შეუდგა. ცოტა ხანში საზოგადოების ერთ ნაწილს გამოფხიზლება დაეტყო და ივანიშვილის კრიტიკასაც ტაბუ აეხსნა. ნახევარ წელიწადში კი „შუაგაკრეფილი“ ქართული პოლიტიკური სპექტრის შეუხედავი ფასადიც თვალნათლივ დაიხატა.**







**„შუის გაკრეფით“ ქართული პოლიტიკური სივრცე ხელოვნურად ვიწროვდება და ადგილს მხოლოდ ორ სუბიექტს უტოვებს. იმის გათვალისწინებით, რომ ორივე ეს ძალა პროამერიკული ორიენტაციისაა, ძნელი მისახვედრი არ არის, ვის აძლევს ხელს ეს ხელოვნური კონფიგურაცია**




ნელ-ნელა დაიწყო იმის ანალიზი, რომ სიტუაცია საეჭვოდ ემსგავსება 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდს, როცა ერთმანეთს ედუარდ შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირი“ და ასლან აბაშიძის „აღორძინება“ დაუპირისპირდნენ. **შევარდნაძე ქართველ ხალხს აფრთხილებდა, რომ „მოდის შავბნელი ძალა“, რომელიც საქართველოს საბჭოთა წარსულისკენ დააბრუნებს და ხელს შეუწყობს სეპარატიზმისა და კუთხურობის გაღრმავებას ქვეყანაში. შევარდნაძეს არც აბაშიძე ჩამორჩებოდა მწვავე გამოსვლებით. ორივე ძალამ შექმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ მათ გარდა სხვა აღარავინ გავიდოდა პარლამენტში (არადა, „მრეწველებს“ მაშინ კარგი გუნდი ჰყავდათ, ერთ ბლოკში იყვნენ „ედპ“ და რესპუბლიკელები – მესამე გზა).**

ბლოგერი ვაჟა შუბითიძე დაწვრილებით აღწერს ამ „დაპირისპირებას“: **„გაყალბებული არჩევნების შემდეგ „მოქალაქეთა კავშირი“ და „აღორძინება“ ისე დაუტკბა ერთმანეთს, ისე გადაინაწილეს თანამდებობები, რომ ძველი დაპირისპირება მირაჟივით გაქრა და „ვარდების რევოლუციამდე“ ორივე ძალა ერთად იყო. ვშიშობ, 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ იგივე არ განმეორდეს საქართველოში — „ნაციონალები“ და „ქართული ოცნების“ კოალიციის ზოგიერთი წევრი არ ჩაეხუტონ ერთმანეთს. ივანიშვილმა ეს არანაირად არ უნდა დაუშვას“.**

როგორ არ უნდა დაუშვას, როცა მის გუნდში სწორედ ის პოლიტიკოსები არიან, რომლებიც „ვარდების რევოლუციად“ მონათლულ სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილეობით დღესაც ამაყობენ და, **სააკაშვილს თუ რამეს უწუნებენ, ეს ანტიქართული რეფორმების „არასაკმარისი შესრულებაა“! ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების გაგზავნას ისინიც აპირებენ, ხოლო „რელიგიური გაერთიანებების შესახებ“ მიღებულ კანონს დემოკრატიულ მიღწევად აფასებენ!**

იმავე 1999 წლის 11 ოქტომბერს გაზეთი „მერიდიანი“ წერდა:

„31 ოქტომბრის არჩევნებამდე ორი კვირით ადრე ორი (ორად-ორი) ფავორიტის ვინაობა საყოველთაოდ ცნობილია: ერთი მხრივ, „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“, მეორე მხრივ — საარჩევნო ბლოკი „საქართველოს აღორძინება“. დამოუკიდებელი მასმედია, ყოველგვარი წინასწარი ავი განზრახვის გარეშე, რეიტინგებსა და დისკუსიებში სხვებსაც მოიხსენიებს, მაგრამ როგორც „სხვა პარტიებს“, ანუ ერთად აქუჩებს „მემარცხენეებსაც“, „მემარჯვენეებსაც“, „მრეწველებსაც“, „ეროვნულ-დემოკრატებსაც“, კომუნისტებსაც და ა. შ. ამგვარი ვითარება კი, ალბათ, იმას გამოიწვევს, რომ 31 ოქტომბერს უკვე არა მხოლოდ რაიონებში, სადაც ჯერ კიდევ პოლარიზებულად (შავი-თეთრი) და პერსონიფიცირებულად (შევარდნაძე-აბაშიძე) აზროვნებენ, არამედ თბილისშიც კი (დედაქალაქში თითქოს უფრო განვითარდა პოლიტიკური გემოვნება) ელექტორატი არჩევანს სწორედ „მოქალაქეებსა“ და „აღორძინებას“ შორის გააკეთებს“.

ეს ამონარიდები თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ სურათი დღესაც ასეთი იქმნება: **„შუის გაკრეფით“ ქართული პოლიტიკური სივრცე ხელოვნურად ვიწროვდება და ადგილს მხოლოდ ორ სუბიექტს უტოვებს. იმის გათვალისწინებით, რომ ორივე ეს ძალა პროამერიკული ორიენტაციისაა, ძნელი მისახვედრი არ არის, ვის აძლევს ხელს ეს ხელოვნური კონფიგურაცია.**

რევოლუციამდე ერთი წლით ადრე „მოქალაქეთა კავშირისა“ და „აღორძინების“ ერთობაზე უკვე იმდენი ვარაუდი გამოითქვა, რომ თვით ქართული მედიის „დედამ“ — ია ანთაძემაც ედუარდ შევარდნაძესა და ასლან აბაშიძეს შორის ფარული კავშირისა და თანამშრომლობის შესახებ დაიწყო წერა. მან იმასაც მიაქცია ყურადღება, რომ **2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ასლან აბაშიძემ აჭარის მოსახლეობის ხმები არა საკუთარი ბლოკის წევრს – ჯუმბერ პატიაშვილს, არამედ სწორედ ედუარდ შევარდნაძეს დაუთმო.**

ია ანთაძე საგანგებოდ უსვამს ხაზს: **„ქართულ პოლიტიკურ ინტერიერში შევარდნაძე-აბაშიძის ურთიერთობას საგანგებო სივრცე ეთმობა, მაგრამ ეს სივრცე შეუვალია ქართული პოლიტიკის სხვა პერსონაჟებისთვის. სამაგიეროდ, ისინი აჭარის ლიდერთან ურთიერთობას საკუთარი ინტერესების შესაბამისად აგებენ და მასთან დაკავშირებით საკუთარი გეგმებიც აქვთ“,** მაგრამ, მიუხედავად ამისა, სრულიად საპირისპირო დასკვნას აკეთებს: **„პრესის ვერსია „მოქალაქეთა კავშირისა“ და „აღორძინების კავშირის“ სავარაუდო დაახლოების შესახებ უსაფუძვლოდ გამოიყურება. მართალია, შევარდნაძის ძალაუფლება განაპირობებს აბაშიძის ძალაუფლებას, მაგრამ ორი სახელისუფლო პარტიის ერთ ბანაკად გაერთიანება მოსალოდნელი არ არის. ცალკეული გადაწყვეტილებების მისაღებად კი ასლან აბაშიძე ნებისმიერ საპარლამენტო ძალასთან ითანამშრომლებს“.**

დღეს ივანიშვილიც და მისი თანაგუნდელებიც მუდმივად გამოხატავენ „ნებისმიერ საპარლამენტო ძალასთან თანამშრომლობის“ მზადყოფნას. ისინი ყოველთვის მორიგდებიან, მითუფრო, რომ კარჩაკეტილი ცხოვრების გამო ივანიშვილი ბევრი პოლიტიკური სუბიექტის არც წარსულს იცნობს და არც წინააღმდეგობებს, რომელთაც ისინი გადაახტნენ. აი, მაგალითად, 2002 წლის 23 ივლისის ჯერ კიდევ ტრადიციონალისტის, სულ ერთ წელიწადში კი „ნაციონალების“ სახელ ქცეული მაია ნადირაძის ინტერვიუ, რომელშიც იგი „აღორძინებისა“ და „მოქალაქეთა კავშირის“ ალიანსზე მიანიშნებდა:

„მე ვთვლი, ვითომ ოპოზიციონერები არიან **(გულისხმობს „აღორძინებას“ — თ.დ.).** ჯერ როცა ხელისუფლებას აკრიტიკებენ და შემდეგ მის მხარდამჭერებად გამოდიან, ეს უკვე ოპოზიციონერობა აღარ არის. ასეთი საქციელი კი იმით არის განპირობებული, რომ დღემდე ქართული პოლიტიკა ჯიბრზეა დამყარებული: მთავარია, ის გააკეთო, რაც შენს მოწინააღმდეგეს არ სურს...

**— თუმცა არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ აბაშიძის მხარე ამ შემთხვევაში გარიგებაზე წავიდა და ბიუჯეტისთვის ხმის მიცემით მომავლის საქმე გააკეთა.**

— რაც არ ვიცი, იმას ვერ ვიტყვი, მაგრამ, თუკი ბიუჯეტს გადავხედავთ, მათ სასარგებლოდ რაღაც თანხები გამოიყო“.

**„რაღაც თანხებზე“ ლაპარაკი დღესაც დაიწყო. ჯერ იყო და ჯარიმის 10 მილიონი ივანიშვილმა სტიქიით დაზარალებულთა დახმარებით „გააპრავა“. მერე დაამატა, მთელ ზარალს ავანაზღაურებო. არადა, ხელისუფლების გათვლით, ზარალის ანაზღაურებას 160-ზე მეტი მილიონი სჭირდება. დაახლოებით ამდენივე აქვს ჯარიმის სახით გადასახდელი ივანიშვილს! რა არის ეს, თუ არა „ნაციონალური“ ხელისუფლების ირიბი დაფინანსება?** ისეთ წვრილმანზე, როგორიც არის მელაძეების ოჯახისთვის ჩამორთმეული და თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ ივანიშვილისთვის „დიდსულოვნად“ დაბრუნებული მიწის ნაკვეთი, ნუ შევჩერდებით.

როცა ლაპარაკი ასეულობით მილიონზეა, იქ წვრილმანებზე არ ხურდავდებიან. ლეიბორისტული პარტია პარლამენტის ქუთაისში გადატანას აპროტესტებს და აცხადებს, რომ თბილისში არსებული პარლამენტის შენობა ხელისუფლებამ ბიძინა ივანიშვილის ბიზნესპარტნიორ ელგუჯა (ბუბა) ქებურიას იმაზე ნაკლებ ფასად მიჰყიდა, ვიდრე სინამდვილეში ღირს.

ორიოდე დღის წინ პარტიის გენერალურმა მდივანმა იოსებ შატბერაშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ელგუჯა ქებურიასთვის პარლამენტის შენობის 30 მილიონ ლარად მიყიდვა ადასტურებს სააკაშვილსა და ივანიშვილს შორის არსებულ გარიგებას:

**„ელგუჯა ქებურია გახლავთ კრიმინალ ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილის ბიზნეს-პარტნიორი. ისინი ერთად მოღვაწეობდნენ რუსეთში, შემდეგ საფრანგეთში აგრძელებდნენ ბიზნესურთიერთობას. სააკაშვილმა პარლამენტის შენობა პრაქტიკულად კი არ მიჰყიდა, აჩუქა. პარლამენტის შენობა შეფასებულია 1 მილიარდ ლარად. მე თუ მკითხავთ, მილიარდზე მეტი ღირს და თან ისტორიული შენობა არის. ეს შენობა 30 მილიონ ლარად ხელში ჩაუგდო ვინმე ქებურიას. რატომ გახდა პრეზიდენტი ასეთი გულუხვი და გულჩვილი, რომ ასეთი ძვირფასი შენობა აჩუქა ისედაც მდიდარ ადამიანს?!“** — იკითხა შატბერაშვილმა და დასძინა, რომ **მილიარდერი სააკაშვილი დღეს ებრძვის მილიარდერ ივანიშვილს, მაგრამ თან ჩუმჩუმად მათ შორის გარიგება მიმდინარეობს.**

რაკი წარსული გავიხსენეთ, 1999 წლის 17 სექტემბერს გამოქვეყნებული **მიხეილ სააკაშვილის ინტერვიუც ვნახოთ.** „რეზონანსის“ შეკითხვებს „მოქალაქეთა კავშირის“ იმჟამინდელი სახე უპასუხებს:

„როგორც კი ბათუმური ბლოკი „საქართველოს აღორძინება“ უმცირესობაში აღმოჩნდება, ის დაიშლება.

**— რატომ ფიქრობთ ასე?**

— იმიტომ, რომ ბლოკში განსხვავებული ორიენტაციის პარტიები არიან გაერთიანებულნი. გარდა ამისა, პრობლემები შეიქმნება სიის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით. ზოგიერთი გავლენიანი პიროვნება სიაში, შესაძლოა, არც აღმოჩნდეს.

**— „მოქალაქეთა კავშირისა“ და პრეზიდენტის მხრიდან არ შეინიშნება მოძრაობები, რომ „ხელი შეეწყოს“ ბათუმური ბლოკის დაშლას?**

— მოძრაობები არ არის, მაგრამ არჩევნების შემდეგ ისინი ჩვენთან აუცილებლად მოვლენ“.

**არჩევნების შემდეგ კოალიცია „ქართული ოცნების“ დაშლის თაობაზე უკვე ალაპარაკდნენ, ხოლო, თუ ვინმე ფიქრობს, რომ ეს „ის მიშა აღარ არის“, მწარედ ცდება. სააკაშვილი დღესაც დარწმუნებულია, რომ არჩევნების შემდეგ დღევანდელი „აღორძინება“ („ქართული ოცნების“ სახით) მასთან მივა. თუმცა იგი არჩევნებს გულხელდაკრეფილი როდი ელის; ვიდრე ისინი „მოვლენ“, მათთან ესენი მიდიან. „ქართული ოცნების“ რეგიონული ოფისები გაივსო კუდისა და სოდის თანამშრომლების ახლო ნათესავებით, ხოლო „ოცნების“ რეგიონული კოორდინატორი, როგორც ამბობენ, „ნაციონალური“ ელიტის ერთ-ერთი წარმომადგენლის ნათელმირონია და ამ პროცესს ხელს უწყობს.** სახელიც ვიცით, გვარიც, მაგრამ, ჩვენი წყაროს უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ყველა დეტალის გახმაურებაზე ამ ეტაპზე თავს ვიკავებთ.

**ვიდრე ბიძინა ივანიშვილს ან ჰგონია, ან თავს იკატუნებს, რომ „ნაციონალთა“ მხარდამჭერებს „ავერბოვკებს“, „ნაციონალები“ მის საარჩევნო შტაბებში საკუთარ ხალხს ნერგავენ და არჩევნების შედეგების კონტროლს ამთავითვე ცდილობენ.** ყოველი გაურკვეველი საკადრო ცვლილება „ოცნების“ ცენტრალური შტაბიდან, ერთი შეხედვით, აბსურდულ განმარტებას იღებს: **„ვიცით, რომ ეს** (თუ ის) **„ნაციონალების“ კაცია, მაგრამ ასეთი ტაქტიკა გვაქვს“!**

ორი პოლიტიკური სუბიექტის ამარა დარჩენილი ქართული საარჩევნო მარათონი საპროტესტო ელექტორატს ვერაფერს შეუცვლის, მისი „საიდუმლო ტაქტიკა“ კი თეთრი ძაფით არის ნაკერი. ეს ტაქტიკა იმდენად ნაცნობია, რომ ხანდახან სურვილი გიჩნდება, ხმამაღლა თქვა: **ეს კინო უკვე ნანახი გვაქვს!**

**თამარ დავითულიანი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## პოლიტიკა

**ხელისუფლებამ სცადა, სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია საკუთარი კამპანიის ნაწილად გადაექცია რეგიონში, სადაც მისი პოზიციები არც ისე მყარი იყო, თუმცა ივანიშვილმა ინიციატივა წაართვა და მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო.**

# მოვიდა ვანო და დახვდა სეტყვა



**მინისტრი ხაჩიძე მთვრალი ბომჟის მოწადინებით იქნევდა ხელებს და ცდილობდა, მისულიყო ადგილამდე, სადაც ბიძინა ივანიშვილი ლაგოდეხის მოსახლეობას ხვდებოდა. მინისტრი ყვიროდა რაღაც გაუგებარსა და ალოგიკურს; აშკარა სიძულვილი მის სახეს ისე ამახინჯებდა, რომ რაღაც მომენტში ის დაემსგავსა ბოსხის ყველა პერსონაჟს, ერთად აღებულს. აღელვებულ ხაჩიძეს, შესაძლოა, აღარც ახსოვდა, რომ ის ხელისუფლების წარმომადგენელი იყო და სტიქიისგან დაზარალებული, გამწარებული ხალხის გარემოცვაში იმყოფებოდა. სავარაუდოდ, ის წამითაც არ დაფიქრებულა იმაზე, რომ ამ ეპიზოდში სააკაშვილის ხელისუფლებას განასახიერებდა, დაბნეულსა და თვალებამღვრეულს, რომელიც კარგავს კონტროლს ქვეყანასა და საკუთარ თავზე და წარმოუდგენლად ძლიერ, პირველყოფილ სიძულვილს გრძობს იმ ადამიანის მიმართ, რომელიც ამის მიზეზი გახდა.**

**ხელისუფლების მხრიდან ამ ფულზე უარის თქმა კახელების უკიდურეს გაღიზიანებას გამოიწვევს. გამოვა, რომ მთავრობა, რომელიც რეალურად ვერ ეხმარება ხალხს (კომპენსაციები ზარალთან შედარებით მართლაც რომ მიზერულია), ამის შესაძლებლობას სხვასაც არ აძლევს**

### სეტყვა, ღვინო და შხამი

**საერთოდ, მინისტრი ხაჩიძე და მისი სანათესაო რაღაცით დაემსგავსა ადამსების ინფერნალურ ოჯახს ცნობილი ამერიკული სერიალიდან, კვირა არ გავა ისე, რომ თავისი სკანდალური ქცევით საზოგადოების ყურადღება არ მიიზიდონ. ნათესავებმა თავი შიდა ქართლში გამოიჩინეს, სადაც შეეცადნენ „ქართული ოცნების" შეხვედრები ჩაეშალათ, გოგა ხაჩიძემ კი კახეთში მოაწყო ის, რასაც პოლიტიკაში, როგორც წესი, პროვოკაციას, ყოველდღიურ ცხოვრებაში კი, უბრალოდ, ისტერიკას უწოდებენ.** ერთი მეორეს არ გამორიცხავს: პროვოკატორის ცივ გათვლას შეიძლება თან ერთვოდეს სავსებით გულწრფელი, სულის სიღრმიდან ამომავალი ისტერიულობა.

მოქმედების ალგორითმი ორივე შემთხვევაში იდენტური ჩანდა: მიიყვანო ოპონენტი დუღილის სტადიამდე და თავი აცემინო, რაც პოლიციას მისი დაკავების საბაბს მისცემს. თუმცა იმ სიტუაციებში, რომლებშიც რიგითი ზონდერები პრიმიტიულად იგინებიან და ქვებს ისვრიან, მინისტრ ხაჩიძის ოჯახმა ისეთი უბადლო არტისტიზმი გამოავლინა, „ოსკარი" თუ არა, ოქროს პალმის რტო მაინც უნდა გადავცეთ. სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც სააკაშვილი ხელისუფლებიდან წავა (ისე, გოგა ხაჩიძე თანამდებობიდან შეიძლება უფრო ადრე გაუშვან, თუმცა მან ამის შესახებ ჯერ არაფერი იცის) მინისტრის ოჯახს შეუძლია საკუთარი ძალებით „ადამსების" მსგავსი სერიალი გადაიღოს; აუდიტორიის ინტერესი, რეკლამა და მაღალი შემოსავლები გარანტირებულია. ასე უფრო ჰუმანური იქნება: გოგა ხაჩიძე დაისვენებს გარემოსგან, ხოლო გარემო — გოგა ხაჩიძისგან.

ალბათ, ოდესმე მოვა დრო, როდესაც სტიქიით დაზარალებულებს ყველანი ერთად დავეხმარებით, ისე, რომ პოლიტიკას საერთოდ არ ვახსენებთ. მაგრამ რაკი ეს „სათნოების ერა" ჯერ არ დამდგარა, კახეთში განვითარებულ მოვლენებზე საუბრისას წინასაარჩევნო კონტექსტს გვერდს ვერ ავუვლით. **ხელისუფლებამ სცადა, სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია საკუთარი კამპანიის ნაწილად გადაექცია რეგიონში, სადაც მისი პოზიციები არც ისე მყარი იყო, თუმცა ივანიშვილმა ინიციატივა წაართვა და მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო.** მინისტრ ხაჩიძის გაღიზიანება, სავარაუდოდ, სწორედ აქედან მოდიოდა. იმ მომენტში, როდესაც მან ლაგოდეხში მოაწყო სკანდალი, სასოწარკვეთილი დიასახლისის სტილში, მისი პარტია გამოიყურებოდა ისე, თითქოს ის ჯერ მუჰამედ ალიმ გალახა, ხოლო შემდეგ მაიკ ტაისონი დაედევნა.

თავიდან ყველაფერი ჩვეულებრივ მიდიოდა: სააკაშვილი თანმხლებ პირებთან ერთად დამწუხრებული სახით დადიოდა სტიქიისგან დაზარალებული დასახლებების ქუჩებში, გოროზად გრუხუნებდა სპეცტექნიკა და პროპაგანდისტული მანქანა ერთი მეორის მიყოლებით უშვებდა ეთერში სიუჟეტებს, რომელთა მოკლე შინაარსი შემდეგი იყო: „პრეზიდენტმა ხუთი ათასი კაცი დააპურა", „პრეზიდენტმა წყალზე გაიარა". ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ **პირველი კატეგორიის დაზარალებულები მიიღებენ 1300-1500 ლარს, მეორე კატეგორიისა — 800-900 ლარს, მესამე კი — 300-500 ლარს, შეკეთდება სახლები, ხოლო სტიქიისგან დაზარალებული მოსახლეობის კრედიტების პროცენტს ერთი წლის განმავლობაში მთავრობა გადაიხდის.** აგრეთვე, გაირკვა, რომ კახელებს ღვინოს (!) და შხამს (უკაცრავად, შხამქიმიკატებს) დაურიგებენ და ამან ზოგიერთ კომენტატორს „ჰამლეტის" ფინალური სცენა გაახსენა. მთავრობის წარმომადგენლები ხაზს უსვამდნენ იმას, რომ გააკეთებენ ყველაფერს, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის შესაძლებლობები შეზღუდულია.

**თავისუფალი ფულის მოძებნა მართლაც რთულია, როდესაც უზარმაზარი თანხები დაიხარჯა საკუთარი თავისთვის გამოწერილ პრემიებზე, მოგზაურობებზე, კონცერტებზე, პლასიდო დომინგოებსა და ტოტო კუტუნიოებზე, მასაჟისტ გოგონებზე, ცოფიანი ზონდერების გამოკვებაზე, გახსნიდან ერთ კვირაში დანგრეულ ხიდებზე და თვითმავალ მაკეტებზე, რომელთაც რატომღაც ქართული ინდუსტრიის ტრიუმფს უწოდებენ. რომ არა ეს დაუცხრომელი ფლანგვა, იმპროვიზაციები ღვინის, შხამისა და აშკარად არასაკმარისი კომპენსაციების გამოყენებით საჭირო არ გახდებოდა.**

„ნაციონალური მოძრაობა", ალბათ, მაინც მოახერხებდა „კახური ეპიზოდი" წინასაარჩევნოდ აქტივში ჩაეწერა, თუმცა ბიძინა ივანიშვილმა, მცირე პაუზის შემდეგ, რომლის დროს ხელისუფლებამ დააფიქსირა, თუ რის გაკეთებას აპირებს, გააკეთა სვლა, რომელმაც მოწინააღმდეგე მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო.

### სპილოსა და ქარიბდას შორის

ციტატა „ქართული ოცნების" ლიდერის განცხადებიდან: **„პრეზიდენტი და მთავრობა, რომლებმაც უაზროდ გაფლანგეს ამგვარი ვითარებისთვის შექმნილი 100-მილიონიანი სარეზერვო ფონდები, გეგმავენ მიყენებული ზარალის მხოლოდ ნაწილობრივ კომპენსაციას და სრულად დაკარგული მოსავლისათვის მაქსიმუმ 1500 ლარის გამოყოფას. ეს მაშინ, როდესაც ყოველი ოჯახისთვის სტიქიით მიყენებული ზარალი ხშირ შემთხვევაში რამდენიმეჯერ აღემატება ამ თანხას. ყველასთვის კარგად ცნობილი გარემოებების გამო, მე არ მაქვს შესაძლებლობა, პირადად დავეხმარო სტიქიური უბედურებით დაზარალებულ ათასობით ადამიანს — ხელისუფლება მედიკამენტების მიწოდებასაც კი ამომრჩევლის მოსყიდვად ჩამითვლის. ამასთანავე, ხელისუფლებამ მე სრულიად უკანონოდ დამაკისრა ათეულობით მილიონი ლარის გადახდა ბიუჯეტის სასარგებლოდ და ასევე უკანონო გზებით ცდილობს სხვისი ქონების ხარჯზე ამ თანხების ამოღებას. შექმნილ ვითარებაში მე მივიღე გადაწყვეტილება და ამ ეტაპზე 10 მილიონ ლარს ვრიცხავ სასამართლოს მიერ მითითებულ საბიუჯეტო ანგარიშზე. სტიქიით მიყენებული ზარალის სრულად დათვლის შემდეგ სახელმწიფო ბიუჯეტში ამავე მექანიზმის გამოყენებით გადავრიცხავ იმდენ თანხას, რამდენიც საჭირო გახდება. შედეგად, მთავრობას უჩნდება ბიუჯეტით დაუგეგმავი დამატებითი სახსრები, რომლითაც მას შეუძლია ყოველ ოჯახს სრულად აუნაზღაუროს მიყენებული ზარალი".**

ჩვენ არ ვცხოვრობთ ნორმალურ ქვეყანაში, სადაც ასეთ ვითარებაში პრემიერ-მინისტრი მილიარდერს ეტყოდა: **„პოლიტიკური კამათი დროებით გვერდზე გადავდოთ და ერთად დავგეგმოთ, თუ როგორ დავეხმაროთ დაზარალებულებს".** არადა, ეს შექმნილი მდგომარეობიდან ყველაზე კონსტრუქციული და გონივრული გამოსავალია. მერაბიშვილს მსგავსი იდეა რომ გაეჟღერებია, სააკაშვილი ახალ პრემიერ-მინისტრს (გამორიცხული ნამდვილად არაა) საფერფლეს ან კიდევ, სპილოს იმ ფრიად მძიმე ქანდაკებას ესროდა, რომელიც კაბინეტში აქვს. ისე, ჯერ კიდევ ჰორაციუსმა თქვა: „dulce et decorum est pro patria mori", ტკბილი და მშვენიერია მამულისთვის სიკვდილი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ თბილისის შუაგულში სპილო გაგსრისავს. თუმცა დროებით თავი დავანებოთ სპილოთი გასრესილი ვანო მერაბიშვილის წარმოდგენას, რათა აღვნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში საუბარი არა კეთილგონიერებაზე, არამედ ფსიქოლიოგიური კომლექსებით დამძიმებულ ცინიკურ წინასაარჩევნო გათვლებზე მოგვიწევს.

**ხელისუფლების მხრიდან ამ ფულზე უარის თქმა კახელების უკიდურეს გაღიზიანებას გამოიწვევს. გამოვა რომ მთავრობა, რომელიც რეალურად ვერ ეხმარება ხალხს (კომპენსაციები ზარალთან შედარებით მართლაც რომ მიზერულია), ამის შესაძლებლობას სხვასაც არ აძლევს.** ამასთანავე, ხელისუფლებას არ შეუძლია მელოდრამატული ჟესტით ფული ივანიშვილს დაუბრუნოს, რადგან, ფორმალური თვალსაზრისით, ეს გადარიცხვა ჯარიმას უკავშირდება. **იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა ამ ფულს აიღებს და სტიქიის შედეგების ლიკვიდაციას მოახმარს, ჩატარებული სამუშაო არა მის, არამედ ივანიშვილის აქტივში ჩაიწერება. ამ შემთხვევაში, ხელისუფლება, უბრალოდ,** ▶

**რაც უფრო მეტ ფულს ჩარიცხავს ივანიშვილი ბიუჯეტში, მით უფრო ბევრი ადამიანი იტყვის, რომ ამა თუ იმ პროექტს ხელისუფლება ივანიშვილის ფულით ახორციელებს**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ოპოზიციამ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იმისკენ, რომ წინასაარჩევნოდ დაუნდობელი კონტროლიორის იმიჯი მოირგოს, რომელიც ხელისუფლებას თითოეულ კაპიკზე პასუხს მოსთხოვს. ეს კი სტრატეგიული ხასიათის გარღვევაა.





## იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა ამ ფულს აიღებს და სტიქიის შედეგების ლიკვიდაციას მოახმარს, ჩატარებული სამუშაო არა მის, არამედ ივანიშვილის აქტივში ჩაიწერება. ამ შემთხვევაში, ხელისუფლება, უბრალოდ, შუამავლად, ერთგვარ კონტრაქტორ ფირმად მოგვევლინება

◀ **შუამავლად, ერთგვარ კონტრაქტორ ფირმად მოგვევლინება**. შეიძლება ითქვას, რომ ივანიშვილის ნაბიჯმა კახეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი საზოგადოებრივი მონიტორინგის სამსახურად გადააქცია, რომელიც საუბარს მთავრობასთან მალე, მისალმების ნაცვლად, შემდეგი კითხვით დაიწყებს: **„სადაა ჩვენი ფული?“.** სავარაუდოდ, ამ განწყობის გაღვივებას ემსახურებოდა ივანიშვილის მიერ კახეთში გაკეთებული განცხადებაც: **„10 მილიონი ჩავრიცხე ბიუჯეტში, მარტო გაბედონ და არ გაგიკეთონ!“**

ცხადია, ეს შექმნილი სიტუაციის სქემატური აღწერაა; არსებობს მთელი რიგი ნიუანსებისა, რომელიც დაკვირვებას საჭიროებს. ივანიშვილის განცხადების შემდეგ, სააკაშვილმა დაუყოვნებლივ თქვა, რომ ზარალი ას მილიონ ლარს აღემატება. არადა, ადრე ხელისუფლების წარმოადგენლები შედარებით მოკრძალებულ ციფრებს ასახელებდნენ. **გამორიცხული არაა, რომ დიდი ფულის სუნმა სააკაშვილი ისე აღაგზნო, რომ, შესაძლოა, არც კი დაფიქრებულა იმაზე, რომ ასეთმა რეაქციამ ოპონენტის განცხადებაზე „სახე დააკარგვინა“.**

საქმეში ჩახედული ექსპერტების შეფასებით, წინასაარჩევნოდ სააკაშვილის ჯგუფს სერიოზული ფინანსური პრობლემები ექმნება და ყბადაღებულ „შავ სალაროში“ კონცენტრირებული ფული ულევი სულაც არ არის, რამდენიმე ათეულ მილიონსაც კი მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. უცაბედად გაჩნდა თავისუფალი თანხა, რომელიც, იდეაში, შეიძლება გაიზარდოს, თუმცა მისი (უფრო სწორად, მისი ნაწილის) განკარგვა საკუთარი სურვილისამებრ ასე უბრალოდ არ გამოვა, ამისთვის მთელი რიგი მანიპულაციების ჩატარება გახდება საჭირო. ეს არც ისე მარტივია, როდესაც უამრავი ადამიანი დაჟინებით გაკვირდება და გამუდმებით კითხულობს: **„სადაა ფული, რომელიც ბიძინამ ჩვენთვის გადმორიცხა?“**

### თქვენ გინდათ ჩემი ფული?!

იყო ასეთი რეპლიკა „უძინართა მზეში“ და მას საინტერესო თემატური გაგრძელება ჰქონდა. თუმცა ეს ისე, სხვათა შორის; **ფაქტია, რომ დღეს ხელისუფლება იძულებულია, კახელებს გაცილებით უფრო მასშტაბური დახმარება აღმოუჩინოს, ვიდრე თავიდან აპირებდა. ეს კარგია, არა მხოლოდ იმის გამო, რომ დაზარალებულები თავს უკეთ იგრძნობენ, არამედ იმიტომ, რომ კახეთში დახარჯული ფული ზონდერბრიგადების ფორმირებასა და ათას სხვა საზიზღრობაზე არ დაიხარჯება.** ყველაზე საინტერესო კი ამ სიტუაციაში საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ასპექტია; ერთობ პარადოქსულია, მაგრამ ხელისუფლებამ, რაც უნდა მოიმოქმედოს, ვერასოდეს მოახერხებს ბოლომდე დაარწმუნოს მოსახლეობა იმაში, რომ საქმეს დამოუკიდებლად, ივანიშვილის დახმარების გარეშე აკეთებს, ან იმაში, რომ ამ დახმარების ნაწილს არ უმალავს, თუნდაც საქმიანობა კახეთში იდეალურად გამჭირვალე გახადოს. ამასთანავე, **რაც უფრო მეტ ფულს ჩარიცხავს ივანიშვილი ბიუჯეტში, მით უფრო ბევრი ადამიანი იტყვის, რომ ამა თუ იმ პროექტს ხელისუფლება ივანიშვილის ფულით ახორციელებს;** ეს არა მხოლოდ კახეთს, არამედ სხვა რეგიონებსაც ეხება. პლუს ამას, ნებისმიერი ორაზროვანი ხარჯები მომენტალურად ეჭვის ქვეშ დადგება: ხომ არ გვაქვს საქმე დაზარალებულებისთვის გამოყოფილი თანხის გაფლანგვასთან ან მიტაცებასთან? და ბოლოს, **ოპოზიციამ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იმისკენ, რომ წინასაარჩევნოდ დაუნდობელი კონტროლიორის იმიჯი მოირგოს, რომელიც ხელისუფლებას თითოეულ კაპიკზე პასუხს მოსთხოვოს. ეს კი სტრატეგიული ხასიათის გარღვევაა.**

ცხადია, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ამ რამდენიმე დღეში ხელისუფლების წინასაარჩევნო პოზიციები კახეთში აბსოლუტურად უიმედო გახდა, ბევრი რამის გადათამაშება მას ჯერ კიდევ შეუძლია, თუმცა მან ძალიან ძლიერი დარტყმა „გაატარა“ და (კრივს თავი რომ დავანებოთ), იმ საკალათბურთო გუნდს დაემსგავსა, რომელსაც თამაშის დასაწყისშივე ათი უპასუხო სამქულიანი ჩაუგდეს. ალბათ, სწორედ აქედან მოდის მინისტრ ხაჩიძის ის ქაოტური რეაქცია ივანიშვილის გამოჩენაზე, რომლის დაკვირვებაში მსოფლიოს წამყვანმა ფსიქიატრებმა და ნევროპათოლოგებმა შეიძლება ფულიც კი გადაგვიხადონ. თუმცა ნულარ შევეხებით ხაჩიძეს და მის კოლეგებს, მათ თავიანთი გასაჭირი ეყოფათ; **პრობლემა, რომელზეც დღეს ვსაუბრობთ, გაცილებით სერიოზულია და წინასაარჩევნო ვნებათაღელვის ფარგლებს სცილდება.**

უკვე მერამდენედ, სტიქიამ მთელი ქვეყანა შოკში ჩააგდო და უამრავი ოჯახი სრული გაღატაკების ზღვარზე დააყენა. ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ კახეთში (და სხვა რეგიონებში) სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარების განთავსებაზე (სხვათა შორის, ამ მიმართულებას დიდი ყურადღება მეზობელ სომხეთში ექცევა), აგრეთვე, დამცავი ბადეების გამოყენებაზე, იმაზე, რომ საჭიროა მოსავლისა და უძრავი ქონების დაზღვევა, თუმცა დიალოგი ამ თემებზე უკიდურესად გაჭირვებულ გლეხთან დღეს არ გამოგვივა. მას არ შეუძლია ამ დამცავი სისტემის შექმნაში სრულად ან თუნდაც ნაწილობრივ ჩაერთოს.

ეს ისეთი სიტუაციაა, როდესაც პირველი ბიძგი მთავრობის მხრიდან უნდა წამოვიდეს. მან, ერთის მხრივ, უნდა შექმნას წინაპირობები იმისთვის, რომ სოფელი ფეხზე დადგეს, ხოლო მეორე მხრივ, ხელი შეუწყოს დამცავი სისტემის ფორმირებას, გამოიხატება ეს სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარების შეძენაში ან სულაც მათი წარმოების ხელშეწყობაში (რატომაც არა?!), თუ მოსავლის დაზღვევისთვის შეღავათიანი პირობების შექმნაში. ძალიან ძნელია ამ თემებზე მსჯელობა იმ წლების შემდეგ, როდესაც ხელისუფლება ექცეოდა ქართველ გლეხებს, როგორც კლასობრივ მტრებს, მაგრამ ის ადრე თუ გვიან უნდა დაიწყოს, მაგრამ **სასურველი შედეგის მიღწევისთვის საზოგადოებას ადეკვატური თანამოსაუბრე და პარტნიორი სჭირდება — ხელისუფლება, რომელსაც აღვიქვამთ, როგორც გონიერ მეურნეს და არა — გზააბნეულ იდიოტს.**

**დიმიტრი მონიავა**

## დღეს ხელისუფლება იძულებულია, კახელებს გაცილებით უფრო მასშტაბური დახმარება აღმოუჩინოს, ვიდრე თავიდან აპირებდა. ეს კარგია, არა მხოლოდ იმის გამო, რომ დაზარალებულები თავს უკეთ იგრძნობენ, არამედ იმიტომ, რომ კახეთში დახარჯული ფული ზონდერბრიგადების ფორმირებასა და ათას სხვა საზიზღრობაზე არ დაიხარჯება

### ბესიკ ფიფია:

# მე რა მექნა?!

**5 ივლისს რუსეთის საინფორმაციო სააგენტო „რია ნოვოსტის“ თბილისის პრესცენტრში გამართულმა „მრგვალმა მაგიდამ“ თემაზე „ვის აძლევს ხელს სეპარატიზმი სამეგრელოში“ რეგიონში სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. სამეგრელოს მოსახლეობისთვის განსაკუთრებით მიუღებელი აღმოჩნდა, პოლიტიკური სპეკულაციების მიზნით, არარსებული მეგრული სეპარატიზმის თემის ხელოვნურად შექმნის მცდელობა.**

ზუგდიდში, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ოფისში, მოდიოდნენ და პროტესტს გამოთქვამდნენ აღშფოთებული მოქალაქეები — სხვადასხვა სოციალური ფენისა და ასაკის წარმომადგენლები. მათი აზრით, განსაკუთრებით პროვოკაციული და აშკარა ცილისწამება იყო გოჩა გვარამიას განცხადებები მოძრაობისა და მისი ლიდერის მისამართით. ზოგიერთი მოქალაქის აზრით, ამ ბინძური პროვოკაციის შემდეგ გვარამიას ზუგდიდში არ ჩამოესვლება. გოჩა გვარამიას პასუხი უკვე გაეცა და ამიტომ ამ თემას აღარ გავაგრძელებ, ვიტყვი მხოლოდ, რომ სამწუხაროა, გვარამიასნაირ პიროვნებებს პროვოკაციის განსახორციელებლად ასეთ სოლიდურ ტრიბუნას რომ უთმობენ.

**რუსეთის საინფორმაციო სააგენტო „რია ნოვოსტის“ თბილისის პრესცენტრში სხვადახვა თემაზე დისკუსიები ინტენსიურად იმართება. ალბათ, სწორედ ინტენსიურობას უნდა მივაწეროთ ის გარემოება, რომ ზემოხსენებული „მრგვალი მაგიდა“ ცუდად იყო ორგანიზებული როგორც თემის, ასევე მოწვეული სპეციალისტების შერჩევისა და რიგი სხვა პარამეტრების მხრივ.**

**სამეგრელოში ყველამ იცის, რომ „მეგრული სეპარატიზმი“ ბუნებაში არ არსებობს და ამ თითიდან გამოწოვილი პროვოკაციული საკითხის წინ წამოსაწევად არც ობიექტური მიზეზი მოიძებნება. ამ დროს კი „რია ნოვოსტიმ“ თემა იმთავითვე ისეთ კონტექსტში და ისეთი ფორმულირებით დააყენა, თითქოს სეპარატიზმის არსებობა სამეგრელოში დადასტურებული რეალობა იყოს, რაც რეალობის რადიკალურად დამახინჯების მცდელობად შეიძლება იქნას აღქმული.**

**სამეგრელოში საზოგადოება ფრიად არასასიამოვნოდ გააკვირვა იმ ფაქტმაც, რომ „რია ნოვოსტის“ საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, ცნობილი ჟურნალისტი ბესიკ ფიფია ზუგდიდში დაიბადა და გაიზარდა და ვინ, თუ არა მან, იცის, რომ მეგრული სეპარატიზმი სრული აბსურდია.**

რადგან ცხადია, რომ მასთან შეუთანხმებლად საინფორმაციო სააგენტო „რია ნოვოსტის“ თბილისის პრესცენტრში მსგავსი შეხვედრა არ გაიმართებოდა, ბატონ ბესიკ ფიფიას ტელეფონით დავუკავშირდი და მის კომენტარს უცვლელად გთავაზობთ.

**„მოგეხსენებათ, სხვადასხვა დროს იწერებოდა მეგრული სეპარატიზმის შესახებ და მეც შევეცადე, წერტილი დამესვა ამ ბრალდებებისთვის, დამედასტურებინა, რომ სეპარატიზმი სამეგრელოში არ არსებობს და ამიტომაც მოვიწვიე ის პიროვნებები, რომლებიც იმსჯელებდნენ ამ თემის გარშემო. ვიცი, რომ გაღიზიანება გამოიწვია ექსპერტ გოჩა გვარამიას გამოსვლამ, მაგრამ მე რა მექნა?! მე ხომ წინასწარ არ ვიცოდი, ის რას იტყოდა და რა მოსაზრებები გააჩნდა?! მისი გამონათქვამები შეხვედრის მონაწილე უმრავლესობისთვის მიუღებელი აღმოჩნდა“, —** განაცხადა ბესიკ ფიფიამ.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

## ვარძელაშვილის დელეგაციის წევრებმა დანიაში იქურდეს

**2012 წლის 19-21 ივლისს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანამშრომლები, გორის „დილას“ გულშემატკივრები და გორის მუნიციპალიტეტის თანამშრომლები (სულ 47 კაცი) დანიის ქალაქ ორჰუსში იმყოფებოდნენ.**

ევროპის ლიგაზე გორის „დილა“ ქალაქ ორჰუსის საფეხბურთო გუნდს შეხვდა და ანგარიშით 2:1 დაამარცხა. საქართველოში დელეგაცია 3 კაცის გარეშე დაბრუნდა. როგორც შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრს აცნობეს, მინისტრ ლადო ვარძელაშვილის დელეგაციის 2 წევრი დანიაში დააკავეს, ხოლო ერთი წევრი დელეგაციიდან გაქრა.

ერთ-ერთმა ქართველმა გულშემატკივარმა, გვარად გიორგობიანმა, დანიის სუპერმარკეტიდან მაისურები და ქამარი მოიპარა. ის თანხმლებ პირებთან ერთად დააკავეს, დაკითხვაზე გადაიყვანეს და თბილისის რეისს არ გამოაყოლეს. მას შესაბამისი ჯარიმა დააკისრეს. დელეგაციის კიდევ ერთი წევრი ფარულად ჩეხეთში გადაფრინდა და ევროპაში დარჩა.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ყოველწუთიერი სატელეფონო კავშირი აქვთ ივანიშვილსა და მერაბიშვილს, სააკაშვილსა და ივანიშვილს, ბოკერიასა და ალასანიას, ამერიკის ელჩს... აბსოლუტურად ყველასთან და ყველაფერზე მიდის შეთანხმება; მუდმივი კონსულტაციები აქვთ იმასთან დაკავშირებით, რომ აი, ახლა უნდა შეიკრიბოს ხალხი თბილისის ცენტრში და ერთ საათში ისევ უნდა დაიშალოს...“**



# შალვა ნათელაშვილი: ოქტომბერში ბიძინას დაუწერენ 20 პროცენტს და ეტყვიან: შედი პარლამენტში და აღიარე არჩევნების შედეგები, თორემ...

**ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი ერთ-ერთი (და შეიძლება ითქვას, ერთადერთიც) პოლიტიკური ფიგურაა, რომელსაც წინასაარჩევნო პერიოდში მედიაში დრო, ფაქტობრივად, არ ეთმობა. თავის მხრივ, შრომის პარტიის ხელმძღვანელი ამ ფაქტს ხელისუფლებისა და მასთან გარიგებული ოპოზიციური სპექტრის შეთანხმებულ მოქმედებად აფასებს. მოახლოებული არჩევნების ბედი კი ამთავითვე გადაწყვეტილად მიაჩნია... ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ შალვა ნათელაშვილი თავად ესაუბრება.**

**— ბატონო შალვა, ბოლო დროს არც ტელე და არც ბეჭდურ მედიაში, ფაქტობრივად, არ ჩანხართ. რა არის ამის მიზეზი? სათქმელი, ალბათ, ბევრი დაგიგროვდათ.**

— პირველ რიგში, მინდა, დიდი მადლობა გითხრათ სწორი ანალიზისთვის და დაკვირვებისთვის. საქმე ისაა, რომ, ზოგიერთს რომც გაეცინოს, ლეიბორისტული პარტია დღეს სამი უძლიერესი პოლუსის წინააღმდეგ იბრძვის. ესენია: ამერიკის შეერთებული შტატები, სააკაშვილის რეჟიმი და ივანიშვილის მაფიოზური გაერთიანება. შესაბამისად, ე. წ. სახელისუფლო არხები ადრე დღისით მაინც გვითმობდნენ გარკვეულ დროს და, ასე თუ ისე, გვაშუქებდნენ, ახლა კი მთლიანად გვბლოკავენ. იმავე პოლიტიკას მიმართეს ოპოზიციურად წოდებულმა არხებმაც — „მაესტრომ“ და „კავკასიამ“, რომლებმაც, არა მარტო მილიონები აიღეს გარკვეული პოლიტიკური ძალებისგან, არამედ მიიღეს მითითება, რომ მათ ეთერში ლეიბორისტების ჭაჭანება არ იყოს. ეს მითითება განსაკუთრებით ზუსტად შეასრულა „კავკასიამ“ და მისმა სულგაყიდულმა მფლობელმა აქუბარდიამ და დღეს, ფაქტობრივად, „კავკასია“ ჩვენთვის არის იმაზე უარესი, რაც იყო „რუსთავი 2“ „ვარდების რევოლუციის“ დროს, ანუ დღესდღეობით ჩვენი ერასტი კიწმარიშვილი არის აქუბარდია. აქედან გამომდინარე, ცხადია, გვაქვს ეთერში გასვლის პრობლემა და მედია მაქსიმალურად გვეზღუდება, მაგრამ, ამის მიუხედავად, დარწმუნებული ვარ, ხალხს ვახსოვართ და ამ არდავიწყებას საზოგადოება გამოხატავს არჩევნებზე ისევ საკუთარი თავისთვის, რათა ქვეყანა როგორმე გამოვგლიჯოთ ამ მაფიოზურ ბანდებს, რომლებმაც იყიდეს ყველაფერი.

**— ვანო მერაბიშვილი პრემიერ-მინისტრად რომ დაინიშნა, თქვენ განაცხადეთ, რომ ეს არის სააკაშვილისა და ივანიშვილის ალიანსის პირდაპირი შედეგი, რათა სხვა არავინ მოიყვანონ ხელისუფლებაში და ხელისუფლებასთან ახლოს. კონკრეტულად რა გაძლევთ იმის თქმის საფუძველს, რომ ბიძინა ივანიშვილი გარიგებულია ხელისუფლებასთან?**

— ელემენტარული ანალიზი და ფაქტების ერთობლიობა. ეს ყველაფერი მოიცავს უდავო ჭეშმარიტებას, რომ **ერთი პატრონის ხელქვეითები კრიტიკულ სიტუაციაში აუცილებლად დაიწყებენ კოორდინირებულ მუშაობას. ორივეს პატრონი, ამ შემთხვევაში, არის შეერთებული შტატები, ოღონდ შტატებს ერთი უნდა ხელისუფლებად და მეორე — ოპოზიციად.** ამაშია საქმე...

**— თქვენი აზრით, ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებად არ უნდა?**

— ცხადია, არა. ეს უკვე იმდენად ნათელია, ბრმა უნდა იყო ადამიანი, რომ ვერ დაინახო.

**— გინდათ, თქვათ, რომ „ქართულ ოცნებას“ ამ არჩევნებში შანსი არ აქვს?**

— **„ქართული ოცნების“ გამარჯვების შანსი, ფაქტობრივად, ნულია. მაგას დაუწერენ მაქსიმუმ 20 პროცენტს და ეტყვიან, შედი ახლა პარლამენტში და აღიარე არჩევნების შედეგები, თორემ ყველა საბანკო ანგარიშს დაგიყადაღებთო! ეს იყო რეალურად ამ ადამიანის ფუნქციაც, რომ როგორმე სააკაშვილს მიეღწია არჩევნებამდე და მანამდე სახალხო გამოსვლები არ დაწყებულიყო, რაც, ცხადია, ამ რეჟიმისთვის იქნებოდა სერიოზული დარტყმა. აღნიშნული ფუნქცია ივანიშვილმა პირწმინდად შეასრულა სულგაყიდული ე.წ. ელიტის საშუალებით და მე ძალიან მაინტერესებს, ეს პოლიტიკოსები, რომლებიც გაიყიდნენ და უკანალს ულოკავენ დოლარების გამო თავიანთ მარჩენალს, იგივე ეს ექსპერტები, პოლიტიციელები, მწერლები, პოეტები და ა.შ., რა ნამუსით შემოგვხედავენ თვალებში, როცა წასვლის დრო დაუდგებათ, რა სინდისით გააგრძელებენ ჩვეულებრივ მოღვაწეობას...**

**— ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში მერაბიშვილმა განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილი მისი მეგობარია და ადრე მას რჩევებსაც აძლევდა. ბევრმა ეს აღიქვა, როგორც მისი მხრიდან „ქართული ოცნების“ მიმართ გარკვეული სიმპათიის გამოხატვა. თქვენი აზრით, რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ მომავალში ვანო მერაბიშვილი კოალიციის აქტიურ თანამებრძოლად ვიხილოთ?**

— არა თუ მომავალში, რეალურად ისინი უკვე არიან თანამებრძოლები და მოკავშირეები მიმდინარე პროცესების კვალდაკვალ. **ყოველწუთიერი სატელეფონო კავშირი აქვთ ივანიშვილსა და მერაბიშვილს, სააკაშვილსა და ივანიშვილს, ბოკერიასა და ალასანიას, ამერიკის ელჩს... აბსოლუტურად ყველასთან და ყველაფერზე მიდის შეთანხმება; მუდმივი კონსულტაციები აქვთ იმასთან დაკავშირებით, რომ აი, ახლა უნდა შეიკრიბოს ხალხი თბილისის ცენტრში და ერთ საათში ისევ უნდა დაიშალოს...** არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაგრძელდეს ეს აქცია ხანგრძლივად, არ უნდა დაიდგას კარვები, კოლონა არ უნდა დაიძრას პრეზიდენტის რეზიდენციისკენ, პარლამენტისკენ, კანცელარიისკენ და ა. შ. ეს ყველაფერი შეთანხმებული და წინასწარ გათვლილია. ასე რომ, რომელ სამომავლო თანამშრომლობაზეა საუბარი, ამთავითვე შეკრულები არიან და კუდით არიან ეს ადამიანები გადაბმულნი.

**— კარვების დადგმა და ხანგრძლივი აქციები რას მოიტანს? თქვენი აზრით, ძალადობრივი გზით ხელისუფლების შეცვლა შესაძლებელია?**

— არაერთხელ მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ **სააკაშვილი ძალადობრივი გზით თუ არ შეცვალეს, არ წავა არასოდეს, მას თავი პრეზიდენტად კი არ წარმოუდგენია, რომელსაც ხალხი ირჩევს, ჰგონია, რომ ხელმწიფეა, იმპერატორი და უვადოდაა ტახტზე აღზევებული.**

**— ძალადობრივი გზით შეცვლაში კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— ვგულისხმობ თუნდაც იმას, რომ ქალაქის პარალიზება მოხდეს, დაიკეტოს შესასვლელ-გამოსასვლელი მთლიანად და მათ შორის სასახლესთან მისასვლელი გზებიც კარგა ხნით.

**— ამას სისხლისღვრა მოჰყვება.**

— აბა, როგორ გინდათ?! ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ აგერ, სირიაში, 12 ათასი კაცია დაღუპული, როცა არ მიდის ხელისუფლება და ნებით არ თმობს მმართველობის სადავეებს, სამოქალაქო ომიც იწყება. ეს არის, უკიდურეს შემთხვევაში, ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა და, თუ სხვა გზა არ არის, ქვეყანა მიდის ამაზე. ამ ხალხს ეს არ ესმის. ამათ უნდათ ყველაფერი მზამზარეული და იოლად მიღწეული, მაგრამ ასე არ ხდება, მარტივად არავინ არაფერს დაგითმობს...

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ გამოდის, რომ დღესდღეობით სააკაშვილს კონკურენტი არ ჰყავს.**

— სანამ პოლიტიკაში ოპოზიციის სახელით იქნებიან სულგაყიდული ადამიანები და საზოგადოებაც ვერ ისწავლის ავისა და კარგის, კეთილისა და ბოროტის გარჩევას, რა თქმა უნდა, მიხეილ სააკაშვილის კრიმინალურ ხროვას სერიოზული კონკურენტი არ ეყოლება, ხოლო, ვინც არის რეალურად მისი საპირწონე ძალა, მას არასოდეს მიეცემა შანსი, გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები.

სხვათა შორის, თავის დროზე, 1995 წელს, რო- ▶



**«ერთადერთი, რის გამოც მე ვერ დავამხე სააკაშვილი, რა არის, თუ იცით? ფული აღარ გვქონდა! ეს ძალიან კარგად იცოდა ივანიშვილმა...»**

## სპეციალური ნიშნები მოხუცი მძღოლებისთვის

**დნეპროპეტროვსკის რაიონის საგზაო პოლიციის სამმართველომ იმ ნიშნების შესაძლო ვარიანტები გამოაქვეყნა, რომლებსაც მოხუცი მძღოლების ავტომობილებზე მიამაგრებენ. ესკიზები ავტოინსპექციის მიერ გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში შეგროვდა.** სპეციალური ნიშნის შექმნის ინიციატორი დნეპროპეტროვსკელი მხცოვანი მძღოლი, 60 წლის ნიკოლაი ბოიჩენკოა. საგზაო ინსპექციაში ამ იდეას მხარი დაუჭირეს. „მხცოვანი მძღოლების პრობლემა ნამდვილად იგრძნობა. სტატისტიკით, ისინი ავარიაში იშვიათად ხვდებიან, სამაგიეროდ ახალგაზრდა მძღოლები მათ აბუჩად იგდებენ, რადგან მხცოვანი მძღოლები მოძრაობაში ხელს „უშლიან“. დიახ, ისინი შეიძლება ნელა დადიან, მაგრამ საჭესთან ბევრად დისციპლინირებულნი არიან“, — აღნიშნავს რეგიონის საგზაო პოლიციის პრესსამსახურის უფროსი ვლადიმერ ლებედევი. საგზაო პოლიციის განცხადებით, ნიშანი მძღოლებისთვის გასაგები უნდა იყოს და ამასთან, მხცოვანი მძღოლის ღირსება არ უნდა შელახოს.



ინტერვიუ
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ივანიშვილმა, სამწუხაროდ, უკვე გაუხანგრძლივა სააკაშვილს ხელისუფლებაში ყოფნის ვადა»

## «მე უფრო ამირჩევენ შრილანკის პრეზიდენტად, ვიდრე ხიდაშელს — საგარეჯოს მაჟორიტარად»






## «გოგი ქავთარაძე ვერ გავა ზესტაფონში, დავით ონოფრიშვილი ვერ გავა კასპში, ვალერი გელაშვილი ვერ გავა ხაშურში»

ცა სააკაშვილი ჩამოვიდა ამერიკიდან, მაშინაც მე ვიყავი მისი კონკურენტი და მინდა გაგახსენოთ, როგორ მოხდა მისი არჩევა ჩემს ადგილას, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარედ: პირველ ტურში ვერ გავიდა, იმიტომ, რომ 40-მა კაცმა მოქალაქეთა კავშირიდანაც“ მე მომცა ხმა და იმართება მეორე ტური, ეს ჯერ არც ერთ ინტერვიუში არ მითქვამს, პირველად თქვენ გეუბნებით: ავიღე სამთავრობო ტელეფონი და ვურეკავ ასლან აბაშიძეს. გაისმა ხმა ბათუმიდან: — გისმენთ. მე ვუთხარი, შალვა ნათელაშვილი ვარ, ბატონო ასლან, ჩამოვიდა საქართველოს დამაქცევარი ამერიკიდან და, თუ ის გახდა იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს ბედი იქნება გამრუდებული, რასაც ვერ გამოასწორებს, ჩვენ კი არა, ალმაშენებლი, რომც გააცოცხლო-მეთქი. კენჭისყრა ნახევარ საათში უნდა გამართულიყო და ჩემი თხოვნა იყო, ჩემთვის მხარი დაეჭირათ. აბაშიძემ მიპასუხა: იცით რა, ამას მოლაპარაკებები სჭირდება, ასე უცბად ვერ გადავწყვეტთო... ჩვენი საუბარი ამით დამთავრდა და შემდეგ მოხდა ის, რომ 40 წუთში აჭარის ორმოცივე დეპუტაციამ მხარი დაუჭირა მიხეილ სააკაშვილს.

**— დღესდღეობით ყველა თანხმდება იმაზე, რომ მომავალი არჩევნები არის გადამწყვეტი ბრძოლა და, ფაქტობრივად, უკანასკნელი შანსი ოპოზიციური სპექტრისთვის. თუ ეს ყველაფერი ხელისუფლების გამარჯვებით დასრულდება, საზოგადოებაში საბოლოოდ ჩაკვდება ბრძოლის ჟინი და სააკაშვილს ერთი-ორად გაუხანგრძლივდება ხელისუფლებაში ყოფნის ვადა. თქვენი აზრით, ივანიშვილის კოალიციაში შემავალი სუბიექტები ვერ აცნობიერებენ, ამას მათთვის რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს?**

— ივანიშვილმა, სამწუხაროდ, უკვე გაუხანგრძლივა სააკაშვილს ხელისუფლებაში ყოფნის ვადა და ეს ნათელია. **გამოცხადდება არჩევნების შედეგები, პირველ ადგილზე იქნება „ნაციონალური მოძრაობა“ 48-49%-ით, რომ დასავლეთმა არ თქვას, გაყალბდაო, სამაგიეროდ მაჟორიტარებს ყველას გაიყვანს სააკაშვილი და ექნება სრული უმრავლესობა. რაც შეეხება ქართული ოცნების კანდიდატებს, ივანიშვილის მიერ დასახელებული მაჟორიტარებიდან ვერც ერთი ვერ გავა. მან ისეთი ხალხი დაასახელა, რომ შანსი არ აქვთ.**

**— კონკრეტულად ვის გულისხმობთ?**

— მაგალითად, გოგი ქავთარაძე ვერ გავა ზესტაფონში, ონოფრიშვილი ვერ გავა კასპში, გელაშვილი ვერ გავა ხაშურში და ა. შ. იმავეს ვიტყვი დავით უსუფაშვილზეც და თინა ხიდაშელზეც. მე უფრო შეიძლება ამირჩიონ შრილანკის პრეზიდენტად, ვიდრე ამ ქალბატონს საგარეჯოს მაჟორიტარად. აი, ეს სისულელე გააკეთა ივანიშვილმა, ანუ უმრავლესობა შეუქმნა სააკაშვილს ახლავე.

**— ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ „ქართულ ოცნებაში“ კანდიდატების კრიზისია.**

— კანდიდატების კი არა, ზნეობის კრიზისია. ივანიშვილს ჭკუა რომ ჰქონოდა და არ დაეწყო ჩვენთან კონფრონტაცია, სისულელეები არ ელაპარაკა, რომ მე ვარ შეკრული სააკაშვილთან, ხოლო ხიდაშელ-უსუფაშვილ-ბერძენიშვილები თურმე მონასტერში იყვნენ ბერებად და ებრძოდნენ ხელისუფლებას, ასე რომ არ გაეხეთქა ერთიანი ოპოზიციური მოძრაობა, ჩვენ დავამარცხებდით ამ რეჟიმს.

**— გინდათ თქვათ, რომ მზად იყავით ივანიშვილთან თანამშრომლობისთვის?**

— არა, ჩვენ არავისთან ვერთიანდებით და მითუმეტეს ბიძინა ივანიშვილს არ ვაღიარებდით ლიდერად. მან რომ ეს იცოდა, იმიტომ დაგვასწრო და დაგვარტყა.

**— ერთიანი ოპოზიციური მოძრაობა ახსენეთ და რას გულისხმობთ ამაში? რა სახით წარმოგედგინათ ივანიშვილის კოალიციასთან თანამშრომლობა, რომ არა მის მიერ ოპოზიციის ნაწილთან, მათ შორის თქვენთანაც, გავლებული წყალგამყოფი?**

— საუბარია იმაზე, რომ მაჟორიტარების დასახელების დროს კოორდინაცია ყოფილიყო, ანუ მე მერჩია მისთვის, ვინ დაესახელებია კანდიდატებად, თავის მხრივ, ჩემებს არ გაეწიათ კონკურენცია მისი მაჟორიტარებისთვის და ა. შ. გარდა ამისა, ბიძინა ივანიშვილს აქეთ რომ გამოეშვა ის მილიონები, რაც გაუშვა სააკაშვილთან შეკრულ, ე. წ. პროამერიკული პარტიებთან, ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ ახლა შუა რუსთაველზე გახურებული მიტინგი მექნებოდა. მე მუთაქაში კი არ ჩავდებდი იმ ფულებს და სახლში კი არ წავიღებდი, აგერ გამოვიდოდა, ქუჩაში, ტალღა, რომელიც წალეკავდა სააკაშვილს.

**— და რას მოიტანდა ეს ყველაფერი?**

— ერთადერთი, რის გამოც მე ვერ დავამხე სააკაშვილი, რა არის, თუ იცით? ფული აღარ გვქონდა! ეს ძალიან კარგად იცოდა ივანიშვილმა...

**— გეგმა გქონდათ?**

— გეგმა გვქონდა არაერთი და ჩვენ ამას ვახორციელებდით თანმიმდევრულად, მაგრამ **გადამწყვეტ მომენტში, როცა პროცესები უახლოვდებოდა ხოლმე კულმინაციას, ფინანსური რესურსი აღარ გვყოფნიდა. ეს იყო მთავარი პრობლემა, რის გამოც დაწყებული საქმე ვერ მიგვყავდა ბოლომდე და ეს სამჭკუაშვილი მილიარდერი კიდევ მაშინ თავს არ ზოგავდა „ნაცმოძრაობის“ ფინანსური კეთილდღეობისთვის. ოთხი მილიონი გადაურიცხა რადიო „მუზას“, რომელიც სანდრას ეკუთვნის; მოგეხსენებათ, გამოტენა მერაბიშვილისა და სააკაშვილის ოჯახები მილიონებით.** ასე რომ, კიდევ ვიმეორებ: ამ ადამიანის სახით, სამწუხაროდ, საქართველოს მოევლინა უბოროტესი მტერი, ბევრად უარესი, ვიდრე სააკაშვილია, იმიტომ, რომ სააკაშვილს შეიძლება ბევრი რამე საერთოდ გაცნობიერებულიც არ აქვს, რას აკეთებს და ამან ყველაფერი ზუსტად იცის. ეს არის ტიპური სპეკულანტი, საბჭოთა პერიოდში ჯინსებს რომ ყიდდნენ, იმ ფსიქოლოგიის, ყველაფერს ხედავს, გათვლილი აქვს, სად რა მოგებაა, ვინ უნდა იყიდოს, ვინ უნდა გააჩუმოს, ვინ უნდა გააპიაროს და ა. შ.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

## «სააკაშვილი ძალადობრივი გზით თუ არ შეცვალეს, არ წავა არასოდეს, მას თავი პრეზიდენტად კი არ წარმოუდგენია, რომელსაც ხალხი ირჩევს, ჰგონია, რომ ხელმწიფეა, იმპერატორი და უვადოდაა ტახტზე აღზევებული»

## მეცნიერები მილიარდერებს უკვდავებას სთავაზობენ

**ფულით შეუძლებელია ჯანმრთელობის ყიდვა, თუმცა მომავალში უკვდავების უზრუნველყოფა იქნება შესაძლებელი.** ამის რეალიზებაზე რუსი მეცნიერები მუშაობენ. ისინი მილიარდერებს აძლევენ შესაძლებლობას, რომ მათი ტვინები სიკვდილამდე რობოტებს გადაენერგოს. სამეცნიერო-კვლევით პროექტს **„ავატარი 2045“** რუსი მედიამენეჯერი დიმიტრი იცკოვი ხელმძღვანელობს. გავრცელდა ცნობა, რომ მან უკვე მოახერხა Forbes-ის რეიტინგებში შესული, მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების დაინტერესება. იცკოვმა მილიარდერებს კვლევის დაფინანსება სთხოვა და მომავალში უკვდავების უზრუნველყოფის პერსპექტივა შესთავაზა. ადამიანის ტვინის რობოტში გადანერგვაზე 30 მეცნიერი მუშაობს. ვარაუდობენ, რომ პირველი ასეთი ოპერაციის ჩატარება უკვე 10 წლის შემდეგ გახდება შესაძლებელი. იცკოვი, ახლო მომავალში „ავატარის“ საერთაშორისო კვლევით ცენტრს სან-ფრანცისკოში გახსნის. პროექტში, მსოფლიოს წამყვანი მეცნიერების ჩართვა იგეგმება. მათი მიზანი ადამიანისთვის კიბერნეტიკული უკვდავების მინიჭება იქნება. ამგვარად, სტივენ სპილბერგის „ავატარი,“ შესაძლოა, ახლო მომავალში რეალობად იქცეს.

## რუსეთის მუსლიმებს საკუთარი ტელევიზია ექნებათ

რუსეთის მუსლიმები ემზადებიან სრულიად რუსეთის სატელევიზიო არხის — „al-rtv“-ეს გასახსნელად. არხი იქმნება უმსხვილეს მუსლიმანურ ორგანიზაციათა ინიციატივითა და ხელისუფლების ფედერალური ორგანოების მხარდაჭერით. სავარაუდოდ, არხი მაუწყებლობას დაიწყებს 2012 წლის 19 აგვისტოდან, დღიდან, როდესაც რამადანის მარხვა მთავრდება და მუსლიმები ურაზ-ბაირამს დღესასწაულობენ. როგორც მესვეურები იუწყებიან, არხის მთავარი მიზანი იქნება საზოგადოების ფართო მასებამდე ისლამის ფასეულობათა მიტანა და ამ რელიგიის მშვიდობისმოყვარე ხასიათის დემონსტრირება. „ალრტვ“-ეს მუშაობა აიგება საზოგადოებრივი ტელეარხის პრინციპზე — სტრატეგიული გადაწყვეტილებები მიღებული იქნება კოლეგიალურად, საზოგადოებრივი საბჭოს მიერ.

მოკლედ



## Microsoft-ის 8 წლის ექსპერტი

**კომპანია Microsoft-ის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა სპეციალისტი 8 წლის პაკისტანელი შოფან ტხობანია. მან კორპორაციის ურთულეს გამოცდებს გაართვა თავი და 100-დან 91 ქულა დააგროვა. ამ შედეგის მისაღებად ბიჭუნა გულმოდგინედ მუშაობდა და კომპანიის ტექნოლოგიურ თავისებურებებს 13 თვის განმავლობაში სწავლობდა.** საკუთარი ოცნების ასახდენად შოფანმა ინტერნეტ-პროტოკოლებისა და დომენების რთული სისტემა შექმნა. Microsoft-ის წამომადგენელი, ტომას ჯენსონი აცხადებს, რომ „მართალია, კორპორაცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებს იმ ადამიანთა ასაკს, რომლებსაც სერთიფიკატებს გადასცემს, მაგრამ დარწმუნებულნი არიან, რომ ეს შემთხვევა ფენომენალურია“. შოფანის მამა — შაუ ტხობანი საკუთარი ვაჟით ამაყობს. იგი თავად ხელმძღვანელობს უმსხვილეს ტექნოლოგიურ კომპანიას, სახელწოდებით Thobson Technologies.



ანალიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

პოლიტიკური მოტივაციით სადამსჯელო ოპერაციების განხორციელება, რაც გამოიხატებოდა, ერთის მხრივ, ხელისუფლების მიმართ არალოიალურად ან კრიტიკულად განწყობილი პირების გამოვლენასა და შემდგომში მათ გათავისუფლებაში, მეორე მხრივ კი, გაუაზრებელი მოტივებით (როგორიცაა, მაგალითად, რუსეთში მიღებული განათლება ან ასლან აბაშიძის დროს ბათუმის ბრიგადაში მსახურობა) სამხედრო პირების დათხოვნა.

# ჯარში გადაყრილი მილიარდები და უუნარო არმია



**„ვარდების რევოლუციის“ შემდგომ საქართველოს თავდაცვის სისტემის განვითარება და გაძლიერება, ერთი შეხედვით, ქვეყნის პრიორიტეტს წარმოადგენდა, რადგან ჯარი მოიაზრებოდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთ-ერთ საშუალებად; ჯარის პოზიტიური იმიჯი ასოცირდებოდა ხელისუფლების წარმატებასთან და მოსახლეობაში ზრდიდა პატრიოტულ განწყობას; ძლიერი ჯარის შექმნა დაკავშირებული იყო საგარეოპოლიტიკურ ფაქტორებთან, როგორც ქვეყნის ნატოში ინტეგრაციის, ასევე რეგიონში ძლიერ სუბიექტად აღქმის თვალსაზრისით.**

ხელისუფლებამ გაიაზრა, რომ თავდაცვის სამინისტროს დაფინანსება და ამ სისტემაში დემოკრატიული ხასიათის რეფორმების გატარება მოემსახურებოდა ზემოაღნიშნულ მიზნებს. შესაბამისად, პირველი ნაბიჯი, რაც ამ მიმართულებით გადაიდგა, იყო, ერთის მხრივ, ბიუჯეტის გაზრდა, მეორე მხრივ კი, რეფორმების წამოწყება, რაც გამოიხატა იმაში, რომ აბსოლუტურად სწორად თავდაცვის მინისტრად დაინიშნა სამოქალაქო პოლიტიკური ფიგურა, რითაც გაცხადდა შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო დემოკრატიული კონტროლის პრინციპის აღიარება და ამასთანავე, საფუძველი ჩაეყარა სამოქალაქო და სამხედრო მმართველობას შორის ფუნქციების განაწილებას.

ერთი შეხედვით, სწორად დაწყებული პროცესი ძალიან მალე აღმოჩნდა სერიოზულ ჩიხში. მთავარი პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ **ახალმა ხელისუფლებამ ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს მიმართულებას მისცა არა დამოუკიდებლად (მიზნობრივად) და ეფექტურად განვითარების შანსი, არამედ ის აქცია ვიწროპოლიტიკური კამპანიის ნაწილად და მოაქცია სახელისუფლო პოლიტიკური დისციპლინის ჩარჩოებში.**

ამასთანავე, ხელისუფლება პოლიტიკურ დონეზე ვერ ჩამოყალიბდა — თუ რა ძირითადი მიზნები და ამოცანები უნდა ჰქონოდა ჯარს და როგორ და რა რესურსით (გრძელვადიანი დაგეგმარების ჭრილში) უნდა მიეღწია შესაბამისი შედეგებისთვის. პრობლემა უფრო ფართო ხასიათს ატარებდა. მოკლედ რომ ვთქვათ, **ერთის მხრივ, უსაფრთხოების სისტემის ერთიანი ხედვა არ არსებობდა, მეორე მხრივ კი, თავდაცვის სისტემის რეფორმირება დაიწყო ქაოტურად, შესაბამისი მიზნებისა და ამოცანების გაანალიზების გარეშე.**

სამწუხაროდ, დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ განვლილი 8 წლის განმავლობაში ჩვენ სახეზე გვყავს შეიარაღებული ძალები, რომელიც

— **სისტემურად გაუმართავია;**

— **უუნაროა, შეასრულოს კონსტიტუციით დაკისრებული ძირითადი ფუნქცია — დაიცვას ქვეყანა გარე აგრესიისგან;**

— **ღიად და აშკარად პოლიტიზირებულია და იძულებით ემსახურება ვიწროპოლიტიკურ ინტერესებს;**

— **დარღვეულია სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობის დემოკრატიული ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ყველა ძირითადი პრინციპი;**

— **გამოფიტულია პროფესიონალი კადრებისგან და, ძირითადად, დაკომპლექტებულია ნდობით აღჭურვილი, მორჩილებაზე დამყარებული პერსონალით, რომელიც, თავის მხრივ, მოქცეულია ვიწროპოლიტიკური კონტროლის ქვეშ;**

— **არსებული მოცემულობით არ გააჩნია განვითარების და, შესაბამისად, ქვეყნის თავდაცვითი შესაძლებლობის ზრდის მიღწევის პერსპექტივები.**

დღეს ხელისუფლება ცდილობს, საზოგადოების ზოგადი განწყობისა და რეიტინგების მანიპულაციით ჯარს მისცეს პოზიტიური იმიჯის ნიშანი, რათა ამით თავიდან აიცილოს შესაბამისი პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობა კი გამოიხატება იმაში, რომ **ჯარის მშენებლობას მოხმარდა კოლოსალური თანხა — მილიარდები, რაც არა თუ პოზიტიურ შედეგში აისახა, არამედ პირიქით: ხელისუფლებამ შექმნილი სისტემით ვერ შეძლო ტერიტორიების შენარჩუნება (აღარ ვსაუბრობთ მის აღდგენაზე), ვერ შეძლო მოქალაქეთა დაცვა, ვერ შეძლო მოწინააღმდეგის მინიმალური სახით შეკავება და კრიზისის დროს გამოავლინა ყველა ის სუსტი მხარე, რომელიც კი შეიძლება თეორიულად ხსენებულიყო.**

**ხელისუფლებას ჯერ კიდევ ჰგონია, რომ თანამედროვე იარაღის შესყიდვით, სამხედროების ნატოს სტანდარტების მომზადებით თუ სხვადასხვა საერთაშორისო სამხედრო ოპერაციაში წარმატებით მონაწილეობით ან ამ ილუზიის გაჩენით შეძლებს ქვეყნის თავდაცვის სისტემის ეფექტურობის მტკიცებას ან უსაფრთხოების უზრუნველყოფას. დღესაც, ისევე, როგორც 2008 წლის ომის დროს, ხელისუფლებას რეალურად სჯერა, რომ მას გააჩნია უსაფრთხოების სისტემა და სამხედრო ძალები, რომლებსაც ადეკვატური ამოცანების შესრულება შეუძლია. ეს ილუზია ეფუძნება მათ არაპროფესიონალიზმს, სისტემის გამართულობის ძირითადი არსის უცოდინარობასა და გაუაზრებლობას.** რეალური მიზეზი კი ისაა, რომ ხელისუფლებას ორი კურდღლის დაჭერა სურს, ანუ ხელისუფლებას სურს, რომ ჯარი იყოს მათი ვიწროპოლიტიკური იმიჯისა და პიარის ნაწილი, პროფესიონალი კადრების გარეშე და ამავე დროს შეეძლოს ადეკვატური ფუნქციების შესრულება — ქვეყნის დაცვა.

ქვემოთ დავასახელებ იმ ძირითად პრობლემებს, რომელთა გამოც თავდაცვის სისტემას განვითარების პერსპექტივები ვერ ექნება ამ ტენდენციის ფორმატში.

**ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ ამოცანად დღეს სამხედრო ძალებში დგას არჩევნებში 100%-იანი შედეგის მიღება მმართველი პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ**

## სამოქალაქო დემოკრატიული კონტროლის არარსებობა

**დემოკრატიულ ქვეყანაში შეიარაღებული ძალების სამოქალაქო დემოკრატიული კონტროლის გარეშე არსებობა მისი დემოკრატიული სისტემიდან ამოვარდნას ნიშნავს და ქვეყნის ფუნდამენტური ინტერესებისთვის საფრთხეს წარმოადგენს. ჯარის პოლიტიკურად კონტროლი შესაძლებელია, მაგრამ, თუ ის ხორციელდება ვიწროპოლიტიკურად და არა სისტემურად, ის თავისთავად ხდება პოლიტიზირებული, ემსახურება კერძო პოლიტიკურ ინტერესებს, რომლის ფარგლებში მეორეხარისხოვანი ხდება ამ სისტემის განვითარების საკითხი.**

დღეს შეიარაღებული ძალები ფაქტობრივად ამოვარდნილია საპარლამენტო კონტროლიდან. მმართველი პოლიტიკური პარტიის მხრიდან პოლიტიკური დისციპლინის გათვალისწინებით ხორციელდება შეიარაღებულ ძალებზე არა სამოქალაქო კონტროლი, არამედ მისი ბრმა ადვოკატირება ისევ და ისევ იმ მიზნით, რომ „ჩვენ ერთი გუნდი ვართ“, „ჩვენ მიერ თუნდაც დაშვებული შეცდომები უნდა შეფასდეს როგორც წარმატება“, იმიტომ, რომ ეს არის საჭირო ძალაუფლებისთვის.

ერთ-ერთი ძირითადი ბერკეტი საპარლამენტო კონტროლისა არის ბიუჯეტის დამტკიცება და საფინანსო ხარჯებზე კონტროლი. წლების მანძილზე ბრმად ხდებოდა ერთფურცლიანი ბიუჯეტის დამტკიცება, ხოლო კონტროლის საკითხი საერთოდ არ დასმულა. საბოლოო ჯამში **თავდაცვის სამინისტრო იქცა ვიწრო კლანური ინტერესების სამიზნედ, სადაც ელიტარული კორუფცია სისტემურადაც კი ჩამოყალიბდა. მეტიც, არის საფუძვლიანი ეჭვი, რომ თავდაცვის სამინისტროს საბიუჯეტო სახსრები აქტიურად გამოიყენება პოლიტიკური არჩევნების დროს და მის ხარჯზე ხდება „ნაციონალური მოძრაობის“ სხვადასხვა რგოლის დაფინანსება.**

ნდობის ჯგუფი, რომელიც, წესით და კანონით, უნდა იყოს ერთ-ერთი მთავარი მაკონტროლებელი საიდუმლო ხარჯებისა, რომელშიც, დემოკრატიული პრინციპის გათვალისწინებით, ჩადებულია საპარლამენტო უმცირესობის მონაწილეობა, არის მხოლოდ ფიქტიური და ეს ვლინდება შესაბამისი შედეგებითაც. მაშინ, როდესაც არაერთ საერთაშორისო კორუფციულ სკანდალში გაეხვა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს საზოგადოებას არ სმენია ამის შესახებ.

თავდაცვის სამინისტრო აღიარებულია როგორც უკიდურესად დაბალი გამჭვირვალობის მატარებელი ინსტიტუტი, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი განმკარგველია. ეს არის ყველაზე ჩაკეტილი სისტემა, რომელიც არ იძლევა საჯარო ინფორმაციას. არც მედიასაშუალებებს ეძლევათ თავიანთი პროფესიული საქმიანობის განხორციელების საშუალება და არც არასამთავრო სექტორს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ თუნდაც მოჩვენებითი საზოგადოებრივი კონტროლი განახორციელოს. **თავდაცვის სამინისტროში შექმნილია მოჩვენებითი ფორმა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა, მხოლოდ ნატოს თვალის ასახვევად და პიარის უზრუნველსაყოფად, რეალურად კი საქმე გვაქვს უკანონოდ დახურულ სისტემასთან, რომლის მიზანია, საზოგადოებამ არ შეიტყოს არც არსებული პრობლემების და შეცდომების შესახებ და არც კორუფციული ფაქტების შესახებ, რომელთა დადგენაც შესაძლებელია თუნდაც საჯარო ინფორმაციის მოპოვებით.**

## თავდაცვის სამინისტროს პოლიტიზაცია

**2008 წლის აგვისტოს ომამდე თავდაცვის სამინისტრო და შეიარაღებული ძალები საზოგადოებაში აღიქმებოდა როგორც ხელშეუხებელი, ზემიზნების განმახორციელებელი, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი, უფრო სწორად, ხელისუფლების მხრიდან ხდებოდა იმის პროპაგანდა, რომ ამ ხელისუფლებამ შეძლო ძლიერი არმიის შექმნა, ეს არის წარმატებული პროექტი და ნებისმიერი კრიტიკული მი-** ▶

**2010 წელს თავდაცვის მინისტრმა ბაჩო ახალაიამ სამხედრო ფუნქციების მატარებელი «სამხედრო პოლიცია» გაერთიანებული შტაბის დაქვემდებარებიდან გამოიყვანა თავის დაქვემდებარებაში, დააკომპლექტა თავისი ერთგული სამოქალაქო კადრებით (სასჯელაღსრულების სისტემიდან და შსს-დან) და, ფაქტობრივად, ჯარების არა მარტო კონტროლის, არამედ არაფორმალურად მართვის ფუნქციებიც კი დააკისრა**

**პოლიტიკური მოტივებით ჩატარებული წმენდა და აშკარა თვალთვალი დღეს ამ სისტემაში იდეოლოგიის ნაწილად არის ქცეული, რათა თითოეული სამხედრო იყოს შიშისა და მორჩილების ქვეშ, ბრმად ემსახუროს პოლიტიკურ კომენდატურას. ამ ამოცანის მთავარი შემსრულებელია „სამხედრო პოლიცია“, რომელიც სისტემურად (მისი პოლიტიკური მინისტრის დაქვემდებარებით) წარმოადგენს ანომალიას, ფუნქციურად კი — მხოლოდ იდეოლოგიურ მაკონტროლებელსა და დამსჯელ მექანიზმს.**

ანალიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◄**დგომა სამშობლოს ღალატის ტოლფასია.**

ომის შედეგებისა და მასში სარდლობის (ხელმძღვანელობის) უსუსური მოქმედების გათვალისწინებით, ხელისუფლების მიდგომა შეიცვალა — ჯარი, რომელიც პიარულად იყო ხელისუფლების „სავიზიტო ბარათი“, როგორც წარმატებული პროექტი, **ჯარი, რომელიც იყო ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ქვეყნის უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი გარანტორი, აღმოჩნდა უფუნქციო. მეტიც — უკვე არსებული შედეგების გათვალისწინებით, ხელისუფლების ძალაუფლებისთვის საფრთხის მატარებელი, შესაბამისი პოლიტიკური მმართველობის მიმართ ჯარში უკმაყოფილების ზრდის გამო. ამოცანა — ჯარი — პიარი, შეიცვალა ამოცანით — ჯარი ვიწროპოლიტიკური კონტროლის ქვეშ, ამ უკანასკნელს შემდგომში დაემატა ფუნქცია — ჯარი საერთაშორისო სამხედრო ოპერაციებისთვის, რომ ამით საერთაშორისო ასპარეზზე ხელისუფლებას ქულები დაეგროვებია.**

პოლიტიკური მოტივაციით სადამსჯელო ოპერაციების განხორციელება, რომელიც გამოიხატებოდა, ერთის მხრივ, ხელისუფლების მიმართ არალოიალურად ან კრიტიკულად განწყობილი პირების გამოვლენასა და შემდგომში მათ გათავისუფლებაში, მეორე მხრივ კი, — გაუაზრებელი მოტივებით (როგორიცაა, მაგალითად, რუსეთში მიღებული განათლება ან ასლან აბაშიძის დროს ბათუმის ბრიგადაში მსახურება) სამხედრო პირების დათხოვნა.

ამ პროცესში ერთ-ერთი დამაგვირგვინებელი ოპერაცია იყო მუხროვანის ე. წ. ამბოხება და ღირსეული სამხედროების დაჭერითა და დაპატიმრებით იმის დემონსტრირება, რომ, ვინც თუნდაც ობიექტური მოტივით გამოხატავს პროტესტს, დაისჯება სამაგალითოდ. მეტიც, ამ ოპერაციის დაგეგმვა როგორც ანალიზი, მოხდა თავად ხელისუფლების მიერ, რათა გამოვლენილიყვნენ ის ადამიანები და ჯგუფები, რომლებსაც, შესაძლოა, გასჩენოდათ ღია პროტესტი. პოლიტიკური მოტივებით ჩატარებული წმენდა და აშკარა თვალთვალი დღეს ამ სისტემაში იდეოლოგიის ნაწილად არის ქცეული, რათა თითოეული სამხედრო იყოს შიშისა და მორჩილების ქვეშ, ემსახუროს ბრმად პოლიტიკურ კომენდატურას. ამ ამოცანის მთავარი შემსრულებელია „სამხედრო პოლიცია“, რომელიც სისტემურად (მისი პოლიტიკური მინისტრის დაქვემდებარებით) წარმოადგენს ანომალიას, ფუნქციურად კი — მხოლოდ იდეოლოგიურ მაკონტროლებელსა და დამსჯელ მექანიზმს.

**ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ ამოცანად დღეს სამხედრო ძალებში დგას არჩევნებში 100%-იანი შედეგის მიღება მმართველი პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ. არჩევნების დროს სამხედრო მოსამსახურეებს, ფაქტობრივად, ბრძანების საფუძველზე აიძულებენ, ყველა უკლებლივ გამოცხადდეს არჩევნებზე და ხმა მისცეს მმართველ პოლიტიკურ ძალას, რასაც ჯარი ასრულებს კიდეც ზედმიწევნით.**

## თავდაცვის სისტემური ქაოსი

**ზოგადად თავდაცვის სისტემა არის ღირებულებათა და სისტემათა ერთობლიობა, რომელიც იწყება პოლიტიკის განსაზღვრით, ეფუძნება ქვეყნის ინტერესებსა და შესაძლებლობებს და გამომდინარეობს ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევებისდან. უნდა ითქვას, რომ წლების მანძილზე პოლიტიკურ დონეზე განსაზღვრული დოკუმენტები არათავსებადი იყო რეალობასთან და არ ხდებოდა მათი რეალიზება პრაქტიკაში.** ეს დოკუმენტები იქმნებოდა მხოლოდ დასავლეთისთვის და შიდაპიარისთვის, არსებული თავდაცვის სისტემა კი იმართებოდა ცალკეული მინისტრების ლოგიკური აზროვნებით ან პიარ-საჭიროებით. საბოლოო ჯამში შეიქმნა ვითარება, როდესაც რეალურად არ არსებობს თავდაცვის სისტემის ერთიანი ხედვა, განვითარების მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი გეგმები. ის, რითაც ხდებოდა რეფორმების დაგეგმვა და განხორციელება, გამომდინარეობდა ცალკეული ამოვარდნილი საჭიროებიდან და არა სისტემური ხედვის ფარგლებში. არც ერთ შემთხვევაში არ მომხდარა გამოქვეყნებული დოკუმენტის (მაგალითად, მინისტრის ხედვა) შესრულების ანგარიში, რამდენადაც არ ხდებოდა შესაბამისი პრიორიტეტების დაცვა. სწორედ ამ არათავსებადობით პოლიტიკას, სტრატეგიასა და პრაქტიკას შორის ჩვენ მივიღეთ აღრეული რეფორმების მთელი კასკადი, რომლის ფარგლებში, ერთის მხრივ, ინგრეოდა შიდა სისტემა და ცალკეული კომპონენტები, მეორე მხრივ კი, ახალი მინისტრები ცდილობდნენ ძველის აღდგენას უკვე არასწორი და არათავსებადი ფორმით.

**2005 წლიდან ხელისუფლებამ დაიწყო აბსოლუტურად გაუაზრებელი სამხედრო სარეზერვო სისტემის შექმნა... სარეზერვო სამსახური უფრო პიარ-კამპანიის ნაწილი იყო, ვიდრე თავდაცვის სისტემის შემადგენელი ნაწილი**

**თავდაცვის მინისტრები უშუალოდ ერეოდნენ ბატალიონების, ბრიგადების, ჯარების სახეობათა მართვის პროცესებში და ღებულობდნენ ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს, მიუხედავად იმისა, რომ არ გააჩნდათ შესაბამისი განათლება, ცოდნა და გამოცდილება**

**8 წლის მანძილზე შეიცვალა თავდაცვის 6 მინისტრი და გაერთიანებული შტაბის 5 უფროსი. მინისტრის, როგორც პოლიტიკური ფიგურის, ხშირი ცვლა, შესაძლოა, არც ისე მგრძნობიარე ყოფილიყო თავდაცვის გამართული სისტემისთვის, მაგრამ საკადრო დეფიციტის პირობებში თითოეული მინისტრი საკუთარი გუნდით თავიდან აკომპლექტებდა თავდაცვის სამინისტროს მმართველ და აღმასრულებელ შემადგენლობას და, რაც ყველაზე მიუღებელია, ეს ხდებოდა მხოლოდ ნაცნობ-მეგობრობის ხარჯზე, გუნდის წევრობის ფარგლებში და არა პროფესიონალიზმის გათვალისწინებით.** თითოეული ახალი გუნდი პირველი 5 თვე დაკავებული იყო სისტემის შესწავლით და ელემენტარული ცოდნის დაუფლებით, რაც, თავისთავად ცხადია, საქმისთვის მიუღებელი იყო. მეტიც, თითოეული მინისტრი ცდილობდა, უკვე თავისი ლოგიკური აზროვნებით დაელაგებია სამინისტროს სტრუქტურა და მოერგო ის საკუთარი გუნდის წევრებისთვის.

მსგავსი სიტუაცია იყო შეიარაღებულ ძალებშიც. ზოგიერთი ხელმძღვანელის გარდა, გაერთიანებული შტაბის უფროსის შეცვლას მოჰყვებოდა ჯარში უფროსი თანამდებობების გადანაწილება ნაცნობ-მეგობრების მიხედვით, რის გამოც ბევრი სამსახურიდან იქნა გათავისუფლებული, ბევრმაც ვერ გაუძლო უვიცთა მმართველობას, დაშვებულ შეცდომებს და თავად მიატოვა სამხედრო სამსახური. ამას ემატებოდა აწ უკვე ნახსენები პოლიტიკური წმენდა სამხედრო სამსახურში სხვადასხვა ნიშნით, რის გამოც ბევრი პროფესიონალი და გამოცდილი სამხედრო სამსახურიდან დაითხოვეს.

ცალკე განხილვის თემაა, თუ რა კადრებით ხდებოდა საპასუხისმგებლო თანამდებობების დაკომპლექტება. ქაოსური საკადრო პოლიტიკის ფარგლებში ძალიან ხშირად წარმოიქმნებოდა საკადრო დეფიციტი, რის გამოც **უმაღლეს სამხედრო თანამდებობებზე ინიშნებოდნენ გამოუცდელი დაბალი რანგის ოფიცრები, რომლებიც თავიანთი განათლებით, გამოცდილებით წოდებრივად არათავსებადი იყვნენ შესაბამის თანამდებობებზე. ყოველივე ამან მოშალა მმართველობის ეფექტიანობა და სისტემის განვითარების პერსპექტივები.**

2004 წელს, ერთი შეხედვით, განხორციელებული სწორი რეფორმა, რაც გამოიხატა იმაში, რომ თავდაცვის მინისტრის პოსტი განისაზღვრა როგორც პოლიტიკური თანამდებობა, რომელსაც უნდა განეხორციელებია სამოქალაქო დემოკრატიული კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე, ფუნქციების არასწორი გადანაწილების გამო, რაც, თავის მხრივ, ეფუძნებოდა ძალაუფლების არდათმობის პრინციპს, საბოლოო ჯამში მივიღეთ პოლიტიკური პირი — მინისტრი, როგორც სამხედრო მმართველი, და გაერთიანებული შტაბის უფროსი, როგორც პოლიტიკური კომენდანტი.

**თავდაცვის მინისტრები** (ზოგიერთის გამოკლებით) **უშუალოდ ერეოდნენ ბატალიონების, ბრიგადების, ჯარების სახეობათა მართვის პროცესებში და ღებულობდნენ ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს, როცა არ გააჩნდათ შესაბამისი განათლება, ცოდნა და გამოცდილება.** ხშირად მათი გადაწყვეტილება იმ ამოცანების შესრულებისას, რაც გააჩნდათ შეიარაღებულ ძალებს, იყო არაადეკვატური. ამავე დროს სრულიად იგნორირებულ იყო გამოცდილი და პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტებული რგოლი — გენერალური შტაბი. ხშირ შემთხვევაში გენერალური შტაბი აღმოჩნდა ხელისშემშლელი რგოლი არაპროფესიონალი მინისტრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებისა, რაც მათ აყენებდა რთული არჩევანის წინაშე — ან ბრმად შეესრულებიათ მინისტრის „ლოგიკური“ რეფორმები და შეენარჩუნებიათ თანამდებობები, ან შეწინააღმდეგებოდნენ და თანამდებობებსაც გამომშვიდობებოდნენ.

**პოლიტიკოსების სამხედრო საქმეებში ჩარევამ გამოიწვია ის, რომ თავდაცვის სამინისტროში გაუქმდა ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი სამმართველო, სისტემაში ჩატარდა N რაოდენობის რეორგანიზაცია, პერიოდულად ტარდებოდა გამოგონილი ატესტაციები, რომელთა რეალური მიზანი იყო კადრების წმენდა და საკუთარი ნდობით აღჭურვილი კადრებით მათი ჩანაცვლება. ამ ქაოტური პროცესის შედეგი იყო ფუნქციების აღრევა, დუბლირება და საერთო სისტემური თავსებადობის დაკარგვა.** ყოველივე ამის აღმოსაფხვრელად 2010 წელს თავდაცვის მინისტრმა ბაჩო ახალაიამ სამხედრო ფუნქციების მატარებელი „სამხედრო პოლიცია“ გაერთიანებული შტაბის დაქვემდებარებიდან გადმოიყვანა თავის დაქვემდებარებაში, დააკომპლექტა თავისი ერთგული სამოქალაქო კადრებით (სასჯელაღსრულების სისტემიდან და შსს-დან) და, ფაქტობრივად, ჯარების არა მარტო კონტროლის, არამედ არაფორმალურად მართვის ფუნქციებიც კი დააკისრა. დღეს ამ სტრუქტურას „პოლიტიკური პოლიციის“ ფუნქციები აქვს, რაც ეწინააღმდეგება არა მარტო სისტემურ მიდგომებს, არამედ ანგრევს სამხედრო მოსამსახურეთა „ღირსების“ ინსტიტუტს, რის გარეშეც სამხედრო, როგორც ასეთი, ვერ იარსებებს.

ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეები და გამოწვევები პირდაპირ მიგვანიშნებს ძლიერი სამხედრო სარეზერვო სისტემის არსებობის აუცილებლობაზე. **2005 წლიდან ხელისუფლებამ დაიწყო აბსოლუტურად გაუაზრებელი სამხედრო სარეზერვო სისტემის შექმნა, რომელსაც, ერთის მხრივ, არ ჰქონდა განსაზღვრული ფუნქციები და ამოცანები, მეორე მხრივ კი — შესაბამისი მართვის სისტემა. სარეზერვო სამსახური უფრო პიარ-კამპანიის ნაწილი იყო, ვიდრე თავდაცვის სისტემის შემადგენელი ნაწილი. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ასევე გაუაზრებლად მოხდა რეზერვისტთა ჩაბმა საომარ თეატრში, რამაც მხოლოდ უარყოფითი შედეგი მოუტანა საერთო პროცესს.**

აგვისტოს ომის შემდგომ, ორი წლის მანძილზე, ფაქტობრივად ,არც ერთი სარეზერვო შეკრება არ ჩატარებულა, რითაც, ერთი მხრივ, ირღვეოდა შესაბამისი კანონი, მეორე მხრივ კი, ხელისუფლებას, მიუხედავად მუდმივად იმის გაცხადებისა, რომ რუსეთის მხრიდან მორიგი სამხედრო აგრესიის ალბათობა მაღალი იყო, ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ამ მნიშვნელოვანი კომპონენტის ჩამოყალიბებისთვის. მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ მიიღო კრიტიკა ამ უმოქმედობის გამო, თავდაცვის ხელმძღვანელობამ ფაქტობრივად არაფერი შეცვალა სამხედრო სარეზერვო სისტემაში, რომელიც თავის დროზე შეფასდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სუსტი რგოლი ომის დროს, და კიდევ უფრო მახინჯი ფორმით მოხდა მისი აღდგენა. მეტიც, **პოლიტიკური პროცესების გააქტიურებასთან ერთად, მინისტრმა გამოაცხადა ე.წ. ნებაყოფლობითი რეზერვისტების მიღება და 5-დღიანი სწავლებების გამართვა, რაც, მარტივად რომ ვთქვათ, სრულ სისულელეს წარმოადგენს.** არ იცის და არ ესმის, თუ როგორ უნდა მოხდეს სამხედრო სარეზერვო სისტემის შექმნა, ამიტომ მის პოლიტიკურ მიზნებთან თავსებადობით გამოყენებას ცდილობს, რაც ყოვლად მიუღებელია და ეწინააღმდეგება სამხედრო სამოქალაქო ურთიერთობის პრინციპებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამხედრო სამსახური ეს არის პატრიოტიზმისა და პირადი ღირსების ერთობლიობა. არ არსებობს სამხედრო მოსამსახურე, ეფექტურად ემსახუროს ქვეყანას, თუ მისი ღირსება არ იქნება აღიარებული. დღეს თუ ამ სისტემაში არსებულ ხარვეზებზე გავამახვილებთ ყურადღებას, შესაძლოა, პირველ რიგში, დაგვეწყო საუბარი სწორედ იმაზე, რომ **ხელისუფლების დამოკიდებულება სამხედროების მიმართ არის აბსოლუტურად არასწორი და შესაბამისი გარემო არის ღირსების შემლახავი. დღეს სამხედროები არიან პოლიტიკური თვალთვალის ქვეშ, არიან ვიწროპოლიტიკური კონტროლის შიშით შეპყრობილნი და უწევთ პოლიტიკური მოტივებით მსახური. სამხედროების უფლებები არის სრულებით იგნორირებული, არსებული ხელშეკრულებები არის კაბალური და კანონმდებლობა ისე არის ჩამოყალიბებული, რომ ნებისმიერ დროს მეთაურს შეუძლია სამხედრო სამსახურიდან დაითხოვოს პირი.**

რაც შეეხება მოვალეობებს, ესეც განსჯის საგანია, იმდენად, რამდენადაც, ერთის მხრივ, მართლაც რომ არსებობს მოვალეობები, თუმცა პრაქტიკაში მოვალეობები უფრო მეტად გამომდინარეობს მეთაურთა მოთხოვნებიდან, რომელთაც, შესაძლოა, საერთო არ ჰქონდეს სამხედრო საქმესთან. გასაჩივრების მექანიზმები არის იგნორირებული და ჩამოყალიბებულია ისეთი მიდგომა, რომ ვინც ჩივის, ის მტერია. სადისციპლინო წესდება ქცეულია დამსჯელ დოკუმენტად, რომელსაც ზოგი მეთაური სწორედ რომ ვიწრო ინტერესებიდან გამომდინარე იყენებს. ბოლო პერიოდში გახშირდა სამხედრო მოსამსახურეთა დასჯა სადისციპლინო წესდების მიხედვით და მათთვის ხელფასის 30%-ის დაქვითვით დაჯარიმება, რითაც ხდება, ერთის მხრივ, სამხედროების მორჩილების იძულება, მეორე მხრივ კი, ბიუჯეტისთვის თანხების ამოღება და ისევ და ისევ საკუთარი კომფორტისთვის გამოყენება. **საერთო სურათი გვიჩვენებს, რომ დღეს ჯარისკაცს უკარგავენ რეალურ მოტივაციას, იმსახუროს ჯარში. სწორედ ამიტომ დღეს რეალურად წარმოიქმნა დეფიციტი პროფესიონალი (საკონტრაქტო) მოსამსახურეებისა, რის გამოც 2011 წელს 3-ჯერ მეტი წვევამდელი გაიწვიეს სამხედრო სამსახურში, ვიდრე წინა წელს, რათა როგორმე შეევსოთ არსებული სამხედრო ქვედანაყოფები. ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება.**

**მაიზერ გელოვანი,**
თადარიგის კაპიტანი,
სამხედრო ჟურნალისტი,
აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომების მონაწილე,
მედლების: „საბრძოლო დამსახურებისათვის“ და „უმწიკვლო სამსახურისათვის“ კავალერი,
წიგნის „ოფიცრის მწარე მოგონებები“ ავტორი

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ეს ერთი „უწყინარი" შესწორება რომ საქართველოს უამრავ მოქალაქეს საკონსულო აღრიცხვაზე დადგომაში დაბრკოლებას შეუქმნის, ცხადია. საკონსულო აღრიცხვის გარეშე კი საპარლამენტო არჩევნებში ხმის მიცემას ისინი ვერ შეძლებენ. როგორც ჩანს, ნაციონალური ხელისუფლება იმდენად შეაშინა უცხოეთში ქართველი ემიგრანტების მიერ „ქართული ოცნების" გახშირებულმა მხარდამჭერმა აქციებმა, რომ ვაშაძეს მორიგ „იდიოტობაზე" მოაწერინეს ხელი და ემიგრანტებს ხმის უფლება ასე შეუზღუდეს.**

# დოკუმენტური «იდიოტიზმი»



ГРЕШНО СМЕЯТЬСЯ НАД БОЛЬНЫМИ ЛЮДЬМИ



**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მორიგი დიპლომატიური „გამარჯვება" მოიპოვა: სააკაშვილისადმი კეთილგანწყობით ცნობილ „ეხო მოსკვის" ჟურნალისტთან — ალექსეი ვენედიქტოვთან ეთერში „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" კანონის მოთხოვნებს „იდიოტიზმი" უწოდა.**

ვენედიქტოვის კითხვაზე — რატომ არ შეუძლიათ საქართველოში იმ უცხოელ (ამ შემთხვევაში რუსეთის) მოქალაქეებს შემოსვლა, რომლებიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არიან ნამყოფი, ვაშაძემ ჯერ უპასუხა, რომ კანონი მკაცრია, მაგრამ მისი დაცვა სავალდებულოა. დაჟინებული ჩაკითხვის შემდეგ კი საქართველოს ნომერ პირველმა დიპლომატმა განაცხადა: **„სიტუაციის იდიოტიზმი იმაშია, რომ ნაცვლად ხელგაშლილი დახვედრისა, ჩვენ იძულებული ვართ, ამ იდიოტიზმით ვიყოთ დაკავებული".** მართალია, ეს „იდიოტიზმი" პრიმაბალერინას მეუღლემ ისევ რუსეთის მიერ ამ ორი რეგიონის აღიარებით ახსნა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: **სააკაშვილის მიერ ინიცირებული სავიზო სანქციები მისმა თანაგუნდელმა და საგარეო უწყების ხელმძღვანელმა გრიგოლ ვაშაძემ იდიოტიზმად მოიხსენია.**

„საქართველო და მსოფლიო" პრეზიდენტის პრესსპიკერს დაუკავშირდა მინისტრის ამ გამონათქვამის განმარტებისთვის. **მანანა მანჯგალაძე** ჯერ აშკარად დაიბნა, მცირე პაუზის შემდეგ კი გვიპასუხა: **„არ ვიცი, გრიგოლ ვაშაძე რას გულისხმობდა თავის განცხადებაში, ეს, ალბათ, მას უნდა ჰკითხოთ, უფრო ამომწურავი პასუხისთვის. მე ამასთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით, არანაირი აზრი არ გამაჩნია. ვერც ვხვდები, რეალურად რას გულისხმობდა საგარეო საქმეთა მინისტრი, როდესაც ამას ამბობდა. საჭიროა უფრო ვრცელი განმარტება ამ თემასთან დაკავშირებით, რომელსაც ის, ალბათ, აუცილებლად გააკეთებს".**

საგარეო საქმეთა მინისტრი ჯერჯერობით დუმს, მისი პრესსამსახური სატელეფონო ზარებს არ პასუხობს. ამ „იდიოტიზმის" ახსნა მართლაც რთულია, თუმცა ხსენებულ ინტერვიუში ეს მინისტრის ერთადერთი ლაფსუსი არ ყოფილა; მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ **ვაშაძის ეს „დემარში" რადიკალურად განსხვავდება „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" კანონის მიმართ სააკაშვილის ოფიციალური დამოკიდებულებისაგან,** რასაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე **შოთა მალაშხია** ახმოვანებს: **„ეს არის არა ჩემი, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობის აზრი, რომ ეს ტერიტორიები ოკუპირებულია. შესაბამისად, „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" კანონი მოქმედებს. შესაბამისად საქართველო „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" კანონის გაუქმების საკითხს არ განიხილავს"...** თავად განსაჯეთ, როდესაც პრეზიდენტი სააკაშვილი, „საერთაშორისო თანამეგობრობა" და თვით მალაშხიაც კი ამ კანონს მხარს უჭერენ, **რას უნდა ნიშნავდეს ვაშაძის მიერ ამ კანონის იდიოტიზმად გამოცხადება. ვის შეჰბედა ბალერინას მეუღლემ იდიოტი: საერთაშორისო თანამეგობრობას, მის ალმატებულება პრეზიდენტს თუ მხოლოდ შოთა მალაშხიას? და თუ ვაშაძემ მხოლოდ მალაშხია იგულისხმა „იდიოტიზმში", რას ერჩოდა ამ ისედაც შეზღუდულ ადამიანს, მითუმეტეს, რომ სად კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ და სად შოთა?! სად მეფე ერეკლე და სად... მალაშხია?!**

ეჰ, ბატონო გრიგოლ, დიპლომატი კაცი ხართ და ნუთუ ან „კავკასიელი ტყვე ქალი" არ გინახავთ, ან „რუსეთში ცხოვრებისა და წარმატებული კარიერის" მანძილზე ერთხელაც არ მოგიკრავთ ყური გამოთქმისთვის — Грешно смеяться над больными людми?

ხუმრობა იქით იყოს და, ვაშაძე კიდევ უფრო შორს წავიდა, მან კანონისთვის გვერდის ავლის ის პრაქტიკა მოიწონა, რომელსაც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ნამყოფი რუსეთის მოქალაქეები მიმართავენ: **„არ ვარ დარწმუნებული, რომ იმ 400 ათას რუს ტურისტს შორის, რომლებიც საქართველოში შემოვიდნენ, ამ ორ რეგიონში ნამყოფი პირები არ არიან. ისინი ან სხვა პასპორტით შემოვიდნენ, ან..."**

**ვენედიქტოვი:** „ან მათ შტამპი არ ჩაურტყეს".

**ვაშაძე:** „დიახ, კანონის გვერდის ავლა შეძლეს".

კანონის მიმართ ვაშაძის დამოკიდებულება ერთობ თავისუფალი რომ არის, ამაზე იმავე დღეებში გამოქვეყნებული 2012 წლის 11 ივლისს მის მიერ ხელმოწერილი N158 ბრძანებაც მეტყველებს, რომელიც **„საკონსულო აღრიცხვაზე დაყენებისა და საკონსულო აღრიცხვიდან მოხსნის წესის დამტკიცების შესახებ"** საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2011 წლის 10 ოქტომბრის №241 ბრძანებაში ცვლილებების შეტანას გულისხმობს.

**ადრე საკონსულო აღრიცხვაზე დასადგომად საკმარისი იყო შემდეგი დოკუმენტები:** ა) განცხადება-ანკეტა; ბ) თანმხლები უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში, მოქმედი პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი; გ) 3 ფოტოსურათი (ზომა 3X4 სმ). ამასთან, ფოტოსურათის წარმოუდგენლობაც კი არ შეიძლებოდა ყოფილიყო საკონსულო აღრიცხვაზე დაყენების უარის თქმის მიზეზი.

**ახლა ვაშაძემ საკონსულო აღრიცხვაზე დაყენებისთვის სერიოზული ბარიერი შექმნა:**

„ა) წესის მე-5 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს „დ" ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

დ) ცნობა საზღვარგარეთ საცხოვრებელი ადგილიდან".

**ეს ერთი „უწყინარი" შესწორება რომ საქართველოს უამრავ მოქალაქეს საკონსულო აღრიცხვაზე დადგომაში დაბრკოლებას შეუქმნის, ცხადია. საკონსულო აღრიცხვის გარეშე კი საპარლამენტო არჩევნებში ხმის მიცემას ისინი ვერ შეძლებენ. როგორც ჩანს, ნაციონალური ხელისუფლება იმდენად შეაშინა უცხოეთში ქართველი ემიგრანტების მიერ „ქართული ოცნების" გახშირებულმა მხარდამჭერმა აქციებმა, რომ ვაშაძეს მორიგ „იდიოტობაზე" მოაწერინეს ხელი და ემიგრანტებს ხმის უფლება ასე შეუზღუდეს.**

„საქართველო და მსოფლიო" ვაშაძის ამ მართლაც აუხსნელი გამონათქვამებისა და დოკუმენტური იდიოტიზმის კომენტარისთვის **საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტს, პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილს** დაუკავშირდა.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი:** „საქართველოს ბევრი მოქალაქე, რომელიც უცხოეთში იმყოფება, არალეგალურადაა იქ ან საცხოვრებელ ადგილს ხშირად იცვლის. არა მგონია, ბრძანებაში შესული ახალი პუნქტის დაკმაყოფილება ბევრმა შეძლოს. კერძოდ, იმ ფაქტმა, რომ საკონსულოს აღრიცხვაზე დასადგომად უცხოეთში მყოფ საქართველოს მოქალაქეს მოეთხოვება ცნობა საზღვარგარეთის საცხოვრებელი ადგილიდან, არა მგონია, ამან დიდი სიხარული გამოიწვიოს იქ მყოფ ჩვენს მოქალაქეებში. მე უფრო ის მგონია, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს სულ სხვა რამ აქვს ჩაფიქრებული. **ახალი ბრძანება იმ ადამიანებს, რომლებსაც აქამდე არჩევნებში ამ ცნობის გარეშეც შეეძლოთ მიეღოთ მონაწილეობა, ფაქტობრივად საკონსულოს აღრიცხვაზე დადგომის შანსს უკარგავს.** ხელისუფლებას არ აინტერესებს იმ მოქალაქეების არჩევნებში მონაწილეობის ბედი, ვისი რეალური მხარდაჭერის იმედიც გამარჯვებისთვის არ აქვს. ამ ხელისუფლებას სათავისოდ ჰყავს უცხოეთში აღრიცხული ქართველები, ეს სია, თუ არ ვცდები, პაატა დავითაიას უწყებას აქვს და დარწმუნებულიცაა ამ ადამიანების ხმებში. რაც უფრო მეტ ბიუროკრატიულ დაბრკოლებას შეუქმნიან „ნაცები" საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებს, უფრო დარწმუნებულნი იქნებიან გამარჯვებაში.

დავეთანხმები გრიგოლ ვაშაძის იმ განცხადებას, რომელიც მან „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" გააკეთა. მეც ვფიქრობ, რომ **ეს კანონი საქართველოს ხელისუფლების მიერ დაკანონებული კიდევ ერთი იდიოტობაა, რომელიც მან 2008 წლის ომის შემდეგ მიიღო. ვაშაძე იდიოტობას უწოდებს იმას, რაშიც, ფაქტობრივად, მასაც მიუძღვის წვლილი. ეჭვი ჩნდება, რომ ის მალე „ნაციონალებიდან" გაქცევას აპირებს. სხვანაირად ვერ აიხსნება ეს ფაქტი, როდესაც საკუთარი გუნდის საწინააღმდეგო განცხადებას აკეთებ.** ზოგადად, ვაშაძე, როდესაც პირს დააფჩენს, ბევრი იდიოტობა ამოსდის იქიდან, თუმცა ეს განცხადება ყველაზე თვალშისაცემია. ვფიქრობ, მალე ივანიშვილის ბანაკში გადაბარგებას ხომ არ აპირებს(?). არაფერს გამოვრიცხავ."

**ლილი მიროტაძე**



## ჰამლეტ ჭიპაშვილი:

## დავეთანხმები გრიგოლ ვაშაძის იმ განცხადებას, რომელიც მან «ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ» გააკეთა. მეც ვფიქრობ, რომ ეს კანონი საქართველოს ხელისუფლების მიერ დაკანონებული კიდევ ერთი იდიოტობაა



## შოთა მალაშხია:

## ეს არის არა ჩემი, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობის აზრი, რომ ეს ტერიტორიები ოკუპირებულია, შესაბამისად, «ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ» კანონი მოქმედებს. შესაბამისად საქართველო «ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ» კანონის გაუქმების საკითხს არ განიხილავს

**P.S.** სხვათა შორის, სიტყვა **იდიოტიზმი** აღნიშნავს ინტელექტის ღრმა სისუსტეს ან მის სრულ არარსებობას, სუბიექტის სულიერი ცხოვრების იმ დონეს, რომელიც საწყის, ბავშვურ სტადიასაც კი ჩამორჩება. იგი შეიძლება განხილული იყოს, როგორც გონებრივი განუვითარებლობით განპირობებული ფსიქიკური სისუსტე. საგარეო საქმეთა მინისტრმა ამ დეფინიციით, ფაქტობრივად, აღიარა, რომ საქართველოს ხელისუფლება გონებრივად სუსტი, უინტელექტო და ბავშვზე უფრო განუვითარებელია. საქართველოს მოსახლეობამ ეს ვაშაძის გარეშეც იცოდა, მაგრამ, როგორც საბჭოთა პროკურორი ვიშინსკი იტყოდა, „აღიარება მტკიცებულებათა დედოფალია"!

— გინდათ თქვათ, რომ 90-იან წლებში მომხდარზე ძირითადი პასუხისმგებლობა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას ეკისრება?
— როგორც უკვე გითხარით, ნებისმიერ რევოლუციას, დაპირისპირებას, ნებისმიერ სეპარატიზმსა თუ არასახელმწიფოებრივ ქმედებას ხელს უწყობს, როგორც წესი, ცენტრის არასწორი პოლიტიკა...



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## პაატა ზაქარეიშვილი: გამსახურდიასთვის ძეგლის დადგმის საკითხი თვითმმართველობის საქმეა... ძეგლები სულ არ არის ჩემი სფერო და ის საკითხი, რაც მე მაღელვებს...



# რესპუბლიკელი ზაქარეიშვილი ზვიად გამსახურდიას არადემოკრატ პრეზიდენტად მიიჩნევს და 90-იან წლებში მომხდარზე პასუხისმგებლობას გამსახურდიას ხელისუფლებას აკისრებს

**არჩევნებამდე ცოტა დრო რჩება. პოლიტიკური ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის. „საქართველო და მსოფლიოს“ კონფლიქტოლოგი და „ქართული ოცნების“ წყალტუბოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი პაატა ზაქარეიშვილი ესაუბრა.**

**— ბიძინა ივანიშვილის მიერ მაჟორიტარების განაწილების საკითხმა საზოგადოების არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია — ზოგის უკმაყოფილება, ზოგის გაკვირვება. გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც „ქართული ოცნება“ პოლიტიკური სტრატეგიის უქონლობაშიც კი დაადანაშაულეს. პირადად თქვენ რა ნიშნით შეგარჩიათ კოალიციამ წყალტუბოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად?**

— როგორც ვიცი, კოალიციაში, წყალტუბოს მაჟორიტად სხვა კანდიდატებსაც განიხილავდნენ, მაგრამ, ალბათ, გარკვეული პარამეტრებით, ჩემი კანდიდატურა ყველაზე მისაღები აღმოჩნდა.

**— თქვენ წარმოშობით არ ხართ წყალტუბოდან, რამდენად კარგად იცნობთ აღნიშნულ რაიონს და, გამარჯვების შემთხვევაში, პირველ რიგში რა პრობლემებს გადაწყვეტთ?**

— მე წყალტუბოში დევნილების საკითხთან დაკავშირებით ხშირად ჩავდიოდი. წყალტუბოს რაიონი ჩემთვის უცხო არაა და აქედან გამომდინარე, ვიცი, რა პრობლემები აწუხებს ადგილობრივ მოსახლეობას. რამდენიმე უმთავრეს პრობლემას გამოვყოფ. წყალტუბო მაინც სპეციფიკური რაიონია, ვინაიდან საკურორტო-ტურისტული ზონაა, ამიტომ იქ საბჭოთა კავშირის დროინდელი სანატორიუმებია, რომელთა პრივატიზებაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ უსამართლოდ განახორციელა. ჩემი ინიციატივა იქნება, განვიხილოთ აღნიშნული საკითხი და ჩავშალო ყველა ის ელიტური, კორუფციული გარიგება, რომელიც მკაფიოდ გამოხატულია წყალტუბოში და არსებული რესურსები წყალტუბოს მოსახლეობას დავუბრუნო, ვინაიდან ხალხმა მიიღოს მოგება და არა ერთმა მუჭა ელიტურ კორუფციაში გაწევრიანებულმა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა.

**ის, რომ წყალტუბოდან არ ვარ წარმოშობით, კარგიცაა, ალბათ, და ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც მე დამასახელეს მაჟორიტარობის კანდიდატად. მართალია, ღირსეულია ყველა ის კანდიდატი, რომლებიც დღეს მშობლიურ რაიონებში სახელდებიან, მაგრამ მე უფრო იოლად გავუმკლავდები გამოწვევებს და ერთი ხელის მოსმით შევძლებ არსებული კლანური მანკიერი პოლიტიკის განადგურებას, რადგან წყალტუბოში ვერც ერთი ნათესავი ვერ მომადგება და ვერაფერს მთხოვს.**

მეორე პრობლემაა სოფლის მეურნეობის პროდუქციის გატანა რუსულ ბაზარზე. წყალტუბოში დღესაც მოჰყავთ სახელგანთქმული იმერული მწვანილი, რომელიც გააქვთ რუსულ ბაზარზე, მაგრამ ეს ხდება აზერბაიჯანის გავლით.

**— თქვენ რას შეცვლით ამ მხრივ?**

— მოგეხსენებათ, ბიძინა ივანიშვილმა უკვე ისაუბრა ამ საკითხზე და გარანტია მოგვცა, რომ არამარტო წყალტუბოსთვის, მთელი საქართველოსთვის გაიხსნება რუსული ბაზარი, სადაც გავა ქართული მინერალური წყლები, ქართული ღვინო, სოფლის მეურნეობის პროდუქცია. ამის გარანტიას ზაქარეიშვილი კი აღარ იძლევა, არამედ ივანიშვილი. თუ ჩვენ მოვახერხებთ რუსული ბაზრის გახსნას, უკვე სხვა ქვეყნების გავლით აღარ დაგვჭირდება პროდუქციის რეალიზაცია. გაიხსნება გზები აფხაზეთის, ცხინვალის მიმართულებით... ივანიშვილმა ერგნეთის ბაზრობის აღდგენაც ახსენა. ხელი შეეწყობა რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის სწრაფ და იაფ რეალიზაციას.

კიდევ ერთი პრობლემა, ეს არის ნამოხვანჰესის მშენებლობის საკითხი. ხელისუფლება ნამოხვანის ჰესების კასკადის აშენებას აპირებს. საქართველოს მთავრობაზე ჭკვიანები გამოდგნენ თურქი და სამხრეთკორეელი ინვესტორები, მათ უარი თქვეს ნამოხვანჰესის მშენებლობაზე, მაგრამ საქართველოს მთავრობა მაინც აგრძელებს ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკას. ამიტომ ჩემი ამოცანაა, ქართველ ექსპერტებთან ერთად, პირველ რიგში, დავასაბუთო რამდენად აუცილებელია ნამოხვანჰესის მშენებლობა და, თუ მაინც გარდაუვალი და აუცილებელია, დავიცვა წყალტუბოს მცხოვრებლების უფლებები: **ჰესების აშენების შედეგად შეიძლება ახლომახლო ტერიტორიები დაიტბოროს, ამიტომ მოსახლეობისთვის კომპენსაციებზე უნდა ვიზრუნოთ.**

ამას გარდა, აუცილებელია სანატორიუმების გარემონტება, მათი სასტუმროებად გადაქცევა და რეალური ტენდერების საშუალებით კანონიერი მესაკუთრეებისთვის გადაცემა, ოღონდ მხოლოდ მას შემდეგ, რაც დევნილები დაკმაყოფილებულნი იქნებიან საცხოვრებელი ფართით და არა ისე, როგორც ამას დღეს სააკაშვილი სამარცხვინოდ აკეთებს — ხახაში ჩაუგდო მესაკუთრეებს დევნილები და ისინიც, როგორც უნდათ, ისე იქცევიან. აუცილებელია იმ დევნილებისთვის, რომლებიც სანატორიუმებში არიან ჩასახლებულნი, შესაბამისი საცხოვრებელი ფართების დაკანონება. **ჩვენ დავიცავთ დევნილების უფლებებს და ხელს შევუწყობთ ინვესტორს და მესაკუთრეს, თავისი ბიზნესი განავითაროს.**



პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთვის ალექსანდრე ჭაჭიას მიერ ზუგდიდში დადგმული ერთადერთი ძეგლი

**— „ქართული ოცნების“ ლიდერები აცხადებენ, რომ არჩევნების გაყალბების შემთხვევაში ქუჩის აქციების დაწყებასაც არ გამორიცხავენ, რასაც ხელისუფლება, სავარაუდოდ, საკუთარ მომხრებს დაუპირისპირებს. 90-იან წლებშიც ყველაფერი ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების დაპირისპირებით დაიწყო...**

— ნებისმიერ რევოლუციას, დაპირისპირებას, ნებისმიერ სეპარატიზმსა თუ არასახელმწიფოებრივ ქმედებას ხელს უწყობს, როგორც წესი, ცენტრის არასწორი პოლიტიკა. ასე რომ, **პასუხისმგებლობა დაძაბულობაზე, რევოლუციებზე თუ სისხლისღვრაზე ყოველთვის ხელისუფლებას ეკისრება.**

**— გინდათ თქვათ, რომ 90-იან წლებში მომხდარზე ძირითადი პასუხისმგებლობა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას ეკისრება?**

— როგორც უკვე გითხარით, ნებისმიერ რევოლუციას, დაპირისპირებას, ნებისმიერ სეპარატიზმსა თუ არასახელმწიფოებრივ ქმედებას ხელს უწყობს, ცენტრის არასწორი პოლიტიკა და ეს ფორმულირება ყველგან და ყველაზე მუშაობს.

**როგორც კი ივანიშვილი მოვა ხელისუფლებაში, ეს ფორმულა მასზე გავრცელდება, მე ვიქნები ის პირველი ადამიანი, რომელიც იტყვის, რომ, თუ ახლა რამე არეულობა მოხდა, ხელისუფლების ბრალი იქნება-თქო. ნებისმიერ დაძაბულობაზე პასუხისმგებელია ხელისუფლება, რადგან მის ხელშია არმია, პოლიცია და ყველა ის რეპრესიული რესურსი, რომელიც მან ქვეყნის საკეთილდღეოდ უნდა გამოიყენოს და არა საზოგადოების საწინააღმდეგოდ.**

ამიტომ, თუ ვინმეს სჭირდება არეულობა, დაფიქრდეს, სანამდე შეიძლება მივიდეს მისი სიჯიუტე, შეხედოს კადაფის, მუბარაქის, ჩაუშესკუს ისტორიას... რომლითაც კარგად ჩანს, სანამდე შეიძლება ხელისუფლების სირეგვნემ მიიყვანოს სახელმწიფო. ხალხის ძალა აბსოლუტურად უკონტროლოა, თუ ის უსამართლობას იგრძნობს. ეს ხდებოდა და მოხდება ყოველთვის, თუ ხელისუფლება მოწოდების სიმაღლეზე არ იქნება.

**— თუმცა, ამგვარი მოსაზრებების გამო, ზვიადისტები რეპუბლიკელებს დღესაც „პუტჩისტებად“ მიიჩნევენ...**

— ზოგიერთი, მაგრამ არა ყველა... ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს ჩვენ პოლიტიკურად სწორად ვიბრძოდით. ჩვენ ერთადერთი პატიოსანი პარტია ვიყავით, რომელიც ყველაზე ერთგული იყო გამსახურდიასი. ჩვენ არ ვთვალთმაქცობდით და არ ვპირმოთნეობდით, არამედ ყოველთვის პირდაპირ ვაკრიტიკებდით და ვეუბნებოდით სიმართლეს. იარაღი არ აგვილია და არ გვისროლია, განსხვავებით იმ პირმოთნეებისაგან, რომლებიც პირში ელაქუცებოდნენ და ზურგში კი დანას ურტყამდნენ. „ზვიადისტების“ დიდი ნაწილი ამას ხედავს და აფასებს.

**— თბილისში არის ჯორჯ ბუშის ქუჩა, რონალდ რეიგანის ძეგლი, ზვიად გამსახურდიას ბიუსტი კი მხოლოდ ზუგდიდშია. ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში დაუდგამთ თუ არა დედაქალაქში საქართველოს პირველ პრეზიდენტს ძეგლს?**

— ზვიად გამსახურდიასთვის ძეგლის დადგმა-არდადგმის საკითხი ადგილობრივი თვითმმართველობის საქმეა და არა ზაქარეიშვილის. ძეგლები სულ არ არის ჩემი სფერო და ის საკითხი, რაც მე მაღელვებს...

**— თავის დროზე, რესპუბლიკელები სასულიერო პირთა პოლიტიკურ აქტივობას არ მიესალმებოდით, მაგალითად, მამა ბასილ მკალავიშვილის აქტიურობას და აქციებზე გამოჩენას უარყოფითად აფასებდით, სასულიერო პირები თქვენს ახლანდელ აქციებზეც აქტიურობენ... რას ფიქრობთ დღეს?**

— ჩვენ თუ ბასილ მკალავიშვილს ვებრძოდით, მხოლოდ იმიტომ, რომ ის არბევდა და ფიზიკურად სასტიკად უსწორდებოდა სხვა რელიგიების წარმომადგენლებს... ჩემი აზრით, ეკლესიამ არ უნდა დაიჭიროს რომელიმე პოლიტიკური ძალის მხარე, არ უნდა მიუთითოს ხალხს, ხმა ვის მისცენ...

**— ზვიად გამსახურდია, ედუარდ შევარდნაძე, მიხეილ სააკაშვილი... ამ პრეზიდენტიდან რომელი იყო დემოკრატიული მმართველი?**

— არც ზვიად გამსახურდიას, არც ედუარდ შევარდნაძის და არც მიხეილ სააკაშვილის დროს დემოკრატია არ ყოფილა. დემოკრატია ან არის, ან არ არის. სანახევროდ დემოკრატია არ არსებობს.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

## პაატა ზაქარეიშვილი: ეკლესიამ არ უნდა დაიჭიროს რომელიმე პოლიტიკური ძალის მხარე, არ უნდა მიუთითოს ხალხს, ხმა ვის მისცეს...

ვერსია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არაოფიციალური ინფორმაციით, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ბრძანების საფუძველზე, ამ 3 ჰექტარი მიწიდან 7 ჩინოვნიკს 2-2 ათასი კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი გადაეცათ სიმბოლურ ფასად — 1 ლარად. სავარაუდოდ, ერთგულებისა და გაწეული სამსახურისთვის სააკაშვილმა ამ ჯერზე დაასაჩუქრა — ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, ვერა ქობალია, ნიკა გილაური, რამაზ ნიკოლეიშვილი, ბაჩო ახალაია და დიმიტრი შაშკინი.**

# ბურჯანაძის ექსაგარაკის თავზე ქობალიას დროშა ფრიალებს?

**როგორც „საქართველო და მსოფლიოსთვის“ გახდა ცნობილი, შვიდი მაღალი რანგის ჩინოვნიკი ნინო ბურჯანაძის ყოფილი აგარაკის ტერიტორიას ეპოტინება. შეგახსენებთ: ეს ის აგარაკია წყნეთში, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა ნინო ბურჯანაძეს ჯერ აჩუქა და მერე, როცა ბურჯანაძე ხელისუფლებას დაუპირისპირდა, წაართვა.**





2008 წელს მიხეილ სააკაშვილმა საპრეზიდენტო უფლებამოსილება გამოიყენა და პარლამენტის უკვე ყოფილ თავმჯდომარეს — ნინო ბურჯანაძეს სიმბოლურ ფასად, 1 ლარად, „მიჰყიდა“ დაბა წყნეთში, სამთავრობო-საგარაკო ზონაში მდებარე აგარაკი. ეს მაშინ მოხდა, როცა ბურჯანაძემ, მიზეზთა გამო, უარი განაცხადა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სიას სათავეში ჩასდგომოდა და სამთავრობო გუნდს განუდგა. მაშინ მედიით გავრცელდა ინფორმაცია, რომ **სააკაშვილმა აგარაკი ბურჯანაძეს იმ პირობით აჩუქა, რომ ის ოპოზიციაში არ წავიდოდა. მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ ეს ვერსია გაამყარა და მეტად სარწმუნო გახადა.**

მოგვიანებით ნინო ბურჯანაძე ოპოზიციაში გადავიდა და პარტიაც დააფუძნა. სწორედ ამის შემდეგ ამოატივტივა აქტიურად ხელისუფლებამ წყნეთის აგარაკის თემა. მაშინ გაცხადდა, რომ 1 ლარად მიყიდული, ანუ ნაჩუქარი აგარაკის რეალური ღირებულება ათ მილიონ ლარზე მეტი იყო. **ნაჩუქარი აგარაკი მიშამ ნინოს იმ საბაბით წაართვა, რომ ამ უკანასკნელმა ეკონომიკის სამინისტროს მიერ დათქმულ ვადებში ამ აგარაკის ქონების გადასახადი არ გადაიხადა.**

ეკონომიკის სამინისტრომ დაიანგარიშა და, ქონების გადასახადის გარდა, ჯარიმა და საურავებიც დააკისრა ბურჯანაძეს. ცხადია, სასამართლომ გაიზიარა სამინისტროს მოთხოვნა და ბურჯანაძეს 1,5 მილიონი ლარის გადახდა მოსთხოვა. მანამდე კი აგარაკი დაუყადაღეს.

ნინო ბურჯანაძემ ორი სარჩელი შეიტანა სასამართლოში — ერთით ჯარიმა-საურავების წარმოშობის უკანონობას აპროტესტებდა, მეორეთი — აგარაკის უკანონოდ დაყადაღებას. მაგრამ ხელისუფლება არც ერთი სასამართლო პროცესის დასრულებას არ დალოდებია — პარლამენტის ექსსპიკერს აგარაკი ჩამოართვა და აუქციონზე გაიტანა. **ეკონომიკის სამინისტრომ აგარაკი 11 მილიონ 499 249 ლარად შეაფასა. ეს საწყისი სააუქციონო ფასი იყო, თორემ წყნეთში პრესტიჟულ ადგილზე მდებარე ეს სახლი თავისი მიწით (31.696 კვ.მ) გაცილებით მეტი ღირს. აგარაკის შენობა-ნაგებობებს თავი რომ დავანებოთ, მხოლოდ 1 კვ. მიწის ფასი, სულ მცირე, 200-250 დოლარია. მინიმალური — 200 დოლარიც რომ ავიღოთ, გამოდის, მარტო მიწა 6 მილიონ 339.200 დოლარი ღირს.**

ეკონომიკის სამინისტრომ „ბურჯანაძის აგარაკი“ ორჯერ გაიტანა აუქციონზე, მაგრამ მყიდველი „არ გამოჩნდა“. სინამდვილეში კი აგარაკს ახლოს არავინ გააკარეს და, კანონის თანახმად, ის სახელმწიფოს დაუბრუნდა.

**ამ აგარაკის ისტორიის პირველი ეტაპი იმით დასრულდა, რომ იქ წყნეთის ჰამლეტ გონაშვილის სახელობის 29-ე სახელოვნებო სკოლა შეასახლეს.** მაშინ სახელისუფლო ტელეარხებმა დიდი ქოთქოთიც ატეხეს — ბურჯანაძისთვის წართმეული აგარაკი ხელოვნების სკოლას გადაეცა და აწი ნახეთ წყნეთში ცეკვა-თამაშის, სიმღერისა და ძერწვა-ხატვის განვითარებაო.

კი, წყნეთის სახელოვნებო სკოლის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა დაისვენეს, ადრე მომცრო შენობაში იყვნენ შეყუჟულნი, მაგრამ არც მათთვის ნდომებია ხელისუფლებას ეს აგარაკი და ტე- ▶

**მიწის ფართობი 7 სამოსახლოდ არის დაყოფილი, ყველა თავის ნაკვეთში უკვე იშენებს სახლს. 6 მათგანი (გილაური, ადეიშვილი, შაშკინი, ქობალია, ახალაია, ნიკოლეიშვილი) ერთნაირი პროექტით ერთნაირ სახლებს იშენებს, მეშვიდე სახლი კი განსხვავებული პროექტით შენდება — ვანო მერაბიშვილი, ეტყობა, ამ ჟესტითაც უფიქსირებს თავის კოლეგებს, რომ ის არის «დირექტორი»**




## თანამედროვე ქალები მამაკაცებს ინტელექტით უსწრებენ

**ახალზელანდიელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ თანამედროვე ქალები მამაკაცებზე ჭკვიანები არიან. ასეთი დასკვნა მეცნიერებმა IQ-ს ტესტების მიხედვით გამოიტანეს.** როგორც ოტაგოს უნივერსიტეტის მეცნიერმა ჯეიმს ფლინმა განაცხადა, თანამედროვე მსოფლიოში ქალების IQ მამაკაცებისას გაუტოლდა, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში (მათ შორის აშშ-ში, ახალ ზელანდიაში, კანადასა და ევროპის ქვეყნებში) — გაასწრო კიდეც. ჯეიმს ფლინი სხვადასხვა ქვეყანაში ინტელექტის განვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემებს იკვლევს. პროფესორ ფელინის განცხადებით, ბოლო 100 წლის განმავლობაში ინტელექტის განვითარების სიჩქარე ორივე სქესში გაიზარდა, თუმცა ქალები მამაკაცებს მაინც უსწრებენ. ექსპერტების თქმით, ქალის გონებრივი განვითარების ზრდა სამსახურისა და ოჯახის საქმეების შეთავსების შედეგია. მათი განმარტებით, სუსტი სქესის წარმომადგენელთა ტვინი ასეთ რეჟიმში უკეთესად მუშაობს და ვითარდება.





**მერაბიშვილის ხალხი შს სამინისტროდან ორ დღეში ერთხელ მოდიან და ამოწმებენ მშენებლობის პროცესს. ამავე სამინისტროს თანამშრომლები მორიგეობენ სამშენებლო ტერიტორიაზე. მშენებლობას კი აწარმოებს ერთ-ერთი კომპანია, რომელიც ქუთაისის პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის დამხმარე ნაგებობების მშენებლობით არის ამჟამად დაკავებული.**

ვერსია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფშორული სპეცფონდიდან წყნეთში ექვსი აგარაკის მშენებლობა ფინანსდება



**ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა პრეზიდენტის საჩუქარი — 2000 კვ.მ მიწის ნაკვეთი კი მიიღო, მაგრამ ვანო მერაბიშვილისთვის კატეგორიული უარი უთქვამს, შსს-ს სპეცფონდიდან დაფინანსებულიყო მშენებლობა. გილაური საკუთარი სახსრებით იშენებს სახლს.**

◀ რიტორია. აგარაკს ჯერ-ჯერობით არავინ ერჩის, მაგრამ მისი მიმდებარე ტერიტორია მაღალჩინოსნებმა უკვე დაინაწილეს.

**არაოფიციალური ინფორმაციით, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ბრძანების საფუძველზე, ამ 3 ჰექტარი მიწიდან 7 ჩინოვნიკს 2-2 ათასი კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი გადაეცათ სიმბოლურ ფასად — 1 ლარად. სავარაუდოდ, ერთგულებისა და გაწეული სამსახურისთვის სააკაშვილმა ამ ჯერზე დაასაჩუქრა — ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, ვერა ქობალია, ნიკა გილაური, რამაზ ნიკოლეიშვილი, ბაჩო ახალაია და დიმიტრი შაშკინი.** 1 კვ. მეტრი მიწა კვლავ მინიმალურ ფასად — 200 დოლარად რომ ვიანგარიშოთ, გამოდის, რომ თითოეული თანაგუნდელისთვის მიშას 400 ათასი ლარის ქონება უჩუქებია. ასეა, ძვირად ფასობს პრეზიდენტის ერთგულება და მისი ვნება-ახირების უსიტყვოდ ასრულება! საერთო ჯამში, **„შესანიშნავ შვიდეულს“ სააკაშვილმა 14000 კვ. მეტრი მიწა, ანუ 2 მილიონ 800 ათასი ლარის ქონება აჩუქა.**

ამჟამად, ეს 14000 კვ.მ მიწის ფართობი 7 სამოსახლოდ არის დაყოფილი, ყველა თავის ნაკვეთში უკვე იშენებს სახლს. 6 მათგანი (გილაური, ადეიშვილი, შაშკინი, ქობალია, ახალაია, ნიკოლეიშვილი) ერთნაირი პროექტით, ერთნაირ სახლებს იშენებს, მეშვიდე სახლი კი განსხვავებული პროექტით შენდება — ვანო მერაბიშვილი, ეტყობა, ამ ჟესტითაც უფიქსირებს თავის კოლეგებს, რომ ის არის „დირექტორი“. ერთი შეხედვით, დიდი არაფერია — ვანოს სახლი დანარჩენებზე ცოტათი დიდი იქნება, მაგრამ მთავარია, რომ მაინც დიდი იქნება.

წყაროს ინფორმაციით, ნიკა გილაურის სახლის გარდა, ექვსივე სახლი შს სამინისტროს ერთ-ერთი სპეციალური ფონდიდან ფინანსდება, რომელიც ოფშორულ ზონაშია რეგისტრირებული. **მერაბიშვილის ხალხი შს სამინისტროდან ორ დღეში ერთხელ მოდიან და ამოწმებენ მშენებლობის პროცესს. ამავე სამინისტროს თანამშრომლები მორიგეობენ სამშენებლო ტერიტორიაზე.** მშენებლობას კი აწარმოებს ერთ-ერთი კომპანია, რომელიც ქუთაისის პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის დამხმარე ნაგებობების მშენებლობით არის ამჟამად დაკავებული.

**ნიკა გილაურის სახლს რაც შეეხება: წყარო აცხადებს, რომ ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა პრეზიდენტის საჩუქარი — 2000 კვ.მ მიწის ნაკვეთი კი მიიღო, მაგრამ ვანო მერაბიშვილისთვის კატეგორიული უარი უთქვამს, შსს-ს სპეცფონდიდან დაფინანსებულიყო მშენებლობა. გილაური საკუთარი სახსრებით იშენებს სახლს.**

ხაზგასასმელია, რომ სამთავრობო აგარაკის მომიჯნავე ტერიტორია (ადრე სამთავრობო-საგარაკო ზონას ეკუთვნოდა, ვიდრე ბურჯანაძეს გადასცემდნენ), სადაც სახლები შენდება, უსაფრთხოების თვალსაზრისით, იდეალურია. მართალია, ახლა ის „სამთავრობო ზონას“ არ ეკუთვნის და არც სამთავრობო დაცვაა ვალდებული, ეს ტერიტორია დაიცვას, მაგრამ მისდაუნებურად გარე პერიმეტრს მაინც იცავს. ეს 3 ჰექტარი თავისი ხელოვნების სკოლით იმ პერიმეტრს ეკუთვნის, რომელსაც სამთავრობო დაცვა აკონტროლებს. მართალია, ტერიტორიის შიგნით არ შედიან, მაგრამ მის სიახლოვეს ნებისმიერი საეჭვო პიროვნებების, მოვლენის დაფიქსირებისას რეაგირებენ, რათა დასაცავ ობიექტებს (ასეთი კი მრავლადაა „სამთავრობო ზონაში“) საფრთხე აარიდონ. ცხადია, არაოფიციალურად აფიქსირებენ ამ ტერიტორიაზე ნებისმიერ მიმსვლელს, ფეხით იქნება თუ ავტომობილით. და ასე იქნება, ვიდრე ეს „სამთავრობო ზონა“ იარსებებს. მოკლედ, **შვიდეულს შეუძლია, როცა თანამდებობაზე აღარ იქნებიან, დაცვაც კი არ აიყვანონ საკუთარი ეზო-კარის დასაცავად, მათ ისედაც დაიცავს სამთავრობო დაცვის სამსახური.**

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, იმ სამინისტროების პრესსამსახურებთან დაკავშირება ვცადეთ, რომელთა ხელმძღვანელებსაც, არაოფიციალური ინფორმაციით, მიწის ნაკვეთები აჩუქეს. ჩვენ ზარს მხოლოდ ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტროს პრესცენტრის უფროსმა **თეა ბოლქვაძემ** უპასუხა: **„ჩვენი მინისტრი წყნეთში არც თქვენ მიერ ნახსენებ ტერიტორიაზე და არც სხვა ადგილას არ იშენებს სახლს“.**

თავდაცვის პრესსამსახურის თანამშრომელმა ეკა ჭუმბურიძემ ჩვენს ზარებს არ უპასუხა. მობილური ტელეფონი გათიშული ჰქონდა მის უფროსს — სალომე მახარაძეს. ასევე ტელეფონები გათიშული ჰქონდათ ინფრასტრუქტურისა და შს სამინისტროს პრესსამსახურის უფროსებს — მაია სიხარულიძესა და ზურაბ გვენეტაძეს. თუმცა მოგვიანებით შოთა ხიზანიშვილმა, ბოლქვაძის მგავსად, უარყო ბაჩო ახალაიას მიერ წყნეთში აგარაკის მშენებლობის ფაქტი. რაც შეეხება ნიკა გილაურს, მორიგი საკადრო კარუსელის შემდეგ მის ასავალ-დასავალს ვერ მივაგენით.

**ჯაბა ლეონიძე**

## ჰოლანდიაში ქვაფენილის დასაგები მანქანა გამოიგონეს

**Vanku BV-ს ინჟინრებმა გამოიგონეს მანქანა, რომელიც თავად ალაგებს ბილიკზე ქვაფენილის კონსტრუქციას. მანქანას Tiger Stone-ი ჰქვია.** ის მთლიანად ავტომატური არ არის, თუმცა ქვაფენილის დაგების პროცესს გაცილებით ამარტივებს. Tiger Stone-ს 2 ან 3-კაციანი ჯგუფი სჭირდება, რომლებიც მას შესაბამისი მასალით „დატენიან“. მანქანის დახმარებით დღეში 300 კვადრატული მეტრი ქვაფენილის დაგებაა შესაძლებელი. Tiger Stone-ის მოქმედების მექანიზმი რთული არ არის. მას ერთი დიდი მიმღები უჯრა აქვს, რომელშიც მუშები ქვებს აწყობენ. ქვები მანქანაში ისეთი წყობით უნდა ჩალაგდეს, როგორი ფორმისაც გვინდა იყოს ქვაფენილი. Tiger Stone-ი საკმაოდ ნელა მოძრაობს. წუთში მას მხოლოდ 2 მეტრი ქვაფენილის დაგება შეუძლია. მოძრაობის დროს მანქანიდან დაწყობილი ქვები ნელა გადმოდიან, შესაბამისად მის შემდეგ გზაზე უკვე გამზადებული ქვაფენილი რჩება. იმისათვის, რომ მანქანა გზას არ ასცდეს, თიგერ Stone-ს სპეციალური სენსორი აქვს დამონტაჟებული. ქვაფენილის მაქსიმალური სიგანე 6 მეტრია.



ავი მესაიფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

უბრალო მოკვდავნი პოლიტიკაში არჩევნებზე ან საპროტესტო აქციებზე მისვლა-არმისვლით ერევიან და ახდენენ გავლენას, რადგან მათ მეტი არც მოეთხოვებათ, მაგრამ მათ, ვისაც მეტი ტალანტი ებოძა, მეტიც მოეთხოვება ღვთისა და ერის წინაშე — ეს უმარტივესი ბიბლიური ჭეშმარიტებაა... ამიტომ არის საზოგადოებისთვის მტკივნეული და ზოგჯერ გაუგებარიც მავანთა „ოქროს დუმილი“.

# «გული როგორ არ გერევა მაგასთან ჯდომა-ყოფნითა?!»

*(ვაჟა-ფშაველა)*

**პოლიტიკა არ მაინტერესებს, პოლიტიკაში არ ვერევი, ან მთლად „უკეთესი“: პოლიტიკა არ მესმის, არ ვიცი; ანდა ყველაზე „შეუვალი“ არგუმენტი: ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს და სხვა მრავალი მსგავსი „მარგალიტები“ ხშირად გაგვიგონია იმ ხალხის არც თუ მცირე ნაწილისგან, რომელიც დამსახურებული პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობს ყოფნა-არყოფნის ზღვარზე მყოფ საქართველოში.**







აქედან გამომდინარე, საზოგადოება მტკივნეულად განიცდის საკუთარი პატივისა და სიყვარულის ადრესატთაგან ამა თუ იმ, საზოგადოებისთვის მტკივნეული თემების მიმართ, უკეთეს შემთხვევაში, დუმილის გამართლების მცდელობას ზემოთ ჩამოთვლილი უსუსური არგუმენტებით.

**დიახაც, მტკივნეულად განვიცდით, რადგან ინტუიტიურად ვხვდებით, რომ ასეთ დროს დუმილი ოქრო ნამდვილად არ არის, ასეთ დუმილს აშკარა კომფორმიზმის სურნელი დაჰკრავს.**

თუმცა მავანთა „უწყინარ“ დუმილთან დაკავშირებით, გაცილებით მძიმე შემთხვევების გახსენებაც შეიძლება...

მერაბ სეფაშვილი — ახლო წარსულში ქართველთა უსაყვარლესი მომღერალი... როგორ მოიჭრა ამ კაცმა თავი და მყისიერად დაკარგა ის, რაც კი შეიძლება ჰქონდეს ხელოვანს უძვირფასესი — მშობელი ხალხის სიყვარული, როდესაც სააკაშვილს წინასაარჩევნოდ **„ჩემი გმირი გიწოდე“** უმღერა, ესეც კარგად გვახსოვს და ისიც, მოგვიანებით როგორ ცდილობდა „საკანი №5“-ში პატარა გრეჩიხასთან თავის მართლებას ზემოთ აღნიშნული „არგუმენტებით“ — **პოლიტიკა არ მაინტერესებს, პოლიტიკაში არ ვერევი, ან მთლად „უკეთესი“: პოლიტიკა არ მესმის...**

მაგრამ თავი დავანებოთ ბატონ მერაბს, „მისი გაჭირვება ეყოფა საწყალს“, უფრო სწორად საწყლებს, რადგანაც, მერაბის გარდა, სხვებიც ბევრნი არიან, ვისაც მომავალში იქნებ შეუნდოს კიდეც საზოგადოებამ, რბილად თუ ვიტყვით, უსაქციელობა, მაგრამ, ყირაზეც რომ დადგნენ მერაბ სეფაშვილი თუ ბუბა კიკაბიძე (დანარჩენები მკითხველმა დაამატოს თავისი გემოვნებით), ველარასოდეს დაიბრუნებენ მშობელი ხალხის ძველებურ სიყვარულსა და პატივისცემას...

ახლა უფრო სიღრმისეულად განვიხილოთ, თუ რას ნიშნავს „პოლიტიკაში არ ვერევი“ და აქედან გამომდინარე — „ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს“. ამისთვის ჯერ უცხო სიტყვათა ლექსიკონი გადავშალოთ...

**პოლიტიკა** არის **„მოქმედება რისამე მისაღწევად; სხვა ადამიანებთან ურთიერთობა, დამოკიდებულება“**... და ცნობისათვის, თავის გასამართლებლად არავის არ გამოადგება არგუმენტი — „პოლიტიკაში არ ვერევი“ — ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს, რადგან „არ ჩარევა“ უკვე პოლიტიკაა!

უბრალო მოკვდავნი პოლიტიკაში არჩევნებზე ან საპროტესტო აქციებზე მისვლა-არმისვლით ერევიან და ახდენენ გავლენას, რადგან მათ მეტი არც მოეთხოვებათ, მაგრამ **მათ, ვისაც მეტი ტალანტი ებოძა, მეტიც მოეთხოვება ღვთისა და ერის წინაშე — ეს უმარტივესი ბიბლიური ჭეშმარიტებაა...**

ამიტომ არის საზოგადოებისთვის მტკივნეული და ზოგჯერ გაუგებარიც მავანთა „ოქროს დუმილი“. ამიტომაც საზოგადოება ყოველთვის სიხარულით იღებს მისი გამორჩეული წევრების მიერ საზოგადოებრივად აქტიური პოზიციების დაფიქსირებას მაშინ, როდესაც მამულს უჭირს!

**რა დასამალია და ამ ხალხში, პირველ რიგში, ე. წ. შემოქმედებითი ინტელიგენცია იგულისხმებოდა ყოველთვის ილია, აკაკი, ვაჟა, მოგვიანებით — მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ რობაქიძე, პავლე ინგოროყვა, „ცისფერყანწელები“ და აგერ „სულ ახლახან“ — ირაკლი აბაშიძე, ნოდარ დუმბაძე და სხვა მრავალნი, რომლებსაც სრულად ვერავინ დათვლის — ზოგი დიდია, ზოგიც — შედარებით პატარა, მაგრამ მათ ის აერთიანებდათ, რასაც დიდმა ილიამ „ერის წყლული მაჩნდეს წყლულად“ უწოდა.**

**არა, მიტინგებზე «ჯოს, ჯოს» სკანდირებას არავინ მოითხოვს — ერთადერთი, რასაც თქვენგან და თქვენისთანებისგან მოელის ქართველობა, ის არის, რომ საჯაროდ დაარქვათ ყველაფერს თავისი სახელი, ანუ თეთრს — თეთრი და ბოროტებას — ბოროტება!**

ანუ მათთვის საკუთარი დიდი შემოქმედება კი არ იყო მთავარი, ანუ ის, რასაც კომფორმისტებმა „ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს“ უწოდეს, არამედ საზოგადოებრივად, გნებავთ, პოლიტიკურად აქტიური, ერის სატკივარის მიმართ უკომპრომისო ცხოვრება!

და სწორედ იმის გამო, რომ ის ბუმბერაზები საკუთარი გენიალური ნაწარმოებების გმირებივით ცდილობდნენ ეცხოვრათ, მათმა შემოქმედებამ დამატებითი (თუ ასეთი რამ შესაძლებელია) მიმზიდველი ფერები შეიძინა, ხოლო სხვები, ანუ კონფორმისტები თავიანთი "არ ჩარევის" პოლიტიკით დროების ეშაფოტს ვერ გადაურჩნენ...

თუმცა რაღა შორს მივდივართ, აგერ არა გვყავს ზემოთქმულის ცოცხალი მაგალითი — დიდი ჭაბუა ამირეჯიბი, რომელიც ღრმად მოხუცებულობის გამო, დიდი ხანია, ხმას ველარ იღებს, ამ სიტყვის ფიზიკური მნიშვნელობით; ხორციელადაც დაუძლურდა „დათა თუთაშხიას“ ავტორი, მაგრამ მისი ცინცხალი გონება ძველებურად აზროვნებს და ამიტომ მისი „დუმილი რეკავს“ მისსავე წერილობით პოლიტიკურ განცხადებებში.

კახი კალაძე ლამის ერთადერთი კაცი აღმოჩნდა თანამედროვე ქართულ ფეხბურთში, რომელმაც თავის დროზე ჯერ გირგვლიანის თემაზე დაუსვა უხერხული შეკითხვა პრეზიდენტ სააკაშვილს, შემდეგ ვაჟკაცურად დაუჭირა მხარი გიორგი დემეტრაძეს და აგერ ახლა „ქართულ ოცნებაში“, რომ იტყვიან, ცეცხლის ხაზზე დგას!

სამაგიეროდ მისი თანაგუნდელი ძმები არველაძეები, რომლებსაც კახიზე არანაკლები მიეცათ ღვთისაგან (ტიტულებს კი არა, ცნობადობას და აქედან გამომდინარე, გარკვეულწილად დაცულობას ვგულისხმობ), მაგრამ წლებია, არა თუ კრინტი ვერ დაუძრავთ რაიმე „ისეთზე“, არამედ მიშავიზიების „ცხოვრება მშვენიერიას“ ტიპის შოუების ლამის უცვლელი მონაწილენი არიან. ამასწინათ ეკა ხოფერიას შოუში დასმულ კითხვაზე — რა გაღიზიანებთ დღევანდელ საქართველოში? — აჩიმ უწესრიგოდ მოსიარულე მძღოლების გარდა სხვა გამაღიზიანებელი ვერაფერი გაიხსენა. **„Разве это нормально“?!**

**საზოგადოება ყოველთვის სიხარულით იღებს მისი გამორჩეული წევრების მიერ საზოგადოებრივად აქტიური პოზიციების დაფიქსირებას მაშინ, როდესაც მამულს უჭირს!**

ეს იმის საილუსტრაციოდ, რომ საზოგადოების მეტ-ნაკლებად ელიტურ ფენებში ჯერ კიდევ საკმაოდ არიან უზნეო კომფორმისტები, რომლებიც „ოქროს დუმილით“ გატრუნულნი, „ყველა თავის საქმეს აკეთებს!

ამას წინათ აგორდა ხმები, რომ პაატა ბურჭულაძე „ნაცების“ საარჩევნო სიის პირველ ნომრად განიხილებაო და ისიც, რომ ბიძინა ივანიშვილი და პირველი ბანი, როგორც იქნა, შეხვდნენ ერთმანეთს, რის შემდეგაც ერთობლივ კომენტარში აღნიშნეს, რომ პაატა პოლიტიკაში არ ერევა, რამაც, მართალია, ზემოთქმულიდან გამომდინარე, „ყური კი მომჭრა“, მაგრამ...

ჰოდა, ახლახან მერეთში გამართული ცემა-ტყეპის შემდეგ, სვეტიცხოველში ლამის ჩახუტებულები ვიხილეთ პაატა და მიშიკო, რამაც საზოგადოების ნაწილის გაღიზიანება გამოიწვია...

ახლა ვინმე შემომედავება: რა ექნა, ტაძარში ტლინკების სროლას ხომ არ დაიწყებდაო?! მაგრამ, სურვილის შემთხვევაში, ალბათ, არ გაუჭირდებოდა დიდ მაესტროს იმ „ვიზუალური უხერხულობის“ აღკვეთა, რომელმაც ასე გააღიზიანა ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ბატონო პაატა! დიდებულია თქვენი „იავნანას“ ქველმოქმედება, მაგრამ დღეს, საქართველოს ყოფნა-არყოფნის ჟამს, მხოლოდ ქველმოქმედება საკმარისი არ არის, რისი დასტურიც ბიძინას მოულოდნელად პოლიტიკაში მოსვლაცაა.

**სწორედ იმიტომ, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბევრი ტალანტი გიბოძათ გამჩენმა, ბევრად მეტს მოელის თქვენგან საქართველო.**

არა, მიტინგებზე „ჯოს, ჯოს“ სკანდირებას არავინ მოითხოვს — ერთადერთი, რასაც თქვენგან და თქვენისთანებისგან მოელის ქართველობა, ის არის, რომ საჯაროდ დაარქვათ ყველაფერს თავისი სახელი, ანუ თეთრს — თეთრი და ბოროტებას — ბოროტება!

დღეს ეს უფრო სჭირდება საქართველოს, რადგან დღეს ეს არის მთავარი ქველმოქმედებაც და ზემოქმედებაც. ნამდვილად არ მინდა, რომ თქვენც იმათ რიგებში აღმოჩნდეთ, ვინც მხოლოდ „თავის საქმეს აკეთებს“...

**დავით მხეიძე**

## საფრანგეთი ნატოსთან ურთიერთობებს გადახედავს

**საფრანგეთი ნატოსთან ურთიერთობების გადახედვას გეგმავს. ქვეყნის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრ იუბერ ვედრინს შესაბამისი დავალება უკვე მისცა.** მან ნატოს გაერთიანებული სამხედრო სარდლობის საქმიანობაში რესპუბლიკის როლს უნდა გადახედოს. დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ საფრაგეთისა და ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის თანამშრომლობის შეფასებები, რომელთაც ვედრინი საკუთარ მოხსენებაში აყალიბებს, პარიზს მიიყვანს იქამდე, რომ ის მეორედ მიიღებს გადაწყვეტილებას ნატოს ხელშეკრულების სამხედრო ორგანიზაციებიდან გასვლის შესახებ. საფრანგეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც საფრანგეთისა და აშშ-ის ურთიერთობების მთელ დიაპაზონს განიხილავს, შესაბამის ანგარიშს პრეზიდენტს უკვე ოქტომბრის ბოლოს წარუდგენს.



„**მარტვილელები ხუმრობენ ხოლმე, ადრე გეგეჭკორი დაარქვეს მარტვილს და მალე, ალბათ, გოროზიას ან ახალაიას დაარქმევენო. მარტვილის მოსახლეობა წელშია გაწყვეტილი. ხალხს მასობრივად ართმევენ მიწებს და ჩინელებს აძლევენ. მარტო მე ორი-სამი მაგალითი ვიცი, როცა ადამიანს საჯარო რეესტრში გატარებული, დამტკიცებული მიწა მხოლოდ იმიტომ ჩამოართვეს, რომ ელექტრონულ რეესტრში არ ჰქონდათ გატარებული და ჩინელებს გადაულოცეს ან მათ მაამებელ მარტვილის ეპარქიას დაუმტკიცეს.**“

ინტერვიუ

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## მამა ელიზბარი:

# მეუფე იობს უნდა დაუბრუნდეს ქორეპისკოპოსის ტიტული

**რატომ აკრიტიკებს სინოდის გადაწყვეტილებებს, რატომ მიაჩნია, რომ საეკლესიო ელიტა ფეოდალური ტიპის ახალ კლანად ჩამოყალიბდა და უნდა მონაწილეობდეს თუ არა სასულიერო პირი ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში — ამ და სხვა საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ წმინდა სამების ტაძრის დიაკონი, მამა ელიზბარი (დიაკონიძე) ესაუბრება.**

**— მამაო ელიზბარ, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის შენობასთან გამართულ მეუფე იობის მხარდასაჭერ აქციაში, სხვა სასულიერო პირებთან ერთად, მონაწილეობდით. მაშინ განაცხადეთ, რომ მეუფე იობს საფრთხე ემუქრება. რა საფრთხეზე საუბრობდით?**

— ჯერ კიდევ შარშან ვამბობდი, რომ მეუფეს საფრთხე ემუქრებოდა. მზადდებოდა მეუფე იობის მაკომპრომეტირებელი ვიდეოფირი. მოგეხსენებათ, შარშან, 26 მაისის აქციის შემდეგ, ყინწვისში რამდენიმე პირი დააკავეს, რომელთა შორის ნამდვილად იყო რამდენიმე მოსყიდული, რომლებსაც მეუფე იობის დისკრედიტაცია უნდა მოეხდინათ. მეუფე მობრძანდებოდა თუ არა, უკან იარაღით სავსე მანქანა მოჰყვებოდა, ამას გადაიღებდნენ და აჩვენებდნენ, თითქოს მეუფე ხალხს აიარაღებდა, მაგრამ, მადლობა უფალს, „წმინდა გიორგის სადროშოსა“ და ჩვენი მონარქისტული კავშირის ძალისხმევით, გეგმა ჩაეშალათ. მე პირადად ვეახელი მეუფეს და მოსალოდნელი საფრთხის შესახებ მოვახსენე.

მომიტევოს მეუფემ, რომ მისი ლოცვა-კურთხევის გარეშე ვსაუბრობ ამ ყველაფერზე, მაგრამ ერთი რამ მანუგეშებს — დიდი პიროვნებისა და წესიერების სადარაჯოზე მდგომი მაღალი იერარქის დაცვას ლოცვა-კურთხევა არ სჭირდება. **შევაკვდები და მეუფე იობს ბოლომდე დავიცავ, ვინაიდან მეუფე მართალი კაცია, უსამართლობას ვერ იტანს და მას უნდა გავუფრთხილდეთ. მეუფე იობს უნდა დაუბრუნდეს ქორეპისკოპოსის ტიტული, რომელიც მას უზნეობის ხელშემწყობმა ადამიანებმა წლების წინ ჩამოართვეს, ვინაიდან ის ვერ იტანდა საერო პირთა ეკლესიის საქმეებში უკანონო ჩარევას და წინ აღუდგა მსგავს ქმედებებს.**

**— „თუ ეს ხელისუფლება ოქტომბრის შემდეგაც დარჩება, საქართველო აღარ იარსებებს“, — განაცხადა მეუფე იობმა და ამის გამო საზოგადოების გარკვეული ნაწილის კრიტიკაც დაიმსახურა. მართლაც, რამდენად სწორია, როცა სასულიერო პირი ასე ღიად აფიქსირებს საკუთარ პოლიტიკურ მოსაზრებას?**

— მეუფე იობი მიბრძანდა მცხეთაში აქციაზე და ბიძინა ივანიშვილს ღიად დაუჭირა მხარი. მანამდე რამდენიმე სასულიერო პირი სხვადასხვა აქციაში ვმონაწილეობდით, მაგრამ მაღალი იერარქის გამოჩენა აქციაზე ხელისუფლებისთვის და მისი მხარდამჭერი სინოდის წევრებისთვის უკვე საგანგაშო აღმოჩნდა.

ჩვენი ერის განვითარების პროცესში ქრისტიანობა ნაციონალურ იდეოლოგიად, ეროვნულ მსოფლმხედველობად და ჩვენი ცხოვრების განმსაზღვრელ კონცეფციად იქცა. მართალია, საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს ქართული ეკლესიის დამსახურებას ქვეყნისა და ერის წინაშე, მაგრამ ეს მუხლი მხოლოდ ისტორიულ ფაქტს აღნიშნავს. კონკორდატი ეკლესიას არანაირ პრივილეგიას არ ანიჭებს, პირიქით — მის როლს აკნინებს.

ჩვენი ქვეყნის სასულიერო და საერო ცხოვრება მუდმივად მჭიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული. **გრიგოლ ხანძთელმა მეფე ამხილა, ვახტანგ გორგასალს მაღალმა სასულიერო იერარქმა წიხლი ჩაარტყა, დავით აღმაშენებელმა გიორგი ჭყონდიდელს მინისტრის პორტფელი ჩააბარა. ასე რომ, მეუფე იობი ძველ ტრადიციებზე დაყრდნობით მოქმედებს.**

> **«რუის-ურბნისის ახალი კრებაა მოსაწვევი — უფალი ბრძანებს: ხე, რომელიც არ გამოიღებს ნაყოფსა კეთილსა, იგი უნდა მოიჭრას და ცეცხლზე დაედვას»**

**— იმ შემთხვევაში, თუ საპატრიარქოც ღიად დაუჭერს მხარს რომელიმე პოლიტიკური სუბიექტს, ეს სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხეს არ გამოიწვევს?**

— რატომ გამოიწვევს დაპირისპირებას? სასულიერო პირმა არასდროს არ უნდა უთხრას ხალხს, რომ მხარი დაუჭირეთ ბიძინა ივანიშვილს, მიხეილ სააკაშვილს ან ნინო ბურჯანაძესო. რა თქმა უნდა, ამბიონი საარჩევნო კამპანიის ადგილად არ უნდა იქცეს. ჩვენ ზუსტად უნდა მივაწოდოთ ხალხს ინფორმაცია, რომელ პოლიტიკოსს აქვს ეროვნული კონცეფცია და ხალხმა თავად უნდა გადაწყვიტოს, ვის დაუჭიროს მხარი. თუმცა ისიც ვიცი, რამდენიმე მაღალი იერარქი, თავის ეპარქიაში როგორ მოუწოდებს მრევლს, მხარი დაუჭიროს არსებულ ხელისუფლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხს აშინებენ, რომ ქვეყანა დაიღუპება.

ასე ხდება ქუთაისის, მარტვილის, ვანი-ბაღდათის, ხონი-სამტრედიის, ჭიათურის, ახალციხე-ადიგენის ეპარქიებში და ა. შ. მარტვილში **ერთმა მღვდელმა ისიც კი იკადრა, მრევლს ზოგიერთი გაზეთის კითხვა აუკრძალა, მკრეხელური, ოპოზიციური აზრები წერიაო.** რამდენიმე ხნის წინ კი **ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტმა, მეუფე დანიელმა ისიც ბრძანა, უმრავლესობას უნდა დავუჯეროთო.**

> **«მარტვილის ეპისკოპოსის სარეზიდენციო ოთახში სააკაშვილის იმოდენა ფოტო კიდია, იქ იმხელა ხატი არ აქვთ...»**

**— მამაო ელიზბარ, თქვენმა განცხადებამ, რომ ჯოჯოხეთის ცეცხლში დაიწვება ის ჟურნალისტი, რომელმაც მეუფე იობზე სიუჟეტი მოამზადა, სოციალურ ქსელებში ქილიკი დაიმსახურა.**

— ერის ბედზე ზრუნვის ხელყოფას ყოველთვის ემუქრება ჯოჯოხეთის ცეცხლი. ის ადამიანი ისედაც შეჩვენებულია, ჩემი ნათქვამი რას უზამს ადამიანს, რომელმაც უკვე უფალი განარისხა და ერის ღირებულებისთვის მებრძოლ ადამიანზე მკრეხელური სიუჟეტი მოამზადა? მე არ მითქვამს ეს რომელიმე კონკრეტულ ჟურნალისტზე. აქციაზე, მართალია, ვთქვი, „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“ ტრიუმფით ხომ არ შეუძლევება ჯოჯოხეთში თავის მსმენელებს-თქო, მაგრამ არც ერთმა ტელეკომპანიამ ეთერში არ გაუშვა, როგორც ჩანს, „სოლიდარობა“ გამოუცხადეს „რუსთავი 2“-ს.

**— სინოდმა გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ „სადღეისოდ წარმოდგენილი ID ბარათების ვერსია არ არის ანტიქრისტეს ბეჭედი“. მიუხედავად ამისა, სიონისა და ყორანთის წმინდა გიორგის ეკლესიის დეკანოზმა ბასილმა, ID ბარათების მფლობელები ერთწლიანი უზიარებლობით დასაჯა. რამდენად აქვს უფლება რიგით სასულიერო პირს, თვითნებურად მიიღოს გადაწყვეტილება?**

— ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ეს ანტიქრისტეს ბეჭედია და მისი მიღება გამორიცხულია. ჩვენი საეკლესიო მაღალი იერარქია და ეკლესია ერს არ ამზადებს ანტიქრისტეს ბეჭედთან შესახვედრად. **სინოდის ზოგიერთი წევრის მოსაზრება ID ბარათების უვნებლობის შესახებ ხელისუფლებისადმი მაამებლური დამოკიდებულების შედეგია.** ვინაიდან ზოგიერთები დიდად „დავალებულები“ არიან ხელისუფლებისგან, სამონასტრო კომპლექსების ხელისუფლების ჯიბიდან გარემონტებითა თუ მათთვის ღიად ნაჩუქარი სხვადასხვა ნივთით და რა ქნან, იქნებ რომელიმე მათგანს საწინააღმდეგო აზრი აქვს კიდეც, მაგრამ ვერაფერს ამბობენ.

**— საზოგადოებას ავუხსნათ, რა საფრთხეს ხედავთ სასულიერო პირები ამ ბარათებში და როგორ მოიქცეს რიგითი მოკვდავი, რომელსაც საერო ცხოვრებაში სჭირდება ID ბარათით სარგებლობა?**

— სხვა ქვეყნებმა თუ დაუშვეს ალტერნატიული საშუალებები, აქ რატომ არ შეიძლება იგივე მოხდეს? **პატრიარქმა მიუთითა ხელისუფლებას, მრევლის ინტერესებიდან გამომდინარე, გადაიყვანოს ხალხი ალტერნატიულ ბარათებზე, მაგრამ სინოდმა პატრიარქის სიტყვები ამოიღო და ჩასწორებული ვარიანტი გამოაქვეყნა, რომელშიც პატრიარქის ტონი შერბილებული იყო.**

**შეცვალეს პატრიარქის სიტყვები, რა, ეს პირველად მოხდა?** ახლახან არ იყო, სააღდგომო ეპისტოლედან რომ ამოიღეს პატრიარქის ქადაგებიდან სიტყვები? ალბათ, საეკლესიო იერარქიაშიც არ მოეწონათ, მამათმავლებს რომ შეეხო მისი უწმინდესობა.

**— ანუ ამბობთ, რომ მამათმავლებს საპატრიარქოდან მფარველობენ?**

— როგორც წესი, თავისნაირი თავისნაირს მფარველობს. რა გაგიკვირდათ, ახლა, გამძვინვარებული ეშმაკის მმართველობაში კი არა, ჯერ კიდევ რუის-ურბნისის ძეგლისწერაში ამოქმედდა სპეციალური მუხლი მამათმავლობისა და სოდომური ცოდვის შესახებ. წუხდნენ, არ ვიცით, საიდან შემოგვეპარა ეს ცოდვა ეკლესიაშიო, და რა გასაკვირია, რომ მამათმავლები დღესაც არიან ეკლესიაში? სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ეკლესიაშიც ხდება ასეთი ფაქტები.

**— ტელეკომპანია „მაესტროს“ მიერ გადაღებული ფარული კადრების შემდეგ, როცა მეუფე სერაფიმე დედაქალაქის მერზე — გიგი უგულავაზე საუბრობს, სასწრაფოდ შეიკრიბა სინოდი. ყველა ელოდა სინოდის რეაქციას აღნიშნულ საკითხზე, მაგრამ საპატრიარქომ დუმილი ამჯობინა, რატომ?**

— როდესაც ჩვენ დავიწყეთ საპატრიარქოს ქმედებების დაგმობა, საპატრიარქოდან გვთხოვეს, რომ გავჩუმებულიყავით. უფალს არსად არ უთქვამს, მე მემსახურეთო. უფალმა პირიქით — ფეხები დაბანა მოციქულებს. ეკლესიამ კი არ უნდა იმსახუროს მრევლი, ეკლესია უნდა ემსახურებოდეს მრევლს. მე არ ვარ რიტუალების სასახლის ერთ-ერთი მენეჯერი, რომელმაც ჯვარი უნდა დავწერო ან წესი ავუგო მიცვალებულს და ადამიანის შემდგომი ბედი არ მაინტერესებდეს. **როგორ მიკრძალავენ პოლიტიკურ სიტუაციაში ჩარევას, როდესაც ერთ-ერთი წმინდა მამა გვასწავლის: ჩვენ მართლმადიდებელი ქრისტიანები ამ სამყაროში ვცხოვრობთ და ესა თუ ის პოლიტიკური მოწყობა ან ხელს უშლის, ან ხელს უწყობს ჩვენს შემდგომ ცხონებასო?.. ამიტომ ნურავინ დაუგდებს მაცდურთა სისინს ყურს, თითქოს მართლმადიდებლებისთვის სულ ერთი იყოს, რომელ პოლიტიკურ წყობაში იცხოვრებენ. როდესაც ჩემი სულიერი შვილი სიკვდილზე მიდის, მე უფლება არ მაქვს, თუ მას წინ არ გადავეფარები, გვერდით მაინც არ დავუდგე.**

მაშინ უნდა გამოსულიყო და ეთქვა სინოდს, რომ ტყუილი იყო, რაც მეუფემ ისაუბრა, მაგრამ სინოდი სიმართლეს ვერ უარყოფდა. ვერც აღიარეს, ეს უგულავაზე დარტყმას ნიშნავდა და ვერ გაბედეს.

ახლახან მარტვილში ვიყავი, მარტვილის ეპარქიაში... მოკლედ, **მარტვილის ეპისკოპოსის სარეზიდენციო ოთახში მიხეილ სააკაშვილის იმოდენა ფოტოა ჩამოკიდებული, იქ იმხელა ხატი არ აქვთ. სოციალურ ქსელებში გავრცელდა კადრები, რომ ხონისა და სამტრედიის ეპარქიაში ხატებთან იმ ეპარქიის მმართველის, მიტროპოლიტ საბა გიგიბერიას გადიდებული, ჩარჩოში ჩასმული ფოტოც არის დაკიდებული. ეს უდიდესი მკრეხელობაა.**

საოცარი რამ ხდება მარტვილის ეპარქიაში. მარტვილელები ხუმრობენ ხოლმე, ადრე გეგეჭკორი დაარქვეს მარტვილს და მალე, ალბათ, გოროზიას ან ახალაიას დაარქმევენო. მარტვილის მოსახლეობა წელშია გაწყვეტილი. ხალხს მასობრივად ართმევენ მიწებს და ჩინელებს აძლევენ. მარტო მე ორი-სამი მაგალითი ვიცი, როცა ადამიანს საჯარო რეესტრში გატარებული, დამტკიცებული მიწა მხოლოდ იმიტომ ჩამოართვეს, რომ ელექტრონულ რეესტრში არ ჰქონდათ გატარებული და ჩინელებს გადაულოცეს ან მათ მაამებელ მარტვილის ეპარქიას დაუმტკიცეს.

ქვეყნის აშკარა ღალატია, როცა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში უცხოტომელთა მასობრივი ჩამოსახლება მიმდინარეობს. ასე იქცეოდა თურქი, სპარსი და ყველა, ვისაც საქართველოს დაქცევა ჰქონდა განზრახული. **ტრაგიკულია ისიც, რომ ამ ვითარებაში ეკლესია მორწმუნე საზოგადოებას პოლიტიკურ ბრძოლაში მონაწილეობას უკრძალავს. უფლის სახლი უფლის სადიდებლად და უზენაეს ღირებულებათა დასამკვიდრებლად არის შექმნილი და, თუ სულით მოვაჭრეთა, მედროვეთა თავშესაფრად გადაიქცევა, იგი უნდა დაიქცეს.** ახალი რუის-ურბნისის კრებაა მოსაწვევი. უფალი ბრძანებს: ხე, რომელიც არ გამოიღებს ნაყოფსა კეთილსა, იგი უნდა მოიჭრას და ცეცხლზე დაედვას.

ეკლესიას საზოგადოებრივი ფუნქცია უნდა დაუბრუნდეს. ჩვენ დაგვჭირდება ისეთი პოლიტიკური სისტემა, რომლის ორიენტირიც იქნება სამართლიანობა, ზნეობრივი ცხოვრების წესი და ადამიანის უფლება-მოვალეობათა დაცვა. ასეთი ჩვენში ტრადიციულად მონარქია იყო. ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენ ფეოდალიზმის აღდგენას ვცდილობთ საქართველოში. ნამდვილად არა. თავადის ტიტულიც თუ ვინმეს მიენიჭება, პატიოსნებისა და ერის წინაშე ჩადენილი ღირსების გამო უნდა მიენიჭოს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადავიდეს მემკვიდრეობით. უნდა დაინერგოს კანონის უზენაესობა, რათა კანონი მხოლოდ დასჯის საშუალებად კი არ იქცეს, არამედ ის ადამიანური ურთიერთობების განმსაზღვრელ მექანიზმად ჩამოყალიბდეს.

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„შეგნებული მავნებლობა და საქართველოს ეკოციდის მცდელობა „ნაციონალებმა“ გააფორმეს ოფიციალური კანონით. ის მარტო კოლხეთის ეროვნულ პარკს არ ეხება. სააკაშვილმა ჯერ გარემოს დაცვის სამინისტროს გაუქმება სცადა. მართალია, ჩვენ „ავყვირდით“ და იურიდიულად ამის ნება არ მივეცით, მაგრამ რეალურად მან მოახერხა ამ სამინისტროსთვის ყველა ფუნქციის ჩამორთმევა და სხვებზე გადანაწილება.“**



# გიორგი გაჩეჩილაძე: მრჩება შთაბეჭდილება, რომ საქართველოში კანონებს ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტები წერენ!

**საქართველოს პარლამენტმა გააუქმა კოლხეთის ეროვნული პარკის ის ნაწილი (როგორც დაცული ტერიტორია), რომელშიც ხელისუფლება გეგმავს სოფელ ანაკლიასთან დამაკავშირებელი გზის გაყვანას. ამ ფაქტზე კომენტარის გაკეთება ვთხოვეთ საქართველოს „მწვანეთა“ პარტიის თავკაცს — გიორგი გაჩეჩილაძეს.**

**— ბატონო გიორგი, რას წარმოადგენს კოლხეთის ეროვნული პარკი?**

— ესაა უნიკალური ტერიტორია, რომელიც საერთაშორისო კონტროლქვეშაა. კოლხეთის ეროვნული პარკი შედის იმ ჭარბტენიან სავარგულთა სიაში, რომლებსაც გაეროს ეგიდით „რამსარის კონცენცია“ იცავს. ეს ეროვნული პარკი შეიქმნა საერთაშორისო ზეწოლის შედეგად 1996 წელს, ანუ იმ დროს, როცა საქართველოში არავის ეცალა ეროვნული პარკებისთვის.

**— რამ განაპირობა ასეთი მოთხოვნა საერთაშორისო ორგანიზაციის მხრიდან?**

— „რამსარის კონვენციის“ მიხედვით, ჭარბტენიანი ტერიტორია უნდა აკმაყოფილებდეს სამი ძირითადი პირობიდან ერთ-ერთს მაინც. კერძოდ, ეს ადგილი აუცილებლად უნდა იყოს ბუნებრივი წარმოშობის ეკოსისტემა და დამახასიათებელი იმ რეგიონისთვის; მეორე, უნდა მოიცავდეს უნიკალურ ბიომრავალფეროვნებას; და, მესამე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, — წარმოადგენდეს გადამფრენი ფრინველებისთვის მოსასვენებელ და გამოსაზამთრებელ ადგილს. კოლხეთის დაბლობი სამივე ამ პირობას აკმაყოფილებს და ამითაც უნიკალურია!

გაეროს ეს კონვენცია 160-ზე მეტ ქვეყანას აერთიანებს და ძალზე მკაცრია, რადგან დაკავშირებულია საერთაშორისო გლობალურ ეკოსისტემასთან. **წარმოიდგინეთ მილიონობით ფრინველი, რომლებიც ჩრდილოეთიდან მოფრინავს, აქ ჩერდება; ნაწილი დასასვენებლად, შემდეგ რომ გეზი აფრიკისკენ აიღოს, ნაწილი კი ზამთარს აქ ატარებს. გაზაფხულის დაწყებისთანავე აფრიკაში გამოზამთრებულები ისევ კოლხეთის დაბლობის გავლით ჩრდილოეთში ბრუნდებიან. და ასეა დასაბამიდან! ამ პროცესში უხეშად ჩარევა საერთაშორისო სამართლის დარღვევაა, მეტიც, ითვლება დანაშაულად კაცობრიობის წინაშე! მაგრამ „ჩვენს“ თავხედ „ნაციონალებს“, ეტყობა, საერთაშორისო თანამეგობრობის აზრიც არ ანაღვლებთ! სააკაშვილის ამ ახირებას აუცილებლად მოჰყვება საერთაშორისო სკანდალი!**

ყულევის ტერმინალის მშენებლობასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლება წლების განმავლობაში აწარმოებდა მოლაპარაკებებს „რამსარის კონვენციის“ სათაო ორგანიზაციასთან, თხოვნით, მუდარით, რომ იქნებ მშენებლობისთვის დაეთმოთ პატარა ტერიტორია, რომელიც ოდნავ ეხებოდა კოლხეთის ეროვნულ პარკს. ბოლოს და ბოლოს, კომპრომისი მოიძებნა, რადგან საქმე გეოპოლიტიკას ეხებოდა. დღეს კი მიშა ნახევარი საათით ადრე ბათუმიდან ანაკლიაში (სადაც ერთი სასტუმრო ააშენეს და ისიც უკვე მიწაში „იძირება“) რომ ჩაბრძანდეს, ამისათვის უნიკალური ბუნებრივი პარკის ნაწილი უნდა გაანადგურონ!

**— ბატონო გიორგი, საქართველოსთვის რა ეკოლოგიურ საფრთხეს შეიცავს კოლხეთის ეროვნულ პარკში დაგეგმილი სამუშაოები?**

— ამ ტერიტორიას ჩვენი ქვეყნისთვის განსაკუთრებული დანიშნულება აქვს! ჯერ ერთი, აქაა აკუმულირებული ძალიან დიდი რაოდენობის მტკნარი წყალი (უნდა იცოდეთ, რომ ყველაზე სუფთა მტკნარი წყლები არის ჭაობში); აქ მათი ბუნებრივი ფილტრაცია მიდის. გარდა ამისა, ჭაობებს დაცვითი ფუნქციაც აკისრია. **ზღვასა და ჭაობს შორის (თუ ეს ზღვისპირას ხდება), არის დინამიკური წონასწორობა და იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ჭაობს შეეხებით და მის დაშრობას დაიწყებთ, ზღვა უმალ იწყებს აგრესიულ მოქმედებას — წინსვლას, იწყება ეროზიული პროცესები და ა.შ. მეორეც, კოლხეთის ეროვნული პარკის ჭაობიანი მონაკვეთები მდინარეთა შორისაა; აქედან გამომდინარე, მათ აქვთ, ასევე, წყალმარეგულირებლის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია!**

— კერძოდ?

— ისინი იკავებენ ძალიან დიდი რაოდენობით წყალს, რის გამოც მდინარეების ადიდებას კატასტროფული შედეგები არ მოჰყვება!

**— მაშინ, გამაგებინეთ, რა აზრი აქვს ამ ადგილას ინფრასტრუქტურის განვითარებას, თუ ყველაფერს წყალი წალეკავს?! რასთან გვაქვს საქმე — უმეცრებასთან, გნებავთ, უტვინობასთან თუ შეგნებულ მავნებლობასთან?**



> **«იურიდიულ პირს შეუძლია ცეცხლი წაუკიდოს ტყეს და არ დაისაჯოს! ან წყალში შხამი ჩაყაროს და მაინც არ დაისჯება!..»**



— ეს შეგნებული მავნებლობა რომაა, ამაში ჩვენ, დიდი ხანია, დარწმუნებულები ვართ; მაგრამ, **შეგნებული მავნებლობა და საქართველოს ეკოციდის მცდელობა „ნაციონალებმა“ გააფორმეს ოფიციალური კანონით.** ის მარტო კოლხეთის ეროვნულ პარკს არ ეხება. სააკაშვილმა ჯერ გარემოს დაცვის სამინისტროს გაუქმება სცადა. მართალია, ჩვენ „ავყვირდით“ და იურიდიულად ამის ნება არ მივეცით, მაგრამ რეალურად მან მოახერხა ამ სამინისტროსთვის ყველა ფუნქციის ჩამორთმევა და სხვებზე გადანაწილება. თუმცა მინისტრი ხაჩიძე ამით ძალზე კმაყოფილი დარჩა!

**— რატომ?!**

— იმიტომ რომ, მედოლეა! გაუნათლებელი, უცოდინარი კაცია! ხაჩიძე რომ მინისტრად დანიშნეს, თავის პირველ შეხვედრაზე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ასეთი რამ თქვა: „ძალიან გთხოვთ, ტერმინოლოგიით ნუ ილაპარაკებთ, რადგან ტერმინების გაგებაში არ ვარ! გარემოს დაცვის ტერმინებს ვერ ვგებულობო“!.. მე ამას იმიტომ გიყვებით, რომ გაიგოთ იმ თანამდებობის პირთა ფსიქოლოგია, რომლებიც საქართველოში დარგებს უდგანან სათავეში!

**სამინისტროს ნგრევას, ხაჩიძის ოცნების აღსრულებას, მოჰყვა ისეთი გიჟური ამბავი, როცა გარემოს დაცვის კანონში განახორციელეს ცვლილებები და დაუშვეს წითელ წიგნში შეტანილ ცხოველებზე ნადირობა! ეს იგივეა, ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტს რომ დაავალო კანონების წერა!** ამ სიგიჟეს, წელს ახალი დაემატა და მრავალტანჯული გარემოს დაცვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონებში შეიტანეს ცვლილებები, რითაც გააუქმეს ყველა მუხლი, რომელიც ადამიანებს სჯიდა გარემოს განადგურების გამო.

**— ეს როგორ გავიგოთ?!**

— საქართველოში იურიდიულ პირს შეუძლია ცეცხლი წაუკიდოს ტყეს და არ დაისაჯოს! ან წყალში შხამი ჩაყაროს, მაინც არ დაისჯება!.. ან, დავუშვათ, თქვენ, როგორც ფიზიკურ პირს, გეძლევათ უფლება, აიღოთ ნაჯახი, ხერხი, წახვიდეთ ნაკრძალში და უიშვიათესი ჯიშის ხეები მოჭრათ, რამდენიც გსურთ! ან კიდევ, თუ თოფი გაქვთ ან კარაბინი, მოკლათ წითელ წიგნში შეტანილი ცხოველები, რამდენსაც მოისურვებთ, რადგან კანონი თქვენ გიცავთ!!! თქვენ გეცინებათ, მაგრამ რამდენიმეჯერ გადავურჩით ეკოლოგიურ კატასტროფას! მაგალითად, **ორი წლის წინ ბათუმში მყოფმა სააკაშვილმა უსაყვედურა ვარშალომიძეს: „რატომ არ ჩამოდიან ტურისტებიო“. ვარშალომიძემ უპასუხა: „წვიმებია და იმიტომო“. სააკაშვილი დაინტერესდა, თუ რატომაა ბათუმში ხანგრძლივი წვიმები და ვარშალომიძემ აუხსნა: „აჭარის ქედი ღრუბლებს არ უშვებსო“. „მერე რას ელოდებიო? — გაუკვირდა სააკაშვილს, — აიღე და მოჭერი ეს აჭარის ქედიო“!..**

იცით, რას წარმოადგენს აჭარი ქედი? ესაა რამდენიმე ათეული კილომეტრის სიგრძისა და რამდენიმე ათეული კილომეტრის სიგანის წარმონაქმნი. ვინ მოჭრის მას?! მაგრამ ინფორმაცია ხომ გავრცელდა, რამაც ბათუმელები შოკში ჩააგდო! „მწვანეების“ ადგილობრივმა ორგანიზაციამ დაგვირეკა, ეს რა გავიგეთო! მართლა, რამე სისულელე არ ჩაიდინონო და მთების აფეთქება არ დაიწყონო!..

გარემოს დაცვის კანონში პარლამენტის მიერ შეტანილ დანაშაულებრივ ცვლილებებზე შევატყობინეთ ევროპის „მწვანეთა“ საბჭოს, რომელსაც ევროპარლამენტსა და ევროსაბჭოში ჰყავს თავისი წარმომადგენლები და თავადაცაა ევროკავშირში უძლიერესი ორგანიზაცია. თუმცა ასეთი კურიოზიც მოხდა — როცა ჩვენი მეგობრები გაეცნენ ჩვენ რეზოლუციას, არ დაგვიჯერეს და გვთხოვეს, „შეტანილი ცვლილებები“ ინგლისურად გვეთარგმნა და ნოტარიულად დაგვემოწმებია!..

**— თქვენი აზრით, რატომ აქვს სააკაშვილს ასეთი გრანდიოზული გეგმები? ნუთუ, მეგალომანია სჭირს?**

— მის „გრანდიოზულ პროექტებს“ ორი მიზანი აქვს. პირველია, მიამიტ ადამიანებზე გათვლილი პიარი. აბა, — ფიქრობენ ისინი, — თუ ასეთ საქმეს ეჭიდება ჩვენი მიშა, გამოდის, რომ ქვეყანაში რაღაც კეთდება, მაშასადამე, წინსვლააო!.. მეორეა — კორუფციული გარიგება. ყოველ დიდ მშენებლობას, მინიმუმ, 10% „ატკატი“ თან ახლავს. თუ გახსოვთ, 2007 წელს მიშამ პარიზში ამოყო თავი, უფრო ზუსტად, ერთი ფრანგული კომპანიის ოფისში, რომელიც ატომურ ელექტროსადგურებს აშენებს. კომპანია ცუდ დღეში იყო, რადგან ჩერნობილის შემდეგ, ამგვარ ობიექტებზე მოთხოვნა მკვეთრად შემცირდა; და აი, ჩამოდის ვიღაც არანორმალური და რეგიონული მასშტაბის ატომური ელექტროსადგურის მშენებლობას უკვეთავს. იცით, ეს რა ჯდება? 4-5 მილიარდი ევრო! ახლა, გამოითვალეთ ამ თანხის 10 პროცენტი, რომელიც სააკაშვილის და მის თანამოაზრეთა ჯიბეებში აღმოჩნდებოდა! ფრანგმა მეგობრებმა შეგვატყობინეს ამ მოლაპარაკებებზე და ავტეხეთ ერთი ამბავი (ჯერ კიდევ პატარკაციშვილის „იმედში“ და „კავკასიაზე“)!

**ან კიდევ ერთი გრანდიოზული, „საუკუნის“ მშენებლობა — „ზეციური“ ქალაქი ლაზიკა. მისი ასაშენებელი ფული ამ ხელისუფლებას არ აქვს. ჩემი აზრით, აქაც აფერაა! უნდათ, ვიღაცას ფული გამოსტყუონ, მაგალითად, ჩინეთს. ადგილი ხომ გეოსტრატეგიულია. რატომ არ უნდა დაინტერესდეს ჩინეთი? ფულიც აქვს და ჭარბი მოსახლეობაც ჰყავს, მაგრამ ეს მხოლოდ თეორიაა.**

**— თუ თეორიულად ვიმსჯელებთ, მაშინ არც სომხური დიასპორაა „ჩამოსაწერი“ — ფულიც აქვს და ჭარბი მოსახლეობაც ჰყავს.**

— ყველაფერია დასაშვები!

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

**რა სიკეთეც სააკაშვილმა თბილისს დამართა, ისეთივე აწვნია მთელ საქართველოს უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში, მაგრამ მას ყოფნის უტიფრობა, ისევ იმავე ტყუილებით ეცადოს ამომრჩევლის ხმების მონადირებას. ვინც ამ არაკეთილსინდისიერ კონტრაქტს ხელს მოაწერს, საკუთარ თავს დააბრალოს! გახსოვდეთ: სარგებელს მხოლოდ მიშა მიიღებს!**

რეპლიკა

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# არის კონტრაქტი!

**სააკაშვილმა კიდევ ერთხელ გააოცა ამომრჩეველი. პრეზიდენტი, რომელმაც ადრე მიცემული ყველა პირობა დაარღვია, ხალხს ახალ სატყუარას სთავაზობს სახელწოდებით „ხელშეკრულება საქართველოსთან“. ზუსტად 10 წლის წინ მან ასეთი ხელშეკრულებით თბილისელები „დააბოლა“. როგორც სჩვევია, არც ერთი დაპირება არ შეასრულა და საკრებულოს თავმჯდომარეობიდან პირდაპირ პრეზიდენტის სავარძელში ისკუპა.**

მაშ ასე, 2002 წლის ივნისის ხელშეკრულება თბილისთან:

**„თუ ჩვენ ვერ შევძლებთ აღნიშნული დაპირების შესრულებას, ერთი წლის შემდეგ, 2003 წლის ივნისში, ვადაზე ადრე გამოვალთ თბილისის საკრებულოდან და აღარ მივიღებთ მონაწილეობას არჩევნებში. მიხეილ სააკაშვილი“.**

2003 წელს იგი მართლაც ვადამდე გამოვიდა საკრებულოდან, საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ „ვარდების რევოლუციად“ წოდებული სახელმწიფო გადატრიალების გზით პრეზიდენტად მოევლინა გაცუცურაკებულ თბილისელებს.

**2002 წლის ხელშეკრულების პირობა:**

**„საკრებულოში მისვლიდან 6 თვეში 2-ჯერ შევამცირებთ ბიუროკრატიულ ხარჯებს და დაზოგილ 4 მილიონ ლარს მივმართავთ სოციალური პროგრამების უზრუნველსაყოფად“**. სინამდვილეში სააკაშვილის საკრებულოს თავმჯდომარეობის და პრეზიდენტობის პერიოდში მერიისა და საკრებულოს დაფინანსება დაახლოებით 20-ჯერ გაიზარდა.

**„ბიუჯეტიდან გამოვყოფთ თანხებს პენსიონერთა, ინვალიდთა, მრავალშვილიან დედათა, ვეტერანთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა, პოლიტრეპრესირებულთა და მათი შვილების მეტროთი, ტროლეიბუსითა და ტრამვაით უფასო მგზავრობისთვის“.**

სინამდვილეში უფასო მგზავრობის უფლებით არც ერთი სოციალური ჯგუფი არ სარგებლობს. მგზავრობის ღირებულება ყველა სახის ტრანსპორტზე საგრძნობლად გაიზარდა.

**„თითოეული სკოლის მოსწავლის სახელმძღვანელოს ღირებულების 50%-ს ქალაქის ბიუჯეტი გაიღებს“.**

სახელმძღვანელოების ფასები მრავალჯერადად გაიზარდა, ხოლო მათი დარიგება მხოლოდ არჩევნების წინ ახსენდებათ.

**„ქალაქის ბიუჯეტიდან დავაფინანსებთ 16 წლამდე მოზარდებისა და 60 წელს გადაცილებულ მოქალაქეთა ყველა სახის სტაციონარულ და ამბულატორიულ მკურნალობას“.**

ეს დაპირება დღესაც ძალაშია (იხ. „ხელშეკრულება საქართველოსთან“ – ქვემოთ).

**„შევქმნით ვეტერანთა რეაბილიტაციისა და დასაქმების ცენტრს“.**

ამასაც ახლა, 2012 წელს, გვპირდება სააკაშვილი, თითქოს 10 წელი არც გასულიყოს!

**„არ დავუშვებთ გაზისა და წყლის ტარიფის გაზრდას“.**

ტარიფი 5-7-ჯერ გაიზარდა, ხოლო დასუფთავების გადასახადი ყაჩაღურად მიება ელექტროენერგიის ხარჯვას.

**„ავკრძალავთ ყოველგვარ მშენებლობას მწვანე ზოლში“.**

**თბილისსა და მის შემოგარენში გაიჩეხა მწვანე ნარგავები, მშენებლობები გაჩაღდა წყნეთში (სადაც სააკაშვილი მეტყევე მეფარიძეს საჩვენებელ სპექტაკლებს უდგამდა), ჩოგბურთის კორტების ტერიტორიაზე, იპოდრომის ტერიტორიაზე, „მზიურში“, ვერეს ხეობაში და ა.შ.**

ამ ხელშეკრულების ავტორი ამჯერად საქართველოსთან აპირებს ახალი ხელშეკრულების გაფორმებას, რომელშიც უკვე „შესრულებული“ დაპირებებია თავმოყრილი:

„ერთიანმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ბოლო რვა წლის განმავლობაში საქართველოს ხალხთან ერთად დაამარცხა კორუფცია და კრიმინალი, შენდება ახალი საქართველო. მაგრამ ბევრ ოჯახს ჯერ კიდევ უჭირს, ბევრია უმუშევარი. ქვეყნის წინსვლითა და წარმატებით მეტი სიკეთე უნდა მიიღოს თითოეულმა ოჯახმა, ამიტომ „ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი მიზანი მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში იქნება: მეტი სარგებელი ხალხს! მიზნის მისაღწევად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ამ ხელშეკრულებით დებს პირობას, რომ მომავალი ოთხი წლის განმავლობაში:

**განახევრდება უმუშევრობა**

აქტიურად ამუშავდება დასაქმების სამინისტრო; დარეგისტრირდება თითოეული უმუშევარი; სამუშოს ყველა მაძიებელს ექნება სახელმწიფოს დაფინანსებით გადამზადებისა და ახალი კვალიფიკაციის მიღების საშუალება, მათ შორის, ახალ ტექნიკურ სასწავლებელსა და გადამზადების ცენტრებში.

**ჯანდაცვის დაზღვევა ექნება ყველას**

სოციალურად დაუცველთათვის, 6 წლამდე ასაკის ბავშებისთვის, პენსიონერებისთვის, პედაგოგებისთვის, დევნილებისთვის, პოლიციელებისთვის და ჯარისკაცებისთვის იქნება შესაბამისი კატეგორიის დაზღვევა. ყველა კატეგორიის მოქალაქეთათვის იქნება დაზღვევის საბაზისო პაკეტი. ჯანდაცვა ყველასთვის მისაწვდომი გახდება.

**გაორმაგდება სოფლის მეურნეობა**

ყველა სოფელში ბოლომდე მოგვარდება წყლის, გაზის და გზების პრობლემა; გაიხსნება 500-ზე მეტი ახალი სოფლის მეურნეობის საწარმო; მოირწყვება დამატებით 90 ათასი ჰექტარი მიწა; სოფელი მიიღებს 2 000 ერთეულ ახალ ტრაქტორს, მოხდება სოფლის მეურნეობის სრული მექანიზაცია; სასოფლო სამეურნეო მიწის 90% იქნება დამუშავებული.

**ყველა ოჯახი მიიღებს 1000-ლარიან ვაუჩერს**

ოჯახი თავად გადაწყვეტს, ამ ვაუჩერით რა პრობლემა მოაგვაროს. ამ ვაუჩერით შესაძლებელია: დენის, გაზის, წყლისა და სხვა კომუნალური ხარჯების დაფარვა; მედიკამენტებისა და სასკოლო სახელმძღვანელოების შეძენა; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაქირავება, საწვავისა და სასუქის ხარჯის გასტუმრება.

ამ ხელშეკრულებით „ნაციონალური მოძრაობა“ აცხადებს: დამატებითი სამუშო ადგილების შექმნით, ხელმისაწვდომი ჯანდაცვის უზრუნველყოფითა და სოფლის მეურნეობის განვითარებით მივაღწევთ საერთო მიზანს — **მეტი სარგებელი ხალხს!**

**მ. სააკაშვილი,**
**ი. მერაბიშვილი**

**რა სიკეთეც სააკაშვილმა თბილისს დამართა, ისეთივე აწვნია მთელ საქართველოს უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში, მაგრამ მას ყოფნის უტიფრობა, ისევ იმავე ტყუილებით ეცადოს ამომრჩევლის ხმების მონადირებას. ვინც ამ არაკეთილსინდისიერ კონტრაქტს ხელს მოაწერს, საკუთარ თავს დააბრალოს! გახსოვდეთ: სარგებელს მხოლოდ მიშა მიიღებს!**

## ხელშეკრულება თბილისთან

**დადებული «ნაციონალური მოძრაობის» მიერ 2002 წლის ივნისში**

„თუ ჩვენ ვერ შევძლებთ აღნიშნული დაპირების შესრულებას, ერთი წლის შემდეგ 2003 წლის ივნისში ვადაზე ადრე გამოვალთ თბილისის საკრებულოდან და აღარ მივიღებთ მონაწილეობას საპარლამენტო არჩევნებში
მიხეილ სააკაშვილი

ხელშეკრულების პირობა

– საკრებულოში მისვლიდან 6 თვეში 2-ჯერ შევამცირებთ ბიუროკრატიულ ხარჯებს და დაზოგილ 4 მილიონ ლარს მივმართავთ სოციალური პროგრამების უზრუნველსაყოფად.

– ბიუჯეტიდან გამოვყოფთ თანხებს პენსიონერთა, ინვალიდთა, მრავალშვილიან დედათა, ვეტერანთა, იძულებით გადაადგილებულთა, პოლიტრეპრესირებულთა და მათი შვილების მეტროთი, ტროლეიბუსითა და ტრამვაით უფასო მგზავრობისათვის.

– თითოეული სკოლის მოსწავლის სახელმძღვანელოს ღირებულების 50%-ს ქალაქის ბიუჯეტი გაიღებს

– ქალაქის ბიუჯეტიდან დავაფინანსებთ 16 წლამდე მოზარდებისა და 60 წელს გადაცილებულ მოქალაქეთა ყველა სახის სტაციონარულ და ამბულატორიულ მკურნალობას

– შევქმნით ვეტერანთა რეაბილიტაციისა და დასაქმების ცენტრს

– არ დავუშვებთ გაზისა და წყლის ტარიფის გაზრდას

– ავკრძალავთ ყოველგვარ მშენებლობას მწვანე ზოლში



ხელშეკრულება საქართველოსთან

ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ, ბოლო რვა წლის განმავლობაში, საქართველოს ხალხთან ერთად დაამარცხა კორუფცია და კრიმინალი, შენდება ახალი საქართველო.

მაგრამ ბევრ ოჯახს ჯერ კიდევ უჭირს, ბევრია უმუშევარი. ქვეყნის წინსვლითა და წარმატებით მეტი სიკეთე უნდა მიიღოს თითოეულმა ოჯახმა. ამიტომ, ნაციონალური მოძრაობის მთავარი მიზანი მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში იქნება —

მეტი სარგებელი ხალხს!

მიზნის მისაღწევად, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ამ ხელშეკრულებით დებს პირობას, რომ მომავალი ოთხი წლის განმავლობაში:

განახევრდება უმუშევრობა

- აქტიურად ამუშავდება დასაქმების სამინისტრო;
- დარეგისტრირდება თითოეული უმუშევარი;
- სამუშაოს ყველა მაძიებელს ექნება სახელმწიფოს დაფინანსებით გადამზადების და ახალი კვალიფიკაციის
- მიღების საშუალება, მათ შორის, ახალ ტექნიკურ სასწავლებელსა და გადამზადების ცენტრებში;

ჯანდაცვის დაზღვევა ექნება ყველას

- სოციალურად დაუცველთათვის, 6 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის, პენსიონერებისთვის, პედაგოგებისთვის,
- დევნილებისთვის, პოლიციელებისთვის და ჯარისკაცებისთვის იქნება შესაბამისი კატეგორიის დაზღვევა;
- ყველა სხვა კატეგორიის მოქალაქეთათვის იქნება დაზღვევის საბაზისო პაკეტი;
- ჯანდაცვა ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდება;

გაორმაგდება სოფლის მეურნეობა

- ყველა სოფელში ბოლომდე მოგვარდება წყლის, გაზის და გზების პრობლემა;
- გაიხსნება 500-ზე მეტი ახალი სოფლის მეურნეობის საწარმო;
- მოირწყვება დამატებით 90,000 ჰექტარი მიწა;
- სოფელი მიიღებს 2000 ერთეულ ახალ ტრაქტორს. მოხდება სოფლის მეურნეობის სრული მექანიზაცია;
- სასოფლო სამეურნეო მიწის 90 % იქნება დამუშავებული;

ყველა ოჯახი მიიღებს 1000-ლარიან ვაუჩერს

- ოჯახი თავად გადაწყვეტს ამ ვაუჩერით რა პრობლემა მოაგვაროს. ამ ვაუჩერით შესაძლებელია:
- დენის, გაზის, წყლის ან სხვა კომუნალური ხარჯების დაფარვა;
- მედიკამენტების და სასკოლო სახელმძღვანელოების შეძენა;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაქირავება, საწვავისა და სასუქის ხარჯის გასტუმრება;

ამ ხელშეკრულებით ნაციონალური მოძრაობა აცხადებს - დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნით, ხელმისაწვდომი ჯანდაცვის უზრუნველყოფითა და სოფლის მეურნეობის განვითარებით მივაღწევთ საერთო მიზანს -

მეტი სარგებელი ხალხს!

მ. სააკაშვილი

ი. მერაბიშვილი





## იულია ტიმოშენკოს კანის უცნობი დაავადება აქვს



**უკრაინის ყოფილ პრემიერ-მინისტრ იულია ტიმოშენკოს ადვოკატ სერგეი ვლასენკოს განცხადებით, ტიმოშენკოს კანის უცნობი დაავადება აქვს.** მისი თქმით, ორი კვირის წინ მას კანზე გამონაყარი აღენიშნა, რომელმაც მისი სხეულის 50 პროცენტი დაფარა. ადვოკატი აცხადებს, რომ ამის გამო მას ხერხემლის დაავადების მკურნალობა შეუჩერდა. შეგახსენებთ, რომ 2011 წელს უკრაინის ყოფილ პრემიერ-მინისტრ იულია ტიმოშენკოს პეჩორის რაიონულმა სასამართლომ, რუსეთთან გაფორმებული გაზის კონტრაქტის გამო, 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

## მოლეკულა, რომელიც ვირუსების გამრავლებას ეხმარება

ესპანელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს მოლეკულა, რომელიც ვირუსების გამრავლბას უწყობს ხელს. მათ განაცხადეს, რომ შეძლეს დაედგინათ შიდცის მოლეკულა, რომელიც პასუხისმგებელია ვირუსის ადამიანის ორგანიზმში გამრავლებაზე. მოცემული აღმოჩენა საშუალებას იძლევა, შემუშავდეს ახალი კლასის მედიკამენტი, რომელიც ვირუსის გავრცელებას შეაჩერებს.

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ექსტრემისტთა ევროპული ცენტრები, რომლებიც ერთ-ერთი მსოფლიო რელიგიის — ისლამის ავტორიტეტს არიან ამოფარებულნი, ექსტრემიზმის ისეთივე ბუდეებია, როგორიც ახლო აღმოსავლეთში ფუნქციონირებს. სადღეისოდ ყველაზე ფეთქებადსაშიშ ქვეყნებად მიჩნეულია დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, ბელგია, ნიდერლანდების სამეფო, იტალია და ესპანეთი.**

# «დემოკრატიის ქორებისა» და «ალ ქაიდას» წმინდა კავშირი

**დღევანდელ მსოფლიოში რუსოფობიასთან ერთად ისლამოფობიას ამძაფრებენ. „ისლამის კვალს“ ეძებენ ყველგან და „აღმოაჩენენ“ კიდეც. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა ხმათა უდიდესი უმრავლესობით იღებს რეზოლუციებს, რომლებშიც ერთ-ერთ უმთავრეს საშიშროებად წარმოდგენილია ისლამური ფუნდამენტალიზმი. დასავლეთ ევროპის ქვეყნების (მაგალითად, საფრანგეთის, სადაც პატიმართა რაოდენობის ნახევარი მუსლიმია) ხელისუფლებანი ლამის ყოველდღიურად აშოშმინებენ ან თავიდან იცილებენ ისლამისტებთან დაკავშირებულ კონფლიქტებს. გამოჩენილი ევროპელი ინტელექტუალებიც კი ისლამს მტრად მიიჩნევენ...**




**ისლამისტების ექსტრემისტული ორგანიზაციების მხოლოდ ბრიტანეთის ფილიალების შენახვაზე წელიწადში ხუთას მილიონზე მეტი დოლარი იხარჯება**

პირველი რესპუბლიკელი, აშშ პრეზიდენტების — ნიქსონისა და რეიგანის მრჩეველი პატრიკ ბიუკენენი თავის ფართოდ გავრცელებულ წიგნში „დასავლეთის სიკვდილი“ წერს, რომ დასავლეთის ცივილიზაცია იღუპება თეთრკანიანი ადამიანების მიერ ღმერთისადმი რწმენის დაკარგვისა და მის ცნებებზე უარის თქმის გამო, რაც, უწინარეს ყოვლისა, გამრავლებისგან თავშეკავებაშია გამოხატული. შედეგად, **თეთრკანიანი მოსახლეობის წილი დასავლეთის ქვეყნებში განუხრელად კლებულობს, ფერადკანიანებისა — იზრდება.** ავტორის აზრით, **დაახლოებით 50 წლის შემდეგ თეთრკანიანები ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში აბსოლუტურ უმცირესობად იქცევიან, უმეტესად მოხუცებით იქნებიან წარმოდგენილნი, და ამით დასავლეთის ცივილიზაცია დასრულებულად შეგვეძლება ჩავთვალოთ.**

ასეთი განცხადებების მოსმენისას (ევროპაში ეთნოკონფესიური სტრუქტურული ცვლილებებისა და ისლამისტური რადიკალიზმის ზრდის ფონზე), შეიძლება იფიქრო, რომ ეს არის ისლამისტური სამყაროს მიმართ დასავლეთის უაღრესად ჩახლართული სტრატეგიის შედეგი ან ფოცხზე ფეხის დაკვრისა და ბუმერანგის ტყორცნის შუალედური რამ.

**1990-იან წლებში აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა სამხრეთ სლავების დანაწევრებასთან ერთად მუსლიმი ექსტრემისტების „მოთვინიერება“ და მათზე თავიანთი გავლენის გაძლიერება დაიწყეს.** ახალ მოკავშირეებად საუდის არაბეთის ვაჰაბიტა რამდენიმე ცენტრი აირჩიეს. **ინგლისში აშკარად და დაუფარავად იწყო ფეხის მოკიდება და განვითარება ექსტრემისტულმა სტრუქტურებმა.** გამოიცა ათობით გაზეთი, მუშაობა დაიწყო რიგმა ისლამისტურმა ტელესტუდიებმა. ცოტა მოგვიანებით ამ ოპერაციას შეუერთდა გერმანიის სპეცსამსახურიც, რომლის ფრთებქვეშ ფართოდ გაიშალა ვაჰაბიტთა ცენტრების საკუთარი ქსელი.

**1999 წლის გაზაფხულისთვის გერმანიაში აბსოლუტურად დაუფარავად მოქმედებდა ვაჰაბიტური მიმართულების 700-ზე მეტი ორგანიზაცია.** სწორედ მათი მეშვეობით იარაღით ამარაგებდნენ ალბანელ ექსტრემისტებსა და ნარკოტერორისტებს, რომელთა საქმიანობას შედეგად მოჰყვა ომი იუგოსლავიის წინააღმდეგ.

**დროთა განმავლობაში ლონდონი, ფაქტობრივად, იქცა საერთაშორისო ტერორიზმის ცენტრად. აქ თავმოყრილია უამრავი „მუსლიმი დისიდენტი“, რომელთაც, როგორც წესი, მიაკუთვნებენ ახმედ ზაკაევისნაირ თავზეხელაღებულ მკვლელებს. ზაკაევი ჩეჩენი ტერორისტების ემისარია, რომელსაც ბრალად ედება რუსეთში ადამიანების გატაცება და 300-ზე მეტი ადამიანის დახოცვა 1995 წლის ოქტომბრიდან 2000 წლის დეკემბრამდე პერიოდში.**

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 10 წლის წინათ გამოქვეყნებული სიის მიხედვით, ოცდაათი ოფიციალურად აღიარებული ტერორისტული ორგანიზაციიდან ათს შტაბ-ბინები ლონდონში ჰქონდა, კიდევ თხუთმეტი ძირითად ოპერაციებსა და ფანდრაიზინგს (სპონსორებთან მუშაობა პროექტების განსახორციელებელი სახსრების მოსაზიდად) დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში განახორციელებდა.

საინტერესოა, რომ **ჰოსნი მუბარაქმა ჯერ კიდევ 1990 წელს, ეგვიპტის პრეზიდენტად ყოფნისას, გამოაქვეყნა 14 ტერორისტული დაჯგუფების სია, რომლებიც ლონდონში იყო განთავსებული და პირდაპირ მიუთითა, რომ ტერორისტები, რომელთა უმრავლესობა მკვლელი იყო, სხვა ქვეყნებში დანაშაულის ჩადენის შემდეგ თავისუფლად დასეირნობდნენ ლონდონში.** ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ალ-ალფიმ** ჯერ კიდევ 1996 წელს განაცხადა: **„ყველა ტერორისტი ლონდონიდან მოდის. ისინი სხვა ევროპულ ქვეყნებშიც არიან, მაგრამ მუშაობას ლონდონში იწყებენ“.** ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მუსამ 1997 წლის 14 დეკემბერს ბრიტანეთის ელჩ დ. ბატერვიკს გადასცა ინგლისის ხელისუფლებისადმი წაყენებული ოფიციალური მოთხოვნა, — შეეწყვიტათ ტერორისტებისთვის თავშესაფრის მიცემის პრაქტიკა და დაეწყოთ ეგვიპტესთან ერთობლივი მუშაობა მათ წინააღმდეგ.

2000-იანი წლების დასაწყისში, როდესაც უსამა ბენ ლადენი აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს ავღანეთის მთებში დაემალა, ავღანეთის ტერორისტული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა აშკარა საქმიანობა დაიწყეს ანტიავღანურ კოალიციაში აშშ-ის მთავარი მოკავშირე ქვეყნის — ინგლისის დედაქალაქში.

ახლად მოვლენილი ერთ-ერთი შეიხის სიტყვებით, ულტრარადიკალური ორგანიზაცია **„ძმები მუსლიმები“**, რომელიც 1928 წელს ბრიტანეთის სპეცსამსახურებმა მუსლიმთა სამყაროს გასახლეჩად და ინგლისის კოლონიზატორული პოლიტიკის განხორციელებისთვის ხელის შეწყობის მიზნით შექმნეს, ლონდონში ბაზირებდა და ამჟამად ეგვიპტის ხელისუფლების სათავეში ექცევა. **ისლამისტების ექსტრემისტული ორგანიზაციების მხოლოდ ბრიტანეთის ფილიალების შენახვაზე წელიწადში ხუთას მილიონზე მეტი დოლარი იხარჯება.**

რას ხმარდება ეს ფული, ამაზე ლაპარაკობს ინგლისელი მუფტი **აბუ ჰაზმა**, რომელმაც ჩეჩნეთში საბრძოლო მოქმედების დაწყებისთანავე რუსეთს ჯიჰადი გამოუცხადა და თქვა, რომ ამზადებს მოხალისეებს არა მარტო ჩეჩნეთში გასაგზავნად (სადაც ყოველკვირეულად 40 ტერორისტს მიავლენდა), არამედ ირანშიც, პაკისტანშიც და ავღანეთშიც კი, სადაც ინგლისელები იბრძოდნენ!

2009 წლის დასაწყისისთვის, ინგლისურენოვანი პრესისა და „ვიკილიქსის“ პუბლიკაციების მიხედვით, რომლებიც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საქმიანობას ეხება, **ახალგაზრდა ბრიტანელი მუსლიმების ერთი მესამედი მკვლელობის მომხრედ აცხადებდა თავს, ხოლო 40 პროცენტი მიესალმებოდა ინგლისის ტერიტორიაზე შარიათის კანონების შემოღებას.** ლონდონის პოლიციის ყოფილი უფროსის — ლორდ დ. სტივენსის განცხადებით, **„დიდი ბრიტანეთის 3 ათასამდე მოქალაქემ „ალ ქაიდას“ ბანაკებში გაიარა მომზადება.“**

ამასთან, როგორც სტივენსი ამტკიცებდა New of the world-ისთვის მიცემულ ინტერვიუში, **„200 ბრიტანელი ტერორისტი მზადაა, შეუტონ უდანაშაულო მშვიდობიან მოსახლეობას ისლამის რწმენით“.**

დასავლეთის მიერ ნატყორცნი ბუმერანგი უკვე ურტყამს დასავლეთს არა მარტო აზიასა და ახლო აღმოსავლეთში, არამედ თვით ევროპაში. დასავლელი სპეციალისტები სრულიად სამართლიანად მიიჩნევენ, რომ **ექსტრემისტთა ევროპული ცენტრები, რომლებიც ერთ-ერთი მსოფლიო რელიგიის — ისლამის ავტორიტეტს არიან ამოფარებულნი, ექსტრემიზმის ისეთივე ბუდეებია, როგორიც ახლო აღმოსავლეთში ფუნქციონირებს. სადღეისოდ ყველაზე ფეთქებადსაშიშ ქვეყნებად მიჩნეულია დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, ბელგია, ნიდერლანდების სამეფო, იტალია და ესპანეთი.**

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროპელებისთვის, როგორც მთელი მსოფლიოს თანამეგობრობისთვის, საშიშია არა ისლამი, არამედ პოლიტიკური ძალები, რომლებიც თავიანთი დამანგრეველი იდეების განხორციელებას მუსლიმთა რელიგიური გრძნობების გამოყენებით ცდილობენ.

**დამასკოს ცენტრში გასულ კვირაში შაჰიდის მიერ მოწყობილ ტერაქტს სირიის ხელისუფლების რამდენიმე მაღალჩინოსანი შეეწირა, მათ შორის — თავდაცვის მინისტრი.**

თურქეთის სამხედრო აკადემიის ყოფილმა ხელმძღვანელმა თურქერ ერთურქმა ამასწინათ განაცხა-

▶

## ბრიტანეთში 3 წლის ბავშვმა კონცერტი გამართა

**ინგლისში მცხოვრები 3 წლის ლავინია რამირეზი პიანინოზე ისე უკრავს, პატარა მოცარტიც კი უწოდეს. ლავინიამ სამუსიკო სკოლაში გამართული კონცერტი, რომელშიც ასაკით უფროსი მოსწავლეები მონაწილეობდნენ, საზეიმოდ დახურა.** გარდა ამისა, გოგონამ პლიმუტში, ადგილობრივი ეკლესიის დარბაზში, 200-კაციანი აუდიტორიის წინაშე ღირსეულად დაუკრა. „მის ასაკში ასეთ მაღალ დონეზე პიანინოზე დაკვრა უჩვეულოა. როგორც წესი, ლავინიას ასაკის ბავშვები ვერ აკონტროლებენ საკუთარ თავს და ვერც იმას, რასაც უფროსები ეუბნებიან“, — ამბობს გოგონას მუსიკის მასწავლებელი მატე ლეჰოკი. ის მხოლოდ რამდენიმე დღის წინ გახდა 3 წლის. გოგონამ მუსიკის გაკვეთილებზე სიარული მხოლოდ 6 კვირაა დაიწყო. ლავინიას ყველაზე მეტად კლასიკური მუსიკა უყვარს და სისტემატურად ითხოვს, მისთვის დაუკრან.





www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აშშ და თურქეთი, ყატარისა და საუდის არაბეთის ნავთობდოლარების მეშვეობით აქტიურად ახდენენ ვითარების დესტაბილიზაციას სირიაში... გამჟღავნდა, რომ აშშ და მისი ნატოელი მოკავშირეები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ტერორისტული ორგანიზაციების მეთაურებს, „ბოევიკებსა“ და სისხლის სამართლის დამნაშავეებს გადაიბირებდნენ, როგორც დაქირავებულებს და შემდგომ ამზადებდნენ თურქეთისა და ლიბიის სპეცბანაკებში.

◀ და, რომ სირია სავსეა ყველა ჯურის ტერორისტებით, ხოლო **„ალ ქაიდას“, რომელმაც ამ ქვეყანაში უკვე რამდენიმე ტერაქტი განახორციელა, აშშ მხარს უჭერს.**

მიმომხილველების აზრით, დასავლეთი და მისი არაბი მოკავშირეები სირიაში „სალვადორის სცენარის“ გამეორებას აპირებენ. გავიხსენოთ, რომ სალვადორის დესტაბილიზაციის ოპერაციას თვითმკვლელი ტერორისტების მონაწილეობით ხელმძღვანელობდნენ **ჯონ ნეგროპონტე**, რომელიც შემდგომ აშშ-ის ელჩად გაამწესეს ერაყში, და აშშ-ის მომავალი ელჩი სირიაში **რობერტ ფორდი.**

ბრიტანული **The Daily Telegraph**-ის მიმომხილველი პიტერ ობორნი წერს, რომ ბოლო პერიოდში აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა გააააქტიურეს ფარული თანამშრომლობა „ალ ქაიდასთან“ სირიის ხელისუფლების წინააღმდეგ. თავის სტატიაში **„სირიის კრიზისი მოულოდნელი მოკავშირეებისკენ გვიბიძგებს“** ობორნი მიგვანიშნებს, რომ **ტერაქტები, რომლებიც ახალი წლის წინ დამასკოში მოეწყო, „ალ ქაიდასთვის“ იყო დამახასიათებელი და ძალიან ჰგავდა ამ ტერორისტული ორგანიზაციის მიერ ერაყში მოწყობილ ტერაქტებს.** ბრიტანული ჟურნალის მონაცემებით, „ალ ქაიდას“ „ბოევიკები“ ლიბიიდან „თურქეთის დერეფნით“ შემოვიდნენ. ავტორი მიიჩნევს, რომ **სამთა კავშირი — ვაშინგტონი, ლონდონი და „ალ ქაიდა“ ძალიან საშიშია დიდი ბრიტანეთისთვის.**

ექსტრემისტმა რელიგიურმა მოღვაწემ ომარ ალ-ბაქრიმ ბრიტანულ გამოცემა **The Daily Telegraph**-ისთვის მიცემულ ინტერვიუში აღიარა, რომ „ალ ქაიდას“ წევრები, მოძრაობა „ალ-მუსტაკბალის“ დახმარებით, რომელსაც სათავეში საად ალ-ჰარირი უდგას, ლიბანიდან უკვე შევიდნენ სირიაში. ბაღდადში გამართულ პრესკონფერენციაზე ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰოშიარ ზიბარიმ დაადასტურა, რომ **„ალ ქაიდას“ „ბოევიკები“ სირიაში შეღწევას ერაყის საზღვრის გავლით ახერხებენ.**

ბრიტანულ **The Guardian**-ში ახლახან გამოქვეყნდა სტატია სათაურით „სამხედრო ჩარევას სირიის საქმეებში მისი ხალხისთვის კატასტროფული შედეგი მოჰყვება“. წერილის ავტორი სამი რამადანი მიგვანიშნებს აშშ-სა და ალ ქაიდას ალიანსზე. **აშშ და თურქეთი, ყატარისა და საუდის არაბეთის ნავთობდოლარების მეშვეობით აქტიურად ახდენენ ვითარების დესტაბილიზაციას სირიაში.** იმ დროს, როცა ჰილარი კლინტონი მსოფლიო თანამეგობრობას არწმუნებს სირიაში სამხედრო ინტერვენციის აუცილებლობაში, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო მხარს უჭერს და ავარჯიშებს „ბოევიკებს“. **გამჟღავნდა, რომ აშშ და მისი ნატოელი მოკავშირეები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ტერორისტული ორგანიზაციების მეთაურებს, „ბოევიკებსა“ და სისხლის სამართლის დამნაშავეებს გადაიბირებდნენ, როგორც დაქირავებულებს და შემდგომ ამზადებდნენ თურქეთისა და ლიბიის სპეცბანაკებში.** ნიშანდობლივია, რომ არაბეთის სახელმწიფოების ლიგის დამკვირვებელთა წევრი, ერაყული სპეცსამსახურის თანამშრომელი ჰოლმსში ყოფნისას ფრიად გაკვირვებული დარჩა, როცა პაკისტანელ, ერაყელ და ავღანელ დაქირავებულთა შორის მისი რამდენიმე გამტაცებელი იცნო. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ **ჰოლმსის გათავისუფლების შემდეგ სირიის ხელისუფლების ძალებმა დაატყვევეს ასზე მეტი დაქირავებული არაბეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. მათთან ერთად საკმაოდ ბევრი ფრანგი ლეგიონერიც იყო.**

ბრიტანეთის გაზეთ **Sunday Times**-ის კორესპონდენტი ჰალია ჯაბერი დარწმუნებულია, რომ **რელიგიური ექსტრემისტებისა და უცხოელ დაქირავებულთა სირიაში შეგზავნამ გამოიწვია ძალადობის ესკალაცია, რამაც აიძულა საერთაშორისო დამკვირვებლები, შეეწყვიტათ მუშაობა ამ ქვეყნის შიგნით.** ჰალია ჯაბერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საუდელი შეიხების მოწოდებას სირიის საზღვრების გადასაკვეთად გამოეხმაურა ლიბანის, ტუნისის, ალჟირის, საუდის არაბეთის, ლიბიის, ეგვიპტის, იორდანიისა და ქუვეითის ათობით მოქალაქე, რომლებიც მსოფლიო ისლამური ხალიფატის შესაქმნელად თავგადაკლულად იბრძვიან.

ბრიტანელმა **Sunday Times**-მა წლეულს, იანვარში, გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც ლაპარაკია იმაზე, რომ **საუდის არაბეთმა და ყატარმა საიდუმლოდ მოილაპარაკეს სირიის ოპოზიციის დაფინანსებაზე, რათა მან ამ ფულით შეიძინოს სხვადასხვა შეიარაღება ბაშარ ასადის მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად.** ამ შეთანხმებას მიაღწიეს ა. წ. იანვარში არაბთა სახელმწიფოების ლიგის საგარეო საქმეთა მინისტრების კაიროს შეხვედრის შემდეგ. **სირიის ოპოზიციას აქტიურად ეხმარება თურქეთიც, რომელიც „ამბოხებულებს“ თურქეთ-სირიის საზღვრის გავლით იარაღს აწვდის.**

მეჰმედ ალი ედიბოღლუმ, თურქმა ოპოზიციონერმა დეპუტატმა, არაბთა გაერთიანებული ემირატების გაზეთ **The National**-ს განუცხადა, რომ სირიაში თურქული წარმოების უამრავი იარაღი შედის. **„სირიელების მტკიცებით,** — განაცხადა დეპუტატმა, — **ამ იარაღით, ძირითადად, ამარაგებენ „ძმებ მუსლიმებს“.**

ისრაელის ინტერნეტრესურსი **Debka**, რომელიც მოსადთან არის დაკავშირებული, ჯერ კიდევ 2011 წელს იტყობინებოდა, რომ **ნატო თურქეთის მეშვეობით სირიის ოპოზიციონერებს აწვდის ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო დანადგარებს, მძიმე ქვემეხებსა და ნაღმტყორცნებს. „სირიელი ამბოხებულები სამხედრო წვრთნას თურქეთის ტერიტორიაზე გადიან“,** — იტყობინებოდა ისრაელის გამოცემა. ნატომ და აშშ-მა განახორციელეს ათასობით მოხალისე მუსლიმის გადაბირება სხვადასხვა ქვეყნიდან სირიელი „აჯანყებულების“ გასაძლიერებლად, **თურქეთის არმია წვრთნის მათ და უზრუნველყოფს მათ უსაფრთხო გადასვლას თურქეთ-სირიის საზღვარზე.**

**The Guardian**-ის მონაცემებით, **საუდის არაბეთი მზადაა, ფინანსურად დაეხმაროს „სირიის თავისუფალი არმიის“ „ბოევიკებს“, რათა ამით „ხელი შეუწყოს სამხედრო მოსამსახურეთა მასობრივ დეზერტირობას და გააძლიეროს ასადის რეჟიმზე ზემოქმედება“.** ელ-რიადმა ეს გეგმა ვაშინგტონთან და სხვა არაბულ ქვეყნებთან ერთად განიხილა. სირიული ოპოზიციის ფინანსური მხარდაჭერის იდეა თავდაპირველად საუდიტებს კი არ გასჩენიათ, არამედ სირიის სახელმწიფოებრიობის დანგრევის საქმეში მათ მოკავშირეებს. **The Guardian**-ი წერს, რომ **საუდის არაბული ქვეყნის ჩინოვნიკებთან საუბარში გაირკვა, რომ საუდის არაბეთიდან და ყატარიდან იარაღის — ავტომატების, ნაღმტყორცნებისა და ტანკსაწინააღმდეგო რაკეტების მიწოდება შუა მაისიდან დაიწყო.**

იარაღის გადაგზავნა თურქეთის სამხედრო საწყობებიდან თავდაპირველად გართულდა, რადგან **თურქეთი მოითხოვდა, არაბეთის ქვეყნებისა და აშშ-ის მხრიდან დიპლომატიურ საფარს,** — აღნიშნავენ **The Guardian**-ის არაბი რესპონდენტები.

ამჟამად თურქეთში ფუნქციონირებს სამეთაურო ცენტრი, რომელიც კოორდინაციას უწევს იარაღის მიწოდებას და კონსულტირებს სამხედრო რაზმების ხელმძღვანელებს, რომლებიც სირიაში იბრძვიან. ბრიტანელი ჟურნალისტები თავად შეესწრნენ თურქეთის საზღვარზე იარაღის გადაცემის ფაქტს.

გავლენიანი **The New York Times** იტყობინება, რომ **ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ უკვე ააწყო იარაღისა და აღჭურვილობის სირიული ოპოზიციისთვის გადაცემის საქმე.** „ამბოხებულებისთვის“ იარაღის გადაგზავნის ერთ-ერთი არხი „ძმებ მუსლიმთა“ სირიის განყოფილებაა, წერს სტატიის ავტორი ერიკ შმიტი. **ავტომატებს, ყუმბარმტყორცნებს, ტანკსაწინააღმდეგო დანადგარებს სირიული ოპოზიციისთვის შეისყიდიან იგივე თურქეთი, საუდის არაბეთი და ყატარი. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლები აქტიურად ეხმარებიან მთელი ამ სამხედრო ტვირთის დანიშნულებისამებრ გაგზავნაში.** იგივე თანამშრომლები ეხმარებიან ზოგიერთი დაჯგუფების ხელმძღვანელებს დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახურების ჩამოყალიბებაში ბაშარ ასადის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამ ინფორმაციას ადასტურებს **The Huffington Post**-ის ჟურნალისტი ანდრეა სტოუნიც. იგი აღნიშნავს, რომ აშშ-ის სპეცსამსახურის თანამშრომლები, მარტიდან მოყოლებული, თურქეთის სამხრეთში იმყოფებიან და საუდის არაბეთის, ყატარისა და გაერთიანებული ემირატების მთავრობებს კონსულტაციებს უწევენ „სირიის თავისუფალი არმიისთვის“ იარაღის მიწოდებისა და მასთან თანამშრომლობის უკეთ წარმართვის საქმეში. ამას გარდა, **თურქეთის შრომის პარტიის მდივნის მოადგილის — ბოლანტ ესინოღლუს ცნობით, აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ გადაიბირა ექვს ათასამდე არაბი, ავღანელი და თურქი სირიაში ტერაქტების მოსაწყობად.**

აშშ-სა და „ალ ქაიდას“ კავშირის არსებობა არ ეხამუშება ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილ ოპერთანამშრომელსა და „დემოკრატიის დაცვის ფონდის“ უფროს მეცნიერ-მუშაკს — რუელ მარკ გერეხტს, რომელიც ყოველკვირეულ **The Wall Street Journal**-ში წერს იმის შესახებ, რომ **ასადის რეჟიმს ბოლოს მოუღებდა აშშ-ის სპეცსამსახურების ერთი სპეცოპერაცია, რომელიც ერთდროულად განხორციელდებოდა თურქეთიდან, იორდანიიდან და ერაყის ქურთისტანიდან.** გერეხტი განსაკუთრებით ხაზს უსვამს, რომ სამხედრო ცოცხალი ძალის მხრივ ასადი დამოკიდებულია ალავიტ-შიიტების უმცირესობაზე (მოსახლეობის დაახლოებით 10-15 პროცენტზე) და მას არ ეყოფა ცოცხალი ძალა აჯანყების ჩასახშობად ერთდროულად რამდენიმე ფრონტზე. ამერიკის ყოფილი მზვერავი დარწმუნებულია, რომ სირიის ოპერაცია ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დიდ ძალისხმევას არ საჭიროებს. **„სირიის ოპერაცია მასშტაბური არ იყო მაშინაც კი, როცა 1986-1987 წლებში ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ გააააქტიურა ავღანეთში ანტისაბჭოთა კონტინგენტის დახმარება, ვაშინგტონსა და საზღვარგარეთ ოპერაციაში მონაწილეობდა ოცამდე ადამიანი. სირიაში აგრესიული ოპერაციის განხორციელება მოითხოვს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უფრო აქტიურ მონაწილეობას, მაგრამ 50-ზე მეტი ადამიანის ჩართვა, რომლებიც მოკავშირეთა სპეცსამსახურებთან თანამშრომლობენ, საჭირო არ იქნება“.**

გერეხტის აზრით, ასადის დამხობის ამოცანას აიოლებს ის გარემოება, რომ **თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ერდოღანმა სამუდამოდ გაწყვიტა კავშირი ასადთან, იორდანია კი, რომელსაც აშშ-თან ყველაზე მჭიდრო კავშირი აქვს, ასევე უარყოფითადაა განწყობილი დამასკოს მიმართ.** ამას გარდა, ყოფილი ოპერმუშაკი მიიჩნევს, რომ ერაყის ქურთისტანი სირიის მოწინააღმდეგე კოალიციის თავისუფალი მოქმედების საშუალებას მისცემს ქურთების მხარდაჭერის სანაცვლოდ ბაღდადთან და თეირანთან ნებისმიერ კამათში.



„მშვიდობისმყოფელი“



შეიარაღებული ოპოზიცია

**FONDSK.RU-ს მიხედვით**

მოკლედ

## უგო ჩავესმა თანამოქალაქეებს «კოკა კოლაზე» უარის თქმისკენ მოუწოდა

**ვენესუელის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა თანამოქალაქეებს მოუწოდა, ადგილობრივი წარმოების წვენები სვან და უარი თქვან იმპორტირებულ „კოკა კოლასა“ და „პეპსიზე“.** ტელემიმართვაში პრეზიდენტმა სცადა, დაერწმუნებინა მოსახლეობა ადგილობრივი ყურძნის წვენის უპირატესობაში. ამგვარად ჩავესი საკუთარი პროდუქციის რეალიზაციის გაზრდას ცდილობს. ქვეყნის ლიდერი თავის ტელემიმართვებში ყოველთვის მოუწოდებს ჯანსაღი საკვების მიღებისაკენ და ნარკოტიკებსა და ალკოჰოლზე უარის თქმისკენ. ამავე დროს იგი ადგილობრივ ღვინის რეკლამას უწევს.

## სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა ბოდიში მოიხადა

**სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა ლი მენ ბეკმა 24 ივლისს თანამოქალაქეებს ტელევიზიით მიმართა და ბოდიში მოიხადა იმ კორუფციული სკანდალებისთვის, რომელშიც მისი უფროსი ძმა და თანაშემწეები გაეხვნენ. „თავს ვხრი თქვენ წინაშე და პატიებას გთხოვთ იმ უსიამოვნების გამო, რომელიც ამ ინციდენტებმა მოგაყენეთ“, — განაცხადა პრეზიდენტმა.** პრეზიდენტის უფროსი ძმა, ყოფილი დეპუტატი ლი სან დიკი სამხრეთკორეული ბანკებისგან ქრთამის აღების ბრალდებით არის დაპატიმრებული. სანაცვლოდ იგი ბანკებს შემოწმებისგან ხელშეუხებლობას ჰპირდება.

ცნობისათვის

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოში ჩაქოლვით ემუქრებიან დღეს ნედლ ხეს, მომავლის თაობას, ხვალ „ჩარეცხილების“ ჩახოცვაზე გადავლენ. არც მაინც და მაინც მოიერიშეთა R-15 შაშხანებით, არც პისტოლეტ „გლუკების“ მეშვეობით, არამედ თუნდაც ცხოვრების იმ წესით, რომლის უზნეობასაც თავზე გვახვევენ ასეთივე უზნეო კანონების მეშვეობით, ამათ ხელში მასობრივი განადგურების იარაღად რომაა ქცეული.**

# ჩასაქოლად გამეტებული საქართველო





### კედელზე დაკიდებული დამბაჩა გავარდა

**წინა დღის გამთენიისას ავი თვალი რომ დატრიალდა კახეთში, მეორე დღეს, შაბათს, 21 ივლისს თბილისში, „ვარდების რევოლუციის“ მოედანზე „ლუდის დღესასწაული“ ჩაატარეს „ღუბერნატორითა, არხიელითა“, „კლოუნებითა“ და უფასო გასართობი პროგრამით.**

მაშინ, როცა იმედგადაწურულ გლეხკაცს გატიალებულ მამულში სიმწრის ცრემლი ჩამოსდიოდა დალარულ ლოყებზე (ეს კაცი ეკრანზე ვიხილეთ), როცა კაცი ტიროდა(!), თბილისი ამტკიცებდა, რომ ცრემლების არ სჯერა.

თანადგომის ფუნქცია, თანალმობის გრძნობა, ეტყობა, პარლამენტივით თბილისიდან ქუთაისში გადაიტანეს ან — ბათუმში.

ასეთია „ვარდების რევოლუციის“ ბელადების მორალი, რომელმაც ხორშაკივით გადაუარა ქართველების ცხოვრების წესსა და ზნეობას და დროის იმ მიჯნამდე მიგვიყვანა, როცა **„გათავისუფლდება სატანა თავის საპყრობილიდან“** *(გამოცხ. 20,7)*.

მორალი — უცხო და უნიადაგო, რომელიც ამათ თავზე მოახვიეს თბილისს, და რომლის შედეგი მეორე დღესვე ვიხილეთ: **ბაზრებში ჩაბუდებულ-ჩასახლებულმა გადამყიდველებმა კახეთის ტრაგედიაზე ხელის მოთბობა გადაწყვიტეს და ცეცხლი მოუკიდეს ფასებს.**

**„სიმებს ცეცხლი ეკიდება, ამ სიხარულს, ნეტავ, რა სჯობს!“** — წავიმკრეხელე ცოტა. გამწარებისაა. მაპატიეთ...

საიდან მოდის გრძნობათა ასეთი გაქვავება?

კერპთაყვანისმცემლებად რომ გვაქციეს, იქიდან.

ან სურთ, რომ გვაქციონ — კერპად წარმოდგენილი ამერიკის ტვინგამორეცხილ აღმსარებლებად.

**ამერიკელებისთვის გორაკზე შემდგარი თეთრი სახლის ბრწყინვალება ეროვნული იდეალია, ამათ სურთ, რომ ყველა შტატი, ერთად აღებული, ჩვენ გავიხადოთ კერპად.**

ორიოდ დღის წინათ კოლორადოს შტატის ქალაქ ავრორაში, კინოთეატრ „Century-16“-ში კინოფილმის **„შავი რაინდი: ლეგენდის აღორძინება“** (ბეტმენი) პრემიერის დროს დატრიალებული სისხლიანი ტრაგედიის გამო გაკეთებულ განცხადებაში ბარაკ ობამამ ასეთი რამეც თქვა: **მე და მიშელი კი ვართ ბედნიერები, რომ ჩვენი შვილები იმ კინოსეანსზე არ იყვნენ, „მაგრამ ზოგიერთ მშობელს არ გაუმართლა“.**

არ გაუმართლაო!

ან თარგმანი იყო იდიოტური (რამდენიმე დღეს ატრიალებდნენ ეთერში ობამას გამოსვლის ამ პასაჟს ასეთი თარგმანით), ან, თუ მართლა ასე თქვა, მაშინ არაფერი გამეგება, არაფერი მესმის: **შვილების დაღუპვა-გადარჩენა ტრაგედია და უბედურების თავზე დატყდომა კი არ არის, არამედ გამართლება-არგამართლების დონის ფაქტი (!).**

ამ ლოგიკით, ავღანეთში, აშშ-ის სამხედრო ოპერაციაში გაწვეული ქართველი ბიჭების დაღუპვაც არგამართლება ყოფილა მხოლოდ! ჩოთქში ჩასული ანგარიშის შედეგი: კრედიტი, დებიტი, მოგება, წაგება: „იყიდე, გაყიდე! რა, ქარვასლაა?!“

ან იქნებ ობამა იმ კერპთაყვანისმცემლობის ანი და ჰოეა, რომელზეც სიტყვის თქმა აკრძალულია?

ვაშინერს!

**„ნუ შეიქმ კერპს“,** — გვასწავლის წმინდა წერილი. **„შვილებო, დაიცავით თქვენი თავი კერპთაგან“,** — გვაფრთხილებს მოციქული იოანე. *(იოან. 5,11)*

ესაია წინასწარმეტყველი გვეუბნება, რომ **კერპის გამომსახველნი „ვერაფერს ხედავენ, ვერაფერს მიმხვდარან...“** *(ესაია, 40,19)*.

მოდით, შევეცადოთ, შევხედოთ და მივხვდეთ.

**„ვისაც ყური აქვს, ისმინოს...“**

### როცა ბოროტება ადამიანებში იბუდებს

**აშშ-ში, მოქალაქეთა თავშეყრის ადგილებში სროლა და უდანაშაულო ადამიანების დახოცვა შემთხვევითი ინციდენტებიდან ტენდენციის ნიშნების მატარებელ საშიშროებად იქცა,** — მიიჩნევენ ანალიტიკოსები და იმოწმებენ ფაქტებს:

ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დღეს, **4 ივლისს, უცნობმა ცეცხლი გაუხსნა ვაშინგტონის ცენტრში, ფეიერვერკის საყურებლად შეკრებილ ადამიანებს.** დაიჭრა სამი, მათ შორის — ორი მოსწავლე, ერთი გარდაიცვალა.

წლეულს, **10 ივნისს, ალაბამაში რამდენიმე ადამიანი დაიჭრა იმათგან, ვინც ობერნის უნივერსიტეტთან ტყვიების წვიმაში მოჰყვა.**

წლევანდელ **აპრილში კალიფორნიის შტატის ქალაქ ოკლენდში, რელიგიურ სკოლაში OIKOS UNIVERSITY უცნობი ბოროტმოქმედის თავდასხმის შედეგად დაიღუპა 7 ადამიანი.**

**თებერვლის ბოლოს ოჰაიოს შტატის ქალაქ შარდონის სკოლის** (ისევ სკოლა!) **მოსწავლემ ესროლა თანასკოლელებს, ერთი ბავშვი დაიღუპა, ოთხი დაიჭრა. 2011 წელს მსგავსი ინციდენტი მოხდა კალიფორნიის ქალაქ სანტა-მონიკაში, სამი მოსწავლე დაიჭრა.** ამათ მშობლებს „არ გაუმართლა“?!

სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სროლის შესახებ ცნობებს ამერიკაში 1995 წლიდან რეგულარულად აქვეყნებენ...

**2011 წელს ტეხასში ბოროტმოქმედმა ამოწყვიტა შვიდსულიანი ოჯახი.**

**ერთი თვით ადრე ნევადის შტატის სავაჭრო ცენტრის კაფეში მამაკაცმა დაცხრილა ორი ადამიანი და თვითონაც თავი მოიკლა.**

შარშან, ივლისში, უცნობმა მამაკაცმა ცეცხლი გაუხსნა ტეხასის შტატის ქალაქ გრანდ პრერის როლერთა სასრიალოზე მყოფ ახალგაზრდებს. იმავე თვეში ლოს-ანჟელესის სამხრეთში 6 ადამიანი დაჭრა ვიღაც მანიაკმა.

**დალასის შემოგარენში** (ტეხასის შტატში) **მასობრივი მკვლელობის ფაქტი დადასტურდა** და ა. შ.

საკმარისია!

ექსპერტები ასეთ დანაშაულობათა მიზეზებს აშშ კონსტიტუციაში ეძებენ, რომლის მიხედვითაც ცეცხლსასროლი იარაღის ტარება დაშვებულია: **ამერიკაში ყოველწლიურად 5 მილიონი ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი იყიდება.**

ქალაქ ავრორას კინოთეატრში მაყურებელთა დახვრეტის ფიგურანტმა, კოლორადოს უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის სტუდენტმა ჯეიმს ჰოლმსმა სხვადასხვა ქალაქის მაღაზიებში სავსებით ლეგალურად, უპრობლემოდ შეიძინა მოიერიშეთა შაშხანა AR-15, საფანტის Remington, Glock-ის მარკის ორი პისტოლეტი.

სპეციალისტების ერთი ნაწილი ირწმუნება, რომ შტატებში, სადაც იარაღის შეძენა დაშვებულია და თავდაცვის მიზნით მისი გამოყენება შეიძლება, ძალადობრივ დანაშაულობათა რაოდენობა ნაკლებია.

სხვები საწინააღმდეგოს ამტკიცებენ. კამათობენ სტატისტიკური მონაცემების ირგვლივ.

**ამერიკაში სერიოზულად არიან შეწუხებული საზოგადოების დემორალიზაციის პრობლემით, მანიაკალური თავისუფლების მომძლავრების, ერთ დროს კაცობრიობის იდეალებად ცნობილ ღირებულებათა დევალვაციით.**

ალბათ, გაიხსნა ფარდა და მეოთხე მოქმედებაში უნდა გაისროლოს და ისვრის კიდეც ის დამბაჩა, რომელიც პირველი მოქმედებიდან დეკორაციის კედელზე კიდია.

ან იქნებ ის საშინელი ტრაგედიები, რისი მოწმეც დღეს ამერიკა გახდა, იმ ცოდვის გამოძახილია, რომელიც 1968 წლის 16 მარტს ვიეტნამური სოფლების სონგმიის თემში ამერიკელი კარისკაცების მიერ 504 გლეხის ამოწყვეტიდან მოდის და შვილიშვილების თაობაზე გადადის?

თუ მაძღარი საზოგადოების თანმდევი სენია?

**ამერიკელები შორს არიან თავიანთი ქვეყნის იდეალიზაციისგან. ჩვენს ნაცებს სურთ, შექმნან რწმენის ისეთი კერპი, რომ მაინც და მაინც „ამერიკული ოცნება“ უნდა გადმოვნერგოთ საქართველოში სახელისუფლო რესურსების ძალისხმევითა და მონდომებით.**

არადა, ხელის გაწვდენაზეა „ქართული ოცნება“.

### „საიდან იწყება სამშობლო“?

**სამშობლო საიდან იწყებოდა, ასე თუ ისე, ვიცოდით, მაგრამ ამ დღეებში „აგვიხსნეს“, რომ ამას იქით დევნილთა კარალეთის დასახლებაში ქვების სროლით სურთ სამშობლოს დაწყება.**

„ქართული ოცნების“ მომხრეთა დასაშინებლად მოწყობილი „ჩაქოლვის“ მცდელობის ინკარნაციით თუ ლინჩის წესის გადმონერგვით.

ისტორიული ფაქტია, რომელსაც თედო სახოკია იხსენებს: **„სოფელ ჩოჩეთში (ზემო ქართლი, სოფ. კავთისხევთან), XIX საუკუნის ოცდაათიან წლებში, ერთ გლეხის ქალს თავისი შვილის ნათლია შეჰყვარებია. სოფელი აღშფოთებულა და დაუდგენია ასეთი მძიმე დანაშაულის ჩამდენის ჩაქოლვება“.** აღსრულდება კიდეც.

ქვა მოგვკლავს თუ ტყვია, რა განსხვავებაა?! ჩვენი და ამერიკის რეალობა გოლგოთის გზას შემდგარი მაცხოვრის გაოცების დონემდე აღწევს: **დედაკაცებს, „რომლებიც ტიროდნენ და მოთქვამდნენ მის გამო“,** იესო მიმართავს: **„თუ ნედლ ხეს ასე ექცევიან, ხმელს რაღას უზამენ?!“** *(ლუკ. 23,31)*.

ნედლ ხეს, ქრისტეს მოძღვრებას, ამოსაძირკვად იმეტებენ.

**ნედლ თაობას, ბავშვებს, ყმაწვილებს, უაზროდ, უმიზნოდ ხოცავენ ამერიკაში, შვედეთში, უტოიაზე (გასულ კვირადღეს წლისთავი იყო აქაური ტრაგედიის) — ბოდვითი იდეებითა და წარმოდგენებით შეპყრობილი კერპთაყვანისმცემელი მანიაკები.**

დღეს საქართველოში ჩაქოლვით ემუქრებიან ნედლ ხეს, მომავლის თაობას, ხვალ „ჩარეცხილების“ ჩახოცვაზე გადავლენ. არც მაინც და მაინც მოიერიშეთა R-15 შაშხანებით, არც პისტოლეტ „გლუკების“ მეშვეობით, არამედ თუნდაც ცხოვრების იმ წესით, რომლის უზნეობასაც თავზე გვახვევენ ასეთივე უზნეო კანონების მეშვეობით, ამათ ხელში მასობრივი განადგურების იარაღად რომაა ქცეული.

**„ნუ შეიქმ კერპსა!“, რადგან კერპთაყვანისმცემლობა ისეთივე სიმდაბლეა, როგორც სიმხდალე** (მიაქციეთ ყურადღება!), **ურწმუნობა, მეძაობა, მკვლელობა და ა.შ., და დგება მეორე სიკვდილის ჟამი:**

**„ხოლო მხდალთა და ურწმუნოთა, შებილწულთა და მკვლელთა, მეძავთა და გრძნეულთა, კერპთაყვანისმცემელთა და ყველა ცრუთა ხვედრი ტბაშია, რომელიც იწვის ცეცხლითა და გოგირდით, რომელიც მეორე სიკვდილია“** *(გამოც. 21,8)*.

**„ვისაც ყური აქვს, ისმინოს, რას ეუბნება სული ეკლესიებს“** *(გამოც. 4,22)*.

**არმაზ სანებლიძე**

მოკლედ

## იტალიაში მონა ლიზას ძვლები აღმოაჩინეს



**იტალიელი არქეოლოგები აცხადებენ, რომ მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ქალის — მონა ლიზას გვამს მიაკვლიეს. ძვლები ფლორენციაში წმინდა ურსულას კათოლიკურ ეკლესიაში წარმოებული გათხრების დროს აღმოაჩინეს.** მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ფაქტი მას შემდეგ დადასტურდება, რაც ძვლებს აქამდე აღმოჩენილ მონა ლიზას შვილების გენეტიკურ მასალებს შეადარებენ. დნმ-ის თანხვედრის შემთხვევაში, მეცნიერები მონა ლიზას რეალური სახის მოდელირებას შეძლებენ და ლეონარდო და ვინჩის სურათის გამოსახულებას შეადარებენ. ამ შესაძლებლობის გამო, არქეოლოგი სილვანო ვინსენტი აღმოჩენას სენსაციად აფასებს. მონა ლიზას ძვლების ძიება არქეოლოგებმა 2011 წლის აპრილში დაიწყეს. ფინანსური პრობლემების გამო, სამუშაოები დეკემბერში შეწყდა და მხოლოდ მიმდინარე წლის ივნისში განახლდა. **იტალიელმა მხატვრმა ლეონარდო და ვინჩიმ „მონა ლიზა“ მე-16 საუკუნის დასაწყისში დახატა.** ერთ-ერთი ვერსიით, მხატვრის წინაშე ფლორენციელი ვაჭრის — **ფრანჩესკო დელ ჯოკონდოს მეუღლე ლიზა ჰერარდინი პოზირებდა.** არსებობს მოსაზრება, რომ და ვინჩის ცნობილ ტილოზე იტალიელი ჰერცოგის ბიანკა სფორცის ქალიშვილია გამოსახული. **ზოგიერთები კი ფიქრობენ, რომ „მონა ლიზა“ და ვინჩის ავტოპორტრეტია.**

ბალდერისის ამ განცხადების მიუხედავად, ლატვიაში ბევრი ფიქრობს, რომ ის პრეზიდენტობისთვის ემზადება. მაგრამ იყო წარმატებული ჰოკეისტი და მწვრთნელი და პოპულარობით სარგებლობდე საზოგადოებაში, ხშირად არ არის საკმარისი, წარმატებულ პოლიტიკოსად რომ გადაიქცე.

იუბილე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბალდერისი ლატვიის პრეზიდენტობას არ აპირებს

## ლეგენდარული ჰოკეისტი დათო ყიფიანის გაცნობაზე ოცნებობდა



**ჰელმუტ ბალდერისის სახელი ლატვიის, საბჭოთა და მსოფლიო ჰოკეის ისტორიაში დიდი ასოებით შევიდა. 1967-1977 და 1980-1985 წლებში რიგის „დინამოს" ლიდერი, 1977-1980 წლებში ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის — ცსკ-ს წამყვანი მოთამაშე იყო. 1977 წელს მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფორვარდად, ხოლო იმავე წელს სსრკ-ის საუკეთესო ჰოკეისტად აღიარეს. იგი იყო მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი (1980წ). 1985-1989 წლებში იაპონიის კლუბ „ოძი სეის"-ის მოთამაშე და იაპონიის სამგზის ჩემპიონი. 1989-90 წლებში თამაშობდა კლუბ „მინესოტაში", მაშინ 37 წლის იყო. მერე დაბრუნდა ლატვიაში, თამაშობდა ნაკრებში, იყო ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი 1993-1994 წლებში. 1999-დან რამდენიმე წლის მანძილზე იგი იყო რიგის სპორტის სასახლის დირექტორი, შემდეგ კი ლატვიის ყინულის ჰოკეის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტი. 1998 წელს შეიყვანეს ჰოკეის მსოფლიო ფედერაციის ვარსკვლავთა დარბაზში.**



მაგრამ საქმე ტიტულებში არ არის. ბალდერისი ძალიან უყვარდათ არა მარტო ნიჭისა და მიღწევების, არამედ მისი პირდაპირობისა და სამართლიანობის გამო. მის მიმართ დიდი სიმპათიით იყვნენ განწყობილნი საქართველოშიც, თუმცა ჩვენთან ჰოკეი არ იყო ისე პოპულარული, როგორც ფეხბურთი და კალათბურთი ან სპორტის სხვა სახეობები.

ამ დღეებში ბალდერისს 60 წელი უსრულდება. ჩვენ მას რიგაში შევხვდით. წინასწარ თბილისიდან დავურეკეთ. „ოოო? თქვენ რეკავთ საქართველოდან — ფეხბურთისა და კალათბურთის ქვეყნიდან? თუმცა ვიცი, რომ თქვენთან ჰოკეის დამკვიდრებაზე ფიქრობენ", — გვითხრა მან. ჩვენ მას რიგაში შეხვედრაზე შევუთანხმდით, რომელიც ლატვიის დედაქალაქის ერთ-ერთ ფეშენებელურ შენობაში შედგა.

**— ბატონო ჰელმუტ! იცით, თქვენ რომ ბალდერისი უყვარდათ არამარტო ჰოკეის ქვეყნებსა და რესპუბლიკებში, არამედ იქაც, სადაც ჰოკეი არ იყო ან იყო ძალიან მცირე ფორმით, მაგალითად, საქართველოში?**

— მე ყოველთვის ძალიან მომწონდა ქართული ფეხბურთი. 1960-1980 წწ თბილისის „დინამოს" თამაში ხიბლავდა მთელ სსრკ-სა და მრავალი ქვეყნის ქომაგებს, მათ შორის — მეც. პირადად მე ძალიან მომწონდა დავით ყიფიანის თამაში. ის იყო არამარტო დიდი ვარსკვლავი, არამედ, როგორც მეუბნებოდნენ, ძალიან განათლებული და ინტელიგენტი პიროვნება.

**— კი მაგრამ, თქვენ არ იცნობდით ერთმანეთს? სხვათა შორის დავით ყიფიანი 1977 წელს სსრკ-ის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა, თქვენ კი იმავე წელს სსრკ-ის საუკეთესო ჰოკეისტად და მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფორვარდად გაღიარეს.**

— წარმოიდგინეთ, რომ მე და დავითი ერთმანეთს არ შევხვედრივართ, თუმცა შორიდან კარგად ვიცოდით ერთმანეთის შესახებ. შეკრებებისა და ტურნირების გრაფიკი ისე იყო შედგენილი, ერთმანეთს პირადად ვერ შევხვდით. ეს სამწუხაროა. 2001 წელს კი დავითი ტრაგიკულად დაიღუპა.

**— მე ვიცი, რომ თქვენ ერთხელ ნამყოფი ხართ საქართველოში.**

— დიახ, ეს იყო 2011 წლის მარტში. ეს ძალიან საინტერესო და სასიამოვნო იყო. მე დამპატიჟეს საქართველოს ჰოკეის ფედერაციის ხელმძღვანელებმა, რომლებიც დაინტერესებულები არიან თქვენთან ჰოკეის განვითარებით. ეს იოლი არ არის, რადგან ამისთვის საჭიროა დიდი ინფრასტრუქტურა და სერიოზული ინვესტიციები. მე მზად ვარ, ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში, საქართველოს დავეხმარო რჩევებითა და კონსულტაციებით.

**— ახლა მინდა დაგაბრუნოთ დღევანდელ ლატვიაში. თქვენ რიგის დუმის დეპუტატი იყავით, მაგრამ ახლა თქვენ პოლიტიკისა და გარკვეულ წილად ჰოკეის გარეშე ხართ. თქვენ უკვე აღარ ხართ რიგის სპორტარენის დირექტორი და ლატვიის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტი, რას აკეთებთ დღესდღეობით და რას აპირებთ მომავალში?**

— დიახ, მე ვარ პოლიტიკის გარეთ და არც მაქვს სურვილი, ვიყო პოლიტიკაში. მე ყოველთვის ვიყავი გულახდილი ადამიანი და ჩემი პირდაპირი ხასიათით პოლიტიკაში ყოფნა არ ღირს. მე ხომ ყოველთვის პირდაპირ ვამბობ ყველაფერს, ყოველგვარი დიპლომატიის გარეშე. ეს კი ბევრს არ მოეწონება, ამიტომ მე ახლა უფრო კეთილი საქმით ვარ დაკავებული — მე ვარ სოფლის მეურნეობის კომპანიის უფროსი, რომელიც ლატვიაში ნატურალურ პროდუქტებს აწარმოებს, კერძოდ კი — პომიდორს, და ახდენს ამ პროდუქციის რეალიზაციას.

**— რიგაში მითხრეს, რომ ამ ბიზნესით თქვენ იქმნით ახალ იმიჯს და ემზადებით ლატვიის პრეზიდენტობისთვის...**

— რას არ იტყვიან ზოგიერთები (იცინის)! მე პირდაპირ ვიტყვი: არ ვაპირებ, გავხდე პრეზიდენტობის კანდიდატი და არც პარლამენტის დეპუტატობა მსურს. მე მომწონს ჩემი ახლანდელი საქმე.

* * *

**ბალდერისის ამ განცხადების მიუხედავად, ლატვიაში ბევრი ფიქრობს, რომ ის პრეზიდენტობისთვის ემზადება. მაგრამ იყო წარმატებული ჰოკეისტი და მწვრთნელი და პოპულარობით სარგებლობდე საზოგადოებაში, ხშირად არ არის საკმარისი, წარმატებულ პოლიტიკოსად რომ გადაიქცე.**

**თენგიზ პაჭკორია,**
სპეციალურად „საქართველო და მსოფლიოსთვის", რიგა

# «თბილისის საოპერო ფესტივალი» გრძელდება

**დასასრულს უახლოვდება „თბილისის საოპერო ფესტივალი", რომელმაც მრავალი მუსიკისმოყვარული დააინტერესა და მიიზიდა.**

9 ივლისს გაიმართა პირველი საფესტივალო კონცერტი, რომლის პროგრამაში იყო პეტრე ჩაიკოვსკის „სერენადა" სიმებიანი ორკესტრისთვის და კონცერტი ვიოლინოსა და სიმფონიური ორკესტრისთვის.

მსმენელს უმასპინძლა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრმა, რომელსაც უძღვებოდა თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელი, იტალიელი დირიჟორი **ჯანლუკა მარჩანო.** აუდიტორიამ გაიცნო ფესტივალის სპეციალური სტუმარი, შესანიშნავი ახალგაზრდა მევიოლინე **ვალერი სოკოლოვი,** რომლის საშემსრულებლო ხელოვნება ნამდვილად უმაღლეს შეფასებას იმსახურებს. 15 ივლისს შესრულდა ვერდის „ნაბუქო", 20 ივლისს ვერდის „ატილა", რომლის შესრულებაში ქართველ მუსიკოსებთან ერთად მონაწილეობდა ფესტივალის სპეციალური სტუმარი — ანტონინის უნივერსიტეტის გუნდი (ლიბანი) და გერმანიაში მოღვაწე მომღერალი **რამაზ ჩიქვილაძე.**

**„თბილისის საოპერო ფესტივალის" დასკვნითი საღამო — გალა კონცერტი კონსერვატორიის დიდ დარბაზში 25 ივლისს გაიმართება.** გალა კონცერტის პროგრამაშია ფრაგმენტები **ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის, ჯუზეპე ვერდის, ჯაკომო პუჩინის, პიეტრო მასკანის** ოპერებიდან. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ თეატრის სოლისტები — **თეა დემურიშვილი, ლევი იმედაშვილი, მიშელინა ქობალიანი, ზაალ ხელაია.** გალა კონცერტს **ჯანლუკა მარჩანო უდირიჟორებს.**

**ეწვიეთ «თბილისის საოპერო ფესტივალს»!**

**წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო**

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი" | 602602 |
| შპს „ახტელი" | 700818 |
| შპს „მაგთიკომი" | 200320 |
| შპს „ჯეოსელი" | 700305 |
| შპს „ბილაინი" | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის" ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937;
ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი,
ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736,
მობ.: (599)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru



მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრებაც ბილდერბერგის კლუბის დამსახურებად მიიჩნევა. ამის დადასტურებაა ჰილარი კინტონის სიტყვები: „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრების შემდეგ რუსეთი ვერ შეძლებს, ხელი შეუშალოს ამერიკელებს და ვერ შეძლებს თავისი დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას“.**



# ბილდერბერგის კლუბი: დასავლური იდეების განვითარების 60 წელი

**არსებობს მოსაზრება, თითქოს ბილდერბერგის კლუბი, რომელსაც ახლა 60 წელი შეუსრულდა, მსოფლიოს სწორედ ის ჩრდილოვანი მთავრობაა, რომელზე საუბარი ასე აშფოთებს კაცობრიობას. ხუმრობა ხომ არ არის: იკრიბებიან ადამიანები რომელიღაც სასტუმროს ლუქსის ნომრებში და სულ რამდენიმე თვის შემდეგ იწყება აურზაური სახელწოდებით „არაბული გაზაფხული“. სავსებით შესაძლებელია, რომ ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში დემოკრატიის მოზღვავება, ისევე, როგორც 1980-იან წლებში საბჭოთა კავშირში პლურალიზმისა და საჯაროობის მოზღვავება იმ ადამიანებმა დაგეგმეს, რომლებიც 2010 წელს ესპანეთში შეიკრიბნენ. სიტყესში გამართული კლუბური შეხვედრის მთავარი თემა სწორედაც რომ იყო ომი ახლო აღმოსავლეთში, როგორც გლობალური და სისტემური კრიზისის დაძლევის გზა.**



ბილდერბერგის სასტუმრო, სადაც 1954 წელს პირველად ჩატარდა კონფერენცია

ბილდერბერგის კლუბის წევრთა დაახლოებით 50 პროცენტს მსხვილი ფინანსისტები, ბანკირები და განვითარებული ქვეყნების (ძირითადად, ნატოს წევრი ქვეყნების) მაღალი რანგის ჩინოვნიკები წარმოადგენენ. დაახლოებით ოც პროცენტს მდიდარი ევროპული არისტოკრატიის წარმომადგენლები ავსებენ, ფორუმებს ესწრებიან ტრანსნაციონალური კორპორაციების თანამდებობათა პირებიც. შეკრებილთა საერთო რაოდენობა რამდენიმე ათეულიდან 170-მდე მერყეობს. ყველა მათგანი საკუთარი ხარჯებით ჩადის დანიშნულების ადგილას და ამ მგზავრობის აფიშირებას უკიდურესად ერიდება. ყოველი არაფორმალური მოლაპარაკების შედეგად შედგენილი დოკუმენტი მკაცრად გასაიდუმლოებულია და კონფიდენციალურად ეგზავნებათ მხოლოდ შეხვედრის მონაწილეებს. ამიტომ პრესაში მათი მოღვაწეობის შესახებ, შესაძლოა, მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტმა და მონაწილეთა ორიოდე სახელმა გაჟონოს.

**არსებობს ცნობები იმის თაობაზე, რომ კლუბის შეხვედრებში არასდროს მონაწილეობდნენ შავკანიანები** (სხვათა შორის, რომ 2008 წელს ერთადერთი გამონაკლისი მისტერ ბარაკ ობამა გახლდათ). საინტერესოა ისიც, რომ ორი წლის წინ ბილდერბერგერების შეხვედრა შედგა ევროპის არაფორმალურ ჰომოსექსუალურ დედაქალაქ სიტჟესში.

12 თვეში ერთხელ ბილდერბერგერები — დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის თვალსაჩინო მოღვაწეები იკრიბებიან და ერთობლივად განიხილავენ მიმდინარე მომენტის მოვლენებსა და პრობლემებს. კლუბის ყოფილი წევრების გვარების გადახედვის შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ შეკრება ძალიან ჰგავს ერთგვარ ჩრდილოვან მინისტრთა კაბინეტის სხდომას. ამასთან, ეს კაბინეტი ნაციონალურ ხელისუფლებებზე ძლევამოსილია და თანაც ბევრად უფრო ყოვლისშემძლე. სამი დღის განმავლობაში — სწორედ ამდენ ხანს გრძელდება ბილდერბერგული საღამოები — ერთმანეთს ხვდებიან და საუბრობენ უმაღლესი ხარისხის გავლენის მქონე ადამიანები. **ისინი დისკუსიებს არაოფიციალური სახით მართავენ და დარწმუნებულნი არიან, რომ მათი აზრი საიდუმლოდ შეინახება, რადგან მათ არავინ არსად იწერს და არავინ გაამხელს.** ეს გარანტირებულია. განსჯისა და განხილვების დასრულების შემდეგ ისინი იღებენ გადაწყვეტილებას და შეიმუშავებენ საერთო ორიენტაციას, რომელსაც ვალდებულებითი ხასიათი აქვს და შემდგომში კლუბის თითოეული წევრის საქმიანობაში რეალიზდება.

**ბილდერბერგის კლუბის რეგლამენტი ითვალისწინებს მოსაწვევების ყოველწლიურ დაგზავნას. ეს იმას ნიშნავს, რომ კლუბის ერთ შეხვედრაზე დასწრება კონკრეტული პირისათვის სულაც არ ნიშნავს მის შემდგომ შეხვედრებზე გარანტირებულ დასწრებას.**

კლუბის წევრების ფარული მოღვაწეობის შესახებ ზოგიერთი რამ იცის დენიელ ესტულინმა, რომელმაც დაწერა კიდეც ამ თემაზე წიგნი „ბილდერბერგის კლუბის ნამდვილი ისტორია“. მისი აზრით, როგორც მან 2010 წელს ევროპარლამენტში განაცხადა, კლუბის მიზანი გლობალური იმპერიის შექმნაა.

ესტულინის განცხადებით, ბილდერბერგის კლუბი უკანასკნელ წლებში დაკავებულია გიგანტური კარტელების შექმნით და ეს კარტელები მთელ მსოფლიოში აკონტროლებენ ენერგიას. „ისინი კვლავაც თვლიან, რომ მსოფლიოს მართავს ის, ვინც ენერგიას, მისი მიწოდების გზებსა და გადანაწილების პროცესს აკონტროლებს. უბრალო ადამიანებს (ისინი მათ ჭუჭყიანებს უწოდებენ) გადაუგდეს მითი ინფორმაციისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების საყოველთაო ბატონობის შესახებ, მაგრამ გათიშეთ ელექტროენერგია და ამით მართვადი მსოფლიო ბანქოს ქაღალდების სახლივით დაიფშვნება“.

პოლიტოლოგი სიმართლეს ამბობს. „მესამე ტალღისა“ და „პოსტინდუსტრიალური ერის“ შესახებ ფილოსოფია ძალზე პოპულარული და გავრცელებულია. იგი ადამიანების ყურადღებას მიმართავს ახალი ტექნოლოგიებისკენ, ინფორმაციისკენ, კომპიუტერიზაციისკენ და აბსოლუტურად შეგნებულად და მიზანმიმართულად ანიჭებს ინდუსტრიალიზმს მეორე ერის როლს პირველი აგრარული ერის შემდეგ. ამის შესახებ ჯერ კიდევ 1970-იან წლებში წერდა ამერიკელი სოციოლოგი **ელვინ ტოფლერი** („მესამე ტალღა“). სინამდვილეში მრეწველობა, ნავთობი, გაზი, ნახშირი და ასე შემდეგ არსად წასულა და **განვითარებული ქვეყნების სტრატეგია მიმართულია სწორედაც პლანეტის ენერგეტიკული რესურსების ფლობისაკენ. ტოფლერი და მისი მსგავსი დასავლელი მოაზროვნეები ერთ რამეში ნამდვილად არ ცდებიან: ინფორმაცია, როგორც ახალი ეპოქის რესურსი, თამაშობს არანაკლებ მნიშვნელოვან როლს, ვიდრე ელექტროენერგია სამრეწველო წარმოებაში. თანამედროვე ომებში ხშირად იმარჯვებს ის, ვინც, შესაძლოა, არც კი ფლობდეს ინფორმაციას, მაგრამ წარმატებულად ქმნის მას.**

ზოგიერთი ექსპერტი ყვება, თუ როგორ დაუმორჩილეს საბჭოთა გენერალური მდივანი მიხეილ გორბაჩოვი სცენარს, რომელიც ბილდერბერგის კუბის კულისებს მიღმა დაიწერა. **1985 წელს, მაღალ ხელმძღვანელ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ, გორბაჩოვმა წამოაყენა წინადადება, ებრძოლათ არა პროლეტარიატის დიქტატურისთვის, არამედ ეკოლოგიისათვის.** ქვეყანაში გამოჩნდა „მწვანეების“ დაჯგუფებები — დასავლური, სკანდალურად ცნობილი „გრინპისების“ კლონები. შეიარაღდნენ რა „ცნობიერებაზე მასობრივი ზეწოლის იარაღით“, ეკოლოგიისათვის ახალგამომცხვარმა მებრძოლებმა საბჭოთა კავშირის მოსახლეობას გაუღვივეს შიში სალმონელეზით დაავადების შესახებ. ამ ეკოლოგიური მოღვაწეობის შედეგად, 1987 წლიდან განადგურდა მეფრინველეობა და სულ მალე საბჭოთა ხალხმა გაიგო, თუ რა იყო „ბუშის ფეხები“.

შემდეგ, როდესაც საბჭოთა კავშირში ფრინველთა ფერმები სრულად განადგურდა, „მწვანეებმა“ არენაზე ახალი საფრთხობელა გამოიყვანეს **ნიტრატების** სახით. შედეგად, **საკოლმეურნეო ხილი და ბოსტნეული მთლინად ნაგავსაყრელებზე გაიგზავნა, სამაგიეროდ, საბჭოთა მაღაზიების დახლებზე გაჩნდა ჰოლანდიური, ბელგიური და ფრანგული პროდუქტი, რომელშიც ნიტრატების შემცველობა, სხვათა შორის, ექვსჯერ აღემატებოდა საბჭოთა კავშირის ანალოგიურ მაჩვენებელს. საქონლისათვის თივაც კი არგენტინიდან შემოჰქონდათ.**

**1989 წელს ბილდერბერგერებმა გაუშვეს ახალი „ბომბი“ შავი ზღვის გოგირდმჟავის შესახებ. გორბაჩოვების ოჯახური ვიზიტისას აშშ-ში ბჟეზინსკიმ რაისა გორბაჩოვას აუწყა, რომ ერთ დღესაც შავ ზღვას, შესაძლოა, ცეცხლი მოკიდებოდა გოგირდმჟავას აორთქლების გამო. რაისამ ეს საშინელი ამბავი მეუღლეს გაუზიარა, მას კი, დემოკრატიისა და საჯაროობის მომხრეს, ამაზე გაჩუმება არ შეეძლო — გამოვიდა ეკოლოგების ფორუმზე და გული გაუხეთქა მთელი მსოფლიოს საზოგადოებას.**

სხვათა შორის, სწორედ 1985 წელს, ხელისუფლებაში გორბაჩოვის მოსვლის დროიდან, განიხილავდნენ ბილდერბერგერები მოსკოვისათვის საერთაშორისო სავალუტო ფონდის სესხის მიცემის საკითხს.

დანიელ ესტულინმა არაერთხელ გააკეთა პროგნოზი ბილდერბერგის მორიგი შეკრების შედეგების შესახებ. ის დიდად ცდებოდა ამ პროგნოზირებისას. რამდენიმე მაგალითი ასე გამოიყურება:

1996 წელს კანადაში შეკრების შემდეგ ესტულინმა იწინასწარმეტყველა ომი კოსოვოში და თარიღად 1999 წელი დაასახელა. 2002 წელს მან ზუსტად გათვალა ერაყის ომი და თარიღად 2003 წლის თებერვალ-მარტი ახსენა. იმავე 2002 წელს მან განაცხადა, რომ 2007 წლის დასასრულამდე ერთი ბარელი ნავთობის ფასი 100 დოლარამდე გაიზრდებოდა და შეცდა, მაგრამ სულ რამდენიმე დღით — ამ ნიშნულს ნავთობის ▶




**რა დაგეგმეს ბილდერბერგელებმა ამჯერად? უცხოური ინტერვენცია სირიაში და მისი ბუფერულ ზონებად დაყოფა? «არაბული გაზაფხული» საუდის არაბეთში ახლო აღმოსავლეთის ახალი რუკის შესადგენად და დემოკრატიის შემდგომი მარშირებისათვის, ასევე ნავთობის გაიაფება, რომ სწრაფად დაასუსტონ რუსეთი? ეკონომიკური მარყუჟის მოჭერა ირანის კისერზე? აშშ-ის ხელისუფლებაში მიტ რომნის მოყვანა?**

**სირიაში ჩარევის საფასური დასავლელი მოკავშირეებისათვის გაცილებით მეტი იქნება, რადგან სირიის არმია გაცილებით უფრო ბრძოლისუნარიანია, ვიდრე ლიბიისა იყო. გარდა ამისა, არსებობს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა და ჩამოაგდეს თურქული თვითმფრინავი. რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის არსებობის შემთხვევაში, მოკავშირეები იძულებულნი არიან, გათვალონ მიუღებელი დანაკარგების ზღვარი, ანუ გათვალონ, იქნება თუ არა გადალახული ეს საზღვარი. ირანის გეოპოლიტიკურ ომთან დაკავშირებით, საერთოდ შეუძლებელია შედეგების წინასწარ გათვლა, რადგან ირანს შეუძლია ასიმეტრიულად იმოქმედოს, ომმა კი, შესაძლოა, ეკოლოგიური და სხვა კატასტროფები გამოიწვიოს, რაც ძალზე მასშტაბური იქნება მსოფლიო ცივილიზაციისთვის.**

მსოფლიო

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრებაც ბილდერბერგის კლუბის დამსახურებად მიიჩნევა. ამის დადასტურებაა ჰილარი კლინტონის სიტყვები: «მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრების შემდეგ რუსეთი ვერ შეძლებს, ხელი შეუშალოს ამერიკელებს და ვერ შეძლებს თავისი დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას»

◀ფასმა 2008 წლის 2 იანვარს მიაღწია. 2005 წელს მეცნიერმა განაცხადა, რომ ნავთობის ფასი 2008 წლის ზაფხულამდე 150 დოლარამდე გაიზრდებოდა და მართლაც მიაღწია 147,5 დოლარს.

ასე რომ, მისი ნდობა შეიძლება და მისი ერთ-ერთი უკანასკნელი პროგნოსის თანახმად, ნავთობზე ფასები დაეცემა. ბილდერბერგერები ნავთობის ფასს 30 დოლარამდე, სავარაუდოდ, რუსეთის ეკონომიკური განადგურების გამო დაწევენ.

სხვათა შორის, **ბილდერბერგის ჯგუფი სულაც არაა ჩაკეტილი საზოგადოება, ის თანამშრომლობს ყველაზე გავლენიან ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებთან. მის ძსელში შედის საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭო, რომლის შტაბ-ბინაც ნიუ იორკშია, ლონდონის საერთაშორისო ურთიერთობათა სამეფო ინსტიტუტი, საერთაშორისო დასტრატეგიული კვლევების ცენტრი, ამერიკის მრეწველობის ინსტიტუტი, კარნეგის ფონდი და სამმხრივი კომისია, რომელიც 1973 წელს როკფელერების, მორგანებისა და როტშილდების მიერ დაარსდა ამერიკაში, ევროპასა და აღმოსავლეთში მოქმედებათა კოორდინირებისათვის.**

ვინაიდან უკანასკნელ შეხვედრაზე რუსეთის ბედს განიხილავდნენ, კლუბმენებმა ვირჯინიის შტატის შანტილიში 31 მაისიდან 3 ივნისამდე გამართულ სხდომებზე, ვილაც-ვილაცები კი არა, რუსეთის ბედით დიდი ხნის მანძილზე დაკავებული პირები: ჩუბაისი, გარი კასპაროვი და იგორ ივანოვი მიიწვიეს.

ზოგიერთები მიიჩნევენ, რომ **ივანოვი რუსეთში აშშ-ის სახელმწიფო ინტერესებს ატარებს. თავის დროზე ჩუბაისი წარმოადგენდა დასავლურ ინტერესებს, რაც რუსეთის სახელმწიფო საკუთრების პრივატიზების ჭრილში ხორციელდებოდა, ბატონი კასპაროვი კი ამერიკული პოლიტიკის მესამე მხარეა, რომელიც კრემლის სახელისუფლო ვერტიკალის ოპოზიციურ დაპირისპირებას წარმოადგენს.**

**რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრებაც ბილდერბერგის კლუბის დამსახურებად მიიჩნევა. ამის დადასტურებაა ჰილარი კლინტონის სიტყვები: „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრების შემდეგ რუსეთი ვერ შეძლებს, ხელი შეუშალოს ამერიკელებს და ვერ შეძლებს თავისი დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას".**

ვარაუდობენ, რომ ახლა აბსოლუტურად განსხვავებული პროცესი იწყება და ამ პროცესს სათავე სწორედ ბილდერბერგის კლუბში დაუდეს. იქ გეგმავენ კოალიციური კასპაროვ-ნავალნი-პროხოროვის კოალიციური მმართველობის შექმნას, დუმის დაფუძნებას ორ კონკურენტ პარტიაზე, რუსეთში უცხოეთის ბანკების გაფართოებას და მომპოვებელი და სამრეწველო წარმოების ყველა სტრატეგიული დარგის მათთვის გადაბარებას, ქვეყნის გაყოფას უცხოური გავლენის ზონებად, რომლებიც აშშ-სა და მსოფლიოში ყველაზე დიდი საბანკო ქსელის მფლობელი გაერთიანებული ფინანსური დაჯგუფების როტშილდ-როკფელერის ხელმძღვანელობით შეიქმნება. ამ სცენარის სასარგებლოდ მეტყველებს ის, რაც ახლა ევროპაში ხდება — ბანკები ყიდულობენ საკუთარი ხელისუფლებების სახელმწიფო ობლიგაციებს და აიძულებენ მათ, სულ უფრო მეტი ვალის აღებას. ევროკავშირის ფისკალური მოქმედება ხელისუფლებების მიერ სახსრების ხარჯვასთან დაკავშირებით განაპირობებს მოთხოვნილების სულ უფო მეტ კლებას, რადგან იკლებს სოციალური ანაზღაურებები და ხელისუფლებათა ვალდებულებები. **კრიზისის ხელოვნური მარყუჟი პოლიტიკურ ელიტებს მანამდე მოუჭერს, ვიდრე ხელისუფლება, ბოლოს და ბოლოს, არ გადაეცემა ბანკებს, რომელთა კაპიტალიზაციაც ახლა 46 ტრილიონ ევროს შეადგენს, ევროკავშირის ქვეყნების ერთიანი საერთო შიდა პროდუქტის მოცულობა კი 13 ტრილიონ ევროს არ აღემატება.**

97 წლის დევიდ როკფელერისა და 76 წლის ჯეიკობ როტშილდის მსოფლიოს ყველაზე მძლავრი ფინანსური იმპერიები ერთმანეთს უკავშირდება. ამ ბატონებმა გადაწყვიტეს, გააერთიანონ თავიანთი აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც საიდუმლოდ ვერ შეინახეს მასმედიისაგან. არადა, მსოფლიო ფინანსურ ბანკზე მკაცრი კონკურენცია ამ ოჯახებს შორის ნახევარი საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა.

თუმცა არ ღირს გადაჭარბება. 58 წლის წინ, 1954 წლის მაისში, ამ ოჯახების მეთაურები — ედმონდ როტშილდი და ლოურენს როკფელერი იდგნენ სათავეში დასავლეთის მიერ მთელი მსოფლიოს მართვის ერთობლივი კულისების შექმნის საქმეში (საუბარია როგორც პოლიტიკურ, ისევე ფინანსურ მართვაზე).

თუ აშშ, ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი და კანადა ბილდერბერგის უკანასკნელ საიდუმლო კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ისტებლიშმენტის პერსონებით, იქ დამსწრე სამი რუსიდან ორი — ჩუბაისი და კასპაროვი — ოპოზიციონერი გახლდათ. შანტილიში ჩუბაისი პირისპირ შეხვდა უოლ-სტრიტელ ყაჩაღებს, მათ შორის „Goldman Sachs"-ისა და „Citigroup"-ის ყოფილ უფროსს, ბილ კლინტონის ფინანსთა მინისტრ რობერტ რუბინს, Goldman Sachs"-ის საერთაშორისო წარმომადგენელს — პიტერ საზერლენდს და „Citigroup"-ის ახლანდელ ვიცეპრეზიდენტს — პიტერ ორზაგოს.

ჩუბაისს ასევე შეხვედრები ჰქონდა რუსეთში აშშ-ის ელჩ მაიკლ მაკფოლთან, რომელსაც, ისევე, როგორც აშშ-ის ყველა ელჩს ბოლო პერიოდში, არ შეუძლია თავის შეკავება იმ ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევისგან, რომელშიც იმყოფება.

**ჩუბაისი და კასპაროვი რუსეთში ნეოლიბერალიზმის იდეოლოგები არიან და მათ ზურგს სოროსის მსგავსი სავალუტო და ფინანსური სპეკულანტები უმაგრებენ. ნეოლიბერალებს რომ რუსეთში ხელისუფლებაში მოსვლა შეეძლოთ, ისინი რუსეთს ნიუ იორკის, ლონდონისა და ფრანკფურტის ფინანსური ელიტების დიქტატსა და ახირებებს დაუქვემდებარებენ. მომავლისათვის ბილდერბერგერებმა რუსეთში „შემდგომი არეულობები" ჩაიფიქრეს.**

რუსეთის გარდა, შეხვედრაზე განიხილებოდა სირიის საკითხიც. ბოლო შეხვედრას ესწრებოდა ბასმა კოდმანი — სირიის ნაციონალური საბჭოს აღმასრულებელი ბიუროს წევრი და საგარეო კავშირების პრეს-მდივანი. გასაკვირი არაა, რომ ბილდერბერგელმა ძორებმა იგი საკუთარი ფრთის ქვეშ შეიფარეს — ბასმა ხომ რვა წლის განმავლობაში საქმიანობდა ფორდის ფონდში — იგი ერთ-ერთი მათგანია.

შეხვედრას ესწრებოდნენ, აგრეთვე, სახელგანთქმული მედიაბოსები: „Washington Post Company"-ს თავმჯდომარე და ხელმძღვანელი დონალდ გრემი, საერთაშორისო ურთიერთობათა ელიტარული საბჭოს წევრი და „ U.S. Public Broadcasting System"-ის პატრონი ჩარლი როუზ შოუ, „The Economist"-ის მთავარი რედაქტორი ჯონ მიკლტუეიტი, „ Financial Times"-ის მთავარი ეკონომიკური მიმომხილველი მარტინ ვოლფი, „Le Monde"-ის გენერალური დირექტორი ერიკ იზრაელევიჩი და სხვანი. სია მედიაში გამოქვეყნდა, თუმცა, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ის სიმართლეს სრულად არ შეესაბამება.

**რა დაგეგმეს ბილდერბერგელებმა ამჯერად? უცხოური ინტერვენცია სირიაში და მისი ბუფერულ ზონებად დაყოფა? „არაბული გაზაფხული" საუდის არაბეთში ახლო აღმოსავლეთის ახალი რუკის შესადგენად და დემოკრატიის შემდგომი მარშირებისათვის, ასევე ნავთობის გაიაფება, რომ სწრაფად დაასუსტონ რუსეთი? ეკონომიკური მარყუჟის მოჭერა ირანის კისერზე? აშშ-ის ხელისუფლებაში მიტ რომნის მოყვანა?**

ამის შესახებ მხოლოდ კლუბის წევრთა მოქმედებების მიხედვით შევიტყობთ. მანამდე კი ცნობილი გახდა, რომ ჩუბაისი სოჭში მიმდინარე კინოფესტივალ „კინოტავრზე", სადაც მისი მეუღლის ფილმს უჩვენებდნენ, პირდაპირ ბილდერბერგის შეკრებიდან ჩაფრინდა და იმდენად აღელვებული იყო, რომ ღვინოს პირდაპირ ბოთლიდან სვამდა...

**topwar.ru**



# თამაში ქაოსით

ამერიკულ ელიტაში არის გავლენიანი ჯგუფი, რომელიც შეგნებულად თანხმდება ქაოსით თამაშს. რუსეთის მიერ აშშ-ისა და მისი ევროპელი მოკავშირეების პოზიციის მიუღებლობა სირიის საკითხთან დაკავშირებით ორი მოსაზრებით აიხსნება: პირველი — გეოპოლიტიკური ხასიათის მოსაზრებები და მეორე — საერთაშორისო-სამართლებრივი მხარე. „ფერადი რევოლუციები" მხოლოდ ერთი რგოლია ტექნოლოგიურ ჯაჭვში.



თუ განვიხილავთ ამ პოზიციის გეოპოლიტიკურ შემადგენელს, მაშინ აშშ-ისა და ხანდახან ევროპელი ლიდერების მიერ განხორციელებული პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში, შუა აღმოსავლეთსა და ჩრდილო აფრიკაში ნამდვილ თვითმკვლელობად გამოიყურება. საუბარია ავტორიტარული რეჟიმების დესტაბილიზაციაზე აქტიურ მონაწილეობაზე. ეს გეოპოლიტიკური სარტყელი, პირველ რიგში, ევროპასთან და შუა აღმოსავლეთთან მეზობლობს და აღნიშნული რეჟიმები შედარებით გაყინულ მდგომარეობაში აკავებდნენ ისლამურ რკალს. არავის აქვს ილუზია, რომ ეს რეჟიმები დემოკრატიულია, მაგრამ საკითხი ამას არ ეხება.

**მთავარი ისაა, რომ ამ რეჟიმების ალტერნატივა იქნება არა დასავლური ტიპის დემოკრატია და ანალოგიური ტიპის უფრო რადიკალური რეჟიმები, არამედ ქაოსი და სამოქალაქო ომი. აქედან კი ორი რამ გამომდინარეობს — ევროპას მიმწყდარი დევნილთა ნაკადები და ისლამისტების გაძლიერება რეგიონებში, რომლებიც ხელში ეჭირათ ავტორიტარულ რეჟიმებს. მიუხედავად იმისა, რომ ძველი ლიდერებიდან ბევრი, მათ შორის იგივე კადაფი, ისლამზე აპელირებდა, მათი რეალური პოლიტიკა ისლამისტებს აკავებდა, ანუ ისლამიზმი წარმოადგენდა გაცილებით სეკულარული ელიტური არაბული ნაციონალიზმისა და ამ ავტოკრატიების იდეოლოგიების ალტერნატივას.**

**სამწუხაროდ, აშშ-ში არის გავლენიანი ჯგუფი, რომელიც, როგორც ჩანს, აბსოლუტურად შეგნებულად თამაშობს ქაოსით, რომ გააძლიეროს ისლამიზმი და მასზე, როგორც ტაფაზე, შებრაწოს ევროპაც, რუსეთიცა და, შესაძლოა, ჩინეთიც.** ითვლება, რომ ეს სამი ცენტრი დიდ რისკს შეიცავს ამგვარი დესტაბილიზაციის შემთხვევაში, გაცილებით მეტს, ვიდრე აშშ. აშშ-ის ინტერესებიდან გამომდინარე, ეს ლოგიკა სტრატეგიულად მცდარია, მაგრამ დიდწილად უფრო გასაგებია, ვიდრე ევროპული ლოგიკა, რომლის გაგებაც აბსოლუტურად შეუძლებელია. „ფერადი რევოლუციები" ჯაჭვის მხოლოდ ერთი რგოლია და მეტი არაფერი.

სირიაში დესტაბილიზაციის დონე გადააჭარბებს იმას, რაც ლიბიაში ვიხილეთ. გასაგებია, რომ დასავლეთი ხელს ვერ მოჰკიდებს ირანის პრობლემას, ვიდრე სირიისას არ გადაჭრის. უკიდურეს შემთხვევაში, ახლა ამას აბსოლუტურად სერიოზულად განიხილავენ. როდესაც ობამამ ბუში ჩაანაცვლა, ნათელი იყო, რომ ირანზე დარტყმა არააქტუალური საკითხია, მაგრამ ახლა ამაზე სერიოზულად დაფიქრება გვიწევს.

**სირიაში ჩარევის საფასური დასავლელი მოკავშირეებისათვის გაცილებით მეტი იქნება, რადგან სირიის არმია გაცილებით უფრო ბრძოლისუნარიანია, ვიდრე ლიბიისა იყო. გარდა ამისა, არსებობს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა და ჩამოაგდეს თურქული თვითმფრინავი. რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის არსებობის შემთხვევაში, მოკავშირეები იძულებულნი არიან, გათვალონ მიუღებელი დანაკარგების ზღვარი, ანუ გათვალონ, იქნება თუ არა გადალახული ეს საზღვარი. ირანის გეოპოლიტიკურ ომთან დაკავშირებით, საერთოდ შეუძლებელია შედეგების წინასწარ გათვლა, რადგან ირანს შეუძლია ასიმეტრიულად იმოქმედოს, ომმა კი, შესაძლოა, ეკოლოგიური და სხვა კატასტროფები გამოიწვიოს, რაც ძალზე მასშტაბური იქნება მსოფლიო ცივილიზაციისთვის.**

**km.ru**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყველაზე ხშირად დონორთა ორგანოები ჩინეთიდან, ინდოეთიდან, ბრაზილიიდან და ფილიპინებიდან მოდის. მაგრამ, როგორც ექსპერტები ამბობენ, ევროპელები სულ უფრო სუსტები ხდებიან ამ საკითხში. ამ საკითხზე მომუშავე უფლებადამცველი ორგანიზაციების მონაცემებით, ყოველწლიურად მსოფლიო ბაზარზე უკანონოდ 150-200 ათასი თირკმელი იყიდება. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით კი, მსოფლიოში ტრანსპლანტაციისათვის ორგანოთა მოთხოვნის მხოლოდ 10% კმაყოფილდება**



# ევროპაში დონორთა ორგანოების შავი ბაზარი ყვავის

**ბელგრადი. პავლე მირკოვი და მისი მეუღლე დანიელა ყოველ 15 წუთში ერთხელ ნერვიულად ამოწმებენ თავიანთ ელექტრონულ ფოსტას ოჯახის ფინანსური სპონსორის მოლოდინში: ერთ-ერთი მყიდველი მზადაა, მათი ერთი თირკმელისათვის 40 ათასი დოლარი გადაიხადოს. ორი მოზარდის მშობლებმა თავიანთი შინაგანი ორგანოები გასაყიდად სპეციალურ საიტზე ნახევარი წლის წინ გაიტანეს. მაშინ 50 წლის ბატონმა მირკოვმა ხორცკომბინატში სამუშაო დაკარგა.**



ბელგრადი

მირკოვის თქმით, მან სხვა სამსახურის მოძებნა ვერ შეძლო, რამაც სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. მას მამა ცოტა ხნის წინ გარდაეცვალა, მის საფლავზე კი ქვის დადებაც ვერ მოახერხა. ოჯახს უკვე გაუთიშეს ტელეფონი. ოჯახს შეუძლია, საკუთარ თავს პურითა და ძეხვით წახემსების უფლება მხოლოდ დღეში ერთხელ მისცეს.

„როდესაც ოჯახის გამოკვებაა საჭირო, თირკმლის გაყიდვა არც თუ დიდი მსხვერპლია", — ამბობს მირკოვი.

ექსპერტები ირწმუნებიან, რომ სიღატაკესთან პირისპირ დარჩენილი ევროპის მცხოვრებნი მზად არიან, თირკმლები, ფილტვები, ძვლის ტვინი და რქოვანა გაყიდონ. ეს მოვლენა საკმაოდ ახალია სერბეთისათვის, სახელმწიფოსთვის, რომელიც ძლიერად დაზარალდა ომის შედეგად და ახლა მთელი კონტინენტის ფინანსური კრიზისის დაძლევას ცდილობს. ევროპაში ადამიანის ორგანოებით უკანონო ვაჭრობის გავრცელება იმის წყალობით გახდა შესაძლებელი, რომ ინტერნეტი საყოველთაოდ ხელმისაწვდომი გახდა.

**ფილტვის ფასმა შესაძლოა 250 ათას დოლარამდე მიაღწიოს. ევროკავშირის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა განცხადებით, 2012 წლის მაისის დასასრულს ისრაელის პოლიციამ დააკავა საერთაშორისო დამნაშავეობრივი ორგანიზაციის 10 წევრი, რომლებიც ევროპაში ადამიანის ორგანოებით ვაჭრობისთვის არიან ბრალდებულნი. ორგანიზაციის მსხვერპლნი გახდნენ მოლდავეთის, ყაზახეთის, რუსეთის, უკრაინისა და ბელარუსის ღატაკი მოქალაქეები.**

**ექსპერტები ირწმუნებიან, რომ სიღატაკესთან პირისპირ დარჩენილი ევროპის მცხოვრებნი მზად არიან, თირკმლები, ფილტვები, ძვლის ტვინი და რქოვანა გაყიდონ**

ევროკავშირის პროკურორი ჯონათან რეტელი აცხადებს, რომ დონორული ორგანოებით ვაჭრობა ახლა იზრდება. რეტელი აწარმოებდა საქმეს შვიდი ადამიანის წინააღმდეგ, რომლებიც თურქეთისა და ყოფილი კომუნისტური ქვეყნების მოსახლეობას უბიძგებდნენ, გაეყიდათ თირკმელები და თითო ორგანოში 20 ათას დოლარს ჰპირდებოდნენ, მაგრამ შემდეგ დაპირებას არ ასრულებდნენ. პროკურორი ამბობს, რომ **ორგანიზებული დამნაშავეობრივი ჯგუფები მდიდრდებიან ადამიანთა უბედურებაზე — მათზეც, ვინც ქრონიკული სიღატაკით იტანჯება და იმედდაკარგულ მდიდარ პაციენტებზეც, რომლებიც მზად არიან, ყველაფერი გაიღონ სიცოცხლის შესანარჩუნებლად.**

ყველაზე ხშირად დონორთა ორგანოები ჩინეთიდან, ინდოეთიდან, ბრაზილიიდან და ფილიპინებიდან მოდის. მაგრამ, როგორც ექსპერტები ამბობენ, ევროპელები სულ უფრო სუსტები ხდებიან ამ საკითხში.

ამ საკითხზე მომუშავე უფლებადამცველი ორგანიზაციების მონაცემებით, **ყოველწლიურად მსოფლიო ბაზარზე უკანონოდ 150-200 ათასი თირკმელი იყიდება. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზა-** ▶

# ნატოს ომი ძვირად დაუჯდება

**აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონს, რომელიც წმინდა ომს აწარმოებს სირიასთან, რიტორიკული საბრძოლო მასალები უთავდება. შესაძლოა, ეს არის შედეგი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით ომის წამოწყებისა. შესაძლოა, ეს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის მოხერხებული კონტრშეტევების შედეგია. რამდენიმე დღის წინ ჰილარი კლინტონმა დასავლეთის სახელმწიფოებისა და მათი არაბული მარიონეტებისაგან შემდგარ სიმბიოზს, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობის როლს ასრულებს, მოუწოდა, გარკვევით მიანიშნონ, რომ რუსეთი და ჩინეთი ძვირად გადაიხდიან იმის გამო, რომ ხელს უშლიან წინსვლას. წინსვლაში სირიაში რეჟიმის შეიარაღებული ძალით შესვლა იგულისხმებოდა.**




მის ახალ ენაზე ეს აღნიშნავს: **„თუ თქვენ დაბლოკავთ ჩვენს ახალ ომს, საზღაური მალე მოგეკითხებათ".**

მიუხედავად კრემლისა და ჩჟუნანშაის დერეფნებში ხარხარისა, ეს მიანიშნებს, თუ რამხელა თავგანწირვით მიისწრაფვის ზემოხსენებული სიმბიოზი სირიაში რეჟიმის შეცვლისაკენ, რომ საბოლოოდ გადაჭრას ირანის კავშირები არაბულ სამყაროსთან. ამასთან, თურქეთის პრემიერი რეჯეპ ტაეპ ერდოღანი, რომელიც ნატოს აღმოსავლურ ფრთას კეტავს, ვეღარ ითმენს, ისე უნდა სირიაზე დარტყმა, მაგრამ ვერაფრით მოიფიქრა, როგორ წარმოაჩინოს ეს თურქეთის საზოგადოებრივი აზრის გამოხატულებად.

ცეცხლზე ნავთს ასხამს საიტი „ვიკილიკსი", რომელმაც გამოაქვეყნა მიმოწერის ერთი ულუფა, რომელშიც კომპრომეტირებულია როგორც ასადის სისტემა, ისევე ნატოსეული ამბოხებულებიც. შესაძლო გვერდითი მოვლენა იქნება ის, რომ ეგრეთ წოდებული პროგრესირებადი ძალები დასავლეთიდან აქტიურად დაუჭერენ მხარს სირიის საწინააღმდეგო წმინდა ომს. ღეალურად, შესაძლოა, ველოდოთ, რომ ეს არამომგებიანად წარმოაჩენს ორივე მხარეს — ასადის პოლიციურ სახელმწიფოსაც და შეიარაღებულ ოპოზიციასაც.

**საჭიროა იმაზე დაფიქრებაც, თუ რა ფასად შეიძლება დაუჯდეს ვაშინგტონს (რომ აღარაფერი ვთქვათ მის ნატოელ ქვეშევრდომებზე) ამ წმინდა ომის გაგრძელება სწორედ იმ „ტერორისტების" მხარეს, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ დასავლური ცივილიზაციის განადგურებითა და მის გიგანტურ ხალიფატად ქცევით იმუქრებოდნენ.**

**ვაშინგტონი, ლონდონი და პარიზი ცდილობდნენ, ეშმაკობით ჩაეთრიათ გაეროს უშიშროების საბჭო კიდევ ერთ ომში, მაგრამ დაბრკოლებად რუსეთსა და ჩინეთს გადააწყდნენ. ამიტომ, გეგმაში იყო გაეროს გვერდის ავლით ნატოს ომის წამოწყება. პრობლემა ისაა, რომ ნატოს არც გამბედაობა ჰყოფნის და არც სახსრები, აწარმოოს ძალზედ სარისკო ომი ქვეყანასთან, რომელსაც შეუძლია თავი დაიცვას.**

**ამრიგად, მესამე გეგმა იმაში მდგომარეობს, რომ გაგრძელდეს ხანგრძლივი სამოქალაქო ომი აბსოლუტურად არათავისუფალი, დაქირავებულებით და ჯიჰადისტებით გადავსებული სირიის არმიასა და იმ ემიგრანტ-ოპორტუნისტებზე დაყრდნობით, რომლებიც საკუთარ თავს სირიის ნაციონალურ არმიას უწოდებენ.**

ამ უკანასკნელთ მოითხოვეს, სირია, ლიბიის სცენარის შესაბამისად, არასაფრენ ზონად გამოცხადდეს. ამის შესახებ ნატოს ოფიციალურად სთხოვა თურქეთმაც. მართალია, ნატოელი სარდლები მაინცდამაინც კომპეტენტურები არ არიან, მაგრამ ავღანეთში სახის დაკარგვა ჯერ კიდევ ახსოვთ და უყოყმანოდ განაცხადეს უარი ამ წინადადებაზე.

სირიაში მოქმედებამ სალაფიტი-ჯიჰადისტები, რომლებიც ძალზე ყურადღებით უსმენენ „ალ ქაიდას" ლიდერებს, უკვე რამდენიმე თვეა, ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ ლიბიური ისლამური საბრძოლო და- ▶

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ობიანგი ქირაობდა ადვოკატებსა და ბუღალტრებს იმ კომპანიების შესაქმნელად, რომლებიც ამერიკაში გადარიცხვის საშუალებით ფულის გათეთრებაში გამოიყენებოდნენ. ოპერაციებთან მისი კავშირი დაფარული იყო, ამიტომ ბანკებმა არ იცოდნენ, რომ მის ფულზე მუშაობდნენ. მათ რომ ამის შესახებ შეეტყოთ, ანგარიშებს დახურავდნენ, რაც ობიანგს კიდევ უფრო მზაკვრული მეთოდების გამოყენებისაკენ უბიძგებდა.**

# მძარცველების თავშესაფარი — ამერიკა

**◀ ციის მონაცემებით კი, მსოფლიოში ტრანსპლანტაციისათვის ორგანოთა მოთხოვნის მხოლოდ 10% კმაყოფილდება.**

ექსპერტების განცხადებით, ევროპაში ახლა ორგანოების გაყიდვის მსურველი ღატაკების რაოდენობა დაახლოებით იმავე სურათს ქმნის, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეიქმნა უმუშევრად დარჩენილ საბჭოთა მოსახლეობაში.

**სერბეთში ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა უკანონობაა და 10 წლამდე პატიმრობით ისჯება,** მაგრამ ეს ვერ აკავებს 19-ათასიანი მოსახლეობის ქალაქ დოლჟევაცას, რომელიც სერბეთის სამხრეთში მდებარეობს და რომლის ხელისუფლებამაც უარი უთხრა მოსახლეობას, დაერეგისტრირებიათ ორგანოებისა და სისხლის საზღვარგარეთ გაყიდვის ადგილობრივი სააგენტო.

**ადგილობრივები ირწმუნებიან, რომ ქალაქში უმუშევრობა 50%-ს შეადგენს და მოსახლეობის სამი ათასი წარმომადგენელი მზადაა, მონაწილეობა მიიღოს პროექტში, ანუ გაყიდოს ორგანო ან სისხლი. მას შემდეგ, რაც ორგანოების ოფიციალური და კანონიერი გაყიდვის უფლება არ მიეცათ, ეს ადამიანები ცდილობენ, არალეგალურად გააკეთონ იგივე მეზობელ ბულგარეთსა და კოსოვოში.**

პარალელურად ბატონი მირკოვი კომპიუტერს უზის და მოწყალებასავით ელის კლიენტს, რომელიც მის თირკმელს იყიდის და მისცემს ფულს, რომ შვილებს აჭამოს და სკოლაში ატაროს. ნახევარი წლის განმავლობაში იგი ყოველ დღე განიცდის იმედსა და იმედგაცრუებას. ერთხელ ვიღაც გერმანელმა შესთავაზა გერმანიაში ჩასვლა და მგზავრობის ხარჯების ანაზღაურებასაც დაჰპირდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მირკოვი ამის გაკეთებას შეეცადა, კლიენტი გაქრა.

მაკედონიელმა ქალმა მისი ცოლის — დანიელას თირკმელისთვის 24 ათასი დოლარი შესთავაზა, მაგრამ ეს ფასი საწყისზე 12 ათასით ნაკლებია. დანიელას სისხლის ჯგუფის გამო მისი თირკმელი რეციპიენტების უმეტესობას გამოადგება, ამიტომაც შავ ბაზარზე მეტი თანხის მოთხოვნა შეიძლება.

**სერბეთის ხელისუფლება ირწმუნება, ქვეყანა არც ისე ღატაკია, რომ მისმა მოქალაქეებმა ორგანოების გაყიდვით ირჩინონ თავი, პოლიცია კი ირწმუნება, რომ ბოლო 10 წლის მანძილზე ორგანოებით ვაჭრობის გამო პასუხისგებაში არავინ მიუციათ. ექსპერტები კი აცხადებენ, რომ ამგვარი შემთხვევები ძალზე იშვიათად სრულდება სამართლებრივი პასუხისგებით, რადგან ოპერაციები, როგორც წესი, მესამე ქვეყნებში ტარდება და მათი კვალის მიგნება საკმაოდ ძნელია.**

სერბეთში ისეთ ადამიანებსაც შეხვდებით, რომლებიც ირწმუნებიან, რომ უკვე გაყიდეს ორგანო. მაგალითად, 52 წლის მილოვანი აცხადებს, რომ მდიდარ პოლიტიკოსს მისცა თირკმელი. გადანერგვის ოპერაცია ბელგრადის საავადმყოფოში ჩატარდა, დონორისა და რეციპიენტის სამედიცინო ანკეტებში ეწერა, რომ ისინი ძმები არიან.

**The New York Times**

◀ ჯგუფება აქტიურად მოქმედებს სირიაში, ზუსტად ისევე, როგორც ერაყული „ალ ქაიდას“ ნარჩენები, ისინი ახლა მანქანებს პირდაპირ დამასკოში აფეთქებენ.

იმ შემთხვევაში, თუ სირიაში ასადის შემდეგ სუნიტები უმრავლესობას შეადგენენ, ვაჰაბისტები და სალაფიტი-ჯიჰადისტები კი მათ შეერევიან, ანტისაბჭოთა ჯიჰადის შემდგომი 1980-იანი წლების ავლანეთი ამასთან შედარებით ჰონ-კონგის დისნეილენდში გასეირნება იქნება.

რაც შეეხება ჩინეთს, მას ეცინება, როდესაც ჰილარის უყურებს და მშვიდად ითვლის შემოსავალს. ვიდრე საუდების მმართველი სახლი სულ უფრო ეფლობა პარანოიაში და თვლის, რომ ობამას ადმინისტრაციას ფლირტი აქვს არაბული სამყაროს დემოკრატიასთან, პეკინი სავაჭრო კავშირებს აფართოებს და ერ-რიადს რაკეტების ახალ პარტიას აწვდის.

**და ვიდრე დასავლეთს წმინდა ომთან ფლირტი აქვს, პეკინის ნახევრადსახელმწიფო კორპორაციები წარმოუდგენელ ტემპში ყიდულობენ ახლო აღმოსავლეთის, ჩრდილოეთ აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ბუნებრივ რესურსებს. გარდა ამისა, ის აგროვებს მიწათა იშვიათ ლითონებს მარაგის სახით. ჩინეთი ამ მეტალების სულ მცირე 97%-ს აწარმოებს მთელი ჩინეთის მასშტაბით. ეს მეტალები კი გამოიყენება მთელ რიგ მოწყობილობებში — აიპოდებიდან იმ ახალ რაკეტებამდე, რომლებიც ახლა ცხვება არაბეთის უდაბნოში.**

არ ღირს იმის დავიწყებაც, რომ სირიასთან წმინდა ომი მხოლოდ შუალედური წერტილია თეირანისკენ მიმავალ გზაზე. შესაძლოა, იყოს კიდევ მრავალი გვერდითი მოვლენაც, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტად შეიძლება იქცეს რუსეთის, ირანისა და ჩინეთის შეთანხმება იმაზე, რომ გლობალურ ენერგეტიკულ ბაზარზე დიდი რეორგანიზაცია მოახდინონ ნავთობდოლარების ტრანზაქციებში გამოყენებაზე უარის თქმით.

ვაშინგტონის სანქციებზე ირანს ადეკვატური პასუხი აქვს — გინდათ ჩვენთან ბიზნესის წარმოება? — გადაიხადეთ ნებისმიერი ვალუტით, გარდა დოლარისა, ან ოქროთი. აი ისიც — წმინდა ომის წმინდა გრაალი და არავითარი სირია.

გამოდის, რომ **მთელი ეს წმინდა ომის სინდრომი აშშ დოლარის, როგორც სარეზერვო ვალუტის, აღსასრულს აახლოებს. და როდესაც ეს მოხდება, ამერიკაშიც დადგება „გაზაფხული“ თუ ამერიკულ ელიტებს ეყოფათ გამბედაობა და ძალა იმისათვის, რომ რუსეთსა და ჩინეთს ამისათვის აზღვევინონ?**

**პეპე ესკობარი**
**Asia Times**

**დიქტატორები განაგრძობენ ნაძარცვის ამერიკაში გადამალვას მანამ, ვიდრე ამერიკელები არ ამოქოლავენ იმ კორპორატიულ ნაპრალებს, რომელთა საშუალებითაც ძალიან ადვილად ათეთრებენ ფულს. 11 ივნისს აშშ-ის ხელისუფლებამ წარადგინა სასარჩელე განცხადება, რომელშიც დოკუმენტურად დასტურდება კორუფციის ფაქტები, რომელთაც 1980 წელს ფილიპინების გაძარცვის შემდეგ ბადალი არ მოეძებნება.**

განცხადებაში დეტალურადაა გადმოცემული მსხვილმასშტაბიანი მექრთამეობისა და ფულის გათეთრების ბრალდება, რომელიც ეკვატორული გვინეის დიქტატორის — თეოდორო ობიანგო იგემ მბასოგოს შვილისა და სავარაუდო მემკვიდრის წინააღმდეგაა შედგენილი. სატყეო მეურნეობის მინისტრობის პერიოდში ობიანგ უმცროსმა, რომელიც ცნობილია მეტსახელით თეოდორინი, ქონება იმის წყალობით იშოვა, რომ უცხოეთის ტყის გადამამუშავებელ კომპანიებს აიძულებდა, მიეცათ მისთვის დიდი ქრთამი, ძირითადად, ვალუტით გატენილი ჩემოდნების სახით.

ვაშინგტონს კარგად გამოსდის ტერორიზმის დაფინანსებებისთვის გზების გადაჭრა და სუდანისა თუ ირანის მსგავსი რეჟიმებისთვის უცხოური ინვესტიციების შეჩერება, მაგრამ ძალზე ცოტას თუ აკეთებს იმისათვის, რომ ხელი შეუშალოს მმართველ დიქტატორებსა და მათი ოჯახების წევრებს თავიანთი აქტივების საცავად ამერიკის გამოყენებაში.

ამ დრომდე ვაშინგტონი მეგობარ დიქტატორებს აგრძნობინებდა, ვიდრე ხელისუფლებაში ხართ, ძარცვეთ და ატერორეთ თქვენი ხალხი, რამდენიც გინდათ. ჩვენ თქვენი აქტივების კონფისკაციას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოვახდენთ, თუ თქვენი რეჟიმი დაემხობა.

ობიანგზე თავდასხმა განსაკუთრებულ სიმამაცეს მოითხოვს, ეკვატორული გვინეა ხომ საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკის ქვეყნებს შორის ნავთობის მოპოვების მხრივ მესამე ადგილს იკავებს და მნიშვნელოვანი ენერგეტიკული მოკავშირეა. **ამერიკის ნავთობკომპანიები ლამის ქვეყნის მთელ ნავთობს ისრუტავენ და მის მნიშვნელოვან ნაწილს აშშ-ში აგზავნიან.**

როგორც წესი, **ამერიკა თავს არიდებს მეგობრულ ქვეყნებზე ზეწოლას ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სიტუაციების გაუმჯობესებისა და კორუფციასთან ბრძოლის მოტივით, რადგან პოტენციურ შედეგებს უფრთხის. მაგრამ ამიერიდან, როგორც იუსტიციის სამინისტროს მაღალი რანგის თანამდებობის პირმა განაცხადა, „ამერიკის შეერთებული შტატები არ იქნება ის ადგილი, სადაც შეიძლება სხვადასხვა ქვეყნის კორუმპირებული ლიდერის მიერ არაკეთილსინდისიერი გზით მოპოვებული სიმდიდრე შეინახოს“.**

იუსტიციის სამინისტროს



ტეოდორო ობიანგი და მისი მეუღლე ბარაკ და მიშელ ობამებთან ერთად

სარჩელი მნიშვნელოვანი გამოცდაა. თუ ხელისუფლება ვერ მოიგებს ობიანგების საქმეს, მან, შესაძლოა, სულაც აღარ მოინდომოს კორუმპირებული დიქტატორების პასუხისგებაში მიცემა. ოლიგარქებსა და ტირანებს შემდეგი სიგნალი დაეგზავნებათ: „ჩამობრძანდით ჩვენთან და უშიშრად ხარჯეთ საკუთარი ფული, ნუ იღელვებთ, რომ ჩვენ რაიმეს კონფისკაციას მოვახდენთ თქვენი უკანონოდ მითვისებული სიმდიდრიდან“.

**ობიანგის მამამ ხელისუფლება 1979 წელს ჩაიგდო ხელში და ამ დრომდეც აფრიკაში პირველ ადგილზეა, ხელისუფლების ხანგრძლივობის მაჩვენებლით. მან, სულ მცირე, 600 მილიონი დოლარის ქონება დააგროვა, მისი ღატაკი მოსახლეობა კი 40 წლამდეც ვერ ცოცხლობს.**

მაგრამ შვილი შეუდარებლად უფრო ხარბია. 1993 წელს პრეზიდენტმა ობიანგმა თეოდორინოს, რომელიც მაშინ 24 წლის იყო, მისცა უფლება, გაეჩეხა თითქმის 90 000 აკრი ტროპიკული ტყე. მომდევნო წელს იგი სატყეო მეურნეობის მინისტრად დაინიშნა. მიუხედავად იმისა, რომ **მისი ხელფასი თვეში 7 000 დოლარს შეადგენდა, თეოდორინომ, როგორც იუსტიციის სამინისტრო ირწმუნება, 2000-2011 წლებში ოთხ კონტინენტზე აქტივებისა და ქონების შეძენაზე 300 მილიონი დოლარი დახარჯა. ამერიკაში მისი მთავარი შენაძენი იყო მალიბუს მამული, რომელშიც 30 მილიონი დოლარი გადაიხადა და 38 მილიონად ღირებული თვითმფრინავი. აღარაა საუბარი მილიონზე მეტ დოლარზე, რომელიც მან მაიკლ ჯექსონის ნივთების შესაძენად დახარჯა. გარდა ამისა, მან იყიდა სახლი პარიზში 80 მილიონ დოლარად, მიწის ნაკვეთი სან-პაულოში 15 მილიონად, 6 მილიონი დოლარის ღვინოები და დეგას, რენუარისა და გოგენის ნახატები.**

მისთვის ქრთამის მიმცემ კომპანიებს შეეძლოთ ეჩეხათ ტყეები, სადაც მოესურვებოდათ, მათ შორის ნაკრძალებშიც, რომელთაც ფორმალურად ეკვატორული გვინეის კანონები იცავს. იმ კომპანიებს კი, რომლებიც ქრთამის გადახდაზე უარს აცხადებდნენ,



ობიანგი და კონდოლიზა რაისი

ქვეყნიდან აძევებდნენ, მათ ქონებასა და აღჭურვილობას დაუნდობლად ძარცვავდნენ.

მიუხედავად ამ წარმოუდგენელი ფაქტებისა, იურიდიულმა ხრიკებმა და გამომდგომმა ამერიკელმა ადვოკატებმა თუ ბუღალტრებმა ობიანგს საშუალება მისცეს, ამერიკაში უზარმაზარი ფული გაეთეთრებია.

**კანონის მთავარი არასრულყოფილება ისაა, რომ მრავალი იურისდიქცია, მათ შორის აშშ-საც, კომპანიებისაგან არ ითხოვს, დაასახელონ თავიანთი ნამდვილი ბენეფიციალები და არა ის ფორმალური მფლობელები, რომლებიც წინა პლანზე ჩანან, ამიტომ დიქტატორებსა და დესპოტებს შეუძლიათ, მარტივად დამალონ საკუთარი შემოსავლები: იმის ნაცვლად, რომ საკუთარი სახელით იყიდონ უძრავი ქონება, ისინი შენაძენს აფორმებენ იმ პანამური ტრესტის სახელზე, რომელიც ბაჰამის კუნძულებზე მდებარე და ლიხტენშტეინში დარეგისტრირებული კომპანიის მიერ მართვად კორპორაციას ექვემდებარება.**

**ობიანგი ქირაობდა ადვოკატებსა და ბუღალტრებს იმ კომპანიების შესაქმნელად, რომლებიც ამერიკაში გადარიცხვის საშუალებით ფულის გათეთრებაში გამოიყენებოდა. ოპერაციებთან მისი კავშირი დაფარული იყო, ამიტომ ბანკებმა არ იცოდნენ, რომ მის ფულზე მუშაობდნენ. მათ რომ ამის შესახებ შეეტყოთ, ანგარიშებს დახურავდნენ, რაც ობიანგს კიდევ უფრო მზაკვრული მეთოდების გამოყენებისაკენ უბიძგებდა.**

დესპოტებსა და თაღლითებს დიდი სიამოვნებით მიაქვთ თავიანთი ფული ამერიკაში არა მხოლოდ პრესტიჟის გამო, არამედ იმიტომაც, რომ ამ ქვეყნის კანონები კორპორატიული საიდუმლოებების დაცვის შესახებ — შვეიცარიისა და ლუქსემბურგის მსგავსად — ფაქტობრივად, არ აძლევენ საშუალებას სამართალდამცავ ორგანოებს, გაარკვიონ, ვისი ფული იმალება ქვეყანაში.

ვიდრე ეს ნაპრალები ღიად რჩება. იუსტიციის სამინისტრომ ეს საქმე რომც მოიგოს, მომავალ ობიანგებს ვერაფერი შეუშლის ხელს, თავიანთი ბინძური ფული ამერიკის შეერთებულ შტატებში გაათეთრონ და ამ ქვეყნით ისე ისარგებლონ, როგორც საკუთარი სავაჭრო ცენტრით.

**International Herald Tribune**

კომენტარი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტალინმა იცოდა, რომ თეირანის შეხვედრაზე მას ჩერჩილისა და რუზველტის ერთიანი ფრონტის გარღვევა მოუწევდა. ამ რთული მდგომარეობის დასაძლევად სტალინს რაღაც უნდა ეღონა. ჩერჩილის პიროვნებასა და მის დიპლომატიურ სტილს იგი საკმაოდ კარგად იცნობდა. მაგრამ რუზველტთან პირადი ურთიერთობა არ ჰქონია, ხოლო დაუსწრებელი ნაცნობობა დიდი ოპტიმიზმის საფუძველს არ აძლევდა. საბჭოთა ბელადი ერთ რამეში იყო დარწმუნებული: დასავლეთის ორი ლიდერის სოლიდარობა არც ისე მტკიცეა; საჭირო იყო ვაშინგტონსა და ლონდონს შორის არსებულ წინააღმდეგობათა კიდევ უფრო გაღრმავება.**



რუდოლფ ბალანდინი, სერგეი მირონოვი

# სტალინის ეპოქა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-27 (139-165)

## დიპლომატიური ორთაბრძოლები

ჩვენი წინა პუბლიკაცია, თუ გახსოვთ, მთავრდებოდა დაპირებით, რომ დღეს აუცილებლად ვუპასუხებდით შეკითხვას: რატომ მოხდა, რომ საბჭოთა კავშირისთვის ომის უმძიმეს დღეებში აშშ და ინგლისი სტალინს სთავაზობდნენ სამი სახელმწიფოს ლიდერების შეხვედრას, ნაცვლად იმისა, რომ მაქსიმალურად დახმარებოდნენ მოკავშირეს? ხომ არ იყო ეს რაიმე ხრიკი? რა როლს უმზადებდნენ საბჭოთა ხელმძღვანელს?

სერიოზული ანალიტიკოსების აზრით, იმ ეტაპზე, როცა საბჭოთა კავშირის ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა და სტალინი მთლიანად ჩართული იყო ამ პრობლემაში, აშშ-სა და მის ლიდერს მოქმედების თავისუფლება ჰქონდათ, საკუთარი შეხედულებით შეეძლოთ შეერჩიათ, სად და როდის დაერტყათ მოწინააღმდეგისთვის, შტატებისთვის რა უფრო მომგებიანი იქნებოდა — საბჭოთა კავშირისთვის დახმარების გაზრდა თუ შემცირება. სტალინს შესანიშნავად ესმოდა ეს ყოველივე და არავითარი სურვილი არ ჰქონდა, მოკავშირეებზე დამოკიდებული პარტნიორის როლში აღმოჩენილიყო.

მხოლოდ შემოდგომაზე დათანხმდა სტალინი თეირანში კონფერენციის გამართვას, ანუ მას შემდეგ, რაც წითელმა არმიამ გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა რაიხს კურსკის ბრძოლაში და შეუჩერებელ შეტევაზე გადავიდა.

ამ დროისთვის დასავლელმა მოკავშირეებმა უკვე ორჯერ დაამტკიცეს, რომ პირის გამტეხნი და არასანდონი არიან — ორი წელიწადი 1942 და 1943 ისე გაათრიეს, რომ არა და არ გახსნეს მეორე ფრონტი ევროპაში. ამით შესანიშნავად ისარგებლა ჰიტლერმა და მთელ ძალებს თავი აღმოსავლეთის ფრონტზე მოუყარა.

აშკარა იყო, რომ მოკავშირეები შეგნებულად და შეთანხმებულად წითელ არმიას ფაშისტური ურდოების პირისპირ ტოვებდნენ. ამის თაობაზე სტალინი არაერთხელ მიანიშნებდა ჩერჩილსა და რუზველტს მათთვის გაგზავნილ წერილებში. აღნიშნავდა, რომ **„საქმე ეხება საბჭოთა მთავრობის არა უბრალოდ იმედგაცრუებას, არამედ მისი მოკავშირეების მიმართ ნდობის შენარჩუნებას, რომელიც მძიმე გამოცდის წინაშე დგას. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ საქმე ეხება მილიონობით სიცოცხლის გადარჩენას დასავლეთ ევროპის ოკუპირებულ რაიონებსა და რუსეთში, და საბჭოთა არმიის კოლოსალური მსხვერპლის შემცირებას, რასთან შედარებით ინგლის-ამერიკის ჯარების მსხვერპლი მცირე სიდიდეა“.**

ჩვენ დროში ანტისტალინელები გაჰყვირიან, რომ სტალინი სამამულო ომის დროს საკუთარ ჯარისკაცებს არ ინდობდაო, ჭკუით კი არა, რაოდენობით იგებდაო ბრძოლებს. ჩაიხედონ ამ დალოცვილებმა იმ პერიოდის დოკუმენტებში და ნახავენ, ვის ჰყავდა განწირული საბჭოთა მეომრები — სტალინს თუ ინგლის-ამერიკის ხელმძღვანელებს. სტალინმა ეს შესანიშნავად იცოდა, მაგრამ თავს ზევით ძალა არ იყო: ისეთი მოკავშირეები ჰყავდა, რომლებიც სულ არარაობას მაინც სჯობდა. მით უფრო, რომ ამ მოკავშირეებს შეეძლოთ გაიძვერულად მოლაპარაკებოდნენ ჰიტლერს: ყველანი ერთად — საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ!

მწარე სიტყვებია? ვინ უარყოფს, მაგრამ მოსალოდნელ საშიშროებასთან შედარებით, რომლის ალბათობა საკმაოდ რეალისტური იყო, ეს სიტყვები დასაშვები ტაქტიანობის ჩარჩოებში რჩება.

**კურსკის რკალის ბრძოლაში მოპოვებულმა გამარჯვებამ საბოლოოდ დაამტკიცა, რომ სწორედ საბჭოთა კავშირს აკისრია წამყვანი როლი ფაშიზმის წინააღმდეგ ომში. სტალინის პოზიცია განმტკიცდა, მან მიიღო უპირატესობა დიპლომატიურ ორთაბრძოლაში, რადგან მისმა სახელმწიფომ თავისი ძალა და სიმტკიცე დაუმტკიცა პარტნიორებს.**

### მას შემდეგ, რაც პირადად გაიცნეს ერთმანეთი

მაშ ასე, თეირანის კონფერენციის წინ, რომელიც ინგლისისა და საბჭოთა კავშირის მიერ კონტროლირებად ირანში იმართებოდა, სტალინის, როგორც ძლიერი და ომში გამარჯვებების გზით მიმავალი სახელმწიფოს მეთაურის მდგომარეობა, მნიშვნელოვნად განმტკიცდა. ამ სიტუაციაში მას უკვე შეეძლო დაეცვა თავისი პოზიცია გავლენის სფეროების ომისშემდგომ განაწილებისა თუ შორეულ აღმოსავლეთში მოსალოდნელ ომში ჩართვის საკითხებში.

ამ პერიოდისთვის იგი უკვე მარშალი გახდა, არა მარტო წოდებით, არამედ ფაქტობრივად, იმ გამოცდილების საფუძველზე, რომელიც მან შეიძინა ყველა, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაციის დაგეგმვისა და ხელმძღვანელობის პროცესში.

ამრიგად, 1943 წლის დასაწყისისგან და გაზაფხულისგან განსხვავებით, ოქტომბრის თვეში სტალინმა მნიშვნელოვანი უპირატესობა მოიპოვა რუზველტთან და ჩერჩილთან მოლაპარაკების პროცესში, თუმცა ამ უპირატესობის გამოყენება მარტივი საქმე არ იყო. სტალინთან შეხვედრამდე აშშ და ინგლისის ლიდერებმა ერთმანეთში არაერთი მოლაპარაკება გამართეს, რომელთა შედეგების შესახებ საბჭოთა ბელადს მხოლოდ ვარაუდი თუ შეეძლო.

თეირანის კონფერენციამდე რუზველტმა როგორც კი შეიტყო, რომ საბჭოთა ჯარებმა გაათავისუფლეს მარცხენა ნაპირის უკრაინა და შეძლეს ჰიტლერელთა თავდაცვის ზღუდის — „აღმოსავლეთის მიჯნის“ გარღვევა, თავის ვაჟიშვილს ელიოტს უთხრა — თუ რუსებს საქმე მომავალშიც ასე წარმატებით წაუვათ, მაშინ მომავალ გაზაფხულზე მეორე ფრონტის გახსნა შეიძლება საჭიროც აღარ გახდეს. მოსკოვში ამერიკის სამხედრო მისიის ხელმძღვანელმა გენერალმა დინმა კი პრეზიდენტს აცნობა, რომ ლა-მანშის ფორსირებისადმი სტალინს ინტერესი გაუნელდა, წითელმა არმიამ ირწმუნა, რომ მოკავშირეთა არმიების დახმარების გარეშეც შეუძლია ბერლინისკენ წაწევა.

1943 წლის 19 ნოემბერს, როცა რუზველტი ირანის დედაქალაქისკენ მიემგზავრებოდა შტაბების თავის უფროსებთან საუბრისას განაცხადა: „ჩვენ ბერლინამდე უნდა მივიდეთ. მაშინ საბჭოებმა მისგან აღმოსავლეთით ტერიტორია დაე, დაიკავონ. მაგრამ **ბერლინი შეერთებულმა შტატებმა უნდა აიღოს“.**

მაგრამ ამ ამოცანის შესრულება ახლა უკვე ძნელი იყო. მოკავშირეები დიდ დანაკარგს გაურბოდნენ და ამიტომ სამხრეთ ევროპაში აქტიურ შეტევით ოპერაციებს არ განახორციელებდნენ. მართალია, ისინი იტალიელებს იოლად გაუმკლავდნენ, მაგრამ გერმანელებმა სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს და დააბრკოლეს კიდეც. ლამანშის ფორსირება ზამთარში ძალიან ძნელი და საფრთხის შემცველი იყო ცუდი და ცვალებადი ამინდის გამო.

**გაირკვა, რომ სტალინი მართალი იყო, როცა ამბობდა, რომ მტერი არც ისე საშიშია, როგორც წარმოაჩენენ, ინგლისელები და ამერიკელები კი ვერ გათავისუფლდნენ გებელსის პროპაგანდის მონუსხულობისგან და ვერმახტი კვლავ დაუმარცხებელ ძალად მიაჩნდათ.**

სტალინმა იცოდა, რომ თეირანის შეხვედრაზე მას ჩერჩილისა და რუზველტის ერთიანი ფრონტის გარღვევა მოუწევდა. ამ რთული მდგომარეობის დასაძლევად სტალინს რაღაც უნდა ეღონა.

ჩერჩილის პიროვნებასა და მის დიპლომატიურ სტილს იგი საკმაოდ კარგად იცნობდა. მაგრამ რუზველტთან პირადი ურთიერთობა არ ჰქონია, ხოლო დაუსწრებელი ნაცნობობა დიდი ოპტიმიზმის საფუძველს არ აძლევდა. საბჭოთა ბელადი ერთ რამეში იყო დარწმუნებული: დასავლეთის ორი ლიდერის სოლიდარობა არც ისე მტკიცეა; საჭირო იყო ვაშინგტონსა და ლონდონს შორის არსებულ წინააღმდეგობათა კიდევ უფრო გაღრმავება. ამასთან, ოპონენტთაგან ერთ-ერთი ნაწილობრივ მაინც უნდა მიემხრო როგორც პარტნიორი, თუნდაც ცალკეული საკითხების განხილვის პროცესში. ამ როლისთვის რუზველტი უფრო გამოდგებოდა.

აშშ-ის გიგანტური ეკონომიკური და სამხედრო სიმძლავრე ინტენსიურად მატულობდა უპირატესად ბრიტანეთის იმპერიის მუდმივი და კატასტროფული დასუსტების ხარჯზე. იაპონელების მიერ ხელში ჩაგდებული ინგლისის აზიური სამფლობელოების დაკარგვის გამო, დიდი ბრიტანეთი იძულებული გახდა შეგუებოდა შეერთებული შტატების ფართო და ღრმა შეჭრას თავის დომინიონებსა და ლათინურ ამერიკაში ინგლისელების გავლენის სფეროში.

ამრიგად. **ორი დასავლეთელი მოკავშირიდან პირველობდა რუზველტი. იგი უნდა განეწყო, უპირველეს ყოვლისა, სათავისოდ და მეგობრული დამოკიდებულება სწორედ მასთან უნდა დაემყარებინა. სტალინმა ეს გადაწყვეტილება კონფერენციის დაწყებისთანავე მიიღო.**

რუზველტი თეირანში 23 ნოემბერს ჩაფრინდა და თავდაპირველად აშშ დესპანთან დაბინავდა. მაგრამ სტალინმა, რომელსაც ჰქონდა საბჭოთა დაზვერვის სარწმუნო ინფორმაცია, რომ მზადდებოდა თავდასხმა „დიდ სამეულზე“, დაჟინებით მოითხოვა პრეზიდენტის საბჭოთა საელჩოში ჩასახლება. აქედან ჩერჩილის რეზიდენციაც ახლოს იყო და რუზველტის გადმოსვლა ამითაც გამართლებული იყო: დიდი სამეული თეირანის ქუჩებში პრაქტიკულად არ იმოძრავებდა.

**უსაფრთხოება, როგორც რ. შერვუდი წერდა, „ნამდვილად იყო უზრუნველყოფილი. მომსახურენი, რომლებიც ლოგინებს უგებდ-** ▶

**სტალინის მშვიდმა და ტაქტიანმა, ამავე დროს, ღირსეულმა ქცევამ, მისმა გონებამახვილობამ, ლაპიდარულმა და დასაბუთებულმა მსჯელობამ რუზველტზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. თითქმის ყველა დასავლეთელი ლიდერის მსგავსად, რომლებიც ანტისაბჭოთა პროპაგანდისა და თავიანთი მრჩევლების გავლენას განიცდიდნენ, რუზველტიც აშკარად ვერ აფასებდა საბჭოთა ლიდერის ინტელექტს, განათლებულობას, გონების სისხარტეს, აზროვნების მასშტაბურობას. მით უფრო გააოგნა და მოხიბლა იგი „საბჭოთა დიქტატორის“ პიროვნებამ.**

უკომენტაროდ

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნენ და ოთახებს ალაგებდნენ, ყველგან მყოფი კაგებეს თანამშრომლები იყვნენ“...**

**წიგნის, რომლის მიხედვითაც ეს პუბლიკაციები იწერება, ავტორები ამის გამო შენიშნავენ — რომ გამორიცხული არ არის, რ. შერვუდმა მოხსნა გუდას პირი და ფანტაზია გააჯირითაო.**

**მაგრამ ჩეკისტები მაღალ სტუმრებს სათვალთვალოდ და საჯაშუშოდ კი არ მიუჩინეს, არამედ საბჭოთა კავშირში დადგენილი პრაქტიკით პოლიტბიუროს წევრებს, უმაღლესი თანამდებობის პირებს ემსახურებოდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მეცხრე განყოფილება, ე.წ. „დევიატკა“. მისი შტატიანი თანამშრომლები ყოველმხრივ შემოწმებული და სანდო პიროვნებები იყვნენ.**

**რუზველტის უსაფრთხოება აბსოლუტურად იყო დაცული. ამის სრული გარანტია შექმნა ლავრენტი ბერიამ, რომელიც „დიდი სამეულის“ უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებებს ხელმძღვანელობდა.**

**საბჭოთა საელჩოში რუზველტის „გადმოსახლებიდან“ თხუთმეტი წუთიც არ იყო გასული, რომ სტალინმა მოინახულა სტუმარი. ეს მათი პირველი შეხვედრა იყო.**

**დამეთანხმება ჩვენი მკითხველი, რომ საბჭოთა ბელადის ეს ნაბიჯი იმდენად დიპლომატიური ეტიკეტის დემონსტრაცია კი არ იყო, რამდენადაც ქართული სტუმართმოყვარეობის, მასპინძლის მოვალეობის გულწრფელი გამოვლენა.**

შეხვედრა 45 წუთს გაგრძელდა. ამ დროის დიდი ნაწილი თარგმანმა წაიღო.

რუდოლფ ბალანდინი და სერგეი მირონოვი ამასთან დაკავშირებით შენიშნავენ:

„ამერიკელებმა არ იცოდნენ, რომ ეს იყო სტალინის ერთ-ერთი დიპლომატიური ეშმაკობა. სტალინი კარგად ფლობდა გერმანულ ენას (ამ ენაზე აწარმოებდა მოლაპარაკებას ზოგიერთ უცხოელ სახელმწიფო მოღვაწესთან, მაგალითად, რუმინეთის ომისშემდგომ პრემიერ-მინისტრთან პეტრუ გროზასთან), ინგლისურს — უფრო ნაკლებად. დროს, რომელიც თარგმანზე იხარჯებოდა, იგი რუზველტისა და ჩერჩილისთვის გასაცემი პასუხების მოფიქრებაზე იყენებდა. მისგან განსხვავებით, დასავლეთელ ლიდერებს უმალვე უნდა ეპასუხათ სტალინისათვის, ან დაფიქრებისა და პაუზის შემდეგ, რაც მათ ზოგჯერ უხერხულ მდგომარეობაში აგდებდა, აბნევდა კიდეც. თუმცა სტალინს ამის გარეშეც, თავისი იშვიათი ნიჭის წყალობით, შეეძლო მოკლედ, გასაგებად და დამაჯერებლად გადმოეცა თავისი ნაფიქრი და ნააზრევი“.

ჩავუთვალოთ ეს ავტორებს ლირიკულ გადახვევად, და ყურადღებით წავიკითხოთ შერვუდის, კონფერენციაზე დამსწრე ადამიანის ჩანაწერი, რომელიც სტალინის ქცევას ასე აღწერს: **„სტალინი განუწყვეტლივ რაღაცას ხაზავდა ქაღალდის ნაგლეჯზე და თამბაქოს ეწეოდა თათბირების დროს. ლაპარაკობდა ხმადაბლა, ძლივს გასაგონად და როცა თარჯიმანს მიმართავდა, ისე ჩანდა, რომ ძალას არ ხარჯავდა ამა თუ იმ წინადადების ხაზგასასმელად...“**

ეს გაცილებით საინტერესო დაკვირვებაა.

განვაგრძოთ წიგნის კითხვა:

დიპლომატიური შეხვედრების დროს მისი ქცევისა და საუბრის სტილი ყოველთვის უაღრესად თავშეკავებული იყო. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ მან „გათიშა“ ემოციები და ასპარეზი სრულად დაუთმო გონებას. თანამოსაუბრეები ვერ ახერხებდნენ ამა თუ იმ რეპლიკაზე მისი რეაქციის გარკვევას; ამით იგი ყოველთვის უგებდა ჩერჩილს, რომელიც თავშეკავებულობით მაინც და მაინც არ გამოირჩეოდა (მაგრამ არა ყოველთვის გულჩათხრობილ რუზველტს).

სტალინის მშვიდმა და ტაქტიანმა, ამავე დროს, ღირსეულმა ქცევამ, მისმა გონებამახვილობამ, ლაპიდარულმა და დასაბუთებულმა მსჯელობამ რუზველტზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. თითქმის ყველა დასავლეთელი ლიდერის მსგავსად, რომლებიც ანტისაბჭოთა პროპაგანდისა და თავიანთი მრჩევლების გავლენას განიცდიდნენ, რუზველტიც აშკარად ვერ აფასებდა საბჭოთა ლიდერის ინტელექტს, განათლებულობას, გონების სისხარტეს, აზროვნების მასშტაბურობას. მით უფრო გააოგნა და მოხიბლა იგი „საბჭოთა დიქტატორის“ პიროვნებამ.

შესაძლოა, იმანაც იმოქმედა, რომ ორივენი განეკუთვნებოდნენ იმ მცირერიცხოვან ადამიანებს, რომელთაც უნარი შესწევდათ, დაეძლიათ ბედის უკუღმართობა, ზოგჯერ ისეთიც კი, რისი წარმოდგენაც ძნელია.

**სტალინისადმი დამოკიდებულება დასავლეთში მკვეთრად შეიცვალა სტალინგრადთან გამარჯვების შემდეგ.** აშშ-სა და ინგლისის მმართველ წრეებში მანამდე ჭარბობდა მოსაზრება, რომ სსრ კავშირი არის კოლოსი თიხის ფეხებზე. საფრანგეთმაც კი, რომლის შეიარაღებული ძალები ფორმალურად არაფრით ჩამოუვარდებოდა ვერმახტს, რომელსაც ინგლისიც უჭერდა მხარს, ერთ თვესაც ვერ გაუძლო გერმანელების შემოტევას. ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის დაცემამ დაამტკიცა გერმანელების არმიის არა მარტო სიძლიერე, არამედ ჰიტლერის საგარეოპოლიტიკური სტრატეგიის წარმატებულობაც.

**გერმანელების დამარცხება მოსკოვის მისადგომებთან დასავლეთში ახსნეს რუსეთის ყინვებით და არა წითელი არმიის წარმატებული ბრძოლითა და სიმტკიცით. ვერმახტის ზაფხულის შეტევებმა თითქოს დაადასტურა ასეთი შეხედულება. მაგრამ სტალინგრადმა დაამტკიცა, რომ არც საბჭოთა მხედართმთავრები, არც საბჭოთა ჯარისკაცები არაფრით ჩამოუვარდებიან სახელგანთქმულ გერმანელ მებრძოლებს.**

თეირანის კონფერენციის დროისთვის ამერიკელთა შორის აშკარად ჭარბობდა პროსაბჭოთა განწყობილება (მაგრამ მცირე ხნით). მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არ მალავდნენ აღფრთოვანებას სტალინის მიმართ. 1943 წლის 4 იანვარს ავტორიტეტული ჟურნალი „ტაიმი“ გამოვიდა სტალინის პორტრეტით ყდაზე, წელიწადის ადამიანად მიიჩნია იგი და „გრანიტში გამოკვეთილი სახე“ უწოდა.



როგორც ვხედავთ, **ე.წ. სტალინის კულტს იოსებ ჯუღაშვილი ხელოვნურად კი არ იქმნიდა, არამედ თავისით, ბუნებრივად წარმოიქმნებოდა იმ ქვეყნის წარმატებული საქმეებიდან და გამარჯვებებიდან, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა.** ომამდე დასავლეთში ეჭვობდნენ, რომ საბჭოთა პრესაში გამოქვეყნებული წარმატებები სინამდვილეს არ შეეფერებოდა და საბჭოთა პროპაგანდის შემადგენელი ნაწილი იყო. ეს ეჭვი ნაწილობრივ გამართლებული იყო იმით, რომ ქვეყანაში მოისპო ოპოზიცია და არავის შეეძლო გაეკრიტიკებინა, თუნდაც მიკერძოებულად, ოფიციალური ცნობები. ეს როლი იკისრა ბურჟუაზიულმა ანტისაბჭოთა პროპაგანდამ.

**მაგრამ მტკიცე წინააღმდეგობამ, რაც საბჭოელებმა აგრესორს გაუწიეს, შემდეგ კი წითელი არმიის სერიოზულმა გამარჯვებებმა დაამტკიცა საბჭოთა საზოგადოებრივი წყობის სიძლიერე, ფრონტსა და ზურგში საბჭოთა ადამიანების სულიერი უდრეკელობა და იდეური ერთიანობა. დასავლეთში მსგავსს არაფერს ელოდნენ, ამიტომ ამ ყველაფრიდან მიღებული შთაბეჭდილება განსაკუთრებით ძლიერი იყო.**

ექსპერტების დაკვირვებით, რუზველტის დამოკიდებულება სტალინის მიმართ ომის მსვლელობის კვალზე მნიშვნელოვნად უკეთესდებოდა. ეტყობა, აშშ-ს საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულებამაც იქონია გავლენა — **სტალინი საერთაშორისო პოლიტიკის გამოკვეთილი ფიგურა გახდა, მასზე იყო დამოკიდებული მოვლენათა განვითარება როგორც დასავლეთ ევროპაში, აგრეთვე, შორეულ აღმოსავლეთში.**

## თეირანის შეხვედრები

სტალინმა თითქოს იგრძნო მოკავშირეთა მანევრები მეორე ფრონტის გახსნასთან დაკავშირებით და ფრიად გონებამახვილური და არატრავიალური დიპლომატიური ნაბიჯი გადადგა.

1942 წელს მოსკოვში ჩაფრინდა აშშ პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ჰარი ჰოპკინსი. საუბრის შემდეგ სტალინმა სთხოვა მას რუზველტისთვის საჩუქრად გადაეცა საბჭოთა მუსიკალური კინოკომედია „ვოლგა-ვოლგა“.

ჰოპკინსის მითითებით სასწრაფოდ თარგმნეს კინოგმირების რეპლიკები და რუზველტს შესაძლებლობა მიეცა გასცნობოდა სტალინის საჩუქარს.

ნახა ფილმი და გაკვირვებული დარჩა: ვერ მიხვდა, რა უნდოდა ეთქვა ამ ფილმით საბჭოთა ბელადს. არადა, აშკარად რაღაცის მითითება სურდა, თუკი საბჭოთა კავშირისთვის ურთულეს პერიოდში აშშ პრეზიდენტისთვის ასეთი პრეზენტის გაკეთება მოისურვა.

ეკრანზე განვითარებული სიუჟეტი ამის ამოხსნის საშუალებას არ იძლეოდა. არც თარგმნილი ტექსტი.

— ყველაფერი თარგმნეთ? — უკითხავს რუზველტს.

— ყველაფერიო, — უპასუხეს.

— სიმღერების ტექსტებიცო? — ჩაეკითხა პრეზიდენტი.

აღმოჩნდა, რომ სიმღერების ტექსტების თარგმნა საჭიროდ არ ჩაუთვლიათ.

თარგმნეს.

დაჯდა ფილმის ხელმეორედ სანახავად ამერიკის პრეზიდენტი და თარგმანში ისმენს მხიარულ სიმღერას, რომელსაც ხალისიანად ასრულებს დიდბორბლებიანი სამდინარო გემის კაპიტანი (მსახიობი ვ. ვოლოდინი):

Америка России
Подарила пароход,
С носа пар, колеса сзади
И ужасно,
И ужасно,
И ужасно тихий ход!

მოისმინა და სიცილი აუტყდა: ნათელი გახდა, რომ სტალინი მიანიშნებდა ამერიკის დახმარების ფრიად ნელ სვლაზე საბჭოთა კავშირისაკენ და ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის გაჭიანურებაზე.

ეს ფაქტი საკმაოდ გავრცელებულია ბეჭდურ ლიტერატურაშიც და ზეპირსიტყვიერებაშიც და თუ ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ მისი მოხმობა წიგნის ქართულ თარგმანში, მხოლოდ იმიტომ, რომ დავთანხმებოდით რუდოლფ ბალანდინისა და სერგეი მირონოვის დასკვნას: **„უეჭველია, რომ რუზველტმა ღირსეულად შეაფასა სტალინის მეგობრული სიტყვის გადაკვრა და დაუსწრებლად სიმპათიით განიმსჭვალა მისდამი. თუ იმ ქვეყნის ხელმძღვანელს, რომელიც უმძიმეს ომს აწარმოებს უძლიერეს მოწინააღმდეგესთან, არ დაუკარგავს იუმორის გრძნობა და შეუძლია ასე მოსწრებულად იხუმროს, ნაცვლად იმისა, რომ აღშფოთდეს მოკავშირეთა უმოქმედებით... ასეთი ხელმძღვანელი ღრმა პატივისცემას იმსახურებს. უფრო მეტიც, იგი დარწმუნებულია მტერზე სრულ გამარჯვებაში.**

თითქოს დიდი არაფერი მომხდარა, წვრილმანი ფაქტია: ერთმა ხელმძღვანელმა მეორეს კინოკომედია აჩუქა. სხვა დროსა და სხვა ვითარებაში ეს ფაქტი ყურადღების ღირსიც არ იქნებოდა, მაგრამ 1942 წელს ამგვარი ნაბიჯი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა, თანაც არა მხოლოდ იმ მომენტისთვის, არამედ მომავალი დიპლომატიური მოლაპარაკებებისთვის.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეს ყველაფერი ერთგვარად თეირანის კონფერენციაზეც აისახა, სადაც სხვა საკითხებთან ერთად განიხილებოდა 1944 წელს მეორე ფრონტის გახსნის საკითხი. სტალინი დაჟინებით მოითხოვდა მოკავშირეთა გადმოსხმას საფრანგეთის ჩრდილოეთსა და სამხრეთში, რათა მათ უსწრაფესად მიეღწიათ გერმანიის საზღვრებამდე. ჩერჩილი და რუზველტი წინააღმდეგნი იყვნენ და სთავაზობდნენ მთავარი დარტყმა განეხორციელებინათ იტალიის და ბალკანეთის გავლით ბერლინისკენ. ამით გზას გადაუკეტავდნენ წითელ არმიას დასავლეთ ევროპისკენ; თანაც დაასუსტებდნენ გერმანელთა მთავარ ძალებთან შეტაკებებით.

დღის წესრიგში გერმანიის წინააღმდეგ ომში თურქეთის ჩართვის საკითხიც იდგა.

საბჭოთა ბელადი რეალურად აფასებდა იმ მოგებას, რისი მიღების სურვილიც მის მოკავშირეებს ჰქონდათ, და სათავისოდ იყენებდა მათ შორის არსებულ წინააღმდეგობებს. მას არ გაუკრიტიკებია რუზველტის „იუგოსლავური ავანტიურა“, სამაგიეროდ მკვეთრად გამოვიდა ჩერჩილის წინააღმდეგ, დაამტკიცა, რომ უახლოეს პერიოდში თურქეთი არ იომებს მოკავშირეთა მხარეზე. მისი სიტყვებით, გერმანელების გავლენის ზონის უსუსტესი რგოლი იყო საფრანგეთი, სადაც უნდა დაერტყათ.

**პირველი სესიის ბოლოს, სტალინისა და ჩერჩილის სიტყვიერი დუელის შემდეგ, რუზველტმა განაცხადა, რომ იგი მხარს არ უჭერს „ოვერლორდის“ (საფრანგეთში დესანტირება) გადადებას და მის ნაცვლად ხმელთაშუაზღვის ოპერაციის განხორციელებას. ჩერჩილი, რომელიც უმცირესობაში დარჩა, სტალინის შეკითხვამ საბოლოოდ განაიარაღა: „სჯერა კი პრემიერს „ოვერლორდის“ თუ ამას მხოლოდ რუსების დასამშვიდებლად ლაპარაკობს?“**

ძნელია იმის მტკიცება, რომ ჩერჩილი ეშმაკობდა, მაგრამ 1944 წელს სიტუაცია აღმოსავლეთ ფრონტზე იმდენად შეიცვალა, რომ გერმანელების გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად წითელი არმია შეუჩერებლად მიიწევდა ბერლინისკენ. ჰიტლერს კვლავ სჯეროდა თავისი ინტუიციის, მოვლენების ბედნიერად განვითარების და ამიტომ თავის ჯარებს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ბრძოლისკენ მოუწოდებდა. ინგლისელებთან და ამერიკელებთან მშვიდობიანი გარიგების იმედი იმის პირდაპირ პროპორცულად ჰქრებოდა, რაც უფრო მეტი მასალა იბეჭდებოდა დასავლეთის პრესაში გერმანელების ახალი და ახალი დანაშაულებათა შესახებ მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. აშშ-ში დიდი გავლენის მქონე ებრაული დიასპორა უფლებას არ მისცემდა რუზველტს გარიგებოდა ჰიტლერს ან გიმლერს. მაგრამ ყველაფერი შეიძლება შეცვლილიყო, თუ მოხერხდებოდა ამ ოდიოზური ფიგურების ლიკვიდაცია. გერმანიის ახალ ხელისუფლებას საშუალება ექნებოდა გამოეცხადებინა, რომ იგი ერთგულებს ბურჟუაზიული დემოკრატიის პრინციპებს.

**ფიურერს თავს ესხმოდნენ, მაგრამ უშედეგოდ. თავდასხმების ორგანიზატორები არც ანტიფაშისტები იყვნენ, არც საბჭოთა კავშირის მომხრეები. პირიქით, სტალინი ამჯერად დაინტერესებული იყო, რომ ჰიტლერი ხელისუფლების სათავეში დარჩენილიყო. ეს იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ ომი ორ ფრონტზე — აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფრონტებზე გაგრძელებულიყო.**

...საფრანგეთში შეჭრის სასარგებლოდ რუზველტის პოზიციის მკვეთრად შეცვლის მიზეზი კარგად ჩანს 1943 წლის 22-26 ნოემბერს კაიროში ჩერჩილთან და ჩან კაიშისთან გამართული თათბირის სტენოგრამიდან: **„საბჭოეთი ახლა სულ რაღაც 60 მილით არის დაშორებული პოლონეთის საზღვარს და 40 მილით ბესარაბიას“. მისთვის საბოლოოდ აშკარა გახდა, რომ წითელი არმიის დასავლეთისკენ ძლევამოსილი მსვლელობა ბოლოს და ბოლოს ბერლინის აღებით და სსრკ ჰეგემონიის დამყარებით დამთავრდებოდა არა მარტო ცენტრალურ, არამედ ნაწილობრივ დასავლეთ ევროპაშიც. ინგლის-ამერიკის ჯარების სახმელეთო ოპერაციები დიდი გამარჯვებებით უმნიშვნელო იყო.**

საფრანგეთში შეჭრაზე უარის თქმა ჰიტლერს საშუალებას მისცემდა გაეძლიერებინა თავისი ჯარების სამხრეთის დაჯგუფება. შედეგად ინგლის-ამერიკის შეიარაღებული ძალები დამარცხებისგან გარანტირებული ვერ იქნებოდა. გამორიცხულია, რომ რუზველტს ეს საკითხი არ აწუხებდა და, აქედან გამომდინარე, მას სრული საფუძველი ეძლეოდა, რათა მხარი დაეჭირა „ოვერლორდის“ ოპერაციისათვის. თეირანის კონფერენციაზე ასეც გადაწყდა.

შორეული აღმოსავლეთის საკითხის განხილვისას სტალინმა განაცხადა, რომ გერმანიის საბოლოო დამარცხების შემდეგ „ჩვენ შევძლებთ საერთო ძალებით იაპონიის განადგურებას“.

ეს იყო მისი პირველი ოფიციალური განცხადება, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის, მხარი დაუჭიროს ამერიკას მისთვის ესოდენ აქტუალური შორეული აღმოსავლეთის პრობლემის გადაჭრაში.

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ჰიგსის ბოზონის არსებობა ძალიან ხანმოკლეა, ამიტომ დიდი ადრონული კოლაიდერის მსგავსი მექანიზმებით მისი დაფიქსირება ძალიან ძნელია. თუმცა, ფიზიკოსები ფიქრობენ, რომ შეუძლიათ, ექსპერიმენტში მისი შექმნა დაადასტურონ, თუკი შენიშნავენ იმ ნაწილაკებს, რომლებადაც გარდაიქმნენ.**

# მეცნიერებმა «ღვთიური ნაწილაკი» აღმოაჩინეს



**ჟენევაში გამართულ აუდიენციაზე „ცერნის“ გენერალური დირექტორის — როლფ ჰოიერის განცხადებით, დიდ ადრონულ კოლაიდერზე მომუშავე ორი სხვადასხვა ჯგუფი თითქმის ასი პროცენტითაა დარწმუნებული, რომ აღმოაჩინეს ჰიგსის ბოზონი, იგივე „ღვთიური ნაწილაკი“. ყოველ შემთხვევაში, ეს ნამდვილად არის აქამდე უცნობი ნაწილაკი, რომელიც ზუსტად იქ იყო, სადაც ჰიგსის არსებობას ვარაუდობდნენ.**









ნაწილაკმა, რომლის აღმოჩენასაც დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდნენ, შეიძლება შეავსოს ფიზიკის სტანდარტული მოდელი და ახსნას, **რატომ აქვთ სამყაროში არსებულ ობიექტებს მასა და აქედან გამომდინარე, საერთოდ რატომ არსებობენ გალაქტიკები, პლანეტები და ადამიანებიც კი.**

**„ჩვენ აღმოჩენა გავაკეთეთ,** — განაცხადა ჰოიერმა, — **დავაკვირდით ახალ ნაწილაკს, რომელიც შეესაბამება ჰიგსის ბოზონს“.**

შეხვედრაზე იმყოფებოდა ოთხი თეორეტიკოსი ფიზიკოსი, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ჰიგსის ბოზონის თეორიის განვითარებაში 1960-იან წლებში, მათ შორისაა თავად პიტერ ჰიგსიც. განცხადების მოსმენისას ამ უკანასკნელს ცრემლები წამოუვიდა.

მიუხედავად იმისა, რომ განცხადება წინასწარ გაკეთდა, მილიონიდან მხოლოდ ერთია იმის შანსი, რომ ჰიგსის მსგავსი სიგნალი, რომელსაც მეცნიერები დააკვირდნენ, უბრალოდ, შემთხვევითობაა.

**„ეს საოცრად ამაღელვებელი მომენტია“,** — ამბობს ფიზიკოსი **მაიკლ ტუტსი**, რომელიც ATLAS-ის (A Toroidal LHC Apparatus) ექსპერიმენტში ჰიგსის ბოზონის მაძიებელ ერთ-ერთ პროექტში მუშაობს. იდუმალი ნაწილაკის მაძიებელი მეორე პროექტი ცნობილია სახელწოდებით CMS (Compact Muon Solenoid). აღმოჩენა ამ ორმა ჯგუფმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განახორციელა და არც ერთ მათგანს არ ჰქონდა ინფორმაცია, რომ მათი კოლეგები იმავე მომენტის ზღვარზე იყვნენ.

**„ძალიან საინტერესოა, რომ კონკურენტ ექსპერიმენტს არსებითად იგივე შედეგი ჰქონდა“,** — განაცხადა ფიზიკოსმა რიჩარდ სტროინოვსკიმ, დალასის უნივერსიტეტში დაფუძნებული ATLAS-ის გუნდის წევრმა.

**„ცერნის“ მეთაურმა ჰოიერმა აღმოჩენას „ისტორიული მომენტი“ უწოდა, მაგრამ ასევე დაამატა, რომ ფიზიკოსებს გაცილებით მეტი სამუშაო აქვთ წინ, რათა ახლად აღმოჩენილი ნაწილაკის ზუსტი რაობა გაარკვიონ და მისი თვისებები გამოსცადონ.**

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფი დარწმუნებულია, ნაწილაკს ჰიგსის ბოზონის შესაბამისი მასა აქვს, უნდა დადგინდეს, იქცევა თუ არა ის ისე, როგორც „ღვთიურ ნაწილაკზე“ ვარაუდობდნენ, შესაბამისად, რა არის მისი როლი სამყაროს შექმნასა და შენარჩუნებაში.

**მიღებულმა შედეგებმა ბევრი ფიზიკოსის მოლოდინს მკვეთრად გადააჭარბა, მათ შორის ALICE-ის (A Large Ion Collider Experiment) ბრიტანული თანამშრომლობის ლიდერის — დევიდ ევანსისას.** ის ვარაუდობდა, რომ შედეგის სიზუსტე იქნებოდა 4-სიგმიანი, რაც საჭიროა იმისთვის, რომ ახალი ნაწილაკის დაკვირვება ოფიციალურად ჩაითვალოს ნამდვილ აღმოჩენად. „ცერნის“ ჯგუფების შედეგი კი 5-სიგმიანი იყო.

**„ეს იმაზე უკეთესია, ვიდრე ველოდი. ჩემი აზრით, უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჰიგსი აქაა. ის არსებობს“,** — განაცხადა ბირმინგემის უნივერსიტეტის პროფესორმა ევანსმა.

ATLAS-ის წარმომადგენელმა ფაბიოლა ჯანოტიმ ქება არ დაიშურა დიდი ადრონული კოლაიდერის (დაკ) მისამართით. დაკი არის მულტიმილიარდდოლარიანი მექანიზმი, რომელმაც წარსულში, სამწუხაროდ, რამდენიმეჯერ განიცადა ტექნიკური წარუმატებლობა და მარცხი. **„დიდი ადრონული კოლაიდერი და მისი მეშვეობით განხორციელებული ექსპერიმენტები სასწაულებს სჩადის“,** — აღნიშნა ნაწილაკების შემსწავლელმა იტალიელმა ფიზიკოსმა.

აღმოჩენის შესახებ გაკეთებული განცხადება ეფუძნებოდა შედეგებს, რომელიც გასული წლის დეკემბერში გახდა ცნობილი. მაშინ ATLAS-ისა და CMS-ის ჯგუფებმა, მიღებულ ინფორმაციაზე დაფუძნებით, წამოაყენეს ვარაუდი, რომ ჰიგსის ბოზონის წონა იყო 125 გიგაელექტრონული ვოლტი, რაც დაახლოებით 125-ჯერ მეტია ატომბირთვის დადებითად დამუხტული ნაწილაკის — პროტონის მასაზე.

ჰიგსის ბოზონი ერთ-ერთი უკანასკნელი ნაწილია იმ თავსატეხის ამოსახსნელად, რომლის მეშვეობითაც ფიზიკის სტანდარტული მოდელის სრულად გაგება გახდება შესაძლებელი. ეს მოდელი, რომელიც ჯერჯერობით წარმატებულია, ხსნის, თუ როგორ ურთიერთქმედებენ ფუნდამენტური ნაწილაკები ბუნების ელემენტარულ ძალებთან.

**ჰიგსის ბოზონის არსებობის იდეა 1960-იან წლებში წამოაყენა პიტერ ჰიგსმა, რათა აეხსნა, რატომ აქვთ მასა ისეთ ნაწილაკებს, როგორიცაა მაგალითად კვარკი — პროტონის საშენი ბლოკი — და ელექტრონი, ხოლო სხვები, მაგალითად სინათლის მატარებელი ფოტონი, მასის გარეშეა. ჰიგსის იდეა ის იყო, რომ სამყარო ჩაძირულია ერთგვარ უხილავ ველში (ამჟამად ცნობილი, როგორც ჰიგსის ველი), რომელიც მაგნიტურ ველს მიაგავს. მას ყველა ნაწილაკი შეიგრძნობს, მაგრამ სხვადასხვა დონეზე.**

თუკი ნაწილაკი ჰიგსის ველს ისე გაივლის, რომ საერთოდ არ ექნება მასთან კონტაქტი, ან მხოლოდ მცირე დოზით, ის ან უმასო იქნება ან ძალიან მცირე წონა მიენიჭება. შესაბამისად, რაც უფრო მჭიდრო კონტაქტი აქვს ნაწილაკს ჰიგსის ველთან, მით უფრო დიდია მისი მასა. ჰიგსის ველის არსებობის დადასტურებისთვის საჭირო იყო შესაბამისი ნაწილაკის — ჰიგსის ბოზონის აღმოჩენა.

სტანდარტული მოდელის მიხედვით, თუკი ჰიგსის ველი არ იარსებებდა, სამყარო გაცილებით განსხვავებული იქნებოდა. ძალიან ძნელი გახდებოდა ატომის ჩამოყალიბება, ვერ შედგებოდა მატერია, რომელიც ამ სამყაროს ქმნის. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს იქნებოდა სამყარო გალაქტიკების, ვარსკვლავების, პლანეტების, სიცოცხლის გარეშე.

დიდი ადრონული კოლაიდერი საფრანგეთისა და შვეიცარიის საზღვარზე, 175 მეტრის სიღრმეზე მდებარეობს. მისი სიგრძე 27 კმ-ია და ოვალური გვირაბის ფორმა აქვს. კოლაიდერში ნაწილაკებს ელექტრონული ველის მეშვეობით ასწრაფებენ თითქმის სინათლის სიჩქარემდე. მაღალი ენერგიის შეჯახებისას იქმნება ფუნდამენტური ეგზოტიკური ნაწილაკები — მათი ნაწილი სამყაროს დასაბამიდან მცირე ხნის შემდეგ სამუდამოდ გაქრა. თუმცა ეს უცნაური ნაწილაკები წამის უმცირეს მონაკვეთებში არსებობენ და შემდეგ ტრანსფორმაციას განიცდიან.

**თეორია წინასწარმეტყველებს, რომ ჰიგსის ბოზონის არსებობა ძალიან ხანმოკლეა, ამიტომ დიდი ადრონული კოლაიდერის მსგავსი მექანიზმებით მისი დაფიქსირება ძალიან ძნელია. თუმცა, ფიზიკოსები ფიქრობენ, რომ შეუძლიათ, ექსპერიმენტში მისი შექმნა დაადასტურონ, თუკი შენიშნავენ იმ ნაწილაკებს, რომლებადაც გარდაიქმნენ.** ამჯერად კი დადასტურდა, რომ ჰიგსის ბოზონს ან მის მსგავს სხვა ნაწილაკს, ნამდვილად აქვს 125-126 გიგაელექტრონული ვოლტის წონა და მეცნიერებს იმის ახსნის საშუალებაც მიეცათ, რატომ ვერ ხერხდებოდა ამდენი ხანი „ღვთიური ნაწილაკის“ დაჭერა.

**საქმე ისაა, რომ მასა იმაზე მეტია, ვიდრე დიდი ადრონული კოლაიდერის წინამორბედებს შეეძლოთ დაეფიქსირებიათ.** მაგალითად, დიდი ელექტრონ-პოზიტრონული კოლაიდერი 115 გიგაელექტრონულ ვოლტამდე ნაწილაკებს აფიქსირებდა. მეორე მხრივ, 125 გიგაელექტრონული ვოლტი არაა იმდენი, რომ ტრანსფორმაციისას წარმოქმნას უჩვეულო ნაწილაკები, რომლებზე დაკვირვებაც **„ღვთიური ნაწილაკის“** არსებობის უტყუარი მტკიცებულება იქნებოდა.

როგორც ჩანს, ჰიგსის ბოზონი გარდაიქმნება სრულიად ჩვეულებრივ ნაწილაკებად, როგორიცაა მაგალითად კვარკი. დიდი ადრონული კოლაიდერი კი ექსპერიმენტებში მილიონობით კვარკს ქმნის. ALICE-ის ლიდერ დევიდ ევანსის თქმით, ბუნება ძალიან ცუდად ექცევა მათ, რადგან ჰიგსის ბოზონის აღმოსაჩენად საჭირო დიაპაზონამდე შევიწროებისას მიიღეს ზღვარი, რომელზე დაკვირვებაც ყველაზე რთული იყო. მიუხედავად ამ გამოწვევებისა, ხელსაყრელია იმის ცოდნა, რომ ბოზონს აქვს მასა და აღმოჩენილი ნაწილაკი ამ თვისებაში ემთხვევა, განაცხადა ფაბიოლა ჯანოტიმ.

მიუხედავად იმისა, რომ ჰიგსის ბოზონის აღმოჩენა დიდი ადრონული კოლაიდერის შექმნის უმთავრესი მოტივატორი იყო, ნაწილაკების უდიდესი ამაჩქარებელი არ შეწყვეტს ფუნქციონირებას იმ შემთხვევაში, თუკი **„ღვთიური ნაწილაკის“** აღმოჩენა 100%-ით დადასტურდება. გარდა ამისა, მეცნიერებს წინ აქვთ რამდენიმეწლიანი შრომა, რათა მომდევნო საკითხები ამოიხსნას. მაგალითად, რა ნაწილაკად ტრანსფორმირდება ჰიგსის ბოზონი, როცა ის ენერგიას კარგავს. ამის შემდეგ შეეძლებათ განსაზღვრონ, არის თუ არა ეს ის ნაწილაკი, რომლის არსებობასაც თეორია წინასწარმეტყველებდა, თუ ეს რაიმე უფრო ეგზოტიკურია.

**„თუკი ოლიმპიადას შევადარებთ, ჰიგსის ბოზონის აღმოჩენა მხოლოდ ერთი ოქროს მედლის მოპოვებაა,** — ამბობს დევიდ ევანსი. — **დარწმუნებული ვარ, ბევრ ქვეყანას სურს ერთზე მეტი ოქროს მედლის აღება და ვფიქრობ, ცერნი მომდევნო წლების განმავლობაში გაცილებით მეტ მედალს მოგვიტანს“.**

თავად ჰიგსი იმ ნაწილაკის აღმოჩენით, რომელსაც ლამის ნახევარი საუკუნის მანძილზე ეძებდა, გახარებულზე მეტად დაფიქრებულია. **„არ ველოდი, რომ მას ჩემს სიცოცხლეშივე აღმოაჩენდნენ“,** — უთხრა 83 წლის მეცნიერმა ჟურნალისტებს.



## ყველაზე დიდი ნაყინი

**ინგლისში ჩამოასხეს მსოფლიოში ყველაზე დიდი ნაყინი, რომლის სიმაღლე ოთხ მეტრს შეადგენდა, ხოლო წონა — ტონაზე მეტს. ასეთი მასის გაყინვას თვეზე მეტი დასჭირდა. ორგანიზატორები შეეცადნენ, ნაყინის კენწეროზე წაესვათ მარწყვის ჯემი, თუმცა იგი ვერ ჩერდებოდა და გამდნარ ნაყინზე ქვევით ცურდებოდა.** ნაყინის პრეზენტაცია შედგა გლოსტერ-პარკში, ხოლო შეფ-მზარეული, რომელმაც ეს სასწაული შექმნა, ჰესტონ ბლუმენტარი იყო.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბრძოლა ხელოვნური ხორცისთვის

**მთელ მსოფლიოში მეცნიერები წლების განმავლობაში მუშაობდნენ ხორცის შემცვლელი პროდუქტის აღმოჩენაზე. სოიოსგან ან ღეროვანი უჯრედებისგან სინთეზირებული, ხორცის რეალური გემოს მატარებელი პროდუქტი შეცვლიდა სამყაროს, მაგრამ არც მილიონიანი ჯილდო აღმოჩნდა საკმარისი, რომ ეს მომხდარიყო. კონკურსი ხელოვნური ხორცის შექმნაზე, რომელიც ცოტა ხნის წინ უნდა დასრულებულიყო, 2013 წლამდე გააგრძელეს. რაშია პრობლემა?**



ხელოვნური ხორცის თემა „აღიძრა“ ვეგეტარიანელების ხორცის გემოს შეგრძნების მანიად ქცეული სურვილიდან. ყველა დღესდღეობით არსებული თუნდაც ულტრადახვეწილი ხორცის შემცვლელი ძალზე შორს არის „ორიგინალისგან“. მაგრამ, რამდენიმე მიზეზი გვაძლევს იმის საბაბს, რომ დავიჯეროთ — არსებული მდგომარეობა მალე შეიცვლება.

რამდენიმე ძალზე არსასიამოვნო და მოძველებული ვარიანტი უკვე გავიარეთ. თავიდან კლონირებული ხორცი გაჩნდა, შემდეგ კი იაპონელმა მეცნიერმა მიცუიკი იკედამ გამოიგონა ხელოვნური ხორცის წარმოება კანალიზაციის ნარჩენებისგან. კომენტარი, როგორც იტყვიან, ზედმეტია.

**როდესაც უკვე ხელოვნური ხორცის შექმნის იმედი გადაეწურათ, ბიოლოგიური ინჟინერიის პროფესორმა, მისურის უნივერსიტეტიდან ფუ ჰანგ ჰსიეფმა სიახლე შემოიტანა ამ პროცესში. თითქმის ათწლიანი კვლევების შემდეგ, 2010 წელს, ფუ ჰანგ ჰსიეფმა და მისმა კოლეგებმა შექმნეს პროდუქტი, რომელიც დღესდღეობით აღიარებულია საუკეთესო ხორცის შემცვლელად და არა გემოს გამო.** საქმე ისაა, რომ ეს სოიოს ფარში, ნამდვილის მსგავსად, სულაც არ იშლება ცხელ ტაფაზე. ასევე „ფსევდოქათამი“ არ „დნება“ მომზადებისას, ნამდვილის მსგავსად. ყოველ შემთხვევაში, ჰსიეფის ხელში.

ჰსიეფის რეცეპტი, რომელშიც შედის სოიოს ცილა, ბარდას ცილა და სტაფილოს ბოჭკო, გასულ წელს შეიძინა მერილენდის კომპანიამ „ხორცის გარეშე“. კომპანიის წარმომადგენელი ამბობს, რომ ის გეგმავს ქათმის ხორცის შემცვლელი პროდუქტის შემოტანას ბაზარზე 2013 წელს, მანამდე კი ის შეგიძლიათ შეიძინოთ მხოლოდ კალიფორნიის რამდენიმე მაღაზიაში.

**რაც შეეხება გემოს, New York Times –ის საკვები პროდუქტების მიმომხილველი მარკ ბიტმანი ძალზე დადებითად აფასებს ამ პროდუქტს და წერს, რომ მას ვერ გაარჩევთ ჩვეულებრივი, ბუნებრივი ქათმის ხორცისგან.**

ამ დროს ევროპაში კვების პროდუქტების კომპანიები და მეცნიერები ესპანეთიდან ნიდერლანდამდე ერთობლივად მუშაობენ პროექტზე „ხორცის მსგავსი“, რომლის მიზანია, შესთავაზოს მომხმარებელს უკეთესი ხორცის შემცვლელი პროდუქტი. სტენდფორდის ბიოქიმიის პროფესორმა პატრიკ ბრაუნმა ვანკუვერში ჩატარებულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მისი ხორცის შემცვლელი პროდუქტი ერთდროულად გემრიელიცაა და მარგებელიც.

მიუხედავად მეცნიერების „თავდადებული“ შრომისა და მიღწეული შედეგისა, ყოველთვის აღმოჩნდება მომხმარებელთა გარკვეული რაოდენობა, რომლებიც აუცილებლად იგრძნობენ განსხვავებას ნამდვილ და „ხელოვნურ“ ხორცს შორის, რამდენი სტატიაც არ უნდა წაიკითხონ ნებისმიერ განთქმულ გაზეთში.

**ცხოველთა დაცვის ორგანიზაციამ PETA-მ 2008 წელს დააწესა მილიონიანი პრიზი იმისთვის, ვინც შექმნიდა და 2012 წლის 30 ივნისისთვის ბაზარზე გამოიტანდა ხორცის შემცვლელ პროდუქტს.** დადგენილი ბოლო ვადის გასვლამდე ერთი კვირით ადრე მან გადაწია ვადა 2013 წლამდე. ანდრას ფორგაკსი ჯგუფიდან „თანამედროვე ველი“ არის პირველი ჩრდილო ამერიკელი მეცნიერი, რომელმაც შექმნა ქსოვილ-ინჟინირებული ხორცის პროდუქტი. თებერვალში Los Angeles Times-ი იუწყებოდა, რომ ანონიმურმა ინვესტორმა დააბანდა 300 000 დოლარზე მეტი სხვა პროექტში, რომელსაც მაასტრიხტის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრის ხელმძღვანელი მარკ პოსტი ახორციელებს.

**პოსტი და მისი გუნდი იღებენ ღორის ღეროვან უჯრედებს, ათავსებენ მათ ძროხის ემბრიონალურ შრატში, რომელშიც ეს უჯრედები აგრძელებენ ზრდას. შემდეგ მეცნიერები აშენებენ კუნთების ქსოვილს მექანიკური ძაბვითა და ელექტროშოკით, რაც ზრდის მის მოცულობას ასობით პროცენტით. ჯგუფი ამბობს, რომ „ჰამბურგერი“ ოქტომბრისთვის იქნება მზად.**

თვით აზრმაც კი ლაბორატორიულ პირობებში ხორცის წარმოებაზე შეიძლება ბევრს „დააგდებინოს“ ჩანგალი „ხელოვნური“ კოტლეტის დაგემოვნებამდე. მაგრამ, ვინც პირველი ზიზღის გრძნობის გადალახვას შეძლებს, იგემებს ყველა უპირატესობას! **წარმოიდგინეთ თევზის სულფანატებით გაჟღენთილი სტეიკი ხორცის გემოთი ან განვითარებადი, ღატაკი ქვეყნების ბავშვები, რომლებსაც ექნებათ საშუალება, მიიღონ ხორცის ცილა.** ამასთან, პოსტის თქმით, ხორცის წარმოებაზე დაიხარჯება 40%-ით ნაკლები ენერგია, არსებულთან შედარებით.

**ენერგიის შემცირების შესაძლებლობა არაფერს ნიშნავს მათთვის, ვინც უბრალოდ ვერ შეელევა ნამდვილ ხორცის პროდუქტებს.** მართალია, ადამიანი, უმეტეს შემთხვევაში თავისუფალია თავის სურვილში — მიირთვას ის, რაც სურს, მაგრამ თანამედროვე კვლევებმა აჩვენა, რომ ხორცის ჭამა აღარ არის, როგორც ოდესღაც, ადამიანის მხოლოდ პირადი არჩევანის საქმე. უმეტესობა ხორცის პროდუქტებისა დამზადებულია გენოინჟინერიის გამოყენებით, დაბალი ხარისხის და გარემოს დამაზიანებელი ფაქტორების ქვეშ. ამიტომ ხორცის ჭამა — არჭამის თემა ფილოსოფიური რანგიდან უკვე გადავიდა ჯანმრთელობის დაცვის საკითხების რანგში.





## მაწანწალამ ქალიშვილი «ტვიტერით» იპოვა



**ნიუიორკელმა მაწანწალამ, 58 წლის დენიელ მორალესმა 11-წლიანი განშორების შემდეგ თავისი ერთადერთი ქალიშვილი იპოვა.**

მორალესის თქმით, სულ ცოტა ხნის წინ აითვისა კომპიუტერი, რომელიც საქველმოქმედო ორგანიზაციამ ღამის გასათევში დადგა. დაახლოებით სამი კვირის წინ კი „ტვიტერში“ თავისი გვერდი გახსნა. იქ სამყაროს მოკლედ უამბო, როგორ ცხოვრობს თანამედროვე ამერიკელი მაწანწალა.

რამდენიმე დღეში „უსახლკაროს ჩანაწერების“ მუდმივ მკითხველთა რიცხვმა სამი ათას ადამიანს გადააჭარბა.

სოციალურ ქსელში რეგისტრაციის დღიდან ძალიან მალე მორალესმა მისი ყველა უპირატესობა აითვისა და თავისი 27 წლის ქალიშვილის მოძებნაც გადაწყვიტა. მობილური ტელეფონის ნომერი დატოვა და ქალიშვილის ფოტო განათავსა. რამდენიმე დღეში ზარი გაისმა და უსახლკარომ ქალიშვილის ხმა გაიგონა. აღმოჩნდა, რომ ის არც ისე შორს ცხოვრობდა. „იმის გარდა, რომ ქალიშვილი ვიპოვე, უამრავი ადამიანი მირეკავდა და მწერდა, ღამის გასათევსა და სამუშაოს მთავაზობდა. ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ ინტერნეტი ასეთი მაგარი რამე იყო“, — აცხადებს მაწანწალა.

## კუნძული-გემი

**მსოფლიოში პირველ კუძნულს, რომელსაც წყალში გადაადგილება შეუძლია, 2013 წელს ააშენებენ. მობილური კუნძულის აშენების იდეა ავსტრიულ კომპანია Orsos Island GmbH-ს ეკუთვნის, რომელმაც უკვე დაიწყო პროექტზე მუშაობა.**

კუნძულის სიგრძე — 37, ხოლო სიგანე — 20 მეტრი იქნება. კუნძულზე იქნება კომფორტული გასართობი და დასასვენებელი გარემო, სადაც 12 სტუმრის მიღება შეიძლება. პროექტის საიტზე აღნიშნულია, რომ „კუნძული ნებისმიერ ლუქს კლასის იახტას აჯობებს კომფორტითა და გარემოთი. აქ იქნება ჯაკუზი, ბაღი, სანაპირო, რომელზეც სტუმრები გაირუჯებიან“. **Orsos Island-ზე დასვენება იახტის შეძენაზე ან მის დაქირავებაზე გაცილებით იაფი იქნება. გარდა ამისა, შემქმნელების განცხადებით, კუძული ეკოლოგიურად სუფთაა, რადგან ის ქარისა და მზის ენერგიის მეშვეობით გადაადგილდება.**







ყოველკვირეული გამოცემა

საქართველო და მსოფლიო

ესტუმრეთ ჩვენს საიტს

პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6

ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894

9 772233 389009